

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

ვახტანგ ჭარაია

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების როლი და მნიშვნელობა ქვეყნის
ეკონომიკური ზრდისათვის (საქართველოს მაგალითზე)

დისერტაცია

ეკონომიკის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელი:
პროფესორი თეიმურაზ ბერიძე



უნივერსიტეტის
გამომცემლობა

თბილისი 2015

სარჩევი:

შესავალი	1
თავი 1. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების კვლევის თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლები	
1.1. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გენეზისი და ტიპები.....	9
1.2. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გლობალური ტენდენციები.....	34
თავი 2. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გავლენა რეგიონი კვლევის ეკონომიკაზე	
2.1. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე.....	40
2.2. საქართველოში შემოდინებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ანალიზი კვლევის, რეგიონების და დარგების მიხედვით.....	59
2.3. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოტივაციები და მათი გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე.....	93
2.4. OLI პარადიგმა და ერის ინვესტიციური განვითარების გზა (IDP).....	106
2.5. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების პოტენციალი და კონტრიბუციის ინდექსი საქართველოში.....	119
თავი 3. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის პოტენციური და რეალური შესაძლებლობები საქართველოში	
3.1. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის ხელშემწყობი ფაქტორები.....	127
3.2. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის შემაფერხებელი ფაქტორები.	166
დასკვნები და რეკომენდაციები.....	176
გამოყენებული ლიტერატურა.....	181
დანართი.....	195

შესავალი

თემის აქტუალობა: გლობალიზაციის თანამედროვე პირობებში უცხოური ინვესტიციების მოზიდვა ეკონომიკაში მისი განსაკუთრებული მნიშვნელობიდან გამომდინარე, სასიცოცხლო აუცილებლობას წარმოადგენს.

ისტორიული თვალსაზრისით, არცთუ ისე დიდი დრო გავიდა მას შემდეგ, რაც მთავრობებმა ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გადამწყვეტი როლი და მნიშვნელობა გააანალიზეს, გამონაკლისი არც განვითარებული და „ასევე“ არც განვითარებადი ქვეყნები ყოფილან.

საქართველოსა და აგრეთვე საერთაშორისო გამოცდილების საფუძველზე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ მნიშვნელოვანი ოდენობით უცხოური ინვესტიციების მოზიდვას მრავალი მაჩვენებელი განაპირობებს. საქართველოს მაგალითზე, ნეგატიურ ფაქტორებში შეგვიძლია განვიხილოთ მისი მცირე სამომხმარებლო ბაზარი; სამუშაო ძალის დაბალი კვალიფიკაცია (მიუხედავად წერა-კითხვის და დიპლომიანთა თითქმის ასპროცენტიანი მაჩვენებლისა მოსახლეობის ერთ სულზე); ქვეყანაში ორი კონფლიქტური რეგიონია; დამოუკიდებლობის მოპოვების დღიდანვე დაუმარცხებელია პოლიტიკური არასტაბილურობა და მრავალი სხვა. თუმცა არსებობს პოზიტიური მხარეებიც, როგორებიცაა: საკანონმდებლო ბაზრის მუდმივი გაუმჯობესება; ეკონომიკის ლიბერალიზაცია (მე-16 ადგილი 2014 წლის ეკონომიკის თავისუფლების ინდექსის მიერ გამოკვლეულ 152 ქვეყანას შორის), ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერა ევროკავშირთან, საქართველოს ადგილმდებარეობის უპირატესობა და სხვა.

საერთო ჯამში შეიძლება ითქვას, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის ჭრილში საქართველო მიმზიდველ ქვეყანათა რიცხვს მიეკუთვნება. თუმცა, ჯერჯერობით, უცხოელი ინვესტორები საქართველოში მაინც იაფი სამუშაო ძალის გამოყენებით, ადგილობრივი ბაზრის ათვისებით არიან დაკავებულნი და ნაკლებად უწყობენ ხელს მაღალტექნოლოგიური, ექსპორტზე ორიენტირებული დარგების განვითარებას. აქვე უნდა ითქვას, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, ხშირ შემთხვევაში, არა მიმდები ქვეყნის მაჩვენებლების უპირატესობებზე, არამედ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ექსპორტიორ ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკურ

პროცესებზე და მოკიდებული, აგრეთვე - ისეთ გლობალურ მოვლენებზეც, როგორცაა მსოფლიო ფინანსური კრიზისი ან პირიქით – მსოფლიო ეკონომიკური ბუმი.

საინტერესოა, რომ საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის დარგებს შორის პერსპექტიულია – ენერჯეტიკა; ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა; უძრავი ქონებისა და სამშენებლო ბაზრები, აგრეთვე დამამუშავებელი მრეწველობა. სხვა სფეროებში ინვესტორთა დაინტერესება საკმაოდ დაბალია, მაგალითად: საქართველოს მთავრობის მიერ სოფლის მეურნეობის მიმართულების ერთ-ერთ პრიორიტეტად გამოცხადების მიუხედავად, ინვესტიციები ამ სფეროში მიხერულია და მთლიანი ინვესტიციების 3%-ს არ აღემატება.

აღსანიშნავია, რომ დღეისთვის ქართულ-უცხოური წილობრივი მონაწილეობით შექმნილი ორგანიზაციების ექსპორტის წილი მთლიან ექსპორტში 50%-ს აღემატება, რაც იმას ნიშნავს, რომ უცხოური ინვესტიციები აქტიურ როლს თამაშობენ ქართული ექსპორტის ფორმირებაში, თუმცა როგორც ზემოთ ვახსენეთ, ეს ძირითადად დაბალტექნოლოგიური დარგების ექსპლუატირების ხარჯზე ხორციელდება. ქართული ეკონომიკის თვისობრივად ახალ დონეზე გადასაყვანად და მისი ექსპორტის, როგორც აბსოლუტურ, ასევე სტრუქტურულ ჭრილში გასაუმჯობესებლად, საჭიროა გეზის აღება ისეთ მიმართულებაზე, როგორცაა თანამედროვე ტექნოლოგიები, რომელიც, თავის მხრივ, განათლებაში (პროფესიული და ტექნოლოგიური ცენტრები; საშუალო და უმაღლესი განათლება) მნიშვნელოვანი რესურსების დაბანდების გარეშე წარმოუდგენელია.

სტატისტიკური მონაცემების თანახმად, 1996 წლიდან 2014 წლის მესამე კვარტლის ჩათვლით, საქართველოში შემოსულმა პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა \$12.4 მილიარდს გადააჭარბა, რომლის 42% ევროკავშირის ქვეყნიდანაა შემოდინებული. თუმცა 2014 წლის პირველი სამი კვარტლის მონაცემების თანახმად, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განმახორციელებელ ქვეყანათა რიცხვში ერთ-ერთი წამყვანი ადგილი ჩინეთს (\$157 მლნ) უჭირავს, რომელმაც გააქტიურება მხოლოდ III კვარტლში დაიწყო და ინვესტიციამ \$149 მლნ ანუ მოცემული კვარტლის 29% შეადგინა (წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 47-ჯერ მეტი). შეიძლება ითქვას, რომ ჩინეთი თავის ეკონომიკურ „ექსპანსიას“ საქართველოში ახლა იწყებს. რაც შეეხება იგივე კვარტალში პირდაპირი

უცხოური ინვესტიციების დარგობრივ გადანაწილებას, ის შემდეგნაირია: მშენებლობა (36%); ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა (21%); უძრავი ქონება (12%). აღნიშნულ დარგებში ამ მასშტაბის ინვესტიციები კი საქართველოსთვის გრძელვადიან პერიოდში პოზიტიური ნამდვილად ვერ იქნება, რადგანაც მოცემული ინვესტიციები არა ქვეყნის რეალური ეკონომიკის განვითარებას, არამედ ინვესტორის გამდიდრებას ემსახურება.

როგორც უკვე აღინიშნა, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის კუთხით საქართველო განსაკუთრებული წარმატებით ევროკავშირის ქვეყნებთან თანამშრომლობს. შესაბამისად, ასოცირების ხელშეკრულების ამოქმედების შედეგად, ევროკავშირიდან ინვესტიციათა ახალი ტალღაა მოსალოდნელი, რაც, ერთი მხრივ, უდავოდ მისასალმებელი ფაქტია, თუმცა, მეორე მხრივ, ზრდის ქვეყნის დამოკიდებულებას ერთ კონკრეტულ რეგიონზე – ევროკავშირზე, რაც ამ რეგიონში მოსალოდნელი ეკონომიკური სირთულეების შემთხვევაში, აუცილებლად კპოვებს ასახვას საქართველოში შემოდინებული (შემოსული) პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მასშტაბებზეც.

კვლევის მიზანი და ამოცანები: პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოტივაციების ანალიზი და მათი გავლენის შეფასება საქართველოს ეკონომიკაზე, ქვეყნისა და დარგის მახასიათებლების გათვალისწინებით.

კვლევის მიზნიდან გამომდინარე, კვლევის შემდეგი ამოცანები შეირჩა:

1. ქართული და უცხოური ლიტერატურის მიმოხილვა და კრიტიკული ანალიზი;
2. გლობალური ტენდენციების ანალიზი;
3. მოზიდვის ხელშემწყობი და შემაფერხებელი ფაქტორების იდენტიფიკაცია;
4. მოტივაციების გამოვლენა და გავლენის შეფასება საქართველოს ეკონომიკაზე;
5. საქართველოს საინვესტიციო განვითარების სტადიების ანალიზი;
6. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების პოტენციალის შეფასება და კონტრიბუციის ინდექსის გაანგარიშება.

კვლევის საგანი და ობიექტი: კვლევის საგანს წარმოადგენს პირდაპირი უცხოური ინვესტიციები და მისი მნიშვნელობა მიმდები ქვეყნის ეკონომიკურ ზრდისთვის. კვლევა აგებულია საქართველოს მაგალითზე.

კვლევის ობიექტს წარმოადგენს საქართველოს საინვესტიციო კლიმატი და უცხოური ინვესტიციების როლი მისი გაუმჯობესების პროცესში.

კვლევის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლები: კვლევის დროს გამოყენებულ იქნა შემდეგი მეთოდები: ხარისხობრივი, თვისობრივი, შედარებითი, სტატისტიკური ანალიზის, დაჯგუფების, ინდექსური, დედუქციური, სინთეზის, „ქეის-სთადი“ (შემთხვევების შესწავლა) და ევრისტიკული.

ნაშრომი ეყრდნობა ქართველ და უცხოელ მეცნიერთა გამოკვლევებს, პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებთან დაკავშირებით; საერთაშორისო ორგანიზაციების მონაცემებს; პერიოდულ გამოცემათა მასალებს; საქართველოს და უცხოური ეროვნული/ცენტრალური ბანკების ნორმატიულ და სტატისტიკურ დოკუმენტაციას; გამოკვლევა ჩატარებულია საქართველოს ეროვნული ბანკის, მსოფლიო ბანკის, სავალუტო ფონდის, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურისა და მრავალ სხვა ორგანიზაციაში მოპოვებული ფაქტობრივი მონაცემების ანალიზის საფუძველზე.

კვლევის ძირითადი მეცნიერული სიახლეები:

1. გამოვლენილია საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოტივაციები, ასევე შეფასებულია მათი გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე, ქვეყნისა და დარგის მახასიათებლების გათვალისწინებით.
2. გაანალიზებულია საქართველოს საინვესტიციო განვითარების სტადიები და საქართველოს საინვესტიციო პოზიციის შეფასების საფუძველზე, დადგენილია საქართველოსათვის დამახასიათებელი საინვესტიციო განვითარების სტადია.
3. გაანგარიშებულია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების კონტრიბუციის ინდექსის ისეთი მაჩვენებლების მიხედვით, როგორებიცაა: დამატებული ღირებულება, კაპიტალის მოცულობა, საგადასახადო შემოსავლები, შრომის ანაზღაურება, კაპიტალის ფორმირება, დასაქმება და ექსპორტი. ხოლო მოცემული ინდექსის საფუძველზე, გაანალიზებულია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე.
4. საქართველოს ეკონომიკის თავისებურებიდან გამომდინარე, გაანალიზებულია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განმაპირობებელი ფაქტორები და გამოვლენილია

ქვეყნის საინვესტიციო მიმზიდველობის პოტენციალი, ხელისშემწყობი და ხელისშემშლელი ფაქტორები.

ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა: კვლევის შედეგები და დასკვნები შეიძლება გამოყენებულ იქნეს უმაღლეს სასწავლებლებში, როგორც სახელმძღვანელო მასალა. ამასთან, იგი მნიშვნელოვნად დაეხმარება სამთავრობო ინსტიტუტებს ქვეყნის ეკონომიკური განვითარების კურსის განსაზღვრის, მისი კორექტირებისა და რეალიზაციის კონკრეტული საკითხების დამუშავებისას. ნაშრომში განხილული საკითხების გამოყენება მიზანშეწონილია საერთაშორისო ბიზნესის სალექციო კურსში, უცხოური ინვესტიციების თეორიული და პრაქტიკული ასპექტების შესწავლის მიზნით.

კვლევის შედეგების აპრობაცია: კვლევის ძირითადი შედეგები გამოქვეყნდა ათამდე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე, რეცენზირებად ჟურნალებში და საზღვარგარეთ გამოცემულ სამეცნიერო შრომების კრებულში. ნაშრომი აპრობირებულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე, თეორიული ეკონომიკის კათედრაზე და მიეცა მსვლელობა საჯარო დაცვისათვის.

სადისერტაციო ნაშრომის მნიშვნელოვანი ნაწილი, მომზადებული და აპრობირებულია: პასაუს უნივერსიტეტში (გერმანია), პეტერბურგის ევროპული უნივერსიტეტში (რუსეთი), ტარტუს უნივერსიტეტში (ესტონეთი) და ჯორჯ ვაშინგტონის უნივერსიტეტში (აშშ).

აგრეთვე აღსანიშნავია სადისერტაციო ნაშრომის ცალკეული კომპონენტების საერთაშორისო მასშტაბით წარდგენა მნიშვნელოვან კონფერენციებზე: 1. “MENA Business Infrastructure Protection Summit, 2013”, რომელიც ჩატარდა ქ. დუბაიში (ა.გ.ე.); 2. „4th International Conference on Global Business Environment, 2014” ქ. ბანგოკში (ტაილანდი); 3. „ICFE 2014: International Conference on Finance and Economics, 2014“ ქ. რიოდე-ჟანეიროში (ბრაზილია); 4. “Asset Management and Maintenance Conference, 2014” - ქ. ბრისბანში (ავსტრალია); 5. „Global Academic Network International Conference, 2015” - ჰონგ-კონგში (ჩინეთი) და მრავალი სხვა.

სადისერტაციო ნაშრომმა მრავალგზის აპრობაცია გაიარა საქართველოშიც. კერძოდ, ივანე ჯავახიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილ პირველ სამეცნიერო ფორუმზე (2014 წელს), სადაც ნაშრომის ერთ-ერთი კომპონენტის წარდგინებისთვის („საქართველოს გლობალური კონკურენტუნარიანობა, შედარებითი ანალიზი“), მოიპოვა I ადგილი (თანამომხსენებლებთან ერთად).

ნაშრომის მიერ აპრობაციის გავლასთან მიმართებით, აღსანიშნავია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მიერ ორგანიზებულ ყოველთვიურ სემინარზე „პოლიტეკონომიური საუბრები ლადო პაპავასთან“, ავტორის მიერ წარმოდგენილი მოხსენება სახელწოდებით - "OLI პარადიგმა და ერის საინვესტიციო განვითარების გზის ეტაპები საქართველოსთვის“). მოხსენება წარმატებულად შეფასდა უნივერსიტეტის რექტორის, პროფესორ ვლადიმერ პაპავას მიერ.

მნიშვნელოვან გარემოებას წარმოადგენს მოცემული კვლევის ფარგლებში მოპოვებული გამარჯვება შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ გამოცხადებულ დოქტორანტთა კონკურსში. პროექტის შესრულების ყოველკვარტლური, ფინანსური და აკადემიური ნაწილი ზემოხსენებული ფონდის მონიტორინგის სამსახურის მიერ დადებითად იქნა შეფასებული.

ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა: ნაშრომი შესრულებულია 208 გვერდზე. იგი შედგება შესავლის, სამი თავის, რვა ქვეთავის, დასკვნებისა და რეკომენდაციების ნაწილისა და გამოყენებული ლიტერატურის სიისაგან. თან ერთვის დანართები (გაანგარიშებითი ცხრილები, სქემები, დიაგრამები და გრაფიკები).

I თავში - განიხილულია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების თეორიულ-მეთოდოლოგიურ საფუძვლები. გაშუქებულია: პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გენეზისი, ტიპები და თანამედროვე გლობალური ტენდენციები. მოცემულია ინვესტიციების მრავალმხრივი კლასიფიკაცია. მოცემულია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების თეორიების მიმოხილვა და მათი კრიტიკული შეფასება, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გლობალური ტენდენციების ანალიზი განვითარებული, განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკების მიხედვით.

სქემატურად, გრაფიკულად და მათემატიკური აპრატის მეშვეობით სისტემატიზებულია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების კანონზომიერებისა და მოტივაციების განმსაზღვრელი თეორიები. დახასიათებულია კაპიტალდაბანდებათა ოთხი კატეგორია დანინგის მიხედვით: ბუნებრივი რესურსების, ეფექტიანობის, ბაზრისა და სტრატეგიული აქტივების მაძიებლების მიხედვით. აგრეთვე, თავის დაღწევის, მხარდამჭერი და პასიური ინვესტიციების მიხედვით. ამავე თავში ნაჩვენებია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გლობალური ტენდენციები, მისი დინამიკა და მოლოდინები, როგორც რეგიონების მიხედვით, ასევე მსოფლიო მასშტაბით.

II თავი - ეხება პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გავლენას რეციპიენტი ქვეყნის, კონკრეტულად საქართველოს ეკონომიკაზე თუ როგორია მათი მოტივაციები, წარმოდგენილია ეკლექტური პარადიგმა და ერის ინვესტიციური განვითარების გზა, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების პოტენციალი და კონტრიბუციის ინდექსი. თეორიული მასალების გამოყენებით, გაანალიზებულია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ჰორიზონტალური და ვერტიკალური გადაინების ეფექტი. ნათლადაა წარმოდგენილი შემოსული და გასული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სტრუქტურა, მათი კრებსითი და წლიურ მაჩვენებლები: რეგიონების, ქვეყნების, სექტორებისა და დარგების, აგრეთვე რეგიონულ და ორგანიზაციების ჭრილში. თითოეული მიმართულება დეტალურადაა განხილული, მოცემულია კონკრეტული ანალიზი და შეფასებები.

ერის ინტენსიური განვითარების გზის კონცეფციის გამოყენებით, ჩამოყალიბებულია საქართველოს ინვესტიციური განვითარების საფეხურები და მათი დინამიკა. 2007-2013 წლების მონაცემებზე დაყრდნობით, გაანალიზებულია საქართველოს პოტენციური და რეალური შესაძლებლობები, უცხოური ინვესტიციების მოზიდვის კუთხით. მოცემულია „კონტრიბუციის ინდექსის“, სადაც ქართულ-უცხოური წილობრივი მონაწილეობით შექმნილი კომპანიების სხვადასხვა მიმართულების აქტიურობის მაჩვენებლები (მაგ.: დასაქმება, წილი ექსპორტში და სხვ). გაანალიზებულია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოტივაციები და მათი გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე ბოლო შვიდი წლის განმავლობაში.

III თავი - ეხება პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის ხელშემწყობ და შემაფერხებელ ფაქტორებს.

განხილული და შეფასებულია ისეთი მიმართულებები, როგორებიცაა: ლიბერალური საგადასახადო რეჟიმი, რეფორმა საბაჟო სექტორში, ლიცენზიებისა და ნებართვების მოდერნიზებული სისტემა, პრივატიზაცია, ცვლილებები შრომის კოდექსში, კრიმინალთან და კორუფციასთან ბრძოლა, თავისუფალი ინდუსტრიული და ტურისტული ზონები, ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილება, საქართველო-ევროკავშირის ეკონომიკური ურთიერთობები „აღმოსავლეთის პარტიონრობიდან“ დღემდე, საკანონმდებლო ცვლილებები ინვესტიციური საქმიანობის მიმართულებით, საფონდო ბირჟის განუვითარებლობა.

ნაშრომის დასკვნით ნაწილში - საქართველოს ეკონომიკურ განვითარებაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების როლის სიდრმისეული ანალიზის საფუძველზე, შემოთავაზებულია მთელი რიგი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობის რეკომენდაციები, რომელთა სწორი რეალიზაცია გარკვეულ სარგებლობას მოუტანს საქართველოს ეკონომიკას და საინტერესო მაგალითი იქნება საერთაშორისო თანამეგობრობისათვის.

თავი 1. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების კვლევის თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლები

1.1. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გენეზისი და ტიპები

ტერმინი ინვესტიცია (investire - შემოსვლა) ლათინური წარმოშობისაა და ეკონომიკის სხვადასხვა დარგის საწარმოებში კაპიტალის გრძელვადიან დაბანდებას აღნიშნავს.

შუა საუკუნეების ევროპაში „ინვესტიტურას“ უწოდებდნენ ზემდგომის მიერ თავისი ვასალისთვის მიწის ან რაიმე თანამდებობის გადაცემის ფაქტს, რომელიც შესაბამისი ცერემონიით სრულდებოდა. ძველ გერმანულ საზოგადოებაში უძრავი ქონების გადაცემას მისი ერთი მფლობელისგან მეორესთან სიმბოლურად აღნიშნავდნენ შესაბამისი თემატური ნივთის საჯაროდ გადაცემით (მაგ.: ერთი მუჭა მიწის სიმბოლური გადაცემით). X-XI საუკუნეებში საგნის საჯაროდ გადაცემამ ერთი პირიდან მეორეზე (როგორც წესი, იერარქიულად მასზე დაბლა მდგომ პირზე), ძალაუფლების, უფლებამოსილების ნაწილის, აგრეთვე მასთან დაკავშირებული მიწის, შემოსავლისა და სხვა ძალაუფლებების გადაცემის რიტუალის სახე მიიღო.

დროთა განმავლობაში, ტერმინმა „ინვესტიცია“ უფრო ფართო მნიშვნელობა შეიძინა და მისი გამოყენება დაიწყო საქმიანობის სხვადასხვა სფეროში. დღევანდელი გაგებით კი „ინვესტიცია“ მოგების მიღების მიზნით ფინანსური ან/და არაფინანსური აქტივების დაბანდებას აღნიშნავს. თუმცა, აღნიშნული ტერმინის მრავალგვარი განმარტება არსებობს რომელიც სხვადასხვა ორგანიზაციებისა, თუ მეცნიერების მიერაა შემოთავაზებული. საქართველოს კანონის „საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს შესახებ“ მე-3 მუხლის თანახმად, ინვესტიცია არის - „სახელმწიფოს მიერ სხვადასხვა დარგის საწარმოში, საწარმო-საინვესტიციო პროგრამებსა და საწარმო-საინვესტიციო პროექტებში კაპიტალის დაბანდება, რომლის ძირითადი მიზანია ქვეყნის სამრეწველო პოტენციალის მაქსიმალური ეფექტიანობით ამოქმედება და წარმოების განვითარების ხელშეწყობით უმუშევრობის დონის შემცირება“.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გავლენა ქვეყნის ეკონომიკაზე შეიძლება მრავალმხრივ იქნეს შეფასებული. ერთ-ერთი დაბალანსებული მეთოდი შეიძლება იყოს მისი დაყოფა მაკრო და მიკროეკონომიკური მიდგომების საფუძველზე. პირველი გულისხმობს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ემპირიულ ანალიზს ეკონომიკის ზრდაზე, ვაჭრობაზე, დასაქმებასა და უმუშევრობაზე, აგრეთვე ხელფასების დინამიკის ცვალებადობაზე დაკვირვებით. ხოლო მიკრო დონეზე კი ინვესტიციები შეიძლება განხილულ იქნეს კონკრეტული საწარმოების დონეზე. ამ შემთხვევაში, ყურადღება ექცევა ინვესტორის სახსრებით შექმნილი ფილიალების მიერ მასპინძელი ქვეყნის ეკონომიკისათვის განხორციელებული აქტიურობების შედეგებს. აღსანიშნავია, რომ ორივე დონეზე მეცნიერები ვერ თანხმდებიან და სრულიად საპირისპირო მოსაზრებებსა და დაკვირვებებს აყალიბებენ.

წარმომავლობის მიხედვით, ინვესტიციები შეიძლება დაიყოს ადგილობრივ (სამამულო) და უცხოურ ინვესტიციებად. სამამულოა ინვესტიცია, რომელიც მოცემული ქვეყნის რეზიდენტის მიერ არის განხორციელებული. ხოლო უცხოური, შესაბამისად, უცხოური ქვეყნის მოქალაქის მიერ სახსრების საზღვარგარეთიდან შემოტანას აღნიშნავს.

ადგილობრივი ინვესტიციებისაგან განსხვავებით, ძირითადად პოლიტიკური მოსაზრებებიდან გამომდინარე, უფრო დიდ ყურადღებასა და დაინტერესებას მთავრობები უცხოური ინვესტიციების მიმართ იჩენენ, რომელიც, თავის მხრივ, ორ ნაწილად იყოფა:

ა) პორტფელური ინვესტიციები ანუ დაბანდებანი გრძელვადიანი ფასიანი ქაღალდების შესაძენად (მაგ.: ობლიგაციურ ვალდებულებებში სახსრების დაბანდება), რომელსაც ძირითადად რისკების შემცირების მიზნით მიმართავენ. როგორც წესი, ფასიანი ქაღალდების პაკეტი იმდენად მცირეა ან ისეა განაწილებული სხვადასხვა ემიტენტებს შორის, რომ იგი არ იძლევა კონტროლის განხორციელების შესაძლებლობას.

პორტფელური ინვესტიციები, როგორც წესი, საფინანსო შუამავლების დახმარებით ხორციელდება, მათ შორის: კომერციული და საინვესტიციო ბანკები, კერძო ან/და სახელმწიფო საინვესტიციო კომპანიები, ფონდები და მრავალი სხვა. ამ ტიპის ინვესტირებით დაინტერესებული ბიზნესმენები, როგორც წესი ისეთი

მრჩევლების მითითებებს ენდობიან, რომელთაც აღნიშნულ სფეროში გარკვეული გამოცდილება უკვე აქვთ.

პორტფელურ ინვესტიციებს ხშირად „ცხელ ფულსაც“ უწოდებენ და მოკლევადიანი ხასიათიდან გამომდინარე, კაპიტალის არასტაბილურ ნაკადებთან აიგივებენ, რადგანაც იგი რეციპიენტი ქვეყნის ეკონომიკაში არასტაბილურობის პირველი ნიშნის გამოჩენისთანავე დაუყოვნებლივ ტოვებს ეკონომიკას.

ბ) პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს, რომელიც ძირითადი კაპიტალის შემქმნელ დაბანდებებს წარმოადგენს, ხშირად რეალურ ინვესტიციებსაც უწოდებენ;

პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს განსაკუთრებული ადგილი უკავია ქვეყნის ეკონომიკურ და სოციალურ-პოლიტიკურ ცხოვრებაში, რადგანაც დიდწილად სწორედ ისინი განაპირობებენ ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას გრძელვადიან ასპექტში. მით უმეტეს მაშინ, როდესაც ქვეყნის ეკონომიკური სიძლიერე და საბანკო სისტემა ჯერ კიდევ არ არის ჩამოყალიბებული ისეთ დონეზე, რომ შეძლოს ეკონომიკის სტაბილურად და იაფი შესხებით მომარაგება.

დაბანდებების ხანგრძლივობიდან გამომდინარე, განასხვავებენ ინვესტიციების სამ კატეგორიას:

- ა) მოკლევადიანი - 1 წლამდე ინვესტიციები;
- ბ) საშუალოვადიანი - 1-დან 3 წლამდე ინვესტიციები;
- გ) გრძელვადიანი - 3 წელზე მეტი ხანგრძლივობის ინვესტიციები.

რა თქმა უნდა, თავისი მიზნებიდან გამომდინარე, ინვესტიციის ხანგრძლივობა ყოველთვის იქნება განსხვავებული. თუმცა დღევანდელ პერიოდში განსაკუთრებით ღირებულია გრძელვადიანი ინვესტიციები, რომელიც ქვეყნის ეკონომიკური განვითარების მყარ გარანტიას იძლევა. ამიტომ, ასეთი ტიპის ინვესტიციებზე რეციპიენტი ქვეყნებისა და ორგანიზაციების მხრიდან ერთგვარი „ნადირობაც“ კი მიმდინარეობს.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საკუთრების ფორმის მიხედვით

საკუთრების ფორმის მიხედვით, ინვესტიციები 4 კატეგორიად იყოფა:

- ა) კერძო - ოჯახური მეურნეობების ან/და კერძო პირის მიერ განხორციელებული ინვესტიცია;

ბ) სახელმწიფო - ქვეყნის მთავრობის მიერ განხორციელებული ინვესტიცია, როგორცაც შეიძლება ჩაითვალოს მაგ. ინფრასტრუქტურის მშენებლობა.

გ) უცხოური - ქვეყნის გარედან შემოსული ინვესტიციების ნაირსახეობა, რომელიც, შესაძლებელია, განხორციელდეს როგორც უცხო ქვეყნის მთავრობების, ასევე მოქალაქეებისა და ორგანიზაციების მიერ.

დ) შერეული - კერძო, სახელმწიფო და უცხოური ინვესტიციების ერთობლიობა.

ჩვენი აზრით, ქვეყანაში ყველა ზემოაღნიშნული ინვესტიციის კატეგორიის წახალისება უნდა მოხდეს. თუ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განხორციელება მხოლოდ ნაწილობრივ, ხელსაყრელი საინვესტიციო გარემოს შექმნით არის ქვეყნის მთავრობაზე დამოკიდებული, სახელმწიფო ინვესტიციის განხორციელებაში მთავრობები კიდევ უფრო შეზღუდულები არიან. მიხნეულია, რომ სახელმწიფო ინვესტიციებს მთავრობები მასობრივად მხოლოდ ქვეყნის ეკონომიკის „გადახურების“ პირობებში უნდა მიმართავდნენ.

ბუნებრივია, ისეთი მომხმარებლური ეკონომიკის პირობებში, როგორც საქართველოს აქვს, რთულია კერძო ინვესტიციების განხორციელებისკენ მოსახლეობის წახალისება. თუმცა ფაქტია, რომ ამის გარკვეული (თუნდაც მცირედი) რესურსი, არათუ დღევანდელ საქართველოში, არამედ მეორე მსოფლიო ომში დამარცხებულ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაშიც კი გამოიძებნა, მას შემდეგ, რაც მას კანცლერი კონრად ადენაუერი ჩაუდგა სათავეში (1949-1963 წწ) (BBC). მიუხედავად იმისა, რომ პოსტ საბჭოთა ქვეყნის მოსახლეობასთან რთულია კერძო ინვესტირების უპირატესობაზე საუბარი (თუნდაც საბანკო ანაბრების გახსნის გზით, მათი თანხის მუთაქაში შენახვასთან საპირწონედ), საჭიროა ამ საკითხის დეტალური დამუშავება, რათა ნათლად გამოჩნდეს „იქს“ თანხის ეფექტიანად გამოყენების უპირატესობები, ერთი მხრივ, და უქმად ყოფნით გამოწვეული პირობითი ზარალი მეორე მხრივ.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები პორიზონტალურ და ვერტიკალურ ჭრილში

პორიზონტალური პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გულისხმობს ინვესტორის მიერ რეციპიენტ ქვეყანაში სახსრების დაბანდებას მსგავსი ან იმავე ტიპის პროდუქციის საწარმოებლად, რომელსაც ის სამშობლოში აწარმოებს.

ამ ტიპის ინვესტიციას მიმართავენ ის კომპანიები, რომელთაც უკვე გაიმყარეს საკუთარი პოზიციები ადგილობრივ ბაზარზე და თავისი იმიჯისა და რეპუტაციის მეშვეობით ახალ ბაზრებზე გასვლა სურთ.

ებრაელ-ამერიკელი ეკონომისტის ე. ჰელპმანის (ELHANAN HELPMAN, 2004) კვლევების თანახმად, ფირმები პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს იმ შემთხვევაში ახორციელებენ, თუ სავაჭრო ბარიერები მაღალია, ხოლო დაბალი სავაჭრო ბარიერების პირობებში კი პირიქით, ამჯობინებენ პროდუქციის ექსპორტირებას და არა ინვესტიციის განხორციელებას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ჰორიზონტალური პირდაპირი უცხოური ინვესტიციები და სავაჭრო ვაჭრობა ურთიერთშემცვეელი მოვლენებია.

ვერტიკალური პირდაპირი უცხოური ინვესტიცია გულისხმობს პროდუქციის წარმოებისადმი ისეთ მიდგომას, როდესაც წარმოების სხვადასხვა ფაქტორები, შესაძლებელია, განთავსებულ იქნეს სხვადასხვა ქვეყანაში. მაგ.: კაპიტალიზმის წარმოების ნაწილის განლაგება კაპიტალით მდიდარ და შესაბამისად, ამ რესურსთან წვდომის მარტივი შესაძლებლობის მქონე ქვეყანაში/ბაზარზე; შრომა-ინტენსიური ნაწილის - განვითარებად ბაზრებზე გადატანა; მეცნიერება-ტექნოლოგიური წარმოების - მაღალგანვითარებულ ქვეყნებში და ა.შ. ვერტიკალური პირდაპირი უცხოური ინვესტიციების, შესაძლებელია, ორად დაიყოს:

1. უკუ-ვერტიკალური პირდაპირი უცხოური ინვესტიცია ძირითადად ხორციელდება ნატურალური რესურსების ათვისების მიზნით, იმ კომპანიების მიერ, რომლებიც სექტორში მომწოდებლები არიან და ფლობენ ისეთ რესურსებს, როგორებიცაა ახალი ტექნოლოგიები ან/და უხვი ფინანსური რესურსი.

2. ვერტიკალის მიმდევარი პირდაპირი უცხოური ინვესტიცია, კი გულისხმობს ექსპორტისა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციის ბერკეტების ერთდროულ გამოყენებას იმის გათვალისწინებით, რომ ისინი ურთიერთჩანაცვლებადია.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები რესურსების ხასიათის მიხედვით

საინვესტიციო რესურსების ხასიათის მიხედვით, ინვესტიციები სამ სხვადასხვა კატეგორიად იყოფა:

ა) რეალური ინვესტიციები - წარმოების ეფექტიანობის გაუმჯობესებისკენ მიმართული კაპიტალდაბანდებები.

ბ) ფინანსური ინვესტიციები - ფულადი სახსრების დაბანდება კერძო თუ სამთავრობო ფასიან ქაღალდებში.

გ) ინტელექტუალური ინვესტიციები - კაპიტალის დაბანდება მეცნიერულ გამოკვლევებში, თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლებაში, ახალი ტექნოლოგიების დანერგვაში და სხვ.

გრინფილდი და შერწყმა/შთანთქმა ტიპის პირდაპირი უცხოური ინვესტიციები

„გრინფილდ-ინვესტიცია“ არის პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ისეთი ფორმა, რომელიც საზღვარგარეთ ახალი საწარმოს ნულიდან შექმნის ან/და უკვე არსებული გაფართოების მიზნით ხორციელდება. ასეთი ტიპის ინვესტიციებს, ძირითადად, დიდი საერთაშორისო კორპორაციები მიმართავენ და თავიანთ გადაწყვეტილებებს ადგილობრვ მთავრობებს, ლოკალური სამუშაო ძალის აქტიური ჩართვით აწონებენ. გრინფილდ ინვესტიციების სხვა საინტერესო ელემენტებია: ახალი ტექნოლოგიების დანერგვა, კვალიფიციური კადრების მომზადება, ახალი ბაზრების ათვისება და (უმეტეს შემთხვევაში) ექსპორტის ზრდა. თუმცა, მეორე მხრივ, ასეთი ტიპის ინვესტიციებს გარკვეული ნაკლოვანებებიც აქვთ, რაც გამოიხატება იმავე დარგში მოღვაწე ადგილობრივი მცირე მეწარმეების შესაძლო „განადგურებით“, ძლიერი კონკურენციის ფონზე.

ინვესტიციის მიმღები ქვეყნების/ეკონომიკების შესაძლებლობებიდან გამომდინარე, ისინი გრინფილდ ინვესტორებს სხვადასხვა შედეგათიან პირობებს სთავაზობენ: მოქნილი საგადასახო პირობები, სუბსიდიები, გარკვეულ რესურსებთან წვდომა და ა.შ.

„გრინფილდ-ინვესტიციის“ ალტერნატივად შესაძლოა „ბრაუნფილდ-ინვესტიცია“ განვიხილოთ, რომელიც კომპანიის ან მთავრობის მიერ უკვე არსებული საწარმოს შესყიდვას ან/და იჯარით აღებას გულისხმობს, ახალი წარმოების დასაწყებად. ასეთი ინვესტიციის მაგალითად შეიძლება განვიხილოთ ადგილობრივი მანქანის მწარმოებელი კომპანიის მიერ (მაგ.: გერმანული BMW), საზღვარგარეთ მოქმედი საბურავების (ფრანგული Michelin) კომპანიის შექმნა.

რაც შეეხება პირდაპირი უცხოური ინვესტიციების „შერწყმა“ და „შთანთქმა“ (Merge&Acquisition) ინვესტიციების კატეგორიებს, ისინი აღნიშნავენ ორი ან მეტი

კომპანიის აქტივების და ვალდებულებების გაერთიანებას ერთ ბიზნეს სუბიექტში. სხვაობა მათ შორის გაერთიანებისადმი დამოკიდებულებაშია: ა) თუ ორი ერთი და იგივე შესაძლებლობების კომპანია ერთიანდება, მოვლენას შერწყმას უწოდებენ (კომპანიების: „ექსონის“ და „მობილის“ შერწყმა 1999 წელს, რომლის საბაზრო ღირებულებამ \$81 მლრდ შეადგინა). ბ) ხოლო, თუ უფრო დიდი კომპანია მცირე კომპანიას იერთებს, მისი გარკვეული უპირატესობების დასაუფლებლად, მაშინ საქმე შთანთქმასთან გვაქვს (kacebook-ის მიერ WhatsApp-ის შექმნა \$19 მილიარდად; Microsoft-ს მიერ Nokia-სი - \$7,2 მლრდ და სხვა).

შერწყმა/შთანთქმა და გრინფილდ-ინვესტიციები რეციპიენტ ქვეყანას დამატებით ფინანსური რესურსებით უზრუნველყოფს იმ სხვაობით, რომ გრინფილდ-ინვესტიციები უცხო ქვეყნებში აშენებენ ახალ საწარმოებს, ხოლო შერწყმა/შთანთქმა გულისხმობს ადგილობრივი კომპანიების აქტივების უცხოელი ინვესტორის მფლობელობაში გადაცემას.

მოცემული დარგის მეკლევარების აზრით, გრინფილდ-ინვესტიციები შერწყმა/შთანთქმასთან შედარებით უფრო მომგებიანია რეციპიენტი განვითარებადი ქვეყნებისთვის, რადგანაც ის ახალი ბიზნესის წამოწყების ხელშემწყობ ფაქტორს წარმოადგენს. განსხვავება ამ ორ ფორმას შორის ისაა, რომ მეორე, პირველისაგან განსხვავებით, არა ახალი, გრანდიოზული ორგანიზაციების ჩამოყალიბებას, არამედ ერთი კომპანიის განვითარების ინტერესებს ემსახურება, რასაც თავისი პოზიტიური და ნეგატიური მხარეებიც ერთვის თან (Nanda N. 2003; Neary, J. Peter. 2008).

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების თეორიების განვითარება

1950 წლამდე „საერთაშორისო პირდაპირი ინვესტიციები“ (international direct investment) მთლიანად აიხსნებოდა კაპიტალის საერთაშორისო მოძრაობის თეორიის მიხედვით. ისევე, როგორც ინვესტიციის ყველა სხვა ფორმა, პირდაპირი უცხოური ინვესტიციებიც განიხილებოდა, როგორც გამომდახილი ქვეყნებს შორის უკუგების ნორმის განსხვავებულობაზე. ეს მოსაზრება გამყარებული იყო იმ დროის ემპირიული დაკვირვებებით, რომლის თანახმადაც, ამერიკელი ინვესტორები შემოსავლის უფრო მაღალ ნორმას არა ადგილობრივი ინვესტირებიდან, არამედ ევროპაში განხორციელებული ინვესტირებისაგან იღებდნენ (Agarwal, 1980).

ბელგიელი მეცნიერები ლ. კოლენი, მ. მარტენსი და ჯ. სვინერი (Colen, L., Maertens, M. and J. Swinnen, 2012) აღნიშნავენ, რომ პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებსა და ადამიანურ განვითარებას შორის მჭიდრო ურთიერთკავშირია. ცნობილი შვედი ეკონომისტი, მ. ბლომსტორმი ამტკიცებს, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განსაკუთრებით სასარგებლოა განვითარებადი ქვეყნებისათვის, რადგანაც, საბოლოოდ, მათ მსოფლიო ბაზარზე კონკურენტუნარიანი პროდუქციით წარმოჩენის საშუალებას აძლევს.

მეცნიერთა ერთი ნაწილის თანახმად, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შედეგად მიღებული პროდუქცია შესაძლებელია, ექსპორტის ალტერნატივა გამხდარიყო. თუმცა ჰექშერ-ოლინის (Heckscher-Ohlin) ნეოკლასიკური მიდგომის თანახმად, ეს გამორიცხული იყო, რადგანაც საერთაშორისო მასშტაბით საქონელსა და საწარმოო ფაქტორებს შორის ნებისმიერი უთანასწორობა საქონლის საერთაშორისო მოძრაობით უნდა გამოსწორებულიყო.

ცნობილი კანადელი ეკონომისტების ერთობლივი - ჰიმერ-კილდებერგის თეორიის თანახმად, უცხოურ ფირმებს, ადგილობრივ ფირმებთან შედარებით, გარკვეული ნაკლოვანებები აუცილებლად ახასიათებთ (მაგ.: ადგილობრივი ბაზრის უკეთ ცოდნა ან/და კომუნიკაციის მეტი შესაძლებლობა), ამიტომ, მათ საკუთარი ორგანიზაციის უპირატესობები უნდა გამოამყვანონ. მათი აზრით, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები არა უბრალოდ საზღვარგარეთ თანხის გადაზიდვას, არამედ უფრო ფართო ცნებაა, რომელიც თავის თავში როგორც საკუთრების, ასევე, არამატერიალური რესურსების გადაადგილებას მოიცავს: ტექნოლოგიები, ახალი მიდგომები მენეჯმენტში, კვალიფიციური მუშახელი და ა.შ.

ჰიმერ-კილდებერგის თეორიის, მეორე მნიშვნელოვანი ელემენტი განიხილავდა, თუ რატომ უნდა მიემართათ კომპანიებს პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისადმი, როდესაც ისედაც შეეძლოთ თავისი საქონლის ექსპორტირება, ლიცენზიების გაცემა, თუ სხვა (W. J. Hennisz, 2003). მათივე ახსნით, ეს გამოწვეული იყო მოგების მაქსიმიზაციის სურვილით და 3 მიზეზს ასახელებდნენ: ა) ფირმის უპირატესობის ფინანსური შეფასების განხორციელება ძალიან რთული საკითხია; ბ) პირდაპირი უცხოური ინვესტიცია აუქმებს ლიცენზიის გაცემასა და მის მართვასთან

დაკავშირებულ ხარჯებს; და ბოლოს, გ) ოლიგოპოლიური ძალის გაყიდვა უბრალოდ შეუძლებელია.

ამერიკელი და ებრაელი ეკონომისტების ბოსვორდისა და კოლინის (Bosworth, B. P. and S. M. Collins, 1999), რაზინისა და შინარის (Hecht, J., Razin, A. and Shinar N., 2002) მიხედვით, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაკადით გამოწვეული ეფექტი განვითარებად ქვეყნებში უფრო მაღალია, ვიდრე სააქციო კაპიტალისა და სესხების ნაკადით მიღებული სახსრებიდან.

ჩეის დანის (Dunn C., 1975) თანახმად, პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა შესაძლია ბაზრიდან გამოდევნონ ადგილობრივი ინვესტიციები, რაც, თავის მხრივ, კაპიტალის ბაზარზე ფასების ზრდის გავლენით, გრძელვადიან ასპექტში, ბაზრის სიმახინჯიდან გამომდინარე, ადგილობრივი ეკონომიკისა და მთლიანი შიგა პროდუქტის შესუსტებასაც გამოიწვევს. მის საპირისპიროდ, სლივესტერი (Slywester K., 2005) ამტკიცებდა, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ადგილობრივი კაპიტალის აკუმულირება და შემდგომ ადგილობრივი ეკონომიკური ზრდის დასახმარებლად, მისი გამოყენება შეუძლია. ამ მოსაზრებას ემხრობა ბორენზტეინი (Borensztein E., De Gregorio J., Lee J-W., 1998), რომელმაც 69 განვითარებადი ქვეყნის დაკვირვების (1970-1990 წლებში) მაგალითზე გამოავლინა, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაკადს ადგილობრივი ინვესტიციების მნიშვნელოვანი წახალისება შეუძლია.

ლოვენდალის მიხედვით (2001), ორგანიზაციებს მრავალი მიზეზი აქვთ იმისთვის, თუ რატომ უნდა მოახდინონ თავიანი სახსრების უცხოეთში ინვესტირება. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განხორციელებისა და მათი მდებარეობის/განლაგების შესახებ გადაწყვეტილების მიღების სამი შეხედულება არსებობს: 1. ფირმებს სურთ გახდნენ მულტინაციონალურები; 2, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სტრატეგიული დეტერმინანტების გავლენა; 3, პირდაპირი უცხოური საინვესტიციო პროექტების დეტერმინანტები.

პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებსა და ეკონომიკურ ზრდას შორის უარყოფით კავშირზე ამახვილებს ყურადღებას ს. ზალცის მიერ 1970-1980 წლებში ე.წ „მესამე სამყაროს“ ქვეყნებში ჩატარებული კვლევა, რომლის თანახმადაც, ინვესტიციები რეციპიენტი ქვეყნის ეკონომიკის სტაგნაციას იწვევს, როდესაც პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განხორციელების შედეგად ხდება დარგის/ბაზრის მონოპოლიზაცია

(Saltz S., 1992). სინგერსის და პრებიშის მტკიცებით, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები რეციპიენტი ქვეყნის ეკონომიკაზე მხოლოდ უმნიშვნელო დადებით გავლენას ახდენს და სარგებლის უდიდესი ნაწილი ინვესტიციების განმასორციელებელ ქვეყნებზე (სათაო ორგანიზაციებში) ნაწილდება. უფრო მეტიც, მათი აზრით, წარმოების ფაქტორთა ფასებს შორის შეუსაბამობა და რესურსების ირაციონალური გამოყენება მიმღებ ქვეყანაში ეკონომიკური ზრდის ტემპის შემცირებას განაპირობებს (Singer, H.W., 1950).

პირდაპირი უცხოურ ინვესტიციებს ნეგატიურ ჭრილში განიხილავდა მარქსისტული სკოლაც. მათი მოსაზრებით საერთაშორისო კორპორაციები კაპიტალისტური ქვეყნების მიერ სპეციალურად იყო შექმნილი, რათა ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებზე ზეგავლენის ბერკეტები მოეპოვებინათ. ისინი ამტკიცებდნენ, რომ განვითარებად ქვეყნებს, აგრეთვე სოციალისტური წყობის ქვეყნებს დასავლეთის საერთაშორისო კორპორაციების მეშვეობით მათ ქვეყანაში ინვესტიციების განხორციელება არ უნდა დაეშვათ, რადგანაც ის არა ეკონომიკურ ინსტრუმენტს, არამედ ქვეყნის დამონების საშუალებს წარმოადგენდა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, დასავლეთის იმპერიალისტური წყობილება ახალი ტექნოლოგიებისა და კვალიფიციური მუშახელის დახმარებით ცდილობდა სხვა ქვეყნებში არსებული რესურსების (ძირითადად კაპიტალის) თავისთან გადმოტანას, ამ ქვეყნების ექსპლუატაციის გზით. უფრო მეტიც, მარქსისტთა მტკიცებით, თუ რომელიმე ქვეყანაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციები უკვე განხორციელებული იყო, მას დაუყოვნებლივ უნდა მოეხდინა მათი ნაციონალიზება.

სხვადასხვა დროს, ზოგიერთი მეცნიერის მიერ, ყურადღება იყო გამახვილებული, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები გარკვეულ ნეგატიურ მხარეებზე, რომელთაგან რამდენიმე დღეს შეიძლება ღიმილისმომგვრელიც იყოს:

- პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებისა და კონკურენტუნარიანი დასავლური კორპორაციების მეშვეობით ადგილობრივი ინვესტიციებისა და ფირმების ბაზრიდან გამოდევნა;
- პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მიმღებ ქვეყანაში კაპიტალის სიჭარბით გამოწვეული ადგილობრივი ვალუტის კურსის ზრდით განპირობებული ქვეყნების საექსპორტო მაჩვენებლის შესაძლო შემცირება და სავაჭრო ბალანსის გაუარესება;

- დიდძალი სახსრების შემოსვლით გამოწვეული ინფლაციური პროცესის შესაძლო გაღვივება, რამაც, თავის მხრივ, შესაძლოა საპროცენტო განაკვეთების ზრდა გამოიწვიოს და იაფი ფულისადმი ხელმისაწვდომობა შეზღუდოს (აღნიშნული დებულება ეწინააღმდეგება წინა დებულებას);
- ადგილობრივი ბიზნესის განვითარება გაზრდის მოთხოვნას ფინანსურ რესურსებზე და არა შრომის ბაზარზე. შესაბამისად, გარდაუვალი იქნება უმუშევრობის დონის მომატება;
- მაღალი ფინანსური მაჩვენებლების ხარჯზე უცხოური კომპანიები მარტივად ანადგურებენ ადგილობრივ კომპანიებს და ხდებიან მონოპოლისტები კონკრეტული დარგის ბაზარზე, შესაბამისად, მთელი ქვეყნის რესურსებს ხელში იგდებენ;
- უცხოელი ინვესტორების მაღალი ჩართულობა ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებაში იწვევს მათზე შესაბამის დამოკიდებულებას, რაც ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური ცხოვრებისათვის, მათი მაღალი გავლენის გამო, შესაძლოა, ნეგატიური შედეგებით დასრულდეს;

ბორენშტეინისა მიერ 1970-1989 წლებზე დაკვირვებით 69 ქვეყნის მაგალითზე ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გავლენა მიმდები ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე დამოკიდებულია ლოკალურ გარემოზე. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები თ მიღებული შედეგი უარყოფითია, თუ სამუშაო ძალა მიმდებ ეკონომიკაში დაბალკვალიფიციურია. თუმცა მათი კვალიფიკაციის ამაღლებასთან ერთად ინვესტიციათა ზეგავლენა ეკონომიკაზე აბსოლუტურად დადებითია (Borensztein, E., De Gregorio, J. & LEE, J.W., 1998).

უცხოელ ინვესტორთა მოტივაციები

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოტივაციებთან დაკავშირებული ტრანსნაციონალიზაციის თეორიების ძირითადი ნაწილი წინა საუკუნის 60-იან და 70-იან წლებში ჩამოყალიბდა, რადგანაც სწორედ ამ დროს უკავშირდება ისეთი გიგანტი ორგანიზაციების მსოფლიო მასშტაბით გააქტიურება, როგორებიცაა: Xerox, IBM, General Electric, Dupont, General Motors, Coca-Cola და მრავალი სხვა. თეორიული ბაზა კი იმისთვის გახდა საჭირო, რომ აეხსნათ, თუ რა გავლენას ახდენდა ამ ტიპის აქტიურობა, ერთი მხრივ, მიმდები ქვეყნის, ხოლო მეორე მხრივ, გამცემი ქვეყნის

ეკონომიკაზე, ასევე თავად უცხოური ინვესტიციის განმახორციელებელ კომპანიაზე. მოკლედ განვიხილოთ ყველაზე მნიშვნელოვანი ნაშრომები, რაც ამ მიმართულებით დღემდე შექმნილა (იხ. ცხრილი №1.1):

ცხრილი №1.1

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების კანონზომიერებების და მოტივაციების განმსაზღვრელი თეორიები

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების კანონზომიერებების განმსაზღვრელი თეორიები	პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოტივაციების განმსაზღვრელი თეორიები
<ul style="list-style-type: none"> ▪ პროდუქციის სასიცოცხლო ციკლის თეორია (რ. ვერტონი, 1966); ▪ მფრინავი იხვევის პარადიგმა (კ. აკამაცუ); ▪ დაწვევის (დავეწიოთ) ციკლის თეორია (მფრინავი იხვევის პარადიგმის განვითარება, 1978); ▪ ოლიგოპოლიური დაცვის თეორია (ფ. ნიკერბოკერი, 1978) ▪ ერის საინვესტიციო განვითარების გზა (დანინგი და ანრულა, 1994) 	<ul style="list-style-type: none"> ▪ მონოპოლისტური უპირატესობების თეორია, (ს. ხაიმერი, შემდგომში განავრცო ჩ. კინდლბერგემ, 1970) ▪ ინტერნალიზაციის თეორია, (რ. ბაკლი, დ. კასონი, 1976) ▪ ეკლექტიკური პარადიგმა, იგივე OLI უპირატესობები (ჯ. დანინგი, 1981)

წყარო: შედგენილია ავტორის მიერ

განვიხილოთ ზოგიერთი მათგანი. „მფრინავი იხვის პარადიგმა“ - ეკონომიკური განვითარების თეორია, რომელიც იაპონელმა მეცნიერმა - კ. აკამაცუმ, XIX – XX საუკუნის იაპონიის საფეიქრო დარგზე დაკვირვებით შექმნა და ცდილობს, ახსნას ეკონომიკის ამა თუ იმ დარგის განვითარება შემდეგი საფეხურების მიხედვით:

- სტადია I - ეკონომიკის ყველა დარგში ხორციელდება პროდუქციის იმპორტირება;
- სტადია II - ზრდადი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად იქმნება ადგილობრივი წარმოება, რომელიც ამცირებს საზღვარგარეთიდან იმპორტს;
- სტადია III - ხდება ჭარბი წარმოების ექსპორტირება;


მიუხედავად კ. აკამაცუს ნაშრომის ორიგინალურობისა, იმ დროისთვის, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების როლი ზემოთხამოთვლილ ეტაპებში მხოლოდ

ირიბადაა ნახსენები, რადგანაც ამ ტიპის კვლევა მოცემული თეორიის ფარგლებში არ განხორციელებულა. დამატებით კი აღსანიშნავია ისიც, რომ დღეისთვის ტნკ-ები უცხოურ ბაზარზე შესასვლელად ყოველთვის არ იყენებენ ჯერ ამ ბაზრის ექსპორტის ხარჯზე ათვისების გზას და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების არამხოლოდ იმაზე დაყრდნობით ახორციელებენ, გაიზარდა თუ არა მათი ექსპორტი მოცემულ ქვეყანაში, არამედ - ბევრი სხვა მიზეზიდან გამომდინარეც.

კ. აკამაცუს ორიგინალური თეორიის ნაკლის გამოსწორება მისმა მიმდევრებმა კ. კოჯიმა და თ. ოზავამ ეკონომიკის ზრდის პროცესების, პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისა და ტნკ-ების შესაბამისი კვლევების გამოყენებით სცადეს (იხ. დიაგრამა №1.1). მათი მტკიცებით, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოსაზიდად განვითარებადი ქვეყნები სულ უფრო აქტიურად იყენებენ იმპორტშემცველ დარგების განვითარების პოლიტიკას, იმ იმედით, რომ მომავალში ის ექსპორტის მაჩვენებლებსაც წაახალისებს. ამ პროცესში კი მთავარი როლი ტნკ-ებს უკავიათ.

დიაგრამა №1.1

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების კანონზომიერებები



წყარო: Kojima (2000)

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოტივაციების თანამედროვე თეორიები შეიძლება ორ ნაწილად დაიყოს, კერძოდ:

ა) თეორიები, რომელებიც ცდილობენ გამოიკვლიონ, თუ რა გავლენას ახდენს სხვადასხვა ფაქტორები პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მასშტაბებზე და

ბ) თეორიები, რომელიც ცდილობენ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გავლენის განსაზღვრას მიმღები ქვეყნის ეკონომიკაზე და მის ძირითად მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებზე.

პირველ კატეგორიას განეკუთვნება ამერიკელი და ბერძენი ეკონომისტების კ. მილნერის და ე. პინტეკოსტოს (K., Milner E. Pentecoste) მიერ ჩატარებული კვლევა, სადაც განხილულია აშშ-ის პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ექსპორტი ინგლისის ეკონომიკაში:

$$F(t) = \alpha_0 + \alpha_1 x_1(t) + \alpha_2 x_2(t) + \alpha_3 x_3(t) + \alpha_4 x_4(t)$$

სადაც, F - პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობაა; x_1 — ღია შედარებითი უპირატესობის ინდექსი; x_2 — დარგის პროდუქტზე პროტექციის ზრიდს ყოველწლიური პროცენტული მაჩვენებელი; x_3 — დარგის პროდუქციის კონკურენტუნარიანობის დონე; x_4 — დარგის პროდუქტის ბაზრის სიდიდე (წარმოების ან გაყიდვების მოცულობა); $\alpha_0, \alpha_1, \alpha_2, \alpha_3$ - შესაფასებელი პარამეტრები. აღსანიშნავია, რომ $\alpha_0, \alpha_1, \alpha_2, \alpha_3$ პარამეტრების დასაანგარიშებლად გამოიყენებოდა ბრიტანეთის ეკონომიკის 48 დარგის მაჩვენებლები 1990 წლის მონაცემებით.

მეორე კლასის კატეგორიას კი მიეკუთვნება: მაღალიზის მაგალითზე განხორციელებული ჯ. ფრაის კვლევა. ავტორმა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების როლის გამოსაკვლევად ორი სხვადასხვა მიდგომა გამოიყენა, საიდანაც პირველი ორსაფეხურიან ეკონომეტრიკულ პროცედურაზე იყო დაფუძნებული:

$$y(t) = \beta_0 + \beta_1 z(t)$$

$$z(t) = \gamma_0 + \gamma_1 x_1(t) + \gamma_2 x_2(t) + \gamma_3 x_3(t) + \gamma_4 x_4(t) + \gamma_5 x_5(t)$$

სადაც, y — შიგა ინვესტიციების წილი მთლიან შიგა პროდუქტში (მაღაიზიის ეკონომიკისათვის); z — დანაზოგების წილი მეკ-ში; x_1 — ეროვნული პროდუქტის ზრდის ტემპი; x_2 — 15 წლამდე და 65 წელს გადაცილებულთა თანაფარდობა, 15-დან 64 წლემდე ასაკის მოსახლეობასთან; x_3 — ჯინის კოეფიციენტის ნატურალური ლოგარითმი; x_4 — კერძო სექტორის ინვესტიციების წილი მთლიან შიგა პროდუქტში; x_5 - პირდაპირი უცხოური ინვესტიციების თანაფარდობა მთლიან შიგა პროდუქტთან (მაღაიზიის მაგალითი); $\beta_0, \beta_1, \gamma_0, \gamma_1, \gamma_2, \gamma_3, \gamma_5$ - გაზომვადი პარამეტრები. მეორე ვარიანტი კი, მხოლოდ ერთ საფეხურიან მიდგომაზეა აგებული.

$$u(t) = \gamma_0 + \gamma_1 x_1(t) + \gamma_2 w_2(t) + \gamma_3 x_4(t) + \gamma_4 x_5(t) + \gamma_5 u(t-1)$$

სადაც, u - მთლიანი ინვესტიციების წილი მთლიან შიგა პროდუქტში ($u = y + x_5$); w_2 - სავაჭრო ინდექსის ნატურალური ლოგარითმი; ხოლო დანარჩენი მონაცემები კი იგივეა რაც პირველ ვარიანტში.

რაც შეეხება ზემოთ ჩამოთვლილი მოდელების ნაკლოვანებებს, ესენია შესაბამისი კვლევების მხოლოდ ერთეულ ქვეყნებზე განხორციელება და ფართო მასშტაბით მათი გამოუცდელობა. თუმცა დანიშნის და ნარულას მიერ შემუშავებული ერის ინვესტიციური გზა ამ შემთხვევაში ეკეთეს სურათს იძლევა და განხილული იქნება მომდევნო ქვეთავში.

მაკინო მოტივაციების ორ კატეგორიას გამოყოფს: აქტივების ექსპლოატირების და აქტივების მაძიებელს (Makino, S., Lau, C. M. and Yeh, R. S. , 2002).

დანიშნის მიხედვით, ინვესტორების და ადგილობრივი ეკონომიკის შესაძლებლობებიდან გამომდინარე, კაპიტალდაბანდებანი შეიძლება 4 კატეგორიად დაიყოს (J. H. Dunning, M. Lundan, 2008):

1. ბუნებრივი რესურსების მაძიებლები

ამ ტიპის რესურსის მაძიებლები, როგორც წესი, თავისი ინვესტიციების ხარჯზე კონკრეტული და სპეციფიკური რესურსების მოპოვებას უფრო დაბალი დანახარჯებით ცდილობენ, ვიდრე ეს მათ თავის სამშობლოში დაუჯდებოდათ (ბუნებრივია, თუ მსგავსი რესურსი იქ საერთოდ მოიპოვება). ეს აძლევს ინვესტორ კომპანიას

შესაძლებლობას, რომ საერთაშორისო ბაზარზე გახდეს კონკურენტუნარიანი და ახალი ბაზრების დაპყრობა შეძლოს, თუმცა ამ ტიპის ინვესტიციის გავლენა რეციპიენტი ქვეყნის ეკონომიკაზე განსხვავებულია დარგების მიხედვით. მაგალითად, ნავთობისა და გაზის სექტორში ინვესტიციის განხორციელება, გარდა ამ კონკრეტული სფეროს განვითარებისა, იძლევა მინიმალურ დამატებით ღირებულებას მთლიანად ეკონომიკის განვითარებისათვის, მაშინ როდესაც ინვესტიცია სოფლის მეურნეობაში გაცილებით პროდუქტიულია ქვეყნის ეკონომიკის მასშტაბით.

იმის მიხედვით, თუ რომელ კონკრეტულ რესურსზე „ნადირობენ“ რესურსების მაძიებელი ინვესტორები, შესაძლებელია სამ ქვეჯგუფად დავეყოთ, კერძოდ:

- ა) ფიზიკური რესურსები: მინერალური და ნატურალური რესურსები;
- ბ) სიიაფით გამორჩეული, დაბალუნარიანი ან ნახევრადუნარიანი სამუშაო ძალა;
- გ) ცოდნაზე დამყარებული რესურსის ტიპი: უნარები და შესაძლებლობები.

2. ეფექტიანობის მაძიებლები;

ამ ტიპის სარგებლიანობის მაძიებელი ინვესტორები, როგორც წესი, უკმაყოფილონი არიან თავიანთი ეფექტიანობის კოეფიციენტით და მის გაუმჯობესებას ცდილობენ. მაგალითად, ინვესტორს შესაძლოა არ აწყობდეს მისი უკვე არსებული მომარაგების წყაროების ფუნქციონირება, გამომდინარე იქედან, რომ მომწოდებელ ქვეყანაში შეიცვალა საკანონმდებლო ბაზა, პოლიტიკური ვითარება ან/და საგადასახადო კოდექსში შევიდა ინვესტორისთვის არასახარბიელო ცვლილებები და ის ახალი, უფრო ეფექტიანი ბაზრების მოძიებას ცდილობს.

ეფექტიანობის მაძიებელი ინვესტორები კი, თავის მხრივ, ორ დამატებით ქვეჯგუფად იყოფიან:

- ა) ისინი ვინც ეძებენ სხვაობებს წარმოების ფაქტორების ფასებს შორის;
- ბ) წარმოების მასშტაბზე ეკონომიის მიღწევის მოსურნე ინვესტორები;

3. ბაზრის მაძიებლები;

ამ ტიპის სარგებლიანობის მაძიებელი ინვესტორები, ახალ ბაზრებზე გასვლასა და თავის დამკვიდრებას მრავალი გზით ცდილობენ. თუმცა ძირითადი პრინციპი მაინც ერთია - ბაზრის ავტონომიურობა. აღნიშნული ტიპის ინვესტიციის განმახორციელებლები ძირითადად ბაზრის სიდიდითა და მასში თავისი როლის ზრდის პერსპექტივით ინტერესდებიან.

ბაზრის მაძიებელი ინვესტორების დაყოფა შესაძლებელია ოთხ ქვეჯგუფად:

- მომწოდებლებზე ან კლიენტებზე ორიენტირებული;
- ადგილობრივ პირობებზე მორგების სურვილის მქონე ინვესტორები;
- ტრანსპორტირების დანახარჯების შემცირებაზე ორიენტირებული;
- ახალ ბაზარზე, თავისი უშუალო კონკურენტების მარტო (კონკურენციის გარეშე) არშეშვების მიზნით განხორციელებულ ინვესტიციები.

4. სტრატეგიული აქტივების მაძიებლები.

ამ ტიპის ინვესტიცია გამიზნულია მოცემული კომპანიის გრძელვადიანი განვითარების გეგმის უზრუნველსაყოფად, რამაც, საბოლოოდ, მისი გაძლიერება და კონკურენტუნარიანობის ამაღლება უნდა გამოიწვიოს. თუმცა მისი სპეციფიკურობიდან გამომდინარე, თავად დანინგი ამ ტიპის მოტივაციას ზემოთ მოცემული სამი მოტივაციისაგან განცალკევებით განიხილავს (C. Franco, F. Rentocchini, G.V. arzetti, 2008).

აღნიშნული კლასიფიკაცია არ არის შემთხვევითი და ხსნის თავად ინვესტორთა ინტერესებს ამა თუ იმ საწარმოს, ქვეყნის, თუ რეგიონის მიმართ. რასაკვირველია, ინტერესები, პირველ რიგში, ინვესტორის შესაძლებლობებით და, მხოლოდ შემდგომ - სურვილებით, არის განპირობებული. მაგალითად, მეტალურგიული ქარხნის ხელმძღვანელობას შეიძლება აინტერესებდეს უცხო ქვეყნაში არსებული მადნის მარაგები; მაშინ, როდესაც ავტომანქანების მწარმოებელი კომპანიისთვის ახალ ბაზარზე შესვლის ერთ-ერთ მთავარ კრიტერიუმად, შესაძლოა, ბაზრის მოცულობა გვევლინებოდეს, რომელიმე სხვა ორგანიზაციისთვის კი ინვესტიციის განხორციელების სტიმული შესაძლოა, იმ ქვეყნების ახალ ბაზრებზე გასვლა იყოს, სადაც მისი პროდუქციის წარმოება უფრო ეფექტიანადაა შესაძლებელი ან/და მისი განვითარებისათვის სტრატეგიულად მნიშვნელოვანი რესურსების ხელში ჩაგდებას იმედოვნებს.

აგრეთვე, დანინგის მიხედვით, ინვესტორთა უმეტესობა ინვესტირების დროს, ზემოაღნიშნული ოთხიდან, არ მისდევს მხოლოდ ერთ მიმართულებას, არამედ ცდილობს, რამდენიმე კომპონენტი ერთად მოიცვას.

დანინგის მიხედვით (2008), იმ ტიპის ინვესტიციები, რომლებიც ამა თუ იმ მიზეზით ვერ ერგებიან ზემოთ ჩამოთვლილ დაყოფას, შესაძლებელია, შემდეგ ქვეჯგუფებში გაერთიანდნენ, კერძოდ:

1. თავის დაღწევის ინვესტიცია;

აქ იგულისხმება არა იმ ტიპის ინვესტიცია, რომელიც გარკვეული სიძნელეების გამო გარბის ქვეყნიდან (საომარი მგდომარეობა, ეკონომიკის განადგურება და ა.შ.), არამედ იმ ტიპის ინვესტიცია, რომელიც ინვესტორი მხარისათვის გარკვეული შეღავათების მიმცემად მოიზრება. მაგალითად, ამერიკული კომპანიები მასობრივად ხსნიან თავის წარმომადგენლობებს ევროპის სხვადასხვა დედაქალაქებში, ადგილობრივ ბაზარზე გარკვეული შეღავათების მისაღებად (მაგ.: გადასახადების მაღალი განაკვეთებისაგან თავის დასაღწევად).

2. მხარდამჭერი ინვესტიცია;

სერვისსა და ვაჭრობაში ხშირია შემთხვევები, როდესაც საერთაშორისო ორგანიზაცია უცხო ბაზარზე შეუსვლელად იძენს მისთვის სასურველ პროდუქტს და ახდენს მის იმპორტირებას. ასეთი ტიპის ოპერაციების შესრულების დროს ხშირია შემთხვევები, როდესაც საერთაშორისო ორგანიზაციას ესაჭიროება საზღვარგარეთ თავისი წარმომადგენლობა, რომელიც გააკონტოლებს მისთვის საინტერესო მიმართულებებს და სწორედ ამ დროს საქმეში ერთვება ინვესტიცია, რომელსაც, დანიშნის მიხედვით, მხარდამჭერი ინვესტიცია ეწოდება.

3. პასიური ინვესტიცია;

აქტიური ინვესტიციისაგან განსხვავებით, სადაც ინვესტორი თანხას აბანდებს ეკონომიკაში, რათა მართოს გარკვეული ბიზნესი ან/და სფერო, პასიური ინვესტიცია მოიაზრება, როგორც ინვესტიცია უშუალო მართვის სადავეების გარეშე. ასეთი ტიპის ინვესტიციად შეიძლება ჩაითვალოს თანხის დაბანდება განვითარებად ქვეყნებში მზარდი მაჩვენებლების მქონე ისეთ სექტორში, როგორცაა, მაგალითად, საბინაო სექტორი, მისი აქტიური გამოყენებლობის პირობებში, ანუ ინვესტიცია განიხილება, როგორც უძრავ ქონებაში სახსრების დაბანდება, მომავალში მისი საფასურის გაზრდის იმედად.

ინდუსტრიული ორგანიზაციის თეორია

1976 წელს ჰაიმერის მიერ ჩამოყალიბებული ინდუსტრიის ორგანიზაციის თეორიის თანახმად, უცხო ქვეყანაში (ახალ ბაზარზე) სუბსიდიარის დაარსების გზით გასვლისას, კომპანიას ექმნება გარკვეული პრობლემები, რომელიც ადგილობრივ კომპანიებთან კონკურენციის ჭრილშია მოსალოდნელი. კერძოდ, საუბარია ისეთი

ტიპის ნაკლოვანებებზე, როგორებიცაა: კულტურული და ენობრივი ბარიერები; სამართლებრივი და საგადასახადო სისტემების სხვაობა და ა.შ.

მიუხედავად ზემოაღნიშნული მნიშვნელოვანი ნაკლოვანებებისა, კომპანია, რომელიც პირდაპირი უცხოური ინვესტიციით შემოდის ქვეყანაში, იმედებს სულ სხვა სახის უპირატესობებზე ამყარებს, ესენია: თანამედროვე ტექნოლოგიები; ცნობილი ბრენდის სახელი; დახვეწილი მენეჯერული უნარ-ჩვევები; საზღვარგარეთის ბაზარზე მოღვაწეობის უზარმაზარი გამოცდილება და ა.შ. ლალის და სტრიიტენის (Lall and Streeten, 1977) თანახმად, უპირატესობები რომელიც უცხოურ კომპანიას აქვს უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ნაკლოვანებები, რომელიც მათ შეიძლება ჰქონდეთ, საუბარია შემდეგ მიმართულებებზე:

ა) კაპიტალი - უცხოურ კომპანიებს უფრო დიდი ოდენობის ან/და უფრო იაფი სახსრების მოზიდვის უნარი შესწევთ, ვიდრე მათ შედარებით მომცრო, ადგილობრივ კონკურენტებს;

ბ) მენეჯმენტი - ეფექტიანი მენეჯმენტის ხარჯზე გამართლებული რისკების, თუ მომგებიანი გამოწვევების სწორი განსაზღვრის უფრო მაღალი ალბათობა;

გ) ტექნოლოგიები - დიდ კომპანიებს შესაძლებლობა აქვთ, მეცნიერული ცოდნა თანამედროვე ტექნოლოგიებად აქციონ და ამის ხარჯზე სხვებზე ძლიერები იყვნენ;

დ) მარკეტინგი - კვლევების, საზოგადებასთან ურთიერთობის, დისტრიბუციის და რეკლამირების მეტი გამოცდილება;

ე) ნედლეულთან წვდომა - გასაღების ბაზრების კონტროლიდან მიღებული პრივილეგია;

ვ) მასშტაბის ეკონომია - ფინანსები და გამოცდილება იძლევა მასშტაბის ეკონომიის შესაძლებლობას, რომელიც მიუღწეველია მცირე კომპანიებისათვის;

ზ) მოლაპარაკებები და პოლიტიკური ძალა - შესაძლებლობა, მიიღონ სასურველი პირობები ადგილობრივი მთავრობებისგან.

ინდუსტრიის ორგანიზაციის თეორია მოწოდებულია ახსნას, თუ რატომ ახდენენ ესა თუ ის კომპანიები საზღვარგარეთ პირდაპირი უცხოური ინვესტიციის განხორციელებას და არა უცხო ბაზრებზე ექსპორტის გზით გასვლას. თუმცა ეს თეორია არ ხნის იმას, თუ რატომ ირჩევენ კომპანიები ინვესტირებას ერთ ქვეყანაში და არა მეორეში.

ინტერნალიზაციის თეორია

ინტერნალიზაციის თეორიის საფუძვლები ჯერ კიდევ XX საუკუნის პირველ ნახევარში გახდა აქტუალური (მაგ.: Coase, 1937; Buckley and Casson, 1976; Dunning, 1977). ინტერნალიზაცია უცხო ბაზარზე გასვლისა და საქონლის ექსპორტით გატანას შორის არსებულ მოგებაზეა დამოკიდებული, სადაც მას შემდეგი უპირატესობები ახასიათებს:

- ა) კვლევისა და მოლაპარაკებებისთვის განკუთვნილი სახსრების ეკონომია;
- ბ) დარღვეულ კონტრაქტებზე გასაწევი სახსრების ეკონომია;
- გ) უცხო ქვეყნის სახელმწიფოს ჩარევის თავიდან აცილება (კვოტები, ტარიფები და სხვ);

დ) ხარისხის კონტროლის მეტი შესაძლებლობა და, შედეგად, უფრო კმაყოფილი მომხმარებელი;

ე) დროითი ლაგებისგან თავის დაღწევა.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გზით ინტერნალიზაციის უპირატესობის გამოყენება, როგორც წესი, მანამდეა აქტუალური, სანამ მიღებული ზღვრული მოგება არ გაუტოლდება ამ ქმედებით გამოწვეულ ზღვრულ დანახარჯებს. შესაბამისად, ინტერნალიზაციას აქვს ქვედა და ზედა ზღვრები, რომელიც ინვესტორთა დაინტერესებას გამოხატავს.

მიუხედავად ინტერნალიზაციის თეორიის თვალნათელი მახასიათებლებისა, თუ რატომ ახდენენ ტნკ-ები ახალ ბაზრებზე გასვლას სწორედ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების და არა სხვა გზით, რუგმანის თანახმად, (Rugman, 1980) ინტერნალიზაციის ჰიპოთეზა იმდენად მარტივია, რომ მას არავითარი ემპირიული შემადგენელი არ გააჩნია. თუმცა, მეორე მხრივ, ინტერნალიზაციის თეორია ერთ-ერთ საფუძვლად დაედო არანაკლებ ცნობილი მეცნიერის - ჯ. დანინგის (Dunning, 1977, 1979) მიერ შემუშავებულ ეკლექტიკურ პარადიგმას, სადაც ინტერნალიზაცია, მფლობელობისა და ადგილმდებარეობის თეორიებთან ერთად პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განხორციელება / არგანხორციელების განმსაზღვრელი მთავარი ელემენტია.

ადგილმდებარეობის თეორია

ადგილმდებარეობის თეორია გვაუწყებს, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციის განხორციელება, რიგ შემთხვევებში, შესაძლოა, გამოწვეული იყოს წარმოების გარკვეული ფაქტორების გადაადგილების შეუძლებლობით. ამ თეორიით, შესაძლოა აიხსნას პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განხორციელების მოტივები ნავთობითა და ასევე ტურისტულად მდიდარ ქვეყნებსა თუ რეგიონებში. მათ შორის, იაფი სამუშაო ძალით მდიდარ ინდოეთსა, თუ ჩინეთში და სხვა.

ადგილმდებარეობის თეორიის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მომენტი სწორედ იაფი სამუშაო ძალის გამოყენების გზით დანახარჯების მინიმიზაციისა და მოგების მაქსიმიზაციის შესაძლებლობებს უსვამს ხაზს. თუმცა აქვე შეიძლება ითქვას, რომ ადგილმდებარეობის უპირატესობაში, იაფ სამუშაო ძალასთან ერთად, შესაძლოა, მნიშვნელოვანი ადგილი ეკავოს გეოგრაფიულ მდებარეობასაც, მაგ.: ინვესტორს მისი ბიზნესის საჭიროებიდან გამომდინარე, შესაძლოა, ქარხნის ზღვისპირას, პორტთან ახლო რეგიონში აშენება აინტერესებდეს, რათა უმოკლეს ვადებსა და დანახარჯებით განახორციელოს მის მიერ წარმოებული პროდუქციის ექსპორტირება.

გოლდბერგის (Goldberg, 1972) და კულემის (Culem, 1988) თანახმად, სხვა თანაბარ პირობებში, უცხოურ ბაზარზე ხელფასების ზრდა ნეგატიურ გავლენას იქონიებს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განხორციელებაზე. თუმცა, მეორე მხრივ, ადგილობრივ ბაზარზე ხელფასების ზრდა, შესალოა, ადგილობრივი ფირმებისთვის ახალ ბაზრებზე პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გზით გასვლის მოტივატორი გახდეს, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია და ადგილობრივ მწარმოებლებს ზრდის საშუალებას აძლევს, მათი უპირატესობების უცხოურ ბაზარზე გამოყენების გზით.

OLI პარადიგმა (ეკლექტიკური მოდელი)

ჯ. დანინგის მიერ 1981 წელს შემუშავებული ეკლექტიკური მოდელი, შესაბამისი დარგის ალტერნატიულ თეორიებზე დაფუძნებული ნაშრომების გაერთიანებით, ახალი თეორიის შექმნას ისახავდა მიზნად. კერძოდ, დანინგმა მისი კოლეგების პეტერ ბუკლეის (BUCKLEY, P. J. & CASTRO, F.B, 1988) და მარკ კასონის მიერ 1976 წელს შექმნილი ინტერნალიზაციის თეორიაზე დაყრდნობით, შეიმუშავა თავისი თეორია,

რომელიც დღეს ეკლექტიკური პარადიგმის სახელწოდებითაა ცნობილი (Dunning, 1980, 1981, 1988).

დანინგის მიერ შემოთავაზებული და საერთაშორისოდ აღარებული ელექტიკური პარადიგმა, რომელსაც სხვაგვარად OLI-ს პარადიგმასაც უწოდებენ, სამი ფაქტორისგან შედგება: 1. ადგილმდებარეობის; 2. მფლობელობის და 3. ინტერნალიზაციის უპირატესობები. პარადიგმის თანახმად, კომპანიას უნდა ამოძრავებდეს მოტივი, განახორციელოს ინვესტიცია ახალ ბაზარზე და არა - შემოიფარგლოს თავისი პროდუქციის ექსპორტით და ეს მოტივი, რა თქმა უნდა, მოგების მაქსიმიზაციაა.

მფლობელობის უპირატესობა შესაძლოა, ორ ნაწილად დაიყოს: ა) არამატერიალური აქტივების მფლობელობის უპირატესობა (მაგ.: თანამედროვე ტექნოლოგიები) და ბ) კომპლემენტარული აქტივების მფლობელობით მიღწეული უპირატესობა, რომელიც ხელს უწყობს ტრანს სასაზღვრო აქტიურობებს (მაგ.: მარკეტინგული და მენეჯერული უნარები).

ადგილმდებარეობის უპირატესობა გულისხმობს, რომ კომპანიას მაქსიმალური მოგების მისაღებადახალ ბაზრებზე გასვლა ესაჭიროება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, კომპანიას აქვს ის რესურსი, რითაც ის „დაიპყრობს“ უცხოურ ბაზარს და იქნება იქ კონკურენტუნარიანი. ამავედროულად, ახალ ბაზარზე გასვლა მოცემულ კომპანიას შესაძლოა აინტერესებდეს არა აუცილებლად იმ ბაზრის ათვისების, არამედ ზედმეტი დაანახარჯების თავიდან აცილების მიზნითაც, რისი ძირითადი განმსაზღვრელიც, როგორც წესი, იაფი სამუშაო ძალაა.

ზემოთ ჩვენ უკვე ვახსენეთ სხვაობა ჰორიზონტალურ (ინვესტორის მიერ რეციპიენტ ქვეყანაში სახსრების დაბანდებას მსგავსი ან იგივე ტიპის პროდუქციის საწარმოებლად, რომელსაც ის სამშობლოში აწარმოებს) და ვერტიკალურ (დანახარჯების მინიმიზების მიზნით წარმოების გარკვეული ნაწილის საზღვარგარეთ გატანა) პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს შორის. ბრაინარდის (Brainard, S, 1997) თანახმად, ინვესტირების ჰორიზონტალური მოტივი სხვა არაფერია, თუ არა „სიახლოვის კონცენტრაციის კომპრომისი“, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, საზღვარგარეთ ქარხნის აშენება ამცირებს სავაჭრო დანახარჯებს და, შესაბამისად, საგარეო ბაზართან სიახლოვის უპირატესობას განაპირობებს. თუმცა ამასობაში იკარგება ფირმის საშინაო წარმოების კონცენტრაციიდან მოსალოდნელი

უპირატესობა. დავეუშვათ, რომ $\pi^*(t^*)$ საოპერაციო სარგებელს აღნიშნავს, სადაც ყოველ ერთეულზე სავაჭრო დანახარჯი არის t^* , რომელიც შესაძლოა მოიცავდეს, როგორც ტაფიფებს, ასევე - ტრანსპორტირების დანახარჯებს. შესაბამისად ფირმის საოპერაციო მოგება კლებულობს t^* დოზით: მაღალი სავაჭრო დანახარჯები ამცირებს საოპერაციო მოგებას. საზღვარგარეთ საწარმოს გახსნა ამ პრობლემას მარტივად აგვარებს და სავაჭრო დანახარჯების მინიმიზებით ზრდის საოპერაციო მოგების მაჩვენებელს $\pi^*(0)$. თუმცა, ამ შემთხვევაში, საჭირო ხდება ფიქსირებული (f) დანახარჯის გაწევა. რადგანაც სავაჭრო დანახარჯების ფასი ცვალებადია, სხვაობა პირდაპირი უცხოური ინვესტიციებიდან მთლიან მოგებასა (Π^F) და ექსპორტირებას (Π^X) შორის, იქნება:

$$\gamma(t^*, f) \equiv \Pi^F - \Pi^X = \pi^*(0) - f - \pi^*(t^*)$$

აღნიშნული ფორმულა ნათლად მიგვანიშნებს, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განხორციელების მოტივაცია საექსპორტო დანახარჯების ზრდასთან ერთად მატულობს და პირიქით.

მეორე მხრივ, ვერტიკალური პირდაპირი უცხოური ინვესტიციები სულ სხვა ნიშნან-თვისებებით ხასიათდება. თუ, ფირმა ადგილობრივი ბაზრზე ახდენს წარმოების მთლიანი ციკლის აწეობას, მაშინ - c დანახარჯები არ იარსებებს. თუმცა გაჩნდება ახალი დანახარჯი - ადგილობრივი ხელფასების დონე (w), შესაბამისად (Π^D) ტოლი იქნება - $\pi(w)$ -ს. ხოლო, თუ კომპანია გარკვეული მიზეზების გამო პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განხორციელებას ამჯობინებს, მაშინ დანახარჯები, რომელიც ჰორიზონტალური ინვესტიციისთვის იყო დამახასიათებელი აქაც უნდა იქნეს გათვალისწინებული. შედეგად, ვერტიკალური ინტეგრაციისას კომპანიის საოპერაციო მოგება გაუტოლდება - $\pi(w^*+t)$, სადაც w^* პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მიმღები ქვეყნის ხელფასებია. ამ შემთხვევაში, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განხორციელების ალბათობა იქნება:

$$\Pi^F - \Pi^D = \mu(w^* + t, w) - f$$

სადაც:

$$\mu(w^*_{-} + t, w^*_{+}) \equiv \pi(w^*_{+} + t) - \pi(w)$$

მეცნიერული დაკვირვებები ვერ იძლევა ცალსახა პასუხს, ინვესტიციის რომელი სახეობა (ჰორიზონტალური, თუ ვერტიკალური) უფრო მიზანშეწონილია, რადგანაც ყველაფერი კონკრეტულ შემთხვევაზეა დამოკიდებული და შესაძლოა, სულაც ირიბ მიზეზებს უკავშირდებოდეს, რაზეც მეტყველებს ის ფაქტი, რომ ინვესტიციები მსგავსი ხელფასების მქონე ეკონომიკებს შორისაც ხორციელდება. ბრაინარდის (Brainard S., 1997) და მარკუსენის (Markusen J., 2002) თანახმად, ჰორიზონტალური ინვესტიციის მოტივი უფრო უკეთ ხსნის პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განხორციელების მოტივს. იაფლეს (Yeaple S., 2003) ემპირიკული კვლევის თანახმად კი, ორივე მოტივი მნიშვნელოვანია.

ინტერნალიზაციის უპირატესობა, რომელიც დანინგის მიერ პირველად წარმოდგენილ იქნა 1975 წელს, ხნის ფორმის იმ შესაძლებლობებს, რომელიც დაკავშირებულია მფლობელობის უპირატესობისა და ახალ ბაზარზე ხელსაყრელი პირობების მიღწევის კომბინაციასთან. თუ ფირმას წინა ორ უპირატესობასთან ერთად აქვს ინტერნალიზაციის უპირატესობაც, ეს იმის მაუწყებელია, რომ ორგანიზაცია დიდი ალბათობით სწორედ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განხორციელებს.

ზემოსხენებული სამივე უპირატესობის მიზანშეწონილობა კონკრეტული კომპანიისათვის მაშინ დგება, როდესაც ის ახალ ბაზრებზე გასვლას აპირებს. დანინგის მიხედვით, თუ კომპანიას გააჩნია მფლობელობის უპირატესობა მაშინ მას შეუძლია მიმართოს როგორც ლიცენზიის გაცემას, ასევე, თავისი პროდუქციის ექსპორტირებას, აგრეთვე, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განხორციელებასაც ახალ ბაზარზე; თუმცა კომპანიის მიერ ახალ ბაზარზე ინტერნალიზაციის უპირატესობის ფლობის დროს, მიზანშეწონილია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ექსპორტირება და არა - ლიცენზიის გაცემა; ხოლო თუ კომპანიას ადგილმდებარეობის უპირატესობა უწყობს ხელს, მაშინ ყველაზე გონივრული ნაბიჯი, სწორედ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განხორციელება იქნება (იხ. ცხრილი №12).

ბაზარზე შესვლის ფორმა და შესაბამისი უპირატესობის კატეგორიები

		უპირატესობის კატეგორია		
		მფლობელობის	ინტერნალიზაციის	ადგილმდებარეობის
ბაზარზე შესვლის ფორმა	ლიცენზია	დიახ	არა	არა
	ექსპორტი	დიახ	დიახ	არა
	პირდაპირი უცხოური ინვესტიციები	დიახ	დიახ	დიახ

წყარო: დანინგი (1981 წ)

ეკლექტიკური თეორიის თანახმად, დასაწყისში ტნკ-ები ძლიერ მფლობელობით უპირატესობას ქმნიან საკუთარ ეკონომიკაში და შემდეგ ადგილმდებარეობის უპირატესობის გათვალისწინებით იყენებენ მას საზღვარგარეთ. ეკლექტიკური მოდელისაგან განსხვავებით, ინტერნალიზაციის თეორია ძირითადად ხსნის ბაზარზე შესვლის რეჟიმს, კერძოდ: ინტერნალიზაციის თეორია არ ითვალისწინებს საზოგადოებრივი სიკეთის ექსტერნალიზაციას, რომლის დროსაც პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მაგივრად გამოიყენება ლიცენზირება, ალიანსი ან ერთობლივი საწარმოების შექმნა. დანინგის თანახმად, კი მფლობელობის და ინტერნალიზაციის უპირატესობებს შორის დიდი კავშირია და ინტერნალიზაცია მხოლოდ მას შემდეგ ხდება, რაც მფლობელობის უპირატესობაა მოპოვებული (Rugman A., 2010).


რუგმანის (2010) თანახმად, ეკლექტიკური მოდელის ძირითადი მინუსი სწორედ მისი ეკლექტიკურობაა. განსაკუთრებით ეს აღინიშნება უპირატესობაში, რომელიც ეფუძნება არამხოლოდ არამატერიალურ ქონებას (ცოდნა, ბრენდი, ორგანიზაციის სტრუქტურა და სხვ.), არამედ ბუნებრივი სიმდიდრის მაჩვენებლებსაც (კაპიტალი, კულტურა, საკანონმდებლო გარემო, ინდუსტრიის სტრუქტურა და სამუშაო ძალა და სხვ.). O-ს მსგავსად უპირატესობაც საკმაოდ ფართო მაჩვენებლებს მოიცავს, ესენია: ბაზრის სიდიდე, რესურსები, ინფრასტრუქტურა, განათლება და სხვა.

12. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გლობალური ტენდენციები

ისტორიული თვალსაზრისით, არცთუ ისე დიდი დრო არის გასული მას შემდეგ რაც მთავრობებმა გააცნობიერეს ინვესტიციების გადამწყვეტი მნიშვნელობა ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისა და აღმშენებლობის პროცესში (Papava V., 2013). მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა, როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო დონეზე ინვესტიციების მოზიდვის პოლიტიკის გასაუმჯობესებლად. განსაკუთრებული აქტიურობა შეინიშნება ე.წ. განვითარებადი ქვეყნების რიგებში, რომელთათვისაც პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს და მზად არიან საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ წამოყენებული პირობებიც დააკმაყოფილონ (UNCTAD, 2012).

90-იან წლებამდე პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ტრენდი არასტაბილურად ვითარდებოდა. თუმცა მას შემდეგ იგი ნიშნულზე გაიზარდა: \$55 მილიარდიდან 1980-იან წლებში, \$220 მილიარდამდე 1992 წლისათვის. ზრდის ტენდენცია მომავალშიც გაგრძელდა (2000-2004 წლებში მცირე მერყეობის მიუხედავად) და 2007 წელს თავის ისტორიულ მაქსიმუმს, თითქმის \$2 ტრილიარდ დოლარს გაუთანაბრდა. თუმცა მსოფლიო ფინანსური კრიზისის შედეგად პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა მსოფლიო მასშტაბით მნიშვნელოვნად იკლო. 2008 წელს 10%-იანი ვარდნა განიცადა და 1,75 ტრილიარდს გაუთანაბრდა (UNCTAD, 2009). 2009 წლის ვარდნა კი უფრო დიდი აღმოჩნდა და გლობალური პირდაპირი უცხოური ინვესტიციები \$1,2 ტრილიარდიან მაჩვენებლამდე დაეცა. 2010 და 2011 წლებში აღმავლობის ტენდენცია შეინიშნებოდა და 2009 წელთან შედარებით 2011 წელს 30%-ზე მეტით იმატა - \$1,7 ტრილიარდამდე. თუმცა 2012 წელს წინა წელთან შედარებით, 18%-ით დაეცა კვლავ და \$1,35 ტრილიარდი დოლარის ნიშნულამდე მივიდა (იხ დიაგრამა №1.2). ამასთან მოსალოდნელია, რომ 2016 წლისათვის განვითარებული ქვეყნები კვლავ დაიბრუნებენ ლიდერულ პოზიციებს ყველაზე მეტი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის კუთხით და გლობალური ინვესტიციების 52%-ს მოიზიდავენ (UNCTAD, 2012, 2013, 2014).

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაკადების დინამიკა და მოლოდინი
(1995-2016 წწ) (მლრდ \$)



წყარო: UNCTAD, 2014 წ. გვ. XIII

2013 წლის მონაცემებით გლობალურმა უცხოურმა ინვესტიციებმა კვლავ ზრდის ტენდენცია აჩვენა და \$1,45 ტრილიარდს მიაღწია (9%-იანი ზრდა წინა წელთან შედარებით). UNCTAD-ის თანახმად, კი 2014 კი \$1,6 ტრილიონამდე გაიზრდა. 2015 წლისთვის ნავარაუდევია \$1,7ტრლნ ხოლო 2016 წლისთვის კი ეს მაჩვენებელი \$1,8 ტრილიარდამდე გაიზრდება. ამავდროულად, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მნიშვნელოვანი ზრდა სწორედ განვითარებად ქვეყნებშია მოსალოდნელი. საიდანაც, სავარაუდოდ საქართველოც მიიღებს თავის წილ უცხოურ ინვესტიციებს (UNCTAD, 2008, 2014).

აღსანიშნავია, რომ ბოლო წლების მონაცემებით, მსოფლიო მასშტაბით პირდაპირი უცხოური ინვესტიციები უფრო მეტად განვითარებად ქვეყნებში მიედინება, ვიდრე - განვითარებულელებში, როგორც ეს XX საუკუნისთვის იყო დამახასიათებელი. 2013 წლის მონაცემებით, განვითარებულ ქვეყნებში პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა წინა წელთან შედარებით, 9%-ით მოიმატა და \$455 მილიარდი შეადგინა

(გლობალური პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 39%), მაშინ, როდესაც განვითარებად ქვეყნებში ამ მაჩვენებელმა \$778 მილიარდი შეადგინა (გლობალური პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 54%), რომლის უდიდესი ნაწილი (\$426 მლრდ) განვითარებად აზიაში იყრის თავს, ძირითადად კი ჩინეთში (\$124 მილიარდი 2013 წელს). დანარჩენი \$108 მილიარდი (გლობალური პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 7%) კი გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში დაილექა (იხილეთ ცხრილი №13).

ცხრილი №13

**პირდაპირი უცხოური ინვესტიციები იმპორტი რეგიონების მიხედვით,
2011-2013 წწ (\$ მლრდ)**

	აბსოლუტურ მაჩვენებლებში			პროცენტულ მაჩვენებლებში		
	2011 წ.	2012 წ.	2013 წ.	2011 წ.	2012 წ.	2013 წ.
მსოფლიო	1700	1330	1452	100	100	100
განვითარებული ეკ.	880	517	566	51,8	38,8	39
ევროკავშირი	490	216	246	28,8	16,2	17
ჩრდ. ამერიკა	263	204	250	15,5	15,3	17,2
განვითარებადი ეკ.	725	729	778	42,6	54,8	53,6
აფრიკა	48	55	57	2,8	4,1	3,9
აზია	431	415	426	25,3	31,2	29,4
ლათინური ამერიკა	244	256	292	14,3	19,2	20,1
ოკეანეთი	2	3	3	0,1	0,2	0,2
გარდამავალი ეკ.	95	84	106	5,6	6,3	7,4

წყარო: UNCTAD, 2014.

მეორე მხრივ, იზრდება განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებიდან განხორციელებული ინვესტიციების წილი გლობალურ ინვესტიციებში და ახალ ისტორიულ მაქსიმუმებს აღწევს: 2013 წელს მათ ერთობლივად \$553 მილიარდის პირდაპირი უცხოური ინვესტიციები განახორციელეს, ანუ მთლიანი ექსპორტირებული გლობალური პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 39 პროცენტი, რაც მნიშვნელოვანი

ზრდაა. 1999 წლის 7%-იანი მაჩვენებელს სამჯერ და უფრო მეტად აღემატება (UNCTAD 2001, 2014). შესაბამისად, კლებულობს განვითარებული ქვეყნების მიერ განხორციელებული წილიც გლობალურ მაჩვენებელში და 1999 წლის 93-დან 2013 წელს 61 პროცენტამდე შემცირებული.

ზემოაღნიშნული ცხადყოფს, რომ განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებმა ბოლო ათწლეულში საგრძნობლად მოიკიდეს ფეხი გლობალური პირდაპირი უცხოური ინვესტიციების რუქაზე. ამ ტრენდის გაგრძელების შემთხვევაში შესაძლოა განვითარებადმა და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებმა განვითარებულებს გაუსწრონ.

პარალელურად კი, განვითარებული ქვეყნების მიერ ექსპორტირებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დომინირება კლებულობს და 2011 დან 2013 წლამდე, შესაბამისად 71 პროცენტდან 60,8 პროცენტამდე ეცემა, რაც ძირიდან ევროკავშირიდან განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების კლებას უკავშირდება (\$34,2-დან \$17,8 მილიარდამდე) (იხ. დხრილი №1.4).

ცხრილი №1.4

**პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ექსპორტი რეგიონების მიხედვით,
2011-2013 წწ (\$ მლრდ)**

	აბსოლუტურ აჩვენებლებში			პროცენტულ მაჩვენებლებში		
	2011 წ.	2012 წ.	2013 წ.	2011 წ.	2012 წ.	2013 წ.
მსოფლიო	1 712	1 347	1 411	100	100	100
განვითარებული ეკ.	1 215	853	857	71	63,3	60,8
ევროკავშირი	585	238	250	34,2	17,7	17,8
ჩრდ. ამერიკა	439	422	381	25,6	31,4	27,0
განვითარებადი ეკ.	423	440	454	24,7	32,7	32,2
აფრიკა	7	12	12	0,4	0,9	0,9
აზია	304	302	326	17,8	22,4	23,1
ლათინური ამერიკა	111	124	115	6,5	9,2	8,1
ოკეანეთი	1	2	1	0,1	0,1	0,1
გარდამავალი ეკ.	73	54	99	4,3	4,0	7,0

წყარო: UNCTAD, gv. XIV

ქვეყნების ჭრილში ყველაზე მეტი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების როგორც ექსპორტიორი, ასევე იმპორტიორი - ამერიკის შეერთებული შტატებია, მხოლოდ 2013 წელს ამ ქვეყანამ მიიღო და გასცა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების კოლოსალური ოდენობა - \$526 მლრდ, მეორე ადგილზე ჩინეთია - \$225 მილიარდით, მესამე საპატიო ადგილზე კი რუსეთი - \$174 მილიარდით (იხ. ცხრილი №1.5).

ცხრილი №1.5

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების იმპორტი და ექსპორტი მსოფლიოში (\$ მლრდ)

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების იმპორტი 2012-2013 წწ			პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ექსპორტი 2012-2013 წწ		
ქვეყანა	2012 წ	2013 წ	ქვეყანა	2012 წ	2013 წ
აშშ	161	188	აშშ	367	338
ჩინეთი*	121	124	იაპონია	123	136
რუსეთი*	51	79	ჩინეთი*	88	101
ჰონგ-კონგი*	75	77	რუსეთი*	49	95
ბრაზილია*	65	64	ჰონგ-კონგი *	88	92
სინგაპური*	61	64	შვეიცარია	45	60
კანადა	43	62	გერმანია	80	58
ავსტრალია	56	50	კანადა	55	43
ესპანეთი	26	39	ჰოლანდია	0	37
მექსიკა*	18	38	შვედეთი	29	33

* განვითარებადი ქვეყნები

წყარო: UNCTAD, 2014 წ. გვ. XV.

ნიშანდობლივია, რომ 2013 წელს, წინა წელთან შედარებით პირდაპირი უცხოური ინვესტიციები იმპორტი საუკეთესო ათეულის თითქმის ყველა ყველა ქვეყანაში გაიზარდა, გარდა ბრაზილიისა და ავსტრალიისა. ხოლო ექსპორტის ჭრილში კი სამმა: აშშ-მ, გერმანიამ და კანადამ შეამცირეს თავიანთი პირდაპირი უცხოური ინვესტიციები დანარჩენ მსოფლიოში. დარჩენილმა შვიდმა ქვეყანამ კი, პირიქით - გაააქტიურა მისი საზღვარგარეთული საინვესტიციო ბაზრები. ამასთან,

მცირდება ინვესტიციები მომპოვებელ მრეწველობაში ყველაზე დარბ ქვეყნებშიც კი და ის ადგილს უთმობს წარმოებისა და მომსახურების სექტორებს (UNCTAD 2013).

აგრეთვე, აღნიშვნის ღირსია ის ფაქტი, რომ რუსეთის მიერ უკრაინის წინააღმდეგ განხორციელებული აგრესიისა და დასავლეთიდან შესაბამისი „სანქციების“ დაწესების მიუხედავად, 2013 წელთან შედარებით, რუსეთის მიერ მიღებულმა პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა 2014 წელს, თითქმის 60 პროცენტით მოიმატა (\$51 მილიარდიდან \$79 მილიარდამდე). რაც აშკარად მიუთითებს იმაზე, რომ მიუხედავად პოლიტიკურ ჭრილში ყველანაირი დაბრკოლებებისა, ეკონომიკურად რუსეთი დანარჩენი მსოფლიოსთვის მეტად აქტუალურია. მეორე მხრივ, რუსეთიდან საზღვარგარეთ ექსპორტირებული ინვესტიციების უპრეცედენტო ზრდა - \$49 მილიარდიდან \$95 მილიარდამდე (94%-იანი ზრდა), რუსეთში ეკონომიკური აღმავლობის და რუსი ბიზნესმენების მიერ ახალი ბაზრების ათვისების წყურვილზე მიუთითებს, რაც, თავის მხრივ, ორი მიზეზით შეიძლება აიხსნას: 1. ადგილობრივი კომპანიების ეკონომიკური გაძლიერებით და 2. წნეხით, რომელიც რუს ბიზნესმენებზე ხორციელდება და მათი სურვილით - გაექცნენ ამ რეალობას, სხვაგან სცადონ ბედი.

მთლიანობაში, UNCTAD-ის მიერ საინვესტიციო პოლიტიკის ჭრილში განხორციელებული დაკვირვებების თანახმად, მსოფლიო მასშტაბით 2000-დან 2013 წლამდე მნიშვნელოვნად არის შეცვლილი სახელმწიფოების / ეკონომიკების დამოკიდებულება საინვესტიციო პოლიტიკის მიმართ. კერძოდ, სხვადასხვა ქვეყნების/ეკონომიკების მიერ ადგილობრივი საინვესტიციო პოლიტიკის 2000 წლის 94%-იანი ლიბერალიზმი (შესაბამისად, 6%-იანი რეგულაცია/შეზღუდვა) 2013 წელს შემცირებულია 73 პროცენტამდე, რაც საერთო ჯამში, ინვესტიციებისადმი გამკაცრებულ, მაგრამ კვლავ მეგობრულ დამოკიდებულებას გამოხატავს.

თავი 2. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გავლენა რეციპიენტი ქვეყნის ეკონომიკაზე

2.1. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე

გლობალიზაციის თანამედროვე პირობებში საქართველოსთვის (და არამხოლოდ საქართველოსთვის) პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვა სასიცოცხლო აუცილებლობას წარმოადგენს. ისტორიული თვალსაზრისით, არცთუ ისე დიდი დრო გავიდა მას შემდეგ, რაც მთავრობებმა გაანალიზეს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების როლი და გადამწყვეტი მნიშვნელობა ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ჭრილში. ეს გამოწვევა განსაკუთრებით განვითარებადმა ქვეყნებმა აიტაცეს (UNCTAD, 2012, 2013), რადგანაც სწორედ ამ ტიპის ქვეყნებშია მინიმალურ დონეზე შიდა დანახოვები, რომელიც ინვესტიციური შიმშილის დაკმაყოფილებას ვერ უზრუნველყოფს. უფრო მეტიც, ზოგიერთი განვითარებადი ქვეყნები, (მაგ.: საქართველო) ინვესტიციური შიმშილის მოსაკლავად, ცალკე აღებულ ტერიტორიებზე ბიზნესმენებისთვის დამატებითი შეღავათების დაწესებას ცდილობს (მაგ.: თავისუფალი ეკონომიკური ზონის დაარსების გზით), რაც, საბოლოო ჯამში, მხოლოდ ამ ტერიტორიაზე ინვესტიციების აკუმულირებას, მთელ ქვეყანაში კი ინვესტიციური შიმშილის კიდევ უფრო გაიძლიერებას უწყობს ხელს (პაპავა ვ. 2007).

მიუხედავად იმისა, სჭირდება თუ არა რომელიმე ქვეყანას (საუბარია განვითარებად ქვეყნებზე), კონკრეტულ მომენტში, გარკვეული ფინანსური დახმარება (პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სახით), როგორც წესი, ისინი ადვილად თანხმდებიან სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებისაგან გარკვეული „დახმარების“ მიღებას (ეს შესაძლოა იყოს სესხიც), რადგანაც ამ ფულად სახსრებს, „პაკეტში“, როგორც წესი, თავად ფულად რესურსზე ბევრად მნიშვნელოვანი მატერიალური და არამატერიალური აქტივები მოჰყვება. კერძოდ: ცოდნა და თანამედროვე ტექნოლოგიები.

საერთაშორისო ორგანიზაციებზე უფრო ხშირად კი ტექნოლოგიურ სიახლეებს ამა თუ იმ ქვეყანაში - ტრანსნაციონალური კორპორაციები ნერგავენ, რომლებიც, ამავე დროს, განვითარებად ქვეყნებში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ერთ-ერთი

ყველაზე დიდი იმპორტიორები არიან. მათ შესწევთ უნარი და შესაძლებლობა, ახალი ტექნოლოგიების და ინოვაციების, აგრეთვე მაღალკვალიფიციური კადრებისა და საერთაშორისო ბაზრებზე გამყარებული პოზიციების ხარჯზე გაზარდონ მწარმოებლურობა და წაახალისონ ქვეყნის ეკონომიკური ზრდა.

ინვესტიციებიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია: პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (რა თქმა უნდა, მათ მოცულობასთან ერთად), რადგანაც დიდწილად, სწორედ ისინი განაპირობებენ ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას გრძელვადიან ასპექტში. განსაკუთრებით კი მაშინ, როდესაც ქვეყნის ეკონომიკური სიძლიერე და საბანკო სისტემა ჯერ კიდევ არ არის ჩამოყალიბებული ისეთ დონეზე, რომ ეკონომიკის სტაბილურად და იაფი სესხებით მომარაგება შეძლოს.

ლ. კოლენი, მ. მარტენსი და ჯ. სვინერი აღნიშნავენ, რომ პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებსა და ადამიანურ განვითარებას შორის მჭიდრო ურთიერთკავშირია (De Schutter O., Swinnen J., Wouters J, 2012). ცნობილი შვედი ეკონომისტი მ. ბლომსტორმი (Blomstrom & Kokko, 1998) ამტკიცებს, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციები განსაკუთრებით სასარგებლოა განვითარებადი ქვეყნებისათვის. მათ უზრუნველყოფს შესაძლებლობა, მსოფლიო ბაზარზე კონკურენტუნარიანი პროდუქციით წარმოჩნდნენ.

კოპურია-ფორემანის (Kapuria-Foreman, 2009) აზრით, ქვეყნის საინვესტიციო მომხიბლველობას და ინვესტიციების ოდენობის ზრდას მრავალი ფაქტორი განაპირობებს, მათ შორის აღსანიშნავია: კერძო საკუთრების დაცვა, სამთავრობო ხარვეის შემცირება და კაპიტალის შემოდინებისათვის ბარიერების მოხსნა (აღნიშნულ პუნქტს ჩვენ ვეწინააღმდეგებით, რადგანაც არც საქართველოსთვის და არც მსოფლიოს სხვა ქვეყნისთვის არ შეიძლება მიზანშეწონილად ჩაითვალოს „ნებისმიერი კაპიტალის“ მოზიდვა, პირიქით „ინვესტიციურმა სიხარბემ“ მომავალში, შესაძლოა, უფრო მეტ ნეგატივთან მიგვიყვანოს, ვიდრე პოზიტივთან. მაგ.: კომპანია „ტრამექსის“ შემთხვევა საქართველოში).¹

¹ კომპანია „ტრამექსი“ საქართველოში 1991 წელს დაარსდა და ნავთობისა და გაზის გადამუშავების ექსკლუზიური უფლება მოიპოვა. თუმცა, 1996 წელს ედუარდ შევარდნაძის განკარგულებით, „ნავთობისა და გაზის კორპორაციის“ შექმნის შემდგომ „ტრამექსი“ ეს უფლება ჩამოერთვა. ამის შემდეგ „ტრამექსმა“ დაკარგული უფლებების აღდგენის მოთხოვნით საარბიტრაჟო სასამართლოს მიმართა. ბიზნესმენებმა პროცესი მოიგეს და საქართველოს მთავრობას მათთვის 98 მილიონი დოლარის გადახდა დაეკისრა. საერთაშორისო სკანდალში კი ეს საქმე მას შემდეგ გადაიზარდა რაც საქართველოს მთავრობამ ებრაელი

1997-2010 წლებზე დაკვირვებით თურქმა ეკონომისტებმა: გურსოიმ და ქალიონჩუმ (Gursoy F., Kalyoncu H, 2012) საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისა და მთლიანი შიგა პროდუქტის ზრდას შორის კავშირი გამოიკვლიეს და დადგინეს, რომ სხვა განვითარებადი ქვეყნების მსგავსად, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინება და მთლიანი შიგა პროდუქტის ზრდა საქართველოშიც მჭიდრო კავშირშია.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინებასა და მთლიან შიგა პროდუქტს შორის უკუკავშირის ახსნას ცდილობდნენ პრაკაშ ლუნგანი და ასაფ რაზინი (Loungani P., Razin A, 2011), კერძოდ:

1. პირველ რიგში, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების საშუალებით ხორციელდება ტექნოლოგიების შემოდინება. ადგილობრივ ბაზარზე კონკურენციის გამძაფრების გზით საქონლის ხარისხის ამაღლება (თუმცა შესაძლოა, ადგილობრივი მცირე მეწარმეები დაზარალებდნენ);

2. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების თან სდევს ახალი მიდგომები ორგანიზაციისა და კადრების მართვაში, რაც ამაღლებს ადგილობრივი სამუშაო ძალის კვალიფიკაციასა და გამოცდილებას;

3. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ზრდით გამოწვეული (კორპორაციული) მოგების ზრდა ქვეყანაში იწვევს საგადასახადო შემოსავლების ზრდასაც (თუმცა, არა მაშინ, როდესაც ტნკ-ები მცირე ბიზნესის „განადგურებით“ იკავებენ ბაზარზე მათ კუთვნილ ადგილს).

ჩვენი აზრით, მიუხედავად თვალნათელი დადებითი შედეგებისა, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნეგატიური შედეგების მოტანაც შეუძლია, განსაკუთრებით განვითარებად ქვეყნებში, მაგალითად: დიდი ინვესტიციის ხარჯზე მცირე და საშუალო ბიზნესის დაზარალება. თუმცა ბაზრის სიცარიელედან გამომდინარე, ამ ეტაპზე საქართველოს ასეთი საშიშროება არ ემუქრება და არც მომავალ ათწლეულშია მოსალოდნელი,

პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისა და ეკონომიკურ ზრდას შორის დადებით ეფექტზე თავის კვლევებში ყურადღებას ამახვილებს ლ. კრკოსკაც (Krkoska L., 2001), რომელიც 25 გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნას 1989-2000 წლებში აკვირდებოდა.

ბიზნესმენები ქართველი მაღალჩინოსნებისთვის 7 მლნ დოლარის ქრთამის შეთავაზებაში დაადანაშაულა და დააპატიმრა.

მისი თქმით, თავის კვლევაში მოხვედრილ ქვეყნებს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ზრდა სტიმულს აძლევდა კაპიტალის დასაზროვებლად, აგრეთვე ეკონომიკური ვარდნის პერიოდში ხელს უწყობდა მათ ეკონომიკურ ზრდას.

იგივე დასკვნას იძლევა ბენგოა და სანჩეს-რობლესის მიერ 1970-1999 წლებში ლათინური ამერიკის 18 ქვეყანაში ჩატარებული ემპირიული კვლევაც, რომლის თანახმადაც პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ზრდა დადებითად აისახა ამ ქვეყნების მოსახლეობის შემოსავლების ზრდაზე (Bengoa M, Sanchez-Robles B, 2003).

საერთო ჯამში, შეიძლება ითქვას, რომ ინვესტიციებიდან მიღებულ დადებით ეფექტებს შორის ყველაზე თვალსაჩინო ელემენტებად პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემდეგი თანმდევი დადებითი ეფექტები შეგვიძლია მივიჩნიოთ: ტექნოლოგიური გადაიარაღება (მათ შორის ნოუჰაუ-ს გამოყენება); დასაქმების მაჩვენებლის გაუმჯობესება; ეკონომიკური ზრდა; ადგილობრივი მონოპოლიების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მოსპობა; საქონლისა და მომსახურების შედარებით ფართო არჩევანი და ა.შ.

საქართველოს მაგალითზე რთულია საუბარი (სტატისტიკის უქონლობის გამო) იმაზე, თუ რამდენად გაიზარდა ტექნოლოგიური და ინოვაციური სფერო, მით უმეტეს მაშინ, როდესაც მსოფლიო კონკურენტუნარიანობის ინდექსის, ინოვაციების მაჩვენებლის მიხედვით, საქართველო მხოლოდ 126-ე ადგილზეა გამოკვლეულ 148 ქვეყანას შორის (2013 წ.). თუმცა შეიძლება აღინიშნოს, რომ ისეთი დარგი, როგორიცაა სატელეკომუნიკაციო სფერო, სწორედ ტექნოლოგიურ სიახლეებზეა დაფუძნებული და საკმაოდ წარმატებულია. მიუხედავად ამისა, ყოველწლიური შემომავალი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სტრუქტურაში ის მაინც უმნიშვნელო ადგილს იკავებს (დეტალურად იხ. მომდევნო თავებში).

აღსანიშნავია, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განხორციელების მოტივებიდან და შესაძლო შედეგებიდან გამომდინარე, მეცნიერები პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისთვის დამახასიათებელ ორი ტიპის ეფექტს გამოყოფენ, კერძოდ: შემთხვევას, როდესაც უცხოური ინვესტორები პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ამა, თუ იმ ქვეყანაში ახორციელებენ, შემდგომ ქირაობენ ადგილობრივ კადრებს და ასწავლიან მათ ახალი ტექნოლოგიების, მარკეტინგული ტექნიკისა და ა.შ. გამოყენებას - ჰორიზონტალური გადადენის ეფექტი ეწოდება (Horizontal Spillover Effects).

ამ ეფექტის მიღება, როგორც წესი, ბენეფიციარი ქვეყნის მთავრობის ერთ-ერთი მთავარი მიზანია, თუმცა ჰორიზონტალური გადადენის ეფექტი, შესაძლებელია, როგორც დადებითი, ასევე უარყოფითიც იყოს (Konings, J, 1999). კონინგის მიერ ბულგარეთში, რუმინეთსა და პოლონეთში ჩატარებულ კვლევებში ნათლად ჩანს, რომ თუ პირველი ორი ქვეყნისათვის ინვესტიციების მოზიდვამ დადებითი ჰორიზონტალური ეფექტი მოიტანა, პოლონეთისთვის მას უკუშედეგიც კი ჰქონდა. კერძოდ, ადგილობრივი კომპანიების დახმარებისა და ტექნოლოგიური დიფუზიის ნაცვლად, წარმოიშვა უმკაცრესი კონკურენცია, რომლის საფუძველზეც, მხოლოდ უძლიერესები რჩებოდნენ ბაზარზე, როგორც წესი - დიდი კომპანიები.

ჰორიზონტალური გადადენისგან განსხვავებით, ვერტიკალური გადადენის ეფექტი (Vertical Spillover Effects) უცხოელი ინვესტორების მხრიდან ადგილობრივებისათვის უპირატესობის გაზიარებას კი არ გულისხმობს, არამედ იგი ეკონომიკის ერთი დარგის განვითარებით სხვა დარგების განვითარების წახალისებას მოიაზრებს.

ჯავორჩიკის (Javorcik, B. S, 2004) მიერ ლიტვაში განხორციელებული კვლევის თანახმად, 1996-2000 წლებში პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ქვეყნის მწარმოებლურობის 85 პროცენტს 20-ზე მეტ სექტორში ფარავდა. მისი დაკვირვებით, სამშენებლო სექტორში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 4%-იანი ზრდას მისი 15%-იანი ზრდა მოჰყვა მომარაგების სექტორში. იმავე კვლევის თანახმად, თუ უცხოური კომპანიები ადგილობრივ ბაზარზე შემოდიან არა ადგილობრივი კომპანიების გავლით, არამედ თავად ქმნიან კონკურენტუნარიან საწარმოებს, დიდი ალბათობით ვერტიკალური გადადენის ეფექტი ვეღარ მიიღწევა და, პირიქით, შედეგად მივიღებთ ნეგატიურ ეფექტს, რომლის გამოც ადგილობრივი კომპანიები არათუ იხეირებენ, არამედ იზარალებენ კიდევ.

ამიტომ, ადგილობრივი ბაზრის და ფირმების განვითარებისათვის კარგი იქნება, თუ ისინი უცხოური გიგანტების სუბკონტრაქტორ ფირმებად ჩამოყალიბდებიან და არა მათ კონკურენტებად (იმის გარკვევას, თუ ზემოთ მოცემული ეფექტის რომელ ტიპთან გვაქვს საქმე საქართველში, მომდევნო თავებში შევეცდებით).


მთლიანობაში კი, შესაძლოა ითქვას რომ პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს საქართველოსთვის და მისი ეკონომიკის სხვადასხვა დარგებისთვის მრავალი დადებითი ეფექტის მონატანა შეუძლია, როგორც პირდაპირი (ვერტიკალური

გადადენის ეფექტი), ასევე არაპირდაპირი (კორიზონტალური გადადენის ეფექტი) გზით, მითუმეტეს იმ პირობებში, როდესაც საქართველოში არსებული ადგილობრივი ფინანსური რესურსები, სხვადასხვა მიზეზების გამო, ვერ უძლებს ადგილობრივი საინტესტიციო „მოთხოვნილებების და საჭიროებების“ დაკმაყოფილებას.

საქართველოში შემოდინებული და საქართველოდან გადინებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მაჩვენებლებიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ საქართველო ჯერ კიდევ ინვესტიციების ნეტო იმპორტიორი ქვეყანაა (იხ. დიაგრამა №2.1).²

იაგრამა №2.1

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინება და ქართულის გადინება (\$ მლნ)



წყარო: შედგენილია ავტორის მიერ, სეპ-ის და მსოფლიო ბანკის მონაცემებზე დაყრდნობით

საქართველოდან საზღვარგარეთ პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ყველაზე მასშტაბური მოცულობით გადინება 2012 წელს განხორციელდა, რაც შეიძლება, რომ ქვეყანაში არასტაბილური პოლიტიკური ვითარებით და ქართველი ინვესტორების


² ნაშრომში გამოყენებული სტატისტიკური ინფორმაცია, თუ არ არის სპეციალური მითითება, საქართველოს მთავრობის ან/და მსოფლიო ბანკის ოფიციალური წყაროებიდანაა აღებული.

მხრიდან სახსრების საზღვარგარეთ (შედარებით უსაფრთხო ადგილას) დაბანდების სურვილით აიხსნას.

მას შემდეგ, რაც საქართველოდან საზღვარგარეთ (ოფიციალურად) განხორციელებული პირველი პირდაპირი უცხოური ინვესტიციები 1999 წელს დაფიქსირდა, საქართველოს ყოველწლიური ნეტო პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, მათი სიმცირიდან გამომდინარე, თითქმის იგივე იყო, რაც საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (იხ. დიაგრამა №2.2), თუმცა აღსანიშნავია რომ, ბოლო წლების განმავლობაში საქართველოდან საზღვარგარეთ განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციებიც (აბსოლუტურ მაჩვენებლებში) 2000-იანი წლების დასაწყისთან შედარებით მრავალჯერაა გაზრდილი (\$1-დან \$10 მილიონამდე 2000-2004 წლებში) და 2010 წლიდან ყოველწლიურად \$100 მილიონს აჭარბებს (2011 წ. - \$147 მლნ; 2012 წ. - \$297 მლნ; 2013 წ. - \$113 მლნ).

დიაგრამა №2.2

კრებსითი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ექსპორტი საქართველოდან საზღვარგარეთ (\$ მლნ)



წყარო: შედგენილია ავტორის მიერ, სეპ-ის მონაცემებზე დაყრდნობით


საერთო ჯამში, 1999-2013 წლების განმავლობაში საქართველოდან გადინებულია \$1,558 მილიარდის პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (სეპ). თუმცა ცენტრალური

დაზვერვის სააგენტოს (აშშ) თანახმად, 2013 წლის პირველი იანვრისათვის საქართველოს უფრო ნაკლები - \$1,359 მლრდ პირდაპირი უცხოური ინვესტიციები აქვს განხორციელებული საზღვარგარეთ (თუმცა არ არის დაკონკრეტებული, რომელი წლიდან), რითაც შესაბამის რეიტინგში მსოფლიო მასშტაბით 77-ე ადგილს იკავებს. სებ-ის 2013 წლის სრული მონაცემების მიხედვით კი, ეს მაჩვენებელი მნიშვნელოვნადაა გაზრდილი და \$2,374 მილიარდს შეადგენს, რაც საქართველოში შემოდინებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 1/5-ია.

განვიხილოთ საქართველოდან გადინებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სტრუქტურა 2000-2013 წლებში (1999 წლის მონაცემები არ არის ხელმისაწვდომი). საბოლოო სურათი შემდეგია: სააქციო კაპიტალში ინვესტიციებმა - \$104.3 მლნ შეადგინა; რეინვესტირებულმა შემოსავალმა - \$521,5 მილიონს, ხოლო სხვა კაპიტალში ინვესტიციებმა კი \$190 მილიონს მიაღწია. რაც შეეხება წლების მიხედვით შესაბამის კომპონენტებში საზღვარგარეთ განხორციელებულ ქართულ ინვესტიციებს, შეგვიძლია ვთქვათ, რომ გარდა „სხვა კაპიტალში“ განხორციელებული ინვესტიციებისა, ისინი დანარჩენ კომპონენტებში - ქაოტური სტრუქტურით ხასიათდებოდა (იხ. ცხრილი №2.3).

დიაგრამა №2.3

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ექსპორტი წლების მიხედვით (\$ მლნ)




* მოთხოვნები და ვალდებულებები შვილობილი კომპანიისადმი

წყარო: შედგენილია ავტორის მიერ, სებ-ის მონაცემებზე დაყრდნობით

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში უცხოელების მიერ რეინვესტირებული კაპიტალი, ქართველების მიერ საზღვარგარეთ რეინვესტირების სურათი აბსოლუტურად საპირისპიროა და სწორედ მაშინ მატულობს (იხილეთ დიაგრამა №2.4), როდესაც საქართველოში არასტაბილური ვითარება იკიდებდა ფეხს (2008 და 2012 წლები).

დიაგრამა №2.4

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების იმპორტი წლების მიხედვით (\$ მლნ)



წყარო: შედგენილია ავტორის მიერ, სეზ-ის მონაცემებზე დაყრდნობით

დეტალურად განვიხილოთ საქართველოში შემოდინებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სტრუქტურა. ეროვნული ბანკის მონაცემებით, ამ ტიპის ინვესტიციების უდიდესი ნაწილი სააქციო კაპიტალზე მოდის და 1997 წლიდან მოყოლებული, სიდიდით ყველაზე დიდ წილს იკავებდა ყოველთვის (პიკი 2008 წელს - \$1,1 მლრდ). მოცემული ვითარება, მარტივად აიხსნება ამ წლების განმავლობაში თითქმის ყველა დიდ და საშუალო ორგანიზაციაში უცხოელი ინვესტორების მიერ წილების შეძენის გარემოებით. ხშირ შემთხვევაში ქართველი მეწილეები, პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე, თავად ცდილობდნენ თავიანთი ბიზნესი უცხოელ მეწილეებზე გადაეფორმებინათ, რადგანაც უცხოელებს ნაკლებად ეხებოდა ჩამოყალიბებული პოლიტიკური წნეხი.

უცხოელი ინვესტორების მოზიდვის ნათელი მაგალითა საბანკო სფერო, სადაც დღეისათვის მოღვაწე 21 ბანკიდან, თითოეულში პირდაპირი უცხოური ინვესტიციებია განხორციელებული და ხშირ შემთხვევაში, ქართული მხარის (ოფიციალური) წილობრივი მონაცემები არათუ საკონტროლო პაკეტით, არამედ მინიმალური დოზით შემოიფარგლება.

სიდიდით მეორე გახლავთ რეინვესტირებული შემოსავალი, რომლის მასშტაბები წლიდან წლამდე მატულობს (პიკი 2007 წელს - \$840 მლნ). ნიშანდობლივია აგრეთვე, ის ფაქტი, რომ რეინვესტირებული კაპიტალი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების საკმაოდ სოლიდურ ნაწილს შეადგენს. მაგ.: 2013 წელს განხორციელებული ერთმილიარდიანი უცხოური ინვესტიციიდან, 40% სწორედ რეინვესტირებულ შემოსავალზე მოდიოდა (იხ დიაგრამა №2.1). სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს არ იყო ახალი ინვესტიციების მოზიდვა საზღვარგარეთიდან, არამედ ეს გახლდათ უკვე მოძიებული ინვესტორების გადაწყვეტილება, საქართველოში მათი ბიზნესის გაფართოების შესახებ. რასაკვირველია, უცხოელი ბიზნესმენების გადაწყვეტილება თავიანთი სახსრების რეინვესტირების შესახებ, მისასალმებელია და კიდევ უფრო მეტად უნდა იქნეს წახალისებული მთავრობის მხრიდან.

ცხრილი №2.1

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განაწილება წლების მიხედვით (მლნ \$)

	2008	2009	2010	2011	2012	2013	<i>სულ</i>
პირდაპირი უცხოური ინვესტიციების საქართველოში	1564	659	813	1048	911	1010	<i>6005</i>
• სააქციო კაპიტალი	1101	617	471	490	486	454	<i>3619</i>
• რეინვესტ. შემოსავალი	73	-52	227	350	145	399	<i>1142</i>
• სხვა კაპიტალი	390	94	115	208	280	157	<i>1244</i>

წყარო: შედგენილია ავტორის მიერ, სებ-ის მონაცემებზე დაყრდნობით

აუცილებელია, საქართველოს მთავრობას პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მიმართ ძლიერი სახელმწიფო პოლიტიკა ჰქონდეს, რომლის ფარგლებშიც, ის დამატებით ახალი სახსრების მოზიდვას შეძლებს. ასეთი ტიპის ქმედება სასიცოცხლო

მნიშვნელობისაა და ისეთ უმნიშვნელოვანეს მომენტებს ითვალისწინებს, როგორებიცაა: კონკურენციის ხელშეწყობა (კონკურენციის სააგენტოს გააქტიურების გზით), ახალი კონტაქტების ჩამოყალიბება (მაგ.: თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმის ამოქმედება ამერიკის შეერთებულ შტატებთან), სტაბილური ბიზნეს გარემოს ჩამოყალიბება (მაგ.: სასამართლო სისტემის დახვეწა, საკუთრების უფლებების მკაცრი დაცვა, სტაბილური პოლიტიკური გარემო...) და სხვ.

ცხრილი №2.2

მოთხოვნები და ვალდებულებები „სხვა კაპიტალზე“ (მლნ \$)

	2008	2009	2010	2011	2012	2013
მოთხოვნები	-27	6	-55	-36	80	-5
ვალდებულებები	417	88	171	244	199	162
ჯამი	390	94	116	208	279	157

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


რაც შეეხება „სხვა კაპიტალს“, რომელშიც ერთიანდება: ა) მოთხოვნები და ბ) ვალდებულებები პირდაპირი ინვესტიორების მიმართ, შეიძლება ითქვას, რომ დაფიქსირებული რიცხვები საქართველოს ეკონომიკისთვის საკმაოდ მნიშვნელოვან სახსრებს წარმოადგენს და ცხრილში მოცემული (იხ. ცხრილი №2.2) ბოლო 6 წლის მონაცემებით, \$1,244 მლრდ შეადგენს, რაც ამ პერიოდში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების (\$5,097 მლრდ) 1/4-ს შეადგენს. რაც იგივე პერიოდში რეინვესტირებულ კაპიტალს \$102 მილიონით აღემატება.

ცალკე განხილვის საგანს წარმოადგენს საქართველოში შემოდინებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისა და მასზე დარიცხული შემოსავლების გადინების ტრენდი (იხ ცხრილი №2.5). 2011-2013 წლებში შემოსავლების გადინებამ შესაბამის წლებში შემოდინებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ჯამური მაჩვენებლის დაახლოებით 80% შეადგინა. კერძოდ: 2011 წელს პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა შეადგინა \$1,05 მლრდ, ხოლო შემოსავლების გადინებამ - \$0.8 მლრდ; 2012 წელს პირდაპირი უცხოური ინვესტიციები - \$911 მლნ, შემოსავლების გადინება -

\$747 მლნ; 2013 წელს პირდაპირი უცხოური ინვესტიციები - \$1,01 მლრდ, შემოსავლების გადინება - \$0.8 მლრდ.

დიაგრამა №2.5

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები და შემოსავლების გადინება




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ზემოაღნიშნული მონაცემები ნათლად მიგვანიშნებენ იმაზე, რომ უცხოელი ინვესტორი არა საქართველოს, არამედ საკუთარ გამდიდრებაზეა ორიენტირებული. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ქვეყანაში დაბანდებული საინვესტიციო ნაკადების ჯამი წლიდან წლამდე იზრდება და მისი ქვეყნის ფარგლებს გარეთ გატანა საკმაოდ რთული პროცესია, რაც დადებით მოვლენად შეიძლება ჩაითვალოს.

ცალკე განხილვის საგანს წარმოადგენს, თუ რამდენად სასიფათოა საქართველოსთვის უცხოელი ინვესტორების მიერ მიღებული შემოსავლების, მოცემული ქვეყნის ფარგლებს გარეთ გატანა. რა თქმა უნდა, საქართველოსთვის აღნიშნული ინვესტიციების ადგილზევე რეინვესტირება გაცილებით უკეთესი იქნებოდა, თუმცა ეს გადაწყვეტილება უკვე თავად ინვესტორის პრეროგატივაა. ჩვენ კი შეგვიძლია დავასკვნათ, რომ 2013 წლის მონაცემებით, პირდაპირი უცხოური ინვესტიციებიდან მიღებული შემოსავლების ჯამურმა გადინებამ შემოდინებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 40% შეადგინა (იხ. დიაგრამა №2.6).

ჯამური პირდაპირი უცხოური ინვესტიციების და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მიღებული შემოსავლების ჯამური გადინება



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ერთი მხრივ, ინვესტორის გადასაწყვეტია დროის კონკრეტულ მომენტში რომელ ქვეყანაში განახორციელოს მისთვის სასურველი ინვესტიცია ან რეინვესტირება. თუმცა, მეორე მხრივ, ასეთი სურვილი, როგორც წესი, თითოეული ქვეყნის, კონკრეტული მთავრობების, შესაბამისი გადაწყვეტილებებით არის განპირობებული. ყოველი თანხა, რომელიც საქართველოში ინვესტირებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციებიდან მიღებული შემოსავლის სახით საზღვარგარეთ გაედინება, არის საქართველოს მიერ ფაქტობრივად დაკარგული სიმდიდრე, რომელიც სწორი პოლიტიკის შემთხვევაში, შესაძლოა, საქართველოს კეთილდღეობას მოხმარდეს. ის 40%-იანი მაჩვენებელი, რომელზეც ზემოთ გვქონდა საუბარი, შესაძლოა, ნეიტრალური შემფასებლის მხრიდან სავსებით ლოგიკურადაც გამოიყურებოდეს, მაგრამ საქართველოსთვის, რომელიც ახლა იკიდებს ფეხს და ჯერ კიდევ განვითარებადი ქვეყნის სტატუსს ატარებს, სასიცოცხლო მნიშვნელობისაა ყოველი დოლარი/ევრო, რომელიც: ტურიზმს, სოფლისმეურნეობას, მრეწველობას, საფინანსო და სხვა სექტორების განვითარებას უნდა მოხმარდეს.


აუციელებელია, საქართველოს მთავრობამ მაქსიმალური ღონე იხმაროს პირდაპირი უცხოური ინვესტიციებიდან მიღებული შემოსავლების ქვეყანაშივე

შენარჩუნებისთვის, რაც შესაძლოა, გარკვეული საგადასახადო შედეგათების, დარგის განვითარებისათვის საჭირო ხელშეწყობით და სხვა გზებით იქნეს მიღწეული. ყოველივე აღნიშნული ადგილობრივ ეკონომიკას გაამდიდრებს: შეამცირებს უმუშევრობას, გაზრდის შემოსავლებს და დასაქმებულთა რაოდენობას, გააუმჯობესებს მაკროეკონომიკურ გარემოს და ხელს შეუწყობს პროგრესსა და განვითარებას.

განვიხილოთ საქართველოს რეზიდენტების მიერ განხორციელებულ პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებზე დარიცხული შემოსავლების ოდენობა, წლების მიხედვით. ქართველი ინვესტორების მიერ საზღვარგარეთ განხორციელებული ინვესტიციების ყოველწლიური შემოსავალი) (იხ. გრაფიკი №2.7), მნიშვნელოვნად ჩამორჩება უცხოელი ინვესტორების მიერ საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციებიდან მიღებულ შემოსავლებს. 2013 წელს ნეგატიურმა მაჩვენებელმა - \$637 მლნ შეადგინა (\$167 მლნ კრედიტში და 804 მლნ დებეტში), რაც წინა წლის მაჩვენებელთან შედარებით, (2012 წელი) 80%-ით მეტია (ნეგატიურ ჭრილში).

გრაფიკი №2.7

**ქართველი და უცხოელი ინვესტორების შემოსავლები
პირდაპირი უცხოური ინვესტიციებიდან (\$ მლნ)**




წყარო: შედგენილია ავტორის მიერ, სეპ-ის მონაცემებზე დაყრდნობით

უარყოფითი ტენდენცია განსაკუთრებით თვალსაჩინოა მას შემდეგ, რაც საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაკადის მნიშვნელოვანი ზრდა დაფიქსირდა (2000-იანი წლებიდან). სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მოკლევადიან პერიოდში ქვეყანაში უცხოური ვალუტის მარაგების შევსების წყაროდ მიჩნეული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, გრძელვადიან პერიოდში შესაძლოა უცხოური ვალუტის ქვეყნიდან გატანის წყაროდ იქცეს, რადგანაც ყოველი ინვესტორი ნებისმიერ ქვეყანაში სახსრების დაბანდებისას, მისგან მაქსიმალური მოგების მიღებაზეა ორიენტირებული, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ უცხოურ ინვესტიციებს უარი უნდა ეთქვას, პირიქით, საჭიროა ამ ინვესტიციების მაქსიმალურად იმ კუთხით გამოყენება, რომ რაც შეიძლება მეტი დოვლათი შეიქმნას ადგილზე, რაც შემდგომ სხვა დარგების გამოცოცხლებასა და წინსვლას შეუწყობს ხელს. შედეგად, უცხოელი ინვესტორის მიერ მოგებაზე გასვლის და უცხოური ვალუტის ქვეყნიდან გატანის დროს, ადგილობრივი ეკონომიკა არ უნდა ზარალდებოდეს, მას უკვე უნდა ჰქონდეს ქვეყანაში იმხელა დოვლათი შექმნილი, რომ მარტივად გადაფაროს ინვესტორის მიერ ქვეყნიდან გატანილი მოგება.

ამგვარი შედეგის მიღწევა კი შესაძლებელია, მხოლოდ და მხოლოდ მდგრადობის კომპონენტზე დაფუძნებული, ტექნოლოგიატევადი და ცოდნაზე ორიენტირებული დარგების განვითარებით, რომელთა სიმცირე დღეს საქართველოში ნათლად შეინიშნება.

ცალკე აღნიშვნის ღირსია რეინვესტირებული კაპიტალის მასშტაბებიც. მიუხედავად იმისა, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოსავლების უდიდესი ნაწილი საზღვარგარეთ გაედინება, რეინვესტირებული კაპიტალის სახით ქვეყანაში დარჩენილი შედარებით მცირე სახსრებიც კი მნიშვნელოვან როლს ასრულებენ საქართველოს საინვესტიციო ნაკადების ფორმირებაში.

შემოდინებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები და რეინვესტირებული კაპიტალი



წყარო: შედგენილია ავტორის მიერ, სებ-ის მონაცემებზე დაყრდნობით

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთ-საქართველოს ომისა და მსოფლიო ფინანსური კრიზისის შედეგად დატრიალებული მოვლენების გამო, უცხოელი ინვესტორების მხრიდან საქართველოში 2009 წელს მათი კაპიტალის რეინვესტირება არ განხორციელებულა (ჯამურად, ქვეყნის მასშტაბით). უფრო მეტიც, რეინვესტირებულმა კაპიტალმა უარყოფითი (მინუსი) ნიშნით - \$52 მლნ შეადგინა (იხ. დიაგრამა №2.8). საქართველოში მოღვაწე უცხოელმა ინვესტორებმა ქართული ეკონომიკის ნდობა მხოლოდ 2010 წელს დაიბრუნეს (\$227 მლნ). თუმცა 2012 (საარჩევნო) წელს მათ კვლავ, თავიანთი შემოსავლების „საკუთარ ჯიბეში“ გადატანა ამჯობინეს და რეინვესტირებულმა კაპიტალმა წინა წლის (2011 წ.) მაჩვენებლის მხოლოდ 41% შეადგინა (\$145 მლნ). 2013 წელს კი პოლიტიკური დუდილის ტემპერატურის კლებასთან ერთად, რეინვესტირებამ (პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მსგავსად) კვლავ ზრდის ტენდენცია აჩვენა (\$399 მლნ).


აღნიშნული ვითარება ნათლად მიუთითებს უცხოელი ინვესტორების სენსიტიურობაზე იმ ქვეყანაში განვითარებული მოვლენების მომართ, სადაც ისინი სახსრების დაბანდებით არიან დაინტერესებულნი. შესაბამისად, საქართველოს მთავრობამ უნდა გაითვალისწინოს, რომ პოლიტიკური სტაბილურობა (სხვა

მიმართულებით უკვე მიღწეულ გარკვეულ პროგრესთან ერთად) ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისათვის შანსის მიცემის უმთავრესი ქვაკუთხედილია.

საბოლოო, მესამე დასკვნა კი ასეთია: საქართველოში შემოდინებული ყოველწლიური პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დიდ ნაწილს სწორედ რეინვესტირებული კაპიტალი შეადგენს და ამაზე ყურადღებას ცოტა ვინმე თუ ამახვილებს. ცნობისათვის, 2013 წლის მონაცემებით, პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა \$1 მილიარდ დოლარს ოდნავ გადააჭარბა (იხ. დიაგრამა №2.9). თუმცა ძალიან ცოტა აღნიშნავს, რომ მოცემული რიცხვის დაახლოებით 40% (\$399 მლნ) არა პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, არამედ რეინვესტირებული კაპიტალია. შესაბამისად 2013 წელს რეალურად მოზიდული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა სებ-ისა და საქსტატის მიერ ნაჩვენები მონაცემების მხოლოდ 60%-ია.

დიაგრამა №2.9

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების და რეინვესტირება
საქართველოდან საზღვარგარეთ



წყარო: შედგენილია ავტორის მიერ, სებ-ის მონაცემებზე დაყრდნობით

მეორე მხრივ, საინტერესოა ქართველი რეზიდენტების მიერ საზღვარგარეთ განხორციელებული რეინვესტირების მაჩვენებლებიც (იხ. დიაგრამა №3.11). 2005 წელს, საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემებით, ქართულმა პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა უცხოეთის ბაზრების დატოვება დაიწყეს (\$90 მლნ - 2005 წელს), ეს


ტენდენცია 2006 წელსაც გაგრძელდა (\$16 მლნ) და მხოლოდ 2007 წელს განაახლეს ქართველმა ინვესტორებმა კვლავ საზღვარგარეთული ბაზრებისადმი ინტერესის გამოჩენა. ყველაფერი ეს დროში ზუსტად ემთხვევა საქართველოში განვითარებულ, როგორც დადებით, ასევე, უარყოფით ტენდენციებს.

სწორედ 2005-2006 წლებში გახლდათ საქართველო „ვარდების რევოლუციითა“ და მისი სიკეთებით „აჟიტირებული“. სწორედ ამ დროს დაინახეს, როგორც ადგილობრივმა, ასევე უცხოელმა ინვესტორებმა საქართველოს პოტენციალი და შეძლებისდაგვარად დაიწყეს ე.წ. „კაპიტალის თავდაპირველი დაგროვება“ (საუბარია 90 წლების შემდეგ, კაპიტალის თავდაპირველი დაგროვების - მეორე ტალღაზე). უცხოელებმა გაძლიერებულად დაიწყეს საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განხორციელება, ხოლო ქართველებმა - რამდენიმე წლით ადრე უცხოეთში დაბანდებული სახსრების საქართველოში ინვესტირება.

გრაფიკიდან ნათლად ჩანს, რომ 2008 წელს დაფიქსირდა როგორც პირდაპირი უცხოური ინვესტიციების, ასევე რეინვესტირებული კაპიტალის ერთობლივი ზრდა, რასაც 2009 წელს ორივეს უარყოფით მაჩვენებლამდე დაცემა მოჰყვა (წინა წელთან შედარებით, საქართველოში ვითარება გამოსწორებულია). ანალოგიური მოვლენა განმეორდა 2012 წელს, როდესაც წინა წელთან შედარებით მნიშვნელოვან ზრდას, 2013 წელს ორივე მაჩვენებლის ვარდნა მოჰყვა.

დიაგრამა №2.10

რეინვესტირებული კაპიტალი



წყარო: შედგენილია ავტორის მიერ, სეზ-ის მონაცემებზე დაყრდნობით

ზემოთქმულიდან გამომდინარე, კიდევ ერთხელ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ როგორც ქართველი, ასევე უცხოელი ინვესტორები დამოკიდებულნი არიან ქვეყნაში ჩამოყალიბებულ სტაბილურ თუ არასტაბილურ მდგომარეობაზე და სწორედ ეს მომენტი თამაშობს მნიშვნელოვან როლს, როგორც საქართველოს რეზიდენტების მიერ საზღვარგარეთ, ასევე უცხოელი რეზიდენტების მიერ საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მასშტაბების გამოვლენისას.

შეგადართო ქართველების მიერ საზღვარგარეთ და უცხოელების მიერ საქართველოში განხორციელებული რეინვესტირების მასშტაბები. სებ-ის სტატისტიკური მონაცემების თანახმად, 2000-2013 წლებში საქართველოში განხორციელებულმა რეინვესტირების მაჩვენებელმა \$1,5 მილიარდს მიაღწია და ის დაახლოებით 3-ჯერ აღემატება ქართველი ინვესტორების მიერ საზღვარგარეთ განხორციელებულ რეინვესტირების მაჩვენებელს (\$522 მლნ) (იხ. დიაგრამა №2.10).

საინტერესოა, რომ 2010 წლიდან რეინვესტირებული კაპიტალის დებეტი და კრედიტი (საქართველოს საგადასახდელო ბალანსის გადმოსახედიდან) აბსოლუტურად საწინააღმდეგო მიმართულებით მოძრაობენ. ერთის ზრდის დროს მეორე კლებულობს და - პირიქით. აღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ქართველი და უცხოელი ინვესტორები ერთნაირად აფასებენ საქართველოში მიმდინარე მოვლენებს.


მოცემული მასალის ანალიზიდან შეგვიძლია დავასკვნათ რომ, როგორც ადგილობრივი, ასევე, საერთაშორისო პოლიტიკური და ეკონომიკური კონიუნქტურის გავლენა ქართულ ეკონომიკაზე, მის გლობალიზაციაში აქტიურ ჩართულობაზე მიგვიჩვენებს და ცხადყოფს, რომ გლობალური საკითხები ხშირად განაპირობებენ ლოკალურს (მცირე ქვეყნების/ეკონომიკების შემთხვევაში), ისევე, როგორც, ლოკალური - გლობალურს (დიდი ქვეყნების/ეკონომიკების შემთხვევაში). შესაბამისად, საქართველოში შემოდინებული, თუ საქართველოდან გადინებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები პირდაპირ კავშირშია, როგორც ლოკალურ, ასევე გლობალურ საკითხებთან.

2.2. საქართველოში შემოდინებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ანალიზი ქვეყნების, რეგიონების და დარგების მიხედვით

1997-2013 წლებში საქართველოში შემოდინებულმა პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა - \$11,5 მილიარდს გაუტოლდა, რაც მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით \$2,555 შეადგენს. ერთ კონკრეტულ რეგიონზე გაანგარიშებით კი უდიდესი ინვესტორი, ჯამური პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 41%-ით ევროკავშირია (იხ. დიაგრამა №2.11).

დიაგრამა №2.11

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები რეგიონების მიხედვით, 1997-2013 წწ.




წყარო: სპეციალური დაკვეთით საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ევროკავშირის დომინირება სხვა დანარჩენ რეგიონებთან შედარებით, ნათლად ჩანს წლების მიხედვით დინამიკაშიც (იხ ცხრილი №2.12), კერძოდ 2000 წლიდან (გარდა 2002 წლისა) ევროკავშირი ყოველწლიურად ყველაზე მეტ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ახორციელებდა საქართველოში. სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, საქართველო მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ევროკავშირის წევრი ქვეყნებიდან შემოდინებულ პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებზე, რაც, ერთი მხრივ, საქართველოს დამოკიდებულებას, ხოლო, მეორე მხრივ, საქართველოსადმი ევროკავშირის წევრი

ქვეყნების დაინტერესებას გამოხატავს. ევროკავშირიდან ინვესტიციათა გრანდიოზული ზრდა კი მნიშვნელოვნად განაპირობა საქართველოს - „დემოკრატიის შუქურის“ იმიჯმა, რასაც ქვეყნის მიერ გამოცხადებული ლიბერალური პოლიტიკა, სხვადასხვა სფეროში რეალური წარმატებების მიღწევა და, რაც მთავარია, უპრეცედენტო პიარი ერთვოდა თან.

დიაგრამა №2.12

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები რეგიონების მიხედვით (1997-2013 წწ)




წყარო: სპეციალური დაკვეთით საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

აღსანიშნავია, რომ 1996 წელს უკრაინიდან პირველი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოპოვების შემდგომ, საქართველო მრავალი ქვეყნის დაინტერესების წყაროდ იქცა. განსაკუთრებული დაინტერესება 1997-2003 და 2010 წლებში ამერიკის შეერთებულმა შტატებმა გამოიჩინა (ინვესტიციური ნაკადების მოცულობიდან გამომდინარე). 2004-2006 წლებში პირველობა არავის დაუთმო გაერთიანებულმა სამეფომ. ბოლო წლების განმავლობაში კი სხვებზე მეტად საქართველოთი დაინტერესებას ნიდერლანდების სამეფო იჩენს (იხ. დიაგრამა №2.13). კერძოდ, უკრაინულმა პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა 1996 წელს, ჯამური პირდაპირი უცხოური ინვესტიციების - 100% შეადგინა (\$4 მლნ - \$4 მლნ-დან); აშშ 1999 წელს - 72% (\$59 მლნ - \$82 მლნ-დან); გაერთიანებული სამეფო 2005 წელს - 30% (\$133 მლნ -

\$450 მლნ-დან); არაბეთის გაერთიანებული საემიროები 2009 წელს - 25% (\$163 მლნ - \$658 მლნ-დან); ნიდერლანდები 2013 წელს - 20% (\$180 მლნ - \$914 მლნ-დან).

დიაგრამა №2.13

(ლიდერი) ქვეყნების წლის წილი მთლიან პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებში



წყარო: შედგენილია ავტორის მიერ საქსტატის მონაცემებზე დაყრდნობით

1997-2013 წლებში საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციები განმახორციელებელთა „საუკეთესო ხუთეულმა“ მთელი ინვესტიციების დაახლოებით - ის მობილიზება შეძლეს (\$5,1 მლრდ) და, რაც მთავარია, ისინი სხვადასხვა რეგიონიდან არიან წარმოდგენილნი (ჩრდილოეთ ამერიკა, ევროპა და აზია). „საუკეთესო ოცეულმა“ კი (საერთაშორისო ორგანიზაციების ჩათვლით) ჯამური პირდაპირი უცხოური ინვესტიციების - 89% (\$9,9 მლრდ) ინვესტიცია განახორციელეს. მაშინ, როდესაც დანარჩენმა 50 ქვეყანაზე მეტმა, ერთობლივად, სულ 11% (\$1,2 მლრდ) ინვესტიციის განხორციელება შეძლეს საქართველოს ეკონომიკაში. აგრეთვე აღსანიშნავია, რომ 2014 წლის მესამე კვარტლის ჩათვლით საუკეთესო ათეულის ქვეყნებმა ჯამში 8,3 მლრდ აშშ დოლარის ინვესტირება განახორციელეს (იხ. ცხრილი №2.3).

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში ქვეყნების მიხედვით
(1997-2014 წლის მესამე კვარტლის ჩათვლით)

№	ქვეყანა	პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (მლნ \$)
1	აშშ	1 297
2	ნიდერლანდები	1 287
3	გაერთიანებული სამეფო	1 202
4	თურქეთი	1 041
5	აზერბაიჯანი	934
6	არაბეთის გაერთიანებული ემირატები	673
7	ვირჯინის კ-ები (ბრიტ.)	545
8	რუსეთი	524
9	ჩეხეთი	422
10	გერმანია	373
	სულ	8 298

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური www.geostat.ge

საქსტატის მონაცემებით, საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ნაკადმა 1996 - 2013 წლებში სულ \$11,5 მილიარდი შეადგინა. აღსანიშნავია, რომ 2012 წლის მონაცემებით მესამე ადგილს არაბთა გაერთიანებული ემირატები იკავებდა. თუმცა, 2013 წელს აზერბაიჯანის მიერ განხორციელებული \$95 მილიონიანი ინვესტიციის „წყალობით“, ემირატების ადგილი აზერბაიჯანმა დაიკავა.

უფერული 90-იანების შემდეგ, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ახალი, გაძლიერებული ტალღა საქართველოს 2003 წელს „დაატყდა“ - \$340 მლნ-ის ოდენობით (მათ შორის: ევროკავშირიდან - \$95,7 მლნ; დსთ-ს ქვეყნებიდან - \$74 მლნ). 2004 წლიდან საქართველოში გატარებულმა რეფორმებმა თუ უბრალოდ პოზიტიურმა სიგნალებმა (კორუფციასთან ბრძოლა, ბაზრის ლიბერალიზაცია, პიარი ...)


ინვესტორებს უბიძგა, სერიოზულად დაინტერესებულიყვნენ ქართული ეკონომიკით და აქ დაებანდებინათ თავიანთი სახსრები. შედეგად, 2004 წელს პირდაპირი უცხოური ინვესტიციები 50%-ით გაიზარდა.

2009 წელს პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა 2008 წლის მაჩვენებლის მხოლოდ 42% შეადგინა, 2007 წელთან შედარებით კი 1/3-ზე ნაკლები, რაც სწორედ ომით და მსოფლიო ფინანსური კრიზისით შეიძლება აიხსნას. 2010 წელს 23%-იანი და 2011 წელს 37%-იანი ზრდის შემდეგ (წინა წლის მაჩვენებლებთან შედარებით), 2012 წელს პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ნაკადმა კვლავ იკლო და \$911,5 მლნ-ს გაუტოლდა (თითქმის 20%-იანი კლება), რასაც ქართველი და უცხოელი ექსპერტები დაძაბული ადგილობრივი არჩევნებითა და გაურკვეველი საგარეო პოლიტიკით ხსნიდნენ.

ჩვენი აზრით, რომ არა საქართველო-რუსეთის ომი და მსოფლიო ფინანსური კრიზისი, საქართველო მომდევნო წლებშიც შეინარჩუნებდა და, შესაძლებელია, გაეუმჯობესებინა კიდევ 2007 წლის მაჩვენებლები, რისი თქმის საფუძველსაც იძლევა 2008 წლის პირველ ნახევარში განხორციელებული ინვესტიციური ნაკადების (\$1,143 მლრდ) შედარება, კატაკლიზმებით დახუნძლულ მეორე ნახევართან (\$421 მლნ).

საქსტატის მიხედვით, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები სექტორული გადანაწილება 2007-2013 წლებში იყო შემდეგნაირი (სულ \$8 მლრდ): ტრანსპ./კავშირგაბ. - \$1,5 მლრდ; დამამუშავებელი მრეწველობა - \$1,2 მლრდ; ენერგეტიკა - \$ 1,3 მლრდ (იხ დიაგრამა №2.14).

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები სექტორების მიხედვით
(2007-2013 წწ) (პროცენტებში)



* ვაჭრობა; განათლება; კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურება;

** საფინანსო სექტორი 2009 წლიდან მოიცავს საბანკო, მიკროსაფინანსო და სადაზღვევო ორგანიზაციებში განხორციელებულ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მონაცემებსაც.


საინტერესოა, რომ საქართველოს მიერ პრიორიტეტად გამოცხადებულ სოფლის მეურნეობაში უცხოელი ინვესტორების მიერ დაბანდებული სახსრების მხოლოდ 1% მოდის, რაც სექტორის დაბალი რენტაბელობით აიხსნება. სამაგიეროდ, საკმაოდ მნიშვნელოვანი წილი ენერჯეტიკის სფეროზე მოდის (16%), რომელიც ასევე ერთ-ერთი პრიორიტეტია ქვეყანაში. უცხოელი ინვესტორები აგრეთვე მნიშვნელოვან სახსრებს აბანდებენ ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობაში, რაც ასევე პოზიტიური მომენტია ქვეყნის საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესების კუთხით.

რაც შეეხება პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დინამიკას სხვადასხვა სექტორებში, აღსანიშნავია, რომ წლიდან წლამდე, არცერთი მათგანი არ ხასიათდება სტაბილურობით. მაგ.: ენერჯეტიკა 2007-2010 წლებში კლების, 2011-ში - მატების, 2012-ში კვლავ კლების, ხოლო 2013-ში კი ისევ მატების ტენდენციით ხასიათდებოდა. მსგავსი ვითარებაა დანარჩენ დარგებშიც. 2011 წელს ინვესტორები უფრო მეტად ენერჯეტიკითა და უძრავი ქონებით ინტერესდებოდნენ, მაშინ როდესაც: ა)

დამამუშავებელ მრეწველობასა და ბ) ტრანსპორსა და კავშირგაბმულობაში ინვესტიციურმა ნაკადებმა, წინა წელთან შედარებით, იკლო. 2012 წელს ქვეყანაში არსებული დაძაბული პოლიტიკური მოვლენების ფონზე მთლიანად ინვესტიციებმა (მათ შორის: ენერგეტიკაში; უძრავ ქონებაში და სხვ.) კვლავ იკლო (იხ. დიაგრამა №3.15).

დიაგრამა №2.15

შემომავალი პირდაპირი უცხოური ინვესტიციები დარგების მიხედვით




წყარო: სპეციალური დაკვეთით საქსტატი

იმისათვის, რომ უკეთ გავერკვეთ საქართველოს საინვესტიციო გარემოში და იმ გარემოებაში, თუ რომელი ქვეყნები ინტერესდებიან საქართველოში ყველაზე მეტად, განვიხილოთ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაკადები ქვეყნების, რეგიონების და საერთაშორისო ორგანიზაციების ჭრილში.

ა) ევროკავშირი

ევროკავშირის მიერ განხორციელებული ინვესტიციების ოდენობა რეგიონების ჭრილში ყველაზე დიდ მაჩვენებელს იძლევა (იხ. დიაგრამა №2.16). განსაკუთრებით მაღალი იყო ევროკავშირის პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოს ეკონომიკაში 2007 წელს - \$1,132 მლრდ, რასაც 2008 წელს მისი თითქმის - 2,5-ჯერ შემცირება მოჰყვა (საქართველოში არასტაბილური ვითარებისა და მსოფლიო ფინანსური კრიზისის შედეგად).

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ევროკავშირის წევრი ქვეყნებიდან საქართველოში (1997-2013 წწ)



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური www.geostat.ge

აღსანიშნავია, რომ ევროკავშირის დღევანდელი 28 ქვეყნიდან, თითქმის ყველას (26-ს) აქვს განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოს ეკონომიკაში, გამონაკლისს მხოლოდ ხორვატია და სლოვენია წარმოადგენენ (იხ. ცხრილი №2.4)

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ევროკავშირიდან (1997-2012 წწ)

№	ქვეყანა	პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა (ათასი)
1	ავსტრია	\$ 248 930,800
2	ბელგია	\$ 897,400
3	ბულგარეთი	\$ 7 650,600
4	კვიპროსი	\$ 397 333,700
5	ჩეხეთი	\$ 404 144,400
6	დანია	\$ 304 498,600

7	ესტონეთი	\$ 6 107,500
8	ფინეთი	\$ 3 612
9	საფრანგეთი	\$ 184 108,300
10	გერმანია	\$ 358 021,500
11	საბერძნეთი	\$ 37 035,100
12	უნგრეთი	\$ 2 631,600
13	ირლანდია	\$ 15 679,100
14	იტალია	\$ 161 736,600
15	ლატვია	\$ 4 789,500
16	ლიტვა	\$ 8 380,300
17	ლუქსემბურგი	\$ 118 526,700
18	მალტა	\$ 55 158,300
19	ნიდერლანდები	\$ 843 228,200
20	პოლონეთი	\$ 9 569,200
21	პორტუგალია	\$ 340,600
22	რუმინეთი	\$ 5 460,700
23	სლოვაკეთი	\$ 3 738,500
24	ესპანეთი	\$ 10 265,500
25	შვედეთი	\$ -3 662,100
26	გაერთიანებული სამეფო	\$ 1 106 806,500
	სულ	\$ 4 294 989

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური www.geostat.ge

ზემოთ მოცემული ცხრილიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ევროკავშირის მიერ განხორციელებული ინვესტიციების ოდენობა ერთობლიობაში ყველაზე დიდ მაჩვენებელს წარმოადგენს ერთ კონკრეტულ რეგიონზე. შესაბამისად, ევროკავშირში მიმდინარე გარკვეული რყევები ნეგატიურად აისახება საქართველოს

საინვესტიციო სურათზე. ასე მაგალითად, საბარძნეთში განვითარებული კრიზისი, რომელმაც ევროკავშირის გარკვეული ხარვეზები გამოავლინა, ჩვენი აზრით, ის ერთ-ერთი სერიოზული შემაფერხებელი მიზეზი იყო, რომელმაც ამ რეგიონიდან ბოლო წლებში ინვესტიციური ნაკადების შემცირება განაპირობა.


აგრეთვე აღსანიშნავია, რომ ევროკავშირი, როგორც ცალკე აღებული რეგიონი, თითქმის ყველა წლის მიხედვით ლიდერია საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განხორციელების კუთხით და ეს არცაა გასაკვირი, რადგანაც ის მაღალგანვითარებული და ფინანსურად ძლიერი „მეზობელი“ საქართველოსთვის.

საუკეთესო სამეული ევროკავშირიდან

ევროკავშირის წევრი ქვეყნების მიერ 1997-2012 წლებში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა \$4,294 მილიარდს აღემატება. მათ შორის, ყველაზე დიდი ფინანსური შემოდინება დიდი ბრიტანეთიდან ფიქსირდება - 1 მლრდ აშშ დოლარზე მეტი; მას მოსდევს ნიდერლანდები - \$800 მილიონზე მეტი ინვესტიციით; მესამე ადგილს კი ჩეხეთი იკავებს - \$400 მილიონზე მეტი პირდაპირი უცხოური ინვესტიციებით (წლების მიხედვით იხილეთ გრაფიკი №2.17).

დიაგრამა №2.17

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ქვეყნების მიხედვით (მლნ \$)



წყარო: საქსტატი

სამივე ევროპულ ინვესტორს, ჯამში 2,2 მლრდ აშშ დოლარზე მეტი პირდაპირი უცხოური ინვესტიციები აქვთ განხორციელებული, რაც 1997-2012 წლების მთლიანი საინვესტიციო ნაკადების 1/5-ს მეტს აღემატება.

1) გაერთიანებული სამეფო

ზემოთ მოცემულ სამ ქვეყანას შორის, პირველმა გაერთიანებულმა სამეფომ განახორციელა საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციები. 1997 წელს დიდი ბრიტანეთიდან განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ იმ დროისთვის საკმაოდ დიდი თანხა - თითქმის 25 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. ამ მაჩვენებლით დიდი ბრიტანეთი 1997 წელს მხოლოდ აშშ-სა (\$97 მლნ) და ავსტრალიას ჩამორჩა (\$27 მლნ) და რიგით მესამე უმსხვილესი ინვესტორი გახდა საქართველოში. აგრეთვე აღსანიშნავია, რომ მოცემულ წელს პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა საქართველოში სულ \$242 მილიონი შეადგინა.

გაერთიანებული სამეფოს დაინტერესება საქართველოს ეკონომიკის მრავალ სექტორში ვლინდება, განსაკუთრებით კი (1997-2012 წწ): საფინანსო (\$80 მლნ-ზე მეტი), სასტუმროები და რესტორნების (\$32 მლნ) და ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის ბიზნესებში (\$36 მლნ). გაერთიანებული სამეფოსათვის საქართველოს ეკონომიკაში ყველაზე ნაკლებ საინტერესო სფეროები გახლავთ: ენერჯეტიკა (\$70.5 ათასი) და კონსულტირება (\$0.5 მლნ) (იხ დანართი №14). ხოლო კომპანიები (მათი ნაწილი), რომლებშიც გაერთიანებული სამეფოს ინვესტორები აბანდებენ სახსრებს (2009 წელს – 43 კომპანია; 2010 წელს – 49; 2011 წელს – 64; 2012 წელს – 85), გახლავთ შემდეგი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებები: კავკასუს ონლაინი; ტავ ურბან საქართველო; ელ&სა; კანარგო - ჯორჯია; საქართველოს ლატარიის კომპანია; მოტოროლა ლიმიტედის წარმომადგენლობა საქართველოში; ბრიტიშ ამერიქან ტობაკო ჯორჯია ლიმიტედის; ჯი ემ თი სასტუმროები; ევორდი; კანარგო - ჯორჯია; ტელეკომპანია მზე; იორის ველის ნავთობი და გაზი; ეარ ბიპი ჯორჯია, აგრეთვე, სააქციო საზოგადოებები: ხიდმშენი; ქართული შაქარი და სხვა.

2) ჰოლანდია

რიგით მეორე ინვესტორი - ჰოლანდია, საქართველოში პირველად 2000 წელს გამოჩნდა და მისმა პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა ჩვენს ქვეყანაში მოკრძალებული - 4,5 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. საინტერესოა, რომ ნიდერლანდების აქტიურობა საქართველოში არასტაბილურ ხასიათს ატარებს: პირველ ორ წელიწადში აქტიურობის შემდეგ, მომდევნო სამი წელი პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ნიდერლანდებიდან საქართველოში საერთოდ არ განხორციელებულა და მხოლოდ 2005 წელს (ვარდების რევოლუციიდან 2 წლის შემდგომ), მათ საქართველოში დაინტერესება ისევ გამოიჩინეს (\$0.5 მლნ). 2006 წლიდან კი ინვესტიციებმა უკვე არა სიმბოლური, არამედ სოლიდური სახე მიიღო და 2007 წელს ინვესტიციების მოცულობით ნიდერლანდები №1 ინვესტორი გახდა საქართველოში, ისევე როგორც 2011 წელსაც.

ნიდერლანდების დაინტერესების სფერო საქართველოს ეკონომიკაში საკმაოდ დივერსიფიცირებულია და მრავალ სფეროს მოიცავს. განსაკუთრებულ ყურადღებას კი იმსახურებენ: ენერჯეტიკა - \$128 მლნ; ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა - \$143 მლნ; საფინანსო სექტორი - \$65 მლნ; დანარჩენი სექტორები (განათლება; კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურება) - \$46 მლნ; მცირეა ნიდერლანდების დაინტერესება: სოფლის მეურნეობის (\$1 მლნ); ჯანდაცვის (\$1,9 მლნ); მშენებლობის (\$2,4 მლნ) და სხვა სფეროებით (იხ. დანართი №15).

ჰოლანდიელი ინვესტორების დაინტერესების სფერო გახლავთ (2009 წელს – 38 კომპანია; 2010 წელს – 50; 2011 წელს – 66; 2012 წელს – 88) შემდეგი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებები: ჯეოსელი; შავი ზღვის ტერმინალი; ლუკოილ-ჯორჯია; ქართული ცემენტი; რომპეტროლ საქართველო; მტკვარი ენერჯეტიკა; ლოლდ; ჯეოსთილი; აჭარისწყალი ჯორჯია; აიდიეს ბორჯომი ბევერიჯიზ კომპანის საქართველოს ფილიალი; ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია; კრაფტ ფუდს საქართველო; ირაო; ერნსტ ენდ იანგი; რუსთავის ფოლადი და სხვ. აგრეთვე, სააქციო საზოგადოებები: ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია; გაერთიანებული ტელეკომი; თელასი; ლომისი; ელმავალმშენებელი; ხრამჭესი-2; სასტუმრო მედეა; მადნეული და მრავალი სხვ.

3) ჩეხეთი

1997-2012 წლების მიხედვით, რიგით მესამე ინვესტორი - ჩეხეთი კი სულ ახლახან, 2003 წელს გამოჩნდა ქართულ საინვესტიციო ჰორიზონტზე და ბოლო წლების განმავლობაში სტაბილურად იღებს მონაწილეობას საინვესტიციო პროექტების განხორციელებაში. აღსანიშნავია, რომ საკმაოდ მცირეოდენი ინვესტიციების განხორციელების შემდეგ, 2007 წელს ჩეხეთი ერთბაშად 227 მლნ აშშ დოლარზე მეტი ინვესტიციით შემოვიდა ქართულ ეკონომიკაში (შედარებისათვის, დსთ - \$238 მლნ) და ამ მაჩვენებლით მხოლოდ ნიდერლანდების სამეფოს ჩამორჩა.

ჩეხეთიდან განხორციელებული ინვესტიციები ძირითადად ჰიდროენერგეტიკას უკავშირდება. ყველაზე დიდი ინვესტიცია ამ სფეროში 2011 წელს განახორციელეს - \$45 მლნ (სულ - \$77 მლნ) (იხ დანართი №16). თუმცა აღსანიშნავია, რომ კომპანია, რომელიც ამ ინვესტიციებს ახორციელებს - („ენერგო პრო ჯორჯია“. იგი აკონტროლებს ქართული ბაზრის 61%-ს), საკმაოდ არასანდო რეპუტაციითაა ცნობილი, როგორც საქართველოში, ასევე - საზღვარგარეთ (ნეტგაზეთი, „ენერგო პროს“ ექსპანსიის პოლიტიკა).

2006 წლის 16 ივნისს, საქართველოს მთავრობამ პრემიერ ნოლაიდელის მეშვეობით განაცხადა, რომ „ენერგო პრო ჯორჯიამ“ გაიმარჯვა ენერგეტიკულ ტენდერში და \$312 მილიონად შეიძინა 2 სადისტრიბუციო კომპანია (საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო კომპანია - \$85 მლნ და აჭარის ენერგოკომპანია - \$30 მლნ) და 6 ჰესი (ძვერულჰესი - \$20 მლნ; ლაჯანურჰესი - \$66 მლნ; გუმათჰესი - \$45 მლნ; შაორჰესი - \$16 მლნ; რიონჰესი - \$44 მლნ), დამატებით მას ტარიფების გაორმაგების უფლებაც მიენიჭა (მაგ.: ძვერულჰესსა და აწქესში ტარიფი 3,85 თეთრი/კვტსთ-ია, მაშინ, როცა „ჟინვალჰესში“ - 1,83 თეთრი, „ზაჰესში“ - 1,42). თუმცა რამდენიმე თვის შემდგომ, საქართველოს მთავრობამ საპრივატიზაციო პირობა შეცვალა და ზემოთხაზოვლილი ობიექტების ფასი \$312 მლნ-ის ნაცვლად 132 მლნ გახდა (დეტალური დათვლების შედეგად გამოვლენილი მოძველებული და გაუმართავი ინფრასტრუქტურის გამო?!). თავად კონტრაქტის პირობები უცნობია. საჯარო პირობა კი 2013 წლამდე, \$120 მლნ ინვესტიციის და 100 მეგავატიანი

ელექტროსადგურის მშენებლობის შესახებ, ჯერ-ჯერობით განუხორციელებელია („ენერგო პროს ჯორჯია“-ს ცნობით, პროექტი გაყინულია).


როგორც ენერგეტიკის სამინისტროს დოკუმენტებიდან ირკვევა, (ნეტგაზეთის მონაცემებზე დაყრდნობით), 2008-2012 წლებში „ენერგო პრო ჯორჯიასთან“ საქართველოს მთავრობამ 13 ხელშეკრულება გააფორმა, საიდანაც 12 შემთხვევაში ენერგოკომპანიას სიმბოლურ ფასად - \$1000 გადაეცა სხვადასხვა სახის ქონება: გორში, კასპში, ქარელში, მცხეთაში, ლანჩხუთსა და გარდაბანში (30-ზე მეტი მიწის ნაკვეთი და ელექტროგადამცემი ხაზები); ქუთაისში - სხვადასხვა მისამართზე, 23 ათასი კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები და მასზე დამაგრებული შენობა-ნაგებობები, ფოთში, ჭავჭავაძის ქუჩაზე - 9 980 მ² მიწის ნაკვეთი.

ჩეხური ინვესტიციები აგრეთვე განხორციელდა (2009 წელს – 4 კომპანია; 2010 წელს – 6; 2011 წელს – 8; 2012 წელს – 12) ისეთ ორგანიზაციებში როგორცაა: ბლოკ-ჯორჯია; ჩეხური ლუდის ბარი ბუდვაიზერი; სკაი სერვისი; ჯინო-პარკი; როსს ჰოლდინგ საქართველო; შ როუპ; მწიგნობართუხუცესი და სხვ.

ბ) დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა (დსთ)

ინვესტიციების მოზიდვის კუთხით, აგრეთვე საინტერესოა დსთ-ის მაგალითიც (საქართველომ დსთ 2009 წელს დატოვა). მიუხედავად იმისა, რომ დსთ-ს ქვეყნები არ გამოირჩევიან განსაკუთრებული ეკონომიკური განვითარებითა და შესაძლებლობებით, ამ ქვეყანათა ჯგუფმა 1996-2012 წლებში საკმაოდ დიდი ინვესტიცია - \$1,35 მლრდ განახორციელა.

შემომავალი პირდაპირი უცხოური ინვესტიციები 1996-2012 წლებში,
 “დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის” რეგიონიდან (მლნ \$)



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური www.geostat.ge

მიუხედავად 1996-2012 წლების საკმაოდ შთამბეჭდავი ინვესტიციისა, უნდა აღინიშნოს, რომ დსთ-ს ქვეყნები არასტაბილურობით გამოირჩეოდნენ მთელი ამ ხნის განმავლობაში საქართველოს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ბაზარზე. მაგ.: 2006 წელს განხორციელებული - \$266 მლნ ინვესტიციის შემდგომ, 2009 წელს ინვესტიციათა მაქსიმალური გადინება დაფიქსირდა (იხ. დიაგრამა №2.18).

ცნობისათვის, ყველაზე მცირე ოდენობით პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოს ეკონომიკაში თურქმენეთს აქვს განხორციელებული - \$7,1 ათასი, რომელიც მან 2012 წელს შემდეგ სექტორებში განახორციელა: 1. სამთომომპოვებელ - \$3,6 ათასი და 2. ვაჭრობა, კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურება - \$3,5 ათასი.

ცხრილი №2.5

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების იმპორტი დსთ-ს ქვეყნებიდან (1996-2012 წწ)

დსთ-ის ქვეყნები	პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (ათასი \$)
აზერბაიჯანი	619 548,300
სომხეთი	-46 347,200


ბელარუსი	-265,500
ყაზახეთი	263 767,300
ყირგიზეთი	21 768,800
მოლდოვა	-146,600
რუსეთი	470 795,600
თურქმენეთი	7,100
უკრაინა	27 512,400
უზბეკეთი	-73,500
სულ	4 294,989

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური www.geostat.ge

აღსანიშნავია, რომ დსთ-ს წევრი 11 ქვეყნიდან, ტაჯიკეთის გარდა, ყველა დანარჩენმა განახორციელა საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების (იხ. ცხრილი №2.5). უფრო დეტალურად განვიხილოთ რამდენიმე მათგანი (აზერბაიჯანი, რუსეთ, უკრაინა - იხ. დიაგრამა №2.19).

ცხრილი №2.19

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების წლების მიხედვით (მლნ \$)



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური www.geostat.ge

1. უკრაინა

საერთო ჯამში, უკრაინიდან შემოსული ფინანსური სახსრები, არც ისე დიდია - \$27,5 მლნ. თუმცა აღსანიშნავია, რომ საქსტატის თანახმად, პირველი, ოფიციალურად აღრიცხული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში - უკრაინამ 1996 წელს პირველმა განახორციელა და მისი მოცულობა 3,753,5 ათას აშშ დოლარს შეადგენდა.

უკრაინის დაინტერესება საქართველოში მრავალ სექტორს მოიცავს, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მნიშვნელოვანი ფინანსური მახვენებლებით არცერთი სექტორი არ გამოირჩევა: სოფლის მეურნეობა და თევზჭერა, აგრეთვე მშენებლობა - თითო მილიონი აშშ დოლარი; დამამუშავებელი მრეწველობა - \$1,6 მლნ; ხოლო საფინანსო სექტორიდან კი 2010-2012 წლებში დაახლოებით - \$0.5 მილიონი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების უკუგადინება მოხდა (იხ. დანართი №1).

ხოლო იმ კომპანიების ნაწილი, რომლებშიც უკრაინელი ინვესტორები სახსრებს აბანდებენ (2009 – 11 კომპანია; 2010 წელს – 21; 2011 წელს – 35; 2012 წელს – 68) გახლავთ შემდეგი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებები: ტელ ინდასტრი ჯორჯია; ტავრიდა ელექტრიკ საქართველო; კავკას ექსპორტ-იმპორტი; უკრაინის სამთო მეტალურგიული კომპანია-საქართველო; ინტერნეიშენალ ტრანს ენერჯი კომპანი; მეგობრების მარანი; მეგობრობის შუქი; აჭარული ღვინის სახლი; კავკას ექსპორტ-იმპორტი; ჯეოფერომეტალი; ლაკი გრუპ და სხვ.

2. აზერბაიჯანი.

რეალური ლიდერი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განხორციელების კუთხით დსთ-ს ქვეყნებიდან (1997-2012 წწ) გახლავთ აზერბაიჯანი, რომელმაც საქართველოს ეკონომიკაში 600 მლნ აშშ დოლარზე მეტი თანხა შემოიტანა.

აღსანიშნავია რომ, 1997 და 1998 წლებში განხორციელებული \$25 მილიონიანი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემდგომ აზერბაიჯანს მომდევნო 4 წლის განმავლობაში საერთოდ არ უაქტიურია. 2003 წელს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების კვლავ განახლდა და 2007-2008, აგრეთვე საქართველოსთვის მძიმე - 2012 (საარჩევნო) წელს თუ არ ჩავთვლით, ინვესტიციები წლიდან წლამდე ზრდის ტენდენციით ხასიათდებოდა.

რაც შეეხება აზერბაიჯანის მიერ საქართველოში განხორციელებულ ინვესტიციებს, მათი უდიდესი ნაწილი ენერგეტიკის სფეროზე მოდის, სწორედ იმ დარგზე, რომელშიც აზერბაიჯანი რეგიონში ლიდერია და რომლის ექსპორტირებას დღევანდელ რეალობაში, გეოპოლიტიკური სურათიდან გამომდინარე, ის საქართველოს გარეშე ვერ შეძლებს. ყველაზე თვალსაჩინო მაგალითი აზერბაიჯანული ინვესტიციისა გახლავთ - სოკარ ენერჯი პეტროლეუმ ჯორჯია, რომელმაც ბოლო წლებია საქართველოში განსაკუთრებულად მოიკიდა ფეხი.

უკრაინისაგან განსხვავებით, აზერბაიჯანიდან სხვადასხვა სექტორში დიდი ოდენობის პირდაპირი უცხოური ინვესტიციები შემოედინება. კერძოდ: კონსულტირება (\$130 მლნ) და ენერგეტიკა (\$62 მლნ), ჯამში თითქმის \$200 მილიონს შეადგენს, რაც არაა გასაკვირი აზერბაიჯანის ენერჯო რესურსებიდან და საქართველოში მათი შესაბამისი დაინტერესებიდან გამომდინარე, აღსანიშნავია, რომ 2012 წელს აზერბაიჯანული სახსრები დატოვა საქართველოს სამშენებლო ბიზნესმა - \$31 მლნ და სამთომომპოვებელმა მრეწველობამ - \$6 მლნ (იხ. დანართი №2).

ხოლო კომპანიები (მათი ნაწილი), რომლებშიც აზერბაიჯანელი ინვესტორები აბანდებენ სახსრებს (2009 – 27 კომპანია; 2010 წელს – 55; 2011 წელს – 77; 2012 წელს – 145), გახლავთ შემდეგი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებები: სოკარ ენერჯი ჯორჯია; მედიქლაბ ჯორჯია; კასპიის საინსპექციო კომპანია; კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი; სპორტ-კომპლექსი საგურამო; მაგნუმ-გრუპ; სოკარ გაზ ექსპორტ-იმპორტი; ემბავუდ ჯორჯია; მედიქლაბ ჯორჯია; ეიჩ-ბი ჯორჯია; სილქ ვეი ჯორჯია; ავიაკომპანია გლობალ აირ; აგრო გორი; კავკაზ კაბელი.

3. რუსეთი

ძალიან საინტერესო მაგალითია რუსეთი, საიდანაც პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა 1997-2012 წლებში \$470 მლნ-ს გადააჭარბა. აღსანიშნავია, რომ საკმაოდ არასტაბილური ქართულ-რუსული ურთიერთობის ფონზე პირდაპირ უცხოური ინვესტიციებს არასდროს არ ჰქონია გაწყვეტის ან/და გადინების მომენტი. უკიდურესად დაძაბულ 2008-2009 წლებშიც კი რუსეთიდან შემომავალი პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საკაოდ სოლიდურ თანხას შეადგენდა (სავარაუდოდ რუსეთში ემიგრირებული ქართველების მიერ განხორციელებული ინვესტიციების წყალობით).

ყველაზე დიდი ნაკადი კი 2007 წელს, ქართულ-რუსულ ომამდე 1 წლით ადრე დაფიქსირდა და თითქმის 90 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

აღსანიშნავია, რომ რუსეთიდან განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საკმაოდ დივერსიფიცირებულია და მრავალ დარგს მოიცავს: სატელეკომუნიკაციო (ბილანი), საბანკო (გეტე-ბე ბანკი), ენერგეტიკის (თელასი, ლუკოილი), ენერგეტიკა (თელასი) და სხვ. რუსი ინვესტორები აგრეთვე, ინტერესდებიან ისეთი კომპანიებით, როგორცაა: ქინძმარაულის მარანი; ირაო+; ენისელის ღვინოები; ასკანელი ძმები; წინანდლის ღვინის მარანი; კახეთის ღვინის სახლი; რეტროკლუბი ტრიუმფი; ავეჯის სახლი სანკტ-პეტერბურგი; მობიტელი; ენერჯი-ინვესტი; სახალხო აფთიაქი; ფოთის გემთსაშენი; ხვანჭკარა; ჩენი სოფელი; სასტუმრო ამბასადორი; ბათუმი ინტურისტი; კახეთის ღვინის სახლი; ვიმ ბილ დან საქართველო. აგრეთვე, სს გლობალ-ერთი; თელასი; საქრუსენერგო და სხვ (სულ 2009 წელს – 62 კომპანია; 2010 – 73; 2011 – 105; 2012 – 157). რუსი ინვესტორების ქართული ღვინის კომპანიებით დაინტერესება (საქართველოსთვის რუსული ემბარგოს მოხსნამდე), გარკვეულწილად მიუთითებდა, რომ რუსული ბაზრის გახსნა ქართული ღვინისთვის რუსი მეღვინეებისთვის მეტ დაინტერესებას წარმოადგენდა, ვიდრე ქართველებისა, რაც, თავის მხრივ, ამ ბაზრის ახლო მომავალში გახსნას მოასწავებდა.

მთლიანობაში კი რუსული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დაინტერესება საქართველოში პრაქტიკულად ყველა სფეროში გამოიხატება. მათ შორის, ბოლო წლებში განსაკუთრებით გამოირჩევა: ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა - \$78 მლნ; საფინანსო სექტორი - \$22 მლნ; ვაჭრობა; კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურება - \$14 მლნ. რაც შეეხება ენერგეტიკასა და საფინანსო სექტორის 2012 წლის მონაცემებს, რუსული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების უკუგადინება დაფიქსირდა (სულ \$5,5 მლნ) (იხ. დანართი №3).


გ) ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკა

ინვესტიციები ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკიდან საკმაოდ მნიშვნელოვანია და თითქმის \$1,5 მილიარდს უდრის. აგრეთვე აღსანიშნავია, რომ მოცემული რეგიონის 9 ქვეყნიდან 8 ჩრდილოეთ (და ცენტრალური) ამერიკის და მხოლოდ 1 (არგენტინა) სამხრეთ-ამერიკის კონტინენტის წარმომადგენელია.

ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკის რეგიონიდან წამოსული ინვესტიციები საკმაოდ ცვალებადი ხასიათისაა. მას ახასიათებდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების, როგორც \$15 მილიონიდან \$195 მილიონამდე ზრდა 2005-2006 წლებში, ასევე, \$144 მილიონიდან \$96 მილიონამდე ვარდნაც, 2008-2009 წლებში (იხ. დიაგრამა №2.20).

დიაგრამა №2.20

შემომავალი პირდაპირი უცხოური ინვესტიციები. ჩრ. და სა. ამერიკიდან (\$ მლნ)



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური www.geostat.ge

ამ რეგიონიდან წამოსული ინვესტიციების ღირებულება წელიწადში აშშ-ს ეკუთვნის (80 პროცენტზე მეტი). მას მოსდევს ისეთი პატარა სახელმწიფოები როგორებიცაა: ვირჯინიის კუნძულები, ბელიზი, კაიმანის კუნძულები და სხვ (იხ. ცხრილი №2.6).

ცხრილი №2.6

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ჩრდ. და სამხრეთ ამერიკიდან

ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკა	პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (ათასი \$)
აშშ	1 226 617,1
ვირჯინიის კ-ები (ბრიტ.)	607 946,7
პანამა	114 550,8

ბელიზი	88 372,4
კაიმანის კ-ბი	48 114,9
კანადა	11 045,6
ბაჰამები	168,5
არგენტინა	144,0
სენტკიტს-ნევისი	-9 586,0
სულ	\$ 2 087 374,1


წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური www.geostat.ge

საინტერესოა, რომ სამხრეთ ამერიკის კონტინენტიდან არცერთ ქვეყანას, გარდა არგენტინისა, საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციები არ განუხორციელებია. სამწუხაროდ, არგენტინის მაგალითიც უმნიშვნელოა, რადგანაც მას მხოლოდ 144 ათასი აშშ დოლარის ინვესტიცია აქვს განხორციელებული: 2005 წელს - \$93,100; 2006 წელს - \$100.500; 2007 წელს - \$40.600 და 2008 წელს კი -90.2 ათასი. 2009 წლიდან კი - 0.

ამერიკის შეერთებული შტატები

1997-2012 წლებში ყველაზე მეტი (თითქმის იმდენივე, რაც მთლიანი დსთ-ს ქვეყნებიდან შემოსული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები) პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განმახორციელებელი ქვეყანა საქართველოსთვის, მის სტრატეგიულ პარტნიორად წოდებული აშშ იყო - (\$1,2 მლრდ) (წლების მიხედვით იხ. დიაგრამა №2.21)

შემომავალი პირდაპირი უცხოური ინვესტიციები აშშ-დან (მლნ \$)



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური www.geostat.ge

ამერიკელი ინვესტორები საქართველოში თავისი მნიშვნელოვანი საინვესტიციო ნაკადების ფარგლებში, პრაქტიკულად ყველა სფეროთი იყვნენ დაინტერესებულნი, გამონაკლისი არც ბოლო (2010-2012) წლები ყოფილა. ისეთი სექტორები, როგორებიცაა:

1. განათლება; კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურება - \$60 მლნ;
2. სამთომოპოვებითი მრეწველობა - \$27 მლნ;
3. საფინანსო სექტორი - \$22 მლნ;

- განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა (იხ. დანართი №7).

ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობაში 2010 წელს აშშ ინვესტორების მიერ განხორციელებული მნიშვნელოვანი ოდენობის პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (\$111 მლნ) მომდევნო წლებში თითქმის მთლიანად უკან იქნა გატანილი (2011 წელს - \$66 მლნ; 2012 წელს -\$26,5 მლნ). ისევე როგორც, 2010 წელს სასტუმროებისა და რესტორნების ბიზნესში დაბანდებული - \$0.6 მლნ (2011 წელს -\$0.18 მლნ; 2012 წელს - \$0.46 მლნ). მცირეა აშშ ინვესტორების დაინტერესება საქართველოს სოფლის მეურნეობითაც, 2011 და 2012 წლებში ამ სექტორიდან -\$231,9 ათასი აშშ დოლარის უკუგადინება დაფიქსირდა.

აშშ-ს ინვესტიციები მომდევნო წლებშიც მნიშვნელოვანი იყო საქართველოს ეკონომიკისთვის. მთლიანობაში 1997 წლიდან 2003 წლამდე და შემდგომ 2010 წელსაც,

აშშ გახლდათ რიგით პირველი ინვესტორი საქართველოში, რომელმაც ამ წლებში ქვეყანაში შემოდინებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 1/3 მოიცვა (მთლიანი ინვესტიციები - \$2 153 125,600; აგრეთვე აღსანიშნავია, რომ 2009 წელს, ქართულ - რუსული ომის მომდევნო წელს, პირველად თავის ისტორიაში საქართველოში აშშ ინვესტიციების გადინება დაფიქსირდა, რომელიც 10 მლნ აშშ დოლარს გაუტოლდა.


ამერიკელი ინვესტორები საქართველოში შემდეგი კომპანიებით არიან დაინტერესებულნი: იტერა-საქართველო; დარიალი ენერჯი; კაუკაზუს ენერჯი ენდ ინფრასტრუქტა; მაგთიკომი; იოლი სუპერმარკეტი; ვესტ ინვესტი; ალმა პლიუსი; ჩირუხ-სანალიას ჰესი; ბათუმიტექსი; გრეკო ცენტრი; ხოხბის ცრემლები; სასტუმროების ქსელი რჩეული; ფოთის ლოჯისტიკური პარკი; ავტო რენტ ჯორჯია; ვერე პალასი; გამა; საქართველოს ტელეკომი; ტრანსფორდი; ველაჯიო და სხვ.

დ) აფრიკა

ერთადერთი მნიშვნელოვანი ინვესტიცია მოცემული რეგიონიდან 2009 წელს განხორციელდა - \$57 მლნ (იხ. დიაგრამა №2.22). 2002 წლიდან 2006 წლამდე კი აფრიკიდან პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საერთოდ არ განხორციელებულა.

დიაგრამა №2.22

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში, აფრიკის რეგიონიდან (\$ მლნ)



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური www.geostat.ge

აფრიკის კონტინენტის პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოს ეკონომიკაში მხოლოდ 3 ქვეყნით არის წარმოდგენილი, რომელთა მთლიანმა ინვესტიციებმა \$121.5 მლნ შეადგინა (იხ. ჩხრილი №2.7).

ცხრილი №2.7

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების იმპორტი აფრიკიდან (სულ), ქვეყნების მიხედვით

აფრიკა	პირდაპირი უცხოური ინვესტიციები
სეიშელები	33 386,6
ლიბია	2 613,3
ეგვიპტე	85 538,1
სულ	121 568

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური www.geostat.ge

ეგვიპტემ თავისი პირველი პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოს ეკონომიკაში 2009 წელს განათავსა - \$55,7 მლნ ოდენობით; 2010 წელს ინვესტიციებმა გაცილებით ნაკლები, თუმცა საქართველოს ეკონომიკისთვის საკმაოდ მნიშვნელოვანი - \$18 მლნ შეადგინა, რომელსაც 2011 წელს თითქმის \$12 მილიონიანი ინვესტიცია მოჰყვა, ხოლო 2012 წელს კი ეგვიპტური პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურის მიერ საერთოდ არ ფიქსირდება (ჯამური ინვესტიციების მოცულობა იხ. ცხრილში №3.29).

სექტორების მიხედვითაც ჩანს, რომ ეგვიპტური პირდაპირი უცხოური ინვესტიციები კონკრეტულ წელს კონკრეტულ სფეროზე იყო მიმართული: 2010 წელს მრეწველობაში და 2011 წელს დამამუშავებელ მრეწველობაში, ხოლო 2012 წელს, როგორც ზევით აღვნიშნეთ, საქართველოს ეკონომიკაში ეგვიპტური პირდაპირი უცხოური ინვესტიციები არ ფიქსირდება (იხ. დანართი №8). ეგვიპტელი ინვესტორები საქართველოში ინვესტიციებს ახორციელებენ შემდეგ ორგანიზაციებში: qei jei em teqstili; FRESH GEORGIA (ორივე 2011 წელი).

საკმაოდ მნიშვნელოვანი ინვესტიციები არის წამოსული სეიშელებიდან, რომელიც საქართველოში პირველად 2007 წელს გამოჩნდა და საქართველოს

ეკონომიკაში ბოლო წლების მანძილზე, სტაბილურად, მილიონობით აშშ დოლარის ოდენობის ინვესტიციას ახორციელებს.


სეიშელური პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ქართულ ბაზარზე საკმაოდ მრავალფეროვნადაა წარმოდგენილი და, რაც მთავარია, ბოლო წლების განმავლობაში ინვესტიციათა ნეტო გადინება არ განხორციელებულა. გარდა მცირე თანხებისა სამშენებლო სექტორში (-\$12,1 ათასი). მოცემულ ინვესტორებს განსაკუთრებით აინტერესებთ 1. დამამუშავებელი მრეწველობა (\$9,4 მლნ); 2. მრეწველობა (\$5,5 მლნ) და 3. დანარჩენი სექტორები* (\$7,1 მლნ) (იხ. დანართი №9). სეიშელური ინვესტიციები ბოლო წლების განმავლობაში შემდეგ ორგანიზაციებში ხორციელდებოდა: ბარტონ გლობალ ჯორჯია; ჯორჯიან პეტროლიუმი; ჭიათურმანგანუმ ჯორჯია; იახტ კლუბი აფრა; ფიუჩარ პროდაქტს; ჯორჯიან მანგანუზ გრუპი; ბლექ სი ენერჯი ჯორჯია და სხვ.

ე) საერთაშორისო ორგანიზაციები

როგორც №2.23 დიაგრამიდან ჩანს, საერთაშორისო ორგანიზაციების პირდაპირი უცხოური ინვესტიციების იმპორტს საქართველოში 2012 წლამდე ვერაფერი ეღობებოდა წინ, თუმცა 2013 წლიდან ის პირველად დადგა და დაადავა, ხოლო 2014 წელს კი საერთოდ უარყოფითი, თანაც საკმაოდ სოლიდური უარყოფითი მაჩვენებელი შეადგინა (-\$106 მლნ).

საერთაშორისო ორგანიზაციების ამგვარი აქტიურობა, რუსეთ-საქართველოს ომის შემდგომი დახმარებითა და მსოფლიო ფინანსური კრიზისის შედეგად მიყენებული ზარალის მაქსიმალურად შემსუბუქების მცდელობით აიხსნება, რაც მათ პრაქტიკულად გამოუვიდათ და საქართველომ ეს ორი კრიზისული მომენტი თავის ისტორიაში პრაქტიკულად უმტკივნეულოდ განვლო (თუმცა ვალები ოდესღაც დასაბრუნებელი იქნება, რადგანაც 2008 წლიდან 2011 წლამდე შემოსული დახმარების დიდი ნაწილი სწორედ სესხი იყო და არა პირდაპირი უცხოური ინვესტიციები).

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საერთაშორისო ორგანიზაციებიდან (\$ მლნ)




წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური www.geostat.ge

საერთაშორისო ორგანიზაციების დაინტერესება საქართველოში 2010-2012 წლების მანძილზე, არც თუ ისე მრავალ სექტორს მოიცავდა, ესენია: 1. სოფინანსო სექტორი - \$87 მლნ; 2. ენერჯეტიკა - \$79 მლნ; 3. უძრავი ქონება - \$37 მლნ. 4. დამამუშავებელი მრეწველობა - \$42 ათასი; ხოლო, მრეწველობის დარგით კი 2010 წელს გატანილი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების (-\$4,5 მლნ) შემდგომ, საერთაშორისო ორგანიზაციები საერთოდ არ დაინტერესებულან (იხ. დანართი №10)

ვ) დანარჩენი ქვეყნები

საკმაოდ დიდი ინვესტიციური ნაკადებით გამოირჩევიან დანარჩენი ქვეყნებიც, საიდანაც საქართველოში 1997-2012 წლებში, 33 ქვეყნიდან - \$2,4 მილიარდზე მეტი პირდაპირი უცხოური ინვესტიციები არის განხორციელებული (წლების მიხედვით იხ. დიაგრამა №2.24).

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების იმპორტი დანარჩენი ქვეყნებიდან (1997-2012 წწ)



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური www.geostat.ge

ნიშანდობლივია რომ, აზიის რეგიონიდან განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ყველაზე დიდი მაჩვენებლები საქართველოს ეკონომიკაში 2008 (\$342 მლნ) და 2009 (\$132 მლნ) ქვეყნისთვის მძიმე წლებში დაფიქსირდა (იხ. დიაგრამა №2.8).

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების იმპორტი „დანარჩენი ქვეყნებიდან“ (1997-2012 წწ)

ქვეყანა	მლნ \$
თურქეთი	966 881
არაბეთის გაერთიანებული ემირატები	662 029,4
ვირჯინის კ-ები (ბრიტ.)	565 092,5
ნორვეგია	225 249,9
ჩინეთი	178 031,4
იაპონია	177 562,3
შვეიცარია	176 433,8
უკრაინა	89 616,9
ავსტრალია	86 224,2


ინდოეთი	64 016,6
ისრაელი *	53 361,5
კორეა	49 866,7
მარშალის კ-ები	47 010,9
საუდების არაბეთი	39 319,1
სეიშელები	36 117,6
ლისტენშტაინი	32 487,0
დანარჩენი ქვეყნები	14 507,8
ქვეყანა უცნობია	11 066,8
ირანი	8 787,5
ლიბია	2 658,9
ფილიპინები	1 620,3
ისლანდია	1 117,7
სირია	203,3
ერაყი	35,9
ლიბანი	-1 899,2
იორდანია	-6 317,1
გიბრალტარი	-8 322,4
სულ	3 472 760,1

* დამატებითი ინფორმაციისთვის იხ. დანართი №5

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური www.geostat.ge

მიუხედავად პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მცირეოდენი გადინებისა, იორდანიიდან (-\$6,4 მლნ), გიბრალტარიდან (-\$8,3 მლნ) და ლიბანიდან (-\$1,9 მლნ), „დანარჩენი ქვეყნები“ საკმაოდ ძლიერი „მოთამაშეებითაც“ გამოირჩევა, მაგალითად არაბეთის გაერთიანებული ემირატები, რომელმაც უკვე \$665 მილიონზე მეტის ინვესტირება მოასწრო საქართველში. აგრეთვე, იაპონია - \$150 მლნ (წლების მიხედვით იხ. დიაგრამა №2.25, დამატებით დანართი №6).

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები „დანარჩენი ქვეყნებიდან“ წლების მიხედვით
(მლნ \$)



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური www.geostat.ge

თურქეთი

მნიშვნელოვანია თურქი ინვესტორების საქართველოში დაინტერესება (იხ. დიაგრამა №3.33). 2008 წლის საქართველო-რუსეთის ომის დროს თურქეთიდან განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები 2007 წლის მაჩვენებელთან შედარებით, თითქმის გაორმაგდა და \$165 მლნ-ს გაუტოლდა, თუმცა აღსანიშნავია, რომ ომმა თურქი ინვესტორები დააფრთხო და ყოველკვარტლურად ინვესტიციათა ნაკადი კლებულობდა: პირველი კვარტალი - \$121 მლნ; მეორე კვარტალი - \$33 მლნ; მესამე კვარტალი - \$21 მლნ; მეოთხე კვარტალი -\$11 მლნ. თუმცა მომდევნო წლიდან სიტუაცია დასტაბილურდა და ინვესტიციებმა კვლავ მოიმატა.

საქართველოს მეზობელი და მასზე ეკონომიკურად ბევრად განვითარებული თურქეთი საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ეკონომიკის თითქმის ყველა სექტორში აბანდებს, თანაც საკმაოდ მნიშვნელოვან თანხებს.

ყველაზე მეტად თურქი ინვესტორები საქართველოში შემდეგი სფეროებით არიან დაინტერესებულნი: ტრანსპორტი და დაკავშირებაბმულობა - \$100 მილიონზე მეტი;

ენერგეტიკა და მშენებლობა - \$35-35 მილიონით; ვაჭრობა; განათლება; კომუნალური, სოც. და პერსონალური მომსახურება - დაახლოებით - \$33 მლნ; სამწესობარო, თუმცა ფაქტია, რომ 2010-2012 წლებში თურქულმა პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა სოფლის მეურნეობისა და თევზჭერის სექტორიდან უკუგადინება დაიწყო; 2011-2012 წლებში უმნიშვნელოდ, თუმცა უკუგადინება მაინც შეინიშნა სამთომომპოვებელ სფეროშიც -\$460 000; იმავე პერიოდში ინვესტიციების უკუგადინება შეინიშნებოდა უძრავი ქონების (\$410 000), სასტუმროებისა და რესტორნების, (\$2,2 მლნ) ასევე უძრავი ქონების სექტორებიდან (\$400 000) (იხ. დანართი №11).

თურქი ინვესტორები საქართველოში შემდეგ კომპანიებში აბანდებენ სახსრებს: ტავ ურბან საქართველო; ქეიჯი ენერჯი; ბახვი ჰაიდრო პაუერი; დექონი; მერსინ ტურიზმი; ჯეოსელი; ტექნო ფიქსი; აჭარა ტექსტილ; ზეკარი +; ბათუმის სამშენებლო ბლოკის საწარმო; დიდუბე რეზიდენსი; ბათუმის მექანიკური ქარხანა; ანკარა გრუპი; ბათმედტექნიკი; ილდიზი; ბათუმის აეროპორტი; აჭარა ენერჯი 2007.

არაბეთის გაერთიანებული ემირატები

არაბეთის გაერთიანებულმა ემირატებმა პირველად თავისი პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში 2003 წელს განახორციელეს და უნდა აღინიშნოს, საკმაოდ სუსტად დაიწყეს - \$300 ათასზე ნაკლები. იგივე პოლიტიკა გაგრძელდა მომდევნო წლებშიც, სანამ 2007 წელს მათ პირველად მსხვილი პირდაპირი უცხოური ინვესტიციები არ განახორციელეს საქართველოს ეკონომიკაში - 130 მლნ აშშ დოლარი. მომდევნო 2008 წელს იმავე მაჩვენებელმა წინა წელთან შედარებით, თითქმის 2,5 მოიმატა და 300 მლნ აშშ დოლარზე მეტს მიაღწია.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მოცემული ქვეყნიდან პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა საქართველოში 2011 წელს არა შემოდიანება, არამედ გადინება დაიწყო. თუმცა 2012 წელს სიტუაცია საქართველოს სასარგებლოდ დასტაბილურდა და ინვესტიციებმა 24 მლნ აშშ დოლარზე მეტს მიაღწიეს (იხ. ცხრილი № 3.33).

არაბეთის გაერთიანებული საემიროების დაინტერესება საქართველოს ეკონომიკის მრავალი სფეროთია აღსანიშნავი. გაერთიანებულმა საემიროებმა 2010-2012 წლებში დიდი ოდენობით ინვესტიციები განახორციელეს: უძრავ ქონებაში - \$45 მლნ; საფინანსო სექტორში - \$29 მლნ; კონსულტირებასა - \$17 მლნ და ენერგეტიკაში - \$8,3

მლნ. თუმცა არის სექტორები, საიდანაც 2010-2012 წლებში გაერთიანებულმა საემიროებმა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გადინება განახორციელეს, ესენია: ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა - თითქმის \$80 მლნ; სასტუმროები და რესტორნები - \$2,7 მლნ. (იხ. დანართი №4). ხოლო, საწარმოები სადაც საემიროები ახორციელებენ ინვესტირებას, გახლავთ შემდეგი: ევრაზიან სტილს; სოიასტარი; აქსეს ტრანს ჯორჯია; ბითისი გრუპ; EMIRATES WORLD INVESTMENT; ოცნება; რახ კერამიკს ჯორჯია; რაკია საქართველო თავისუფალი ინდუსტრიული ზონა; რაკიინ აფთაუნ დეველოპმენტი; MAF HYPERMARKETS GEORGIA; ELITE DEVELOPMENT და სხვ.

ვირჯინის კუნძულები

ვირჯინის კუნძულების პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოს ეკონომიკაში \$571,7 მილიონს აღემატება და რაც საინტერესოა - პირველი ინვესტიცია ვირჯინის კუნძულებიდან 1997 წელს განხორციელდა, თითქმის \$6,5 მლნ ოდენობით. რამდენიმეწლიანი „გაუჩინარების“ შემდგომ (1999-2002), ინვესტიციური ნაკადები 2007 წელს (\$187 მლნ) და 2008 წელს (\$156 მლნ) საკმაოდ შთამბეჭავ მაჩვენებლებს გაუტოლდა. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ის ფაქტი, რომ ვირჯინის კუნძულებიდან 2008 წელს წამოსული ინვესტიციების ლომის წილი სწორედ 2008 წლის რუსეთ - საქართველოს ომის შემდგომ პერიოდში იყო შემოსული: პირველი კვარტალი - \$6 მლნ; მეორე კვარტალი - \$17 მლნ; მესამე კვარტალი - \$-5,5 მლნ; მეოთხე კვარტალი - \$138 მლნ.

ვირჯინის კუნძულებიდან წამოსული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები სხვადასხვა წლებში საქართველოს ეკონომიკის ყველა სექტორს მოედო, რაც ძალიან პოზიტიური მომენტია, თუმცა 2010-2012 წლებში ინვესტიციებმა სექტორების მიხედვით, საკმაოდ არასტაბილური ხასიათი მიიღო.

რაც საინტერესოა ამ ინვესტიციებმა სოფლის მეურნეობამდეც მიაღწიეს - \$5,5 მლნ; საფინანსო სექტორი - \$15 მილიონით გაამდიდრეს; მრეწველობა - \$77 მილიონით; დამამუშავებელი მრეწველობა -\$36 მილიონით; 2012 წელს წამოვიდა მნიშვნელოვანი ინვესტიცია - \$7,5 მილიონის ოდენობით მშენებლობის სექტორში, თუმცა მრავალი დარგიდან ადრე დაბანდებული სახსრების უკუგადინება შეინიშნება: სამთომოპოვებითი

მრეწველობა -\$16 მლნ; ენერჯეტიკა -\$7 მლნ; ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა -\$45 მლნ (იხ. დანართი №12).

ვირჯინის კუნძულებიდან განხორციელებული ინვესტიციები შემდეგ კომპანიებზე გადანაწილდა: კვარციტი; ელიტა ბურჯი; ნორიოს საოპერაციო კომპანია; რუსთავის წყალი; ჯორჯიან პეტროლიუმი; ომეგა მოტორსი; ბათუმი პლაზა; კავკასუს ონლაინი; ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი; საქართველოს ლატარიის კომპანია; სს მადნეული და მრავალი სხვა (სულ 2012 წელს - 83 კომპანია)

ნორვეგია

ნორვეგიაც იმ მცირე ქვეყანათა ჯგუფს მიეკუთვნება, რომელთაც საქართველოში პირველი პირდაპირი უცხოური ინვესტიციები 1997 წელს განახორციელეს, თანაც საკმაოდ მასშტაბურად - \$11 მლნ. აღსანიშნავია, რომ სამწლიანი პაუზის შემდგომ (1999-2001 წწ), ნორვეგიიდან შემოსული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები კვლავ გამოირჩეოდა თავისი მასშტაბებით. 2006-2007 წლებში ნორვეგიულმა პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა \$100 მილიონს გადააჭარბა. თუმცა ისევე, როგორც ინვესტორთა უმრავლესობამ, 2008 წლიდან ნორვეგიულმა კომპანიებმაც შეამცირეს თავისი ინვესტიციები საქართველოში და 2008-2012 წლებში მხოლოდ \$13 მლნ-ს ინვესტირება განახორციელდა.

ნორვეგია, როგორც ფინანსური ნაკადებით, ასევე არც პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სექტორული მრავალფეროვნებით გამოირჩევა. ყველაზე დიდი დაინტერესება კი მისთვის საუკეთესოდ ნაცნობ სექტორში, ენერჯეტიკაში აქვს განხორციელებული - \$8,5 მლნ; მაშინ როდესაც 2010-2012 წლებში, ყოველწლიურად ხორციელდებოდა ინვესტიციათა გადინება ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის სექტორიდან, სულ -\$1,4 მლნ; მრეწველობაში კი ნორვეგიელ ინვესტორებს 2010 წელს ჩადებული \$1,9 მილიონის შემდგომ, 2011 და 2012 წლებში დამატებითი სახსრები არ მოუხიდავთ (იხ. დანართი №13). აღსანიშნავია, რომ ნორვეგიული ინვესტიციები მხოლოდ 2 კომპანიაზე მოდის, ესენია: აჭარისწყალი ჯორჯია და ბარვილ ჯორჯია.

ზ) ინვესტიციები OECD წევრი ქვეყნებიდან

იმისათვის, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაკადების სრული სურათი სხვადასხვა გადმოსახედიდან გვქონდეს, ჩვენ გადავწყვიტეთ, ზემოთ მოცემული ინვესტიციური ნაკადები OECD წევრი და დანარჩენი ქვეყნების ჭრილშიც წარმოგვედგინა (იხ. ცხრილი №2.9). აღნიშნული მიდგომა იმით არის საინტერესო, რომ გვაძლევს შესაძლებლობას დავაკვირდეთ, თუ რამდენად არიან დაინტერესებულნი განვითარებული ქვეყნები ჩვენი ეკონომიკითა და მასში ინვესტირებით და რამდენად დანარჩენი ქვეყნები, რომლებიც შედარებით მოკრძალებული ეკონომიკური შესაძლებლობებით გამოირჩევიან. მით უმეტეს, რომ აღნიშნული მიდგომა თანამედროვე ლიტერატურაში სხვადასხვა კვლევების დროს ფართოდ გამოიყენება.

ცხრილი №2.9

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები OECD წევრი ქვეყნებიდან (ჯამი)


№	ქვეყანა	მლნ \$	№	ქვეყანა	მლნ \$
1	აშშ	1 238 354,2	16	ისრაელი	53 361,5
2	გაერთ. სამეფო	1 154 189,2	17	კორეა	49 866,7
3	ნიდერლანდები	1 022 888,5	18	საბერძნეთი	38 688,8
4	თურქეთი	966 881	19	ირლანდია	16 450,2
5	ჩეხეთი	414 782,1	20	კანადა	10 973,8
6	გერმანია	376 059,5	21	პოლონეთი	10 941,2
7	დანია	309 178,8	22	ესპანეთი	7 911,6
8	ლუქსემბურგი	263 431,5	23	ფინეთი	4 785,8
9	ავსტრია	262 433,8	24	ესტონეთი	4 717,9
10	ნორვეგია	225 249,9	25	სლოვაკეთი	4 276,4
11	საფრანგეთი	189 359,0	26	შვედეთი	2 644,5
12	იაპონია	177 562,3	27	უნგრეთი	2 593,0
13	შვეიცარია	176 433,8	28	ბელგია	1 309,6
14	იტალია	160 351,1	29	ისლანდია	1 117,7
15	ავსტრალია	86 224,2	30	პორტუგალია	-2 811,7

წყარო: შედგენილია ავტორის მიერ საქსტატის მონაცემებზე დაყრდნობით

აღსანიშნავია, რომ ზემოთ მოცემული ინვესტორების საუკეთესო ოცეულიდან, 10-ზე მეტი სწორედ OECD წევრი ქვეყნები არიან, ხოლო პირველ სამ საფეხურს კი მყარად იკავენ (აშშ, გაერთიანებული სამეფო და ნიდერლანდები). აღსანიშნავია, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაკადები პირველ წლებში ძირითადად სწორედ OECD-ის ქვეყნებიდან შემოდის, მათ შესწევდათ უნარი და ფინანსური სახსრები, განეხორციელებინათ ინვესტიციები იმდროინდელ საქართველოში (იხ. დიაგრამა №2.26).

დიაგრამა №2.26

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დინამიკა OECD და “დანარჩენი ქვეყნებიდან”



წყარო: შედგენილია ავტორის მიერ საქსტატის მონაცემებზე დაყრდნობით

2009 წლიდან, ჩვენი მეზობელი აზერბაიჯანის, აგრეთვე არაბეთის გაერთიანებული საემიროებისა და სხვა ქვეყნების გააქტიურების შედეგად, პირველად OECD-ს არაწევრმა ქვეყნებმა წევრ ქვეყნებს გადაასწრეს. თუმცა ეს ერთადერთი შემთხვევა იყო, რომელიც მომდევნო წლებში არ განმეორებულა.

ქვეყნების აღნიშნული მეთოდოლოგიით დანაწილება საინტერესოა მეცნიერული კუთხითაც, რადგანაც ის შესაძლებლობას გვაძლევს, გავანალიზოთ თუ ქვეყანათა რომელი ჯგუფის ინვესტიციებია განპირობებული, ამა თუ იმ მოტივაციით (რომელსაც ჩვენ ცალკე ქვეთავში განვიხილავთ).

2.3. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოტივაციები და მათი გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დინამიკას თუ დაგეგმვით, დაეინახავთ, რომ გარკვეულ წლებში ინვესტიციები აღმავალი, ხოლო სხვა დროს კი დაღმავალი ტრენდით ხასიათდება. უფრო მეტიც, ინვესტიციები გარკვეულ დარგებში მინიმალური (მაგ.: სოფლის მეურნეობა, თანამედროვე ტექნოლოგიები), ხოლო დანარჩენში კი საკმაოდ მაღალია (მაგ.: საფინანსო სექტორი, დამამუშავებელი მრეწველობა, ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა და სხვ). იმის ასახსნელად თუ რით არის გამოწვეული აღნიშნული მოვლენები, ჩვენ გამოვიყენებთ ჯ. დანინგის (Dunning, 1998) მიერ შემუშავებულ ინვესტიციების მოტივაციების თეორიას.

ჯ. დანინგის ინვესტიციების მოზიდვის თეორია 4 ძირითად მოტივაციას ითვალისწინებს, კერძოდ: ა) რესურსების მაძიებლები; ბ) ეფექტიანობის მაძიებლები; გ) ბაზრის მაძიებლები; დ) სტრატეგიული აქტივების მაძიებლები.

OECD Science, Technology and Industry Scoreboard-ის მიხედვით (იხ. ცხრილი №2.10) მოტივაციები განსხვავებული დარგის მიმართ განსხვავებული დაინტერესებით გამოირჩევიან, კერძოდ:

ა) რესურსების მაძიებელი ინვესტიციები - ხასიათდებიან კაპიტალდაბანდებებით დაბალტექნოლოგიურ და საშუალო-დაბალტექნოლოგიურ, აგრეთვე - ტრადიციულად საექსპორტოდ ორიენტირებულ დარგებში.

ბ) ეფექტიანობის მაძიებელი ინვესტიციები - ხასიათდება დაინტერესებით მაღალტექნოლოგიურ და საშუალო-მაღალტექნოლოგიურ დარგებში, აგრეთვე მნიშვნელოვანია ექსპორტის გზით უცხოურ ბაზრებზე გასვლა.

გ) ბაზრის მაძიებელი ინვესტიციები - ადგილობრივი ბაზრის ათვისებაზეა ორიენტირებული;

დარგების ტექნოლოგიური ინტენსივობა OECD-ს მიხედვით

<p>მაღალ-ტექნოლოგიური დარგები:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. თვითმფრინავების და კოსმოსური ხომალდების; 2. საოფისე, საბუღალტრო და IT აპარატურის წარმოება; 3. რადიო, სატელევიზიო და საკომუნიკაციო აპარატურის წარმოება; 4. ფარმაცევტული მრეწველობა; 5. სამედიცინო, ოპტიკური და ზუსტი ინსტრუმენტების წარმოება 	<p>საშუალო-დაბალი ტექნოლოგიური დარგები:</p> <ol style="list-style-type: none"> 11. არარკინისებრი მადნის გადამამუშავება; 12. კოქსის, ბენზინის გადამამუშავებელი პროდუქტ. და ბირთვული საწვავის წარმოება; 13. გემების და მსგავსი პროდუქციის წარმოება და რემონტი; 14. რკინის პროდუქტების წარმოება (გარდა მანქანა-დანადგარებისა); 15. ჩვეულებრივი ლითონების წარმოება; 16. რეზინის და პლასტმასის პროდუქციის წარმოება;
<p>საშ.-მაღალი ტექნოლოგიური დარგები:</p> <ol style="list-style-type: none"> 6. ავტომობილების, მისაბმელიანი და ნახევრად მისაბმელიანი მანქანების წარმოება; 7. ქიმიური პროდუქტების წარმოება; 8. მექანიკური მოწყობილობების და ტექნიკის წარმოება; 9. ელექტრო დანადგარების და აპარატურის წარმოება; 10. რკინიგზის და სხვა სატრანსპორტო მასალების წარმოება; 	<p>დაბალი ტექნოლოგიების დარგები:</p> <ol style="list-style-type: none"> 17. ქაღალდის და ქაღალდის პროდუქციის წარმოება, საგამომცემლო და ბეჭდვითი საქმიანობა; 18. საკვების, სასმელის და თამბაქოს წარმოება; 19. ხის და ხის მასალის და კორპის წარმოება, გარდა ავეჯისა; 20. საფეიქრო ნაწარმის, სათრიმლაკის და მომზადებული ტყავის, ჩემოდნების, ჩანთების, საუნაგირეების და ფეხსაცმლების წარმოება; 21. ავეჯის წარმოება და გადამამუშავება.

წყარო: OECD Science, Technology and Industry Scoreboard, 2001 წლიდან

http://www.ine.es/en/daco/daco43/notaiat_en.pdf

გამომდინარე იქედან, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოტივაციების თეორია პირდაპირ კავშირშია ერის ინვესტიციური განვითარების გზის მოდელთან, ჩვენი კვლევაც საქართველოს მაგალითზე პირდაპირ იქნება დაკავშირებული მის მიერ ერის ინვესტიციური განვითარების გზაზე განვლილ საფეხურებთან.

1997-2004 წლებში, როდესაც საქართველო ერის ინვესტიციური განვითარების გზის საწყის, პირველ საფეხურზე იმყოფებოდა, შემომავალი პირდაპირი უცხოური ინვესტიციები რამდენიმე ათეულიდან რამდენიმე ასეულ მილიონ დოლარამდე მერყეობდა და შესაბამისი წლების მთლიან შიგა პროდუქტს დაახლოებით 5%-ს შეადგენდა. ამ წლებში განხორციელებული ინვესტიციები თითქმის მთლიანად ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობასა და, ნაწილობრივ, სახელმწიფო ქონების პრივატიზების შედეგად მოემართებოდა საქართველოში. 1997-1998 წელს შემოდინებული დიდი ოდენობით პირდაპირი უცხოური ინვესტიციები თითქმის მთლიანად სუფსას ტერმინალის და ბაქო-სუფსას ნავთობსადენის მშენებლობაზე იყო მიმართული. აგრეთვე მნიშვნელოვანი ინვესტიციური ნაკადი 1998 წელს „აიეს თელასის“ 75%-იანი წილის ამერიკულ კომპანიაზე გასხვისებამ გამოიწვია (Clinton R.S., 2003). პრივატიზაციის შედეგად შემოდინებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაკადები მნიშვნელოვანი იყო მომდევნო წლებშიც.

ამ პერიოდში საქართველოს „ერის საინვესტიციო განვითარების გზის“ პირველ საფეხურზე ყოფნა გამოიხატებოდა იმ რეალობით, რაც მოცემულ ეტაპზე ადგილობრივი ეკონომიკისთვის იყო დამახასიათებელი და ნათლად ხსნის უცხოელი ინვესტორების საქართველოს რესურსებით (ისევე, როგორც დსთ-ს იმდროინდელი სხვა მრავალი წევრი ქვეყნისთვის) დაინტერესებას (Vavilov S., 2005).

„ვარდების რევოლუცია“-მ და მომდევნო წლებში თანმდევმა მნიშვნელოვანმა პოზიტიურმა რეფორმებმა საქართველოს საინვესტიციო იმიჯი საგრძნობლად გააუმჯობესეს და რამდენიმე წელიწადში ინვესტიციურმა ნაკადმა მილიარდიან (\$) ზღვარს გადააჭარბა, კერძოდ, 2006 წელს - თითქმის \$1,2 მლრდ. აღნიშნული პერიოდი საქართველოში დადებითი რეფორმების პარალელურად, სახელმწიფო ქონების მაქსიმალურად გაძლიერებული პრივატიზაციით ხასიათდებოდა, რამაც ქვეყანაში საბაზრო ელემენტების შემოღებას, აგრეთვე ტექნოლოგიურ გადაიარაღებას (თუმცა

უმნიშვნელოდ), მართვის ახალი მეთოდების დანერგვასა და სახელმწიფო ბიუჯეტის შევსებას შეუწყო ხელი.

მასობრივ პრივატიზაციას საქართველოში, ვარდების რევოლუციამდე მცირე ფინანსური სარგებელი მოჰქონდა (აბსოლუტურ მაჩვენებლებში). თუმცა 2003 წლიდან სურათი მნიშვნელოვნად შეიცვალა და განსაკუთრებით პოპულარული გახდა ლოზუნგი - „იყიდება ყველაფერი“, რომლითაც ბატონმა კახა ბენდუქიძემ (ბიზნესმენი და საქართველოს მთავრობის ყოფილი მადალჩინოსანი) გაითქვა სახელი მის სახელს უკავშირდება ისეთი ობიექტების პრივატიზება, როგორებიცაა: თბილისისა და ბათუმის აეროპორტები, ბათუმისა და ფოთის პორტი, რიონჰესი, გუმათჰესი და მრავალი სხვა (ხაჩიძე მ., 2011 წ.). აღსანიშნავია, რომ პრივატიზაციის დროს, ადგილობრივ ბიზნესმენებს არავითარი უპირატესობა არ ენიჭებოდათ, რამაც ხელი შეუწყო უცხოელი ინვესტორების დაინტერესებას და, შესაბამისად, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვას.

აქვე უნდა ითქვას, რომ თავად პრივატიზაციას იმხელა ფინანსური სახსრები არ მოუტანია, რაც მოიტანა სახელმწიფო ქონების პრივატიზაციის პაკეტში ჩადებულმა სპეციალურმა პირობებმა დამატებითი ინვესტიციების მოზიდვის თაობაზე. მაგ.: 2005 წელს თბილისის აეროპორტის საპრივატიზაციო ფასი (მისი მართვის უფლებისთვის), არა კონკრეტული თანხით, არამედ მასში განხორციელებული ინვესტიციების ოდენობით განისაზღვრებოდა. კერძოდ, ინვესტორ კომპანიას აღნიშნული ქონება გადაეცემოდა: ახალი აეროპორტის შენობის, ასაფრენ-დასაფრენი ბილიკის და სხვა თანამდევ ინფრასტრუქტურაში ინვესტიციების განხორციელების სანაცვლოდ. შედეგად, გამარჯვებულმა ორმა კომპანიამ „ტაგმა“ და „ურბანმა“ აიღეს ვალდებულება, აღნიშნულ პროექტში \$100 მილიონამდე ინვესტიცია განეხორციელებინათ (წყარო: საქართველოს მთავრობა).

სამწუხაროა, მაგრამ საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურში არ არსებობს 2007 წლამდე საქართველოში შემოდინებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დარგობრივი გადანაწილების მონაცემები, რომელიც მნიშვნელოვნად გაგვიადვილებდა ფაქტობრივი მასალების საფუძველზე უცხოელი ინვესტორების მიერ საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განხორციელების მოტივაციის ანალიზს.

სამაგიეროდ, არსებობს აღინა კუდრინასა და მაღგორზატა ჯაკუბიაკის (Kudina A., Jakubiak M., 2008) მიერ განხორციელებული კვლევა/გამოკითხვა, რომლის საფუძველზეც, საქართველოში, უკრაინაში, მოლდოვასა და ყირგიზეთში, პირდაპირი უცხოური ინვესტიციებით დაფუძნებული 30-30 კომპანია გამოიკითხა (საქართველოში: სოფლის მეურნეობა - 1 კომპანია; კვების მრეწველობა - 4 კომპანია; საფინანსო სექტორი - 8 კომპანია; ენერჯეტიკა - 3 კომპანია და სხვ.) მნიშვნელოვან კითხვებს შორის იყო ადგილობრივი (ქართველი) ინვესტორების საქართველოს ბაზრით დაინტერესების საკითხიც, საიდანაც ირკვევა, რომ საქართველოში ისინი ინტერესს ყველაზე მეტად იაფი წარმოების ფაქტორებში და ადგილობრივი ბაზრის მომსახურებაში გამოხატავენ. კვლევითი და ტექნოლოგიური პოტენციალით დაინტერესება კი უმნიშვნელოა (სავარაუდოდ, ამ დარგის შესაბამისი განუვითარებლობის გამო) (იხ. ცხრილი №2.11).

ცხრილი №2.11

**რატომ აირჩიეთ მოცემული ქვეყანა ინვესტიციის განსახორციელებლად?
(შეფასება 1-დან 5 ქულამდე)**

	უკრაინა	მოლდოვა	ყირგიზეთი	საქართველო	საშ.
იაფი წარმოების ფაქტორები (სამუშაო ძალა, ნედლეული)	2,8	3,4	3,4	3,2	3,2
კვალიფიციური სამუშაო ძალა	2,6	3,5	3,6	3,0	3,2
ადგილობრივი ბაზრის მომსახურება	4,1	3,8	4,6	3,3	4,0
რეგიონული ბაზრის ათვისება	2,3	3,6	3,2	3,0	3,0
ქვეყნის კვლევითი და ტექნოლოგიური მიღწევები	1,5	2,3	1,3	1,2	1,6
სხვა	-	-	-	-	-

წყარო: THE MOTIVES AND IMPEDIMENTS TO FDI IN THE CIS, p. 28

<http://www.oecd.org/investment/globalforum/40401047.pdf>

იმავე კვლევის თანახმად, ირკვევა, რომ ძირითადი პრობლემა, რომელსაც უცხოელი ინვესტორები საქართველოში აწყდებოდნენ, იყო ადგილობრივი პარტნიორის პოვნის და საკუთრების უფლების მკაფიოდ დაფიქსირების სირთულე. კვლევამ აგრეთვე აჩვენა, რომ უცხოელი ინვესტორები საქართველოს ბაზრის ათვისებით და თავისი პროდუქციის დსთ-ს ქვეყნებში ექსპორტირებით უფრო მეტად იყვნენ დაინტერესებულნი, ვიდრე ევროპის ბაზარზე.

ამავდროულად აღსანიშნავია, რომ ინვესტიციების მოზიდვის კუთხით, რეგიონულ ჭრილში ევროკავშირის ქვეყნები ლიდერობდნენ - ჯამური 35%-ით. მაშინ, როდესაც დსთ-ს წევრი ქვეყნებიდან წამოსული ინვესტიციები - 20%-ზე ნაკლებს შეადგენდნენ (იხ. ცხრილი №2.12), მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ გლობალიზაციის თანამედროვე ეტაპზე ინვესტიციების განხორციელება კონკრეტულ ქვეყნებთან ნამდვილად არ არის მიბმული და ნებისმიერ ბიზნესმენს, მისი ეროვნული წარმომავლობის მიუხედავად, მსოფლიოს პრაქტიკულად ნებისმიერი ქვეყნიდან შეუძლია ინვესტიის განხორციელება, მაგ.: რუს ინვესტორს - გაერთიანებული სამეფოდან, ამერიკელს - სეიშელის კუნძულებში დარეგისტრირებული ოფშორული ანგარიშიდან და ა.შ.

ცხრილი №2.12

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების იმპორტი რეგიონების და ძირითადი ქვეყნების

მიხედვით (მლნ \$)

ქვეყნები	1996	1997	1998	1999	2000	2001	2002	2003	2004	2005	2006	სულ
სულ	4	243	265	82	131	110	167	340	499	450	1 190	3 481
მათ შორის:												
ევროკავშირი	-	46	50	9	42	72	58	96	196	244	407	1 220
გაერთ. სამეფო	-	25	26	5	5	9	18	38	88	133	187	534
იტალია	-	-	-	1	3	7	10	16	32	23	47	139
კვიპროსი	-	-	-	1	4	19	1	1	21	48	40	135
დსთ-ის	4	28	38	1	6	5	8	74	114	108	266	652

ქვეყნები												
აზერბაიჯანი	-	13	13	-	-	-	-	30	69	67	78	270
რუსეთი	-	14	28	1	6	5	8	43	44	39	34	222
ყაზახეთი	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	152	152
დანარჩენი	-	169	178	73	84	33	101	170	189	98	508	1 603
აშშ	-	97	104	59	39	23	82	72	81	15	183	755
თურქეთი	-	15	15	10	29	8	9	17	34	22	130	289
ნორვეგია	-	11	11	-	-	-	3	11	37	24	78	175

წყარო: საქსტატი

კუდრინასა და ჯაკუბიაკის (2008) კვლევასთან ერთად აღსანიშნავია თურქი ეკონომისტის, ფარუქ გურსოის (2008) მიერ 2006 წელს განხორციელებული კვლევა, სადაც მან სხვადასხვა დარგის (წარმოება, სერვისი, ტრანსპორტი, ენერჯეტიკა და საბამეო სექტორი) მცირე (8 კომპანია), საშუალო (17 კომპანია) და დიდი (38 კომპანია) ზომის სულ - 64 (52 უცხოური და 12 ადგილობრივი) კომპანიის გამოკითხვის საფუძველზე, მეტად საინტერესო შედეგებს მიაკვლია.

კვლევის თანახმად, საქართველოში ინვესტირების მოტივები შემდეგია: გეოგრაფიული მდებარეობა (უმნიშვნელოვანესია 24 კომპანიისათვის); ცარიელი ბაზრის ათვისება (19); საკანონმდებლო ბაზა (9); იაფი სამუშაო ძალა (8); სატრანსპორტო ჰაბი (6); თავისუფალი ბაზარი (3); დაბალი კორპორაციული გადასახადი (2); სხვა (9). უფრო მსხვილი დაჯგუფების შედეგად კი გამოკითხულთა დაინტერესება შემდეგშია: ცარიელი ბაზარი - 35 კომპანია; იაფი სამუშაო ძალა - 27 კომპანია; გეოგრაფიული მდებარეობა - 24 კომპანია; სხვა - 10 კომპანია.

ნათელია, რომ ყველაზე მეტად უცხოელ ინვესტორებს საქართველოში ადგილმდებარეობის და იაფი სამუშაო ძალის კომბინაცია იზიდავთ (რა თქმა უნდა, მისი გეოგრაფიული მდებარეობის გათვალისწინებით), რაც სავარაუდოდ, დსთ-ის ბაზრების ათვისებისათვის იყო ხელსაყრელი. რესპოდენტთა 40% აღიარებს, რომ მას უკვე ჰქონდა ან აპირებდა ინვესტიციების განხორციელებას დსთ-ის ბაზრებზე (და სავარაუდოდ სურდათ ამ ბაზრებზე თავიანი გავლენის გაფართოება). მით უმეტეს, რომ

საქართველოს ექსპორტის უდიდესი ნაწილი სწორედ ამ ბაზრებზე იყო მიმართული (ძირითადად: რუსეთი, სომხეთი, აზერბაიჯანი, უკრაინა და ყაზახეთი).

კვლევის შედეგად გაირკვა, რომ კომპანიების 55%-ს სესხი ქართული ბანკებიდან ჰქონდა მიღებული, რაც ფულადი რესურსისადმი წვდომის განსაკუთრებული პრობლემის არარსებობაზე მიუთითებს. თუმცა, მეორე მხრივ, ბანკებში არსებული საპროცენტო განაკვეთი კი, რესპოდენტებისათვის დიდ პრობლემას წარმოადგენდა.

64-დან 57-მა კომპანიამ აღიარა, რომ მათი ინვესტიცია საქართველოში გამართლებული იყო და მას წარმატებულად მიიჩნევენ. გამოკითხულთა 85% საქართველოში ინვესტირებას მათ პარტნიორებსაც ურჩევდა. 53-მა კომპანიამ კი საქართველოში თავისი საქმიანობის გაფართოების სურვილი გამოთქვა. რაც შეეხება ნეგატიურ მხარეს, აღსანიშნავია, სხვადასხვა მიზეზითა და დოზით სასამართლო სისტემისადმი უნდობლობის ძალიან მაღალი მაჩვენებელი - 62%;

კვლევის შედეგად მიღებული მონაცემების თანახმად, ყველაზე დიდი პრობლემა ბიზნესის წარმოებისას საქართველოში იყო (0 - არ არის პრობლემა; 4 - მაქსიმალურად პრობლემატურია): სამუშაო ძალის დაბალი უნარ-ჩვევები და განათლება (კოეფიციენტი - 2,3); კრიმინალი, ქურდობა და განუკითხაობა (1,97); ეკონომიკური და მარეგულირებელი პოლიტიკა (1,92); საპროცენტო განაკვეთი (1,66); ელექტროენერგია (1,53) და სხვა. ხოლო ყველაზე ნაკლებ პრობლემურ ელემენტებად კი შეფასებულ იქნა შემდეგი მიმართულებები: ტელეკომუნიკაცია (0.45); მიწის რესურსთან წვდომა (0.64); ლიცენზიები და ნებართვები (0.68); რეგულაციები შრომით ბაზარზე (0.79); ტრანსპორტირება (0.97) და სხვა.

დანინგის მოტივაციების განმსაზღვრელი პრინციპებისა და OECD-ს ზემოთ მოცემული კლასიფიკაციის გათვალისწინებით (OECD Science, Technology and Industry Scoreboard), ჩვენ მიერ საქსტატის მონაცემების ისეთნაირად დაჯგუფება მოხერხდა, რომ ნათელი გამხდარიყო უცხოელი ინვესტორების მოტივაციები საქართველოსთან მიმართებით, როგორც ცალკეული ქვეყნებისთვის, ასევე, მთლიანობაში. კერძოდ: ეფექტიანობის, რესურსების და საშინაო ბაზრის მაძიებელი მოტივაციები (იხ. ცხრილი №2.3. თუმცა აქვე უნდა ითქვას, რომ მოცემული დანაწილება პირობითია, რადგანაც შესაძლოა, ნებისმიერი ინვესტიციის უკან არალოგიკური / არაპროგნოზირებადი ან/და ინვესტორის პირადი დაინტერესება იდგეს. მაგ.: ინვესტიციები სოფლის მეურნეობაში

შესაძლოა, არამხოლოდ ევექტიანობის მაძიებელი იყოს, არამედ - თუნდაც ბაზრის ათვისებისაც. ასევე შესაძლებელია, ენერგეტიკაში განხორციელებული ინვესტიციების ნაწილი არა საშინაო ბაზრის ათვისების, არამედ ევექტიანობის მაძიებელი აღმოჩნდეს, თუმცა ამის დეტალური დადგენა პრაქტიკულად შეუძლებელია (სანამ თითოეული ინვესტორის გამოკითხვა არ მოხდება). სწორედ ამიტომ, ჩვენ ვიყენებთ მეთოდოლოგიას, რომელიც სხვადასხვა ავტორების მიერ არის შემოთავაზებული და საუკეთესოდაა მიჩნეული.

ცხრილი №2.13

შემომავალი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დარგობრივი სტრუქტურა (მლნ \$)

ევექტიანობის მაძიებელი									
დარგი / წელი	2008	2009	2010	2011	2012	2013	I-II კვ. 2014	ჯამი	სულ
სოფლის მეურნეობა - თევზჭერა	8	22	9	15	16	32	6	108	1113
დამამუშავებელი მრეწველობა	188	125	175	120	168	124	105	1005	
რესურსების მაძიებელი									
სამთომომპოვებელი მრეწველობა	18	15	53	40	5	36	34	201	201
საშინაო ბაზრის მაძიებელი									
მშენებლობა	57	105	5	48	42	54	26	337	5092
სასტუმროები და რესტორნები	182	38	17	23	18	-14	0	264	
უძრავი ქონება	278	147	119	225	53	27	51	900	
ენერგეტიკა	295	-2	22	204	179	198	57	953	
დანარჩენი სექტორები**	104	60	90	131	178	148	36	747	
ტრანსპორტი / კავშირგაბმულობა	423	98	215	127	73	138	145	1219	
ჯანდაცვა და სოც. დახმარება	1	1	1	17	18	2	1	41	
საფინანსო სექტორი*	11	50	107	168	163	170	-38	631	


* საფინანსო სექტორი 2009 წლიდან მოიცავს საბანკო, მიკროსაფინანსო და სადაზღვევო ორგანიზაციებში განხორციელებულ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მონაცემებსაც.

** ვაჭრობა; განათლება; კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურება; წყარო: საქსტატი

მიღებული შედეგებით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ბოლო 7 წლის განმავლობაში (2008 წლიდან 2014-ის პირველი კვარტალი) პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განმახორციელებლები ძირითადად საშინაო ბაზრის ათვისებით იყვნენ დაინტერესებულნი (მთლიანი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 80%), მეორე ადგილზე გავიდა ეფექტიანობის მაძიებელი ინვესტიციები (17%), ხოლო მესამეზე კი -რესურსების მაძიებელი (3%). იგივე სურათია 2007 წლის მონაცემების გათვალისწინებითაც (ზღვრული ცვლილება = 1 პროცენტი), შესაბამისად, საქართველო უცხოელი ინვესტორებისათვის უკვე აღარ წარმოადგენს მხოლოდ იაფი რესურსების ბაზარს, არამედ სახეზე გვაქვს მოტივაციების დივერსიფიკაცია. ძალიან მნიშვნელოვანია ეფექტიანობის მაძიებელი ინვესტიციების 17%-იანი წილი მთლიან ინვესტიციებში, რაც კონკურენტუნარიანობის განვითარების საწინდარია. აგრეთვე ძალიან მნიშვნელოვანია, რომ უცხოური კომპანიები, საქართველოს ბაზრის სიმცირის მიუხედავად (გლობალური კონკურენტუნარიანობის მიხედვით მსოფლიოში - 103-ე), მისი ათვისებით არიან დაინტერესებულნი, რაც, თავის მხრივ, საქართველოს სავაჭრო ბალანსის დეფიციტის შემცირების შესაძლებლობას იძლევა. ბოლო წლების განმავლობაში სწორედ საშინაო ბაზრის ათვისების მოტივით შემოსული ინვესტიციები ჭარბობდა (იხ. დიაგრამა №2.27).

დიაგრამა №2.27

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოტივაციები
(მარცხნივ - წლების მიხედვით, მარჯვნივ - ჯამი)



წყარო: შედგენილია ავტორის მიერ, საქსტატის მონაცემებზე დაყრდნობით

კვლევის ფარგლებში, ჩვენ აგრეთვე განვახორციელეთ ცალკეული ქვეყნებისათვის ინვესტიციების მოტივაციების მიხედვით დაჯგუფება (იხ. დანართი №17 და №18), რაც მეტად აქტუალური და საინტერესო მახვენებელია და გვაძლევს შესაძლებლობას, ინდივიდუალურად შევაფასოთ თითოეული ქვეყნიდან შემოდინებული ინვესტიციების მოტივაცია და ცალკეული ქვეყნისთვის შევიმუშაოთ ადეკვატური პოლიტიკა.

ჩვენს მიგნებებს (ეფექტიანობა-მამოძრავებელი ინვესტიციების საკმაოდ მაღალ მახვენებელს), თავის მხრივ, ადასტურებს მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის მიერ შედგენილი გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსის ეკონომიკური განვითარების მოდელიც. კერძოდ, მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი ეკონომიკის განვითარებას სამ საფეხურად ყოფს:

1. ფაქტორ მამოძრავებელი - დაბალი ხელფასებითა და ბუნებრივ რესურსებზე მაღალი დამოკიდებულებით ხასიათდება, შესაბამისად, წარმოებული პროდუქცია თითქმის მთლიანად პირველადი მოხმარების ან/და დაბალი ხარისხის საგნებს წარმოადგენს. თუმცა გასათვალისწინებელია, რომ ამ ჯგუფში ხვდებიან შედარებით მდიდარი ქვეყნებიც, თუ ენერგორესურსების წილი მათ ექსპორტში 70%-ზე მეტს აღწევს (მაგ.: აზერბაიჯანი, ვენესუელა). მომდევნო საფეხურზე გადასასვლელად საჭიროა: კარგი ინფრასტრუქტურის (I კრიტერიუმი), ძლიერი ინსტიტუტების (II კრიტერიუმი), სტაბილური მაკროეკონომიკური გარემოს (III კრიტერიუმი) და მაღალი დონის ჯანმრთელობისა და დაწყებითი განათლების (IV კრიტერიუმი) ჩამოყალიბება.

2. ეფექტიანობა მამოძრავებელი - (სწორედ ამ ეტაპზე იმყოფება დღეს საქართველო) იზრდება პროდუქციის ხარისხი და, ამავდროულად - ხელფასების ოდენობაც, რასაც ტექნოლოგიური გაუმჯობესება სდევს თან, თუმცა მომდევნო საფეხურზე გადასვლისას, მატულობს ხელფასების ოდენობა, თანაც ისე, რომ საბოლოო პროდუქციის ფასმა არ მოიმატოს (კონკურენტუნარიანობის შესანარჩუნებლად). ამ შემთხვევაში, კონკურენტუნარიანობის ზრდა შემდეგი დარგების ხელშეწყობით მიიღწევა: უმაღლესი განათლება და პროფესიული მომზადება (V კრიტერიუმი), საქონლისა და მომსახურების ბაზრის ეფექტიანობა (VI კრიტერიუმი), შრომის ბაზრის ეფექტიანობა (VII კრიტერიუმი), ფინანსური ბაზრის განვითარებულობა (VIII კრიტერიუმი), ტექნოლოგიური განვითარების დონე (IX კრიტერიუმი) და ადგილობრივი ბაზრის მასშტაბები (X კრიტერიუმი).

3. ინოვაცია მამოძრავებელი ეკონომიკა - შესაძლებლობის პიკია და ხასიათდება ბიზნესის მაღალი კონკურენტუნარიანობითა და ინოვაციების მაღალი წილით ეკონომიკის ყველა სექტორში (მაგ.: შვეიცარია). აღნიშნულ ეტაპზე, ეკონომიკა ინოვაციების შექმნისა და მათი დანერგვის ხარჯზე ვითარდება და შესაძლებლობას იძლევა დასაქმებულთა ხელფასები მნიშვნელოვნად იქნეს გაზრდილი, ისე, რომ საბოლოო პროდუქტის კონკურენტუნარიანობა არ დაზარალდეს. ნებისმიერი ეკონომიკა, რომელიც ამ სამი ეტაპის მახასიათებლებს არ აკმაყოფილებს შუალედურ/გარდამავალ ეტაპზე ხვდება.

ზემოთ ჩამოთვლილი საფეხურების მიხედვით საქართველომ ფაქტორ მამოძრავებელი საფეხური უკვე განვლო და ამჟამად „ეფექტიანობა მამოძრავებელი“ ქვეყნების ჯგუფს განეკუთვნება (იხ. ცხრილი №2.14), რაც გლობალური კონკურენტუნარიანობის რიგ მაჩვენებელში კატასტროფული შედეგების გათვალისწინებით, ცუდი შედეგი ნამდვილად არაა. თუმცა გარკვეულ მიღწევად შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ ქვეყნის განვითარების ეტაპის მიხედვით, რეგიონში (სომხეთთან და აზერბაიჯანთან შედარებით) უკეთესი მაჩვენებელი სწორედ საქართველოს აქვს. აღსანიშნავია, რომ ამავე ეტაპზე იმყოფება ევროკავშირის წევრი რამდენიმე ქვეყანაც, კერძოდ: ბულგარეთი და რუმინეთი.

ცხრილი №2.14

ქვეყნები განვითარების ეტაპების მიხედვით

ეტაპი I. ფაქტორ მამოძრავებელი	გარდამავალი პერიოდი	ეტაპი II. ეფექტიანობა მამოძრავებელი	გარდამავალი პერიოდი	ეტაპი III. ინოვაცია მამოდ.
ბენინი	სომხეთი	ბულგარეთი	ბრაზილია	ბაჰრეინი
ბურკინა ფასო	აზერბაიჯანი	ჩინეთი	რუსეთი	ბელგია
კამბოჯა	ლიბია	საქართველო	ლატვია	გერმანია
კამერუნი	კუვეითი	გვატემალა	ლიტვა	საფრანგეთი
ჩადი	მოლდოვა	მაკედონია	ესტონეთი	ფინეთი
ინდოეთი	ფილიპინები	უკრაინა	თურქეთი	ისრაელი
ნიგერია	ვენესუელა	რუმინეთი	ხორვატია	აშშ

წყარო: გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი, 2013-2014 წწ.

სამწუხაროდ, ზემოთ ჩამოთვლილი გაუმჯობესებები სპონტანურ ხასიათს ატარებს. საქართველოში ჯერაც არ არსებობს ქვეყნის ეკონომიკური კონკურენტუნარიანობის ამაღლების რეალური დოკუმენტი. არც ის მიგვაჩნია მართებულად, რომ კონკურენტუნარიანობის ამაღლების თითქმის ერთადერთ გზად პირდაპირი უცხოური ინვესტიციებია მიჩნეული, რომელიც წლიდან-წლამდე ცვალებადი ნაკადებით მოედინება საქართველოსკენ. შესაბამისად, საჭიროა გრძელვადიანი სტრატეგიის შემუშავება, რომელშიც აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული ისეთი მნიშვნელოვანი პარამეტრები, როგორცაა:

- მაკროეკონომიკური და პოლიტიკური სტაბილურობის მიღწევა;
- ადგილობრივი და უცხოური მდგრადი ინვესტიციების მოძიება;
- კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოების ხელშემწყობი ქმედებები;
- სტრატეგიული დარგების განვითარების გზების მოძიება;
- კონფლიქტური რეგიონების მიმართ შედეგის მომტანი პოლიტიკის გატარება;
- მეცნიერებატევადი და ცოდნაზე ორიენტირებული დარგების განვითარება;
- ძლიერი და სანდო სასამართლო სისტემის ჩამოყალიბება;
- ძლიერი და სანდო საბანკო სისტემის ჩამოყალიბება;
- საშუალო და უმაღლესი განათლების სისტემის ახალ სიმაღლეზე აყვანა.

2.4. OLI პარადიგმა და ერის ინვესტიციური განვითარების გზა (IDP)

დანინგის მიერ შემუშავებული ეკლექტიკური პარადიგმის თანახმად, საერთაშორისო ორგანიზაციები ამა თუ იმ ქვეყანაში ინვესტირების საკითხს მათ მიერ მოპოვებული უპირატესობების შედეგად განიხილავენ. დამოუკიდებლობის მოპოვების პირველ წლებში საქართველო ადგილმდებარეობითა და იაფი მუშაო ძალით იწონებდა თავს. შესაბამისად, საქართველოში ინვესტიციები თითქმის მთლიანად რეგიონული მნიშვნელობის გაზსადენებსა თუ მილსადენებში ხორციელდებოდა და საერთაშორისო ორგანიზაციებმა მაქსიმალურად გამოიყენეს საქართველოს ადგილმდებარეობის უპირატესობა. მომდევნო ეტაპზე, უცხოურმა კომპანიებმა საქართველოში მფლობელობით უპირატესობის გამოყენებაც შეძლეს, რაც მათ მიერ საკუთარ ბაზრებზე წლების მანძილზე მოპოვებული არამატერიალური და კომპლემენტარული (მაგ.: მარკეტინგული და მენეჯერული უნარები) აქტივების გამოყენებულ გახდა შესაძლებელი. ზემოთ აღნიშნული უპირატესობის მოპოვების გზით კი მათ ინტერნალიზაციის უპირატესობის მოპოვებაც შეძლეს და ფართომასშტაბიანი ინვესტიციური ნაკადებიც (სხვადასხვა დარგებში) დაიწყო.

დანინგის მიხედვით, თუ კომპანიას მფლობელობის უპირატესობა აქვს, მაშინ, მას შეუძლია მიმართოს როგორც ლიცენზიის გაცემას, ასევე, თავისი პროდუქციის ექსპორტირებას, აგრეთვე, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განხორციელებასაც ახალ ბაზარზე; თუმცა კომპანიის მიერ ახალ ბაზარზე ინტერნალიზაციის უპირატესობის ფლობის დროს, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ექსპორტირებაა მიზანშეწონილი და არა ლიცენზიის გაცემა.

დანინგის და ნარულას თანახმად, ერთი მხრივ, პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისა და, მეორე მხრივ, ცალკეული კომპანიების/ქვეყნების: მფლობელობის, ადგილმდებარეობის და ინტერნალიზაციის უპირატესობები, ქვეყნის ეკონომიკური განვითარების სხვადასხვა საფეხურებზე იცვლება (Dunning 1981).

ეკლექტიკური პარადიგმის კონცეფცია ახლო კავშირშია ამავე ავტორის მიერ შემუშავებულ სხვა კონცეფციასთან, რომელიც მან პირველად 1979 წელს შეიმუშავა და 1996 წელს რაჯნეშ ნარულასთან ერთად განავითარა. კონცეფცია, სახელწოდებით „ერის ინვესტიციური განვითარების გზა“ (Dunning & Narula, 1996), 5 ეტაპისაგან

შედგება და ეკონომიკის განვითარების პარალელურად, ზრდადი დინამიკა ახასიათებს. თეორიის მთავარი საფუძველი კი ის არის, რომ ეკონომიკა ჩართული იყოს გლობალურ ეკონომიკურ/ფინანსურ ურთიერთობებში.

ერის ინვესტიციური განვითარების გზა ფოკუსირებულია ქვეყნის განვითარების დონესა (იგულისხმება მთლიანი შიგა პროდუქტის მაჩვენებელი მოსახლეობის ერთ სულზე) და მის საერთაშორისო საინვესტიციო პოზიციების კავშირზე (წმინდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, ანუ გამავალ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გამოკლებული შემომავალი პირდაპირი უცხოური ინვესტიციები). მოცემული მოდელის ძირითადი შინაარსი მდგომარეობს იმაში, რომ პირობები ადგილობრივი და უცხოური კომპანიებისათვის იცვლება ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებასთან ერთად, რაც, თავის მხრივ, გავლენას ახდებს შემომავალ და გამავალ პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებზე (და პირიქით), სადაც გადამწყვეტ როლს ქვეყნის მიერ არჩეული საინვესტიციო პოლიტიკა თამაშობს (Dunning and Narula, 1996; Durán and Ubeda, 2001; Ozawa and Castello, 2001).

პირველი ეტაპი - არასწორი სამთავრობო პოლიტიკის, დაბალი შემოსავლების, არაადეკვატური განათლების, ინფრასტრუქტურის გაუმართავობისა და სხვა მრავალი ნეგატიური მიზეზის ფონზე, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოძიება უაღრესად რთული და ფაქტობრივად შეუძლებელი რამ არის, რადგანაც ასეთი ტიპის ეკონომიკა განუვითარებელი და, შესაბამისად, დაბალშემოსავლიანია. ასეთი ტიპის ქვეყნების ეკონომიკა ძირითადად შრომატევადი დარგების არსებობით შემოიფარგლება და მხოლოდ ინვესტიციის მოძიებაზეა ორიენტირებული, რაც მათ მდგომარეობაში ურთულესი საკითხია. ეკონომიკას თითქმის არ გააჩნია ან ვერ იყენებს უპირატესობას, ხოლო უპირატესობა, მისი არსებობის შემთხვევაშიც კი არ არის საკმარისი არც პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოსაზიდად და არც მისი ექსპორტირებისათვის.

ის მაქსიმუმი, რაც, შესაძლოა, ქვეყნის მთავრობას ამ ეტაპზე მოეთხოვოს, არის - მეტ-ნაკლებად ადეკვატური ინფრასტრუქტურის შექმნა და მოსახლეობის/სამუშაო ძალის კვალიფიკაციის თვისობრივად ახალ დონეზე აყვანა. ამ ეტაპისთვის, აგრეთვე, დამახასიათებელია ქვეყნებმა თავისი ექსპორტის სუბსიდირება, ხოლო იმპორტზე პროტექციონისტული პოლიტიკის გატარება.

ეტაპი მეორე. პირველი საფეხურის გარკვეულწილად გამოსწორებისა და გარკვეულ დონეზე უპირატესობის მოპოვების შემდგომ (განათლების დონის ამაღლება,

ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, სახელმწიფო ინსტიტუტების გაძლიერება და ა.შ.), უცხოურ კომპანიებს უზრუნველყოფს გარკვეული სურვილი, გამოავლინონ მათი უპირატესობები ამ ბაზარზე და თავისი პროდუქციის ექსპორტირების ნაცვლად, მოცემულ ქვეყანაში აწარმოონ თავიანთი პროდუქცია (თუმცა - შეზღუდულ მასშტაბებში). როგორც წესი, ამ ეტაპზე წარმოება ხასიათდება შრომატევადი პროდუქციის გამოშვებით და იშვიათია ტექნოლოგიური ან/და ინოვაციური ინვესტიციები (Dunning and Narula, 1996), თუმცა თუ სახელმწიფო პოლიტიკამ მაინც შეძლო ტექნოლოგიური ინვესტიციების სტიმულირება, მაშინ ის, პირველ რიგში, ქვეყნის ეკონომიკის ძირითად სექტორს დაეცემა და ადგილობრივი ფირმები გარკვეული უპირატესობების ხარჯზე ეცდებიან ახალი, მოდიფიცირებული პროდუქციის წარმოებას, რომელსაც თავდაპირველად ადგილობრივ, ხოლო შემდგომ, მეზობელი ქვეყნების ბაზრებზე გაიტანენ და ამით ქვეყნის სავაჭრო ბალანს შეეხიდიებიან.

შესაძლებელია, რომ ამ ტენდენციამ დროთა განმავლობაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების როგორც მოზიდვა, ასევე, მოცემული ქვეყნის მიერ ინვესტიციების უცხოეთში განხორციელებაც გამოიწვიოს, რაც თავისთავად ძალიან პოზიტიურ სიგნალად ჩაითვლება მისი პარტნიორი (და არამხოლოდ) ეკონომიკების მიერ. აღნიშნული ქმედება, როგორც წესი, განპირობებულია: 1) ახალი ბაზრების დაპყრობის და მაქსიმალური მოგების მიღების სურვილით ან 2) ახალი ცოდნისა და ტექნოლოგიების დაუფლების მიზნით.

საერთო ჯამში, მეორე ეტაპი შეიძლება, მაინც პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვითა და უმნიშვნელო საგარეო ინვესტიციების განხორციელებით დახასიათდეს.

მესამე ეტაპი, წინა ორისაგან განსხვავებით, შრომატევადი დარგების დაინტერესებითა და მათში ინვესტიციების განხორციელებით აღარ ხასიათდება. ბარიტის თანახმად, იაფი მუშახელის მაძიებელი ინვესტიცია უკვე აქტუალური აღარ არის და მის ადგილს ბაზრის მაძიებელი ინვესტიცია იკავებს (Barry et al., 2003).

ამ ეტაპზე შედარებით მაღალი ტექნოლოგიური დონის მიღწევის შედეგად, ადგილობრივ ბაზარზე იზრდება ხელფასები (კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოების ხარჯზე) და გადამზადებულ კადრებს დასაქმებისათვის უკეთესი შესაძლებლობები უზრუნველყოფს. უპირატესობებს დაუფლებული კომპანიები/ეკონომიკები

კი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ექსპორტირებაზე გადადიან ანუ, გამომდინარე იქედან, რომ ადგილობრივ სამუშაო ბაზარზე შრომითი ანაზღაურება მომატებულია, ადგილობრივ კომპანიებს უჩნდებათ სურვილი, თავად განახორციელონ ინვესტიციები მეზობელ ქვეყნებში. ისინი იმედოვნებენ, რომ იაფი მუშახელისა და მათი ტექნოლოგიების გამოყენებით მეზობელი ქვეყნების ბაზრების დაპყრობასა და იქედან მათთვის საჭირო ნედლეულის ან/და მზა პროდუქციის იმპორტირებას შეძლებენ. მეორე მხრივ, უფრო განვითარებული ბაზრების მოთამაშეები ამ ახალ, მზარდ ეკონომიკაში თავისი პოზიციების გამყარებას შეეცდებიან და ახალ პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებსაც განახორციელებენ, შესაბამისად, მათი მოგების ზრდაც არის მოსალოდნელი (Scott-Kennel, Enderwick, 2005).

ამ ეტაპზე ადგილობრივი ფირმები უკვე მულტინაციონალურ ორგანიზაციებად იქცევიან და ნაკლებად არიან დამოკიდებული სახელმწიფო პოლიტიკაზე, თუმცა მთავრობის მხრიდან საგარეო ვაჭრობაში დახმარება მათთვის სასარგებლო შედეგის მომტანია. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, კონკურენცია ადგილობრივ ბაზარზე იზრდება. შემომავალი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მიერ ადგილობრივ ინდუსტრიებზე უპირატესობის დიფუზიის ხარჯზე კი თავდაპირველი, მიმზიდველი გარემო - იაფი შრომის ბაზარი იკარგება.

მეოთხე ეტაპი, იწყება მაშინ, როდესაც ნეტო პირდაპირი უცხოური ინვესტიციები დადებით მაჩვენებელს აღწევს. ამ ეტაპზე კაპიტალის ხელმისაწვდომობა მაღალია და ადგილობრივ ფირმებს განვითარების მაღალი შესაძლებლობები უჩნდებათ.

საგარეო ინვესტიციების განხორციელების წყურვილი იმატებს მაშინ, როდესაც მოცემული კომპანიების აქტივები კარგავს მიმზიდველობას ადგილობრივ ბაზარზე და ისინი იძულებული ხდებიან, თავისი უპირატესობების გამოსაყენებლად ახალ, განვითარებად ბაზრებზე გავიდნენ. ამ ეტაპზე სავაჭრო ბარიერების მინიმუმამდე დასაყვანად, კომპანიები მაქსიმალურად ცდილობენ თავიანთი საქმიანობის გლობალიზებას, მთავრობები კი - ეფექტიანი დარგებისა და ორგანიზაციების შენარჩუნებას. რესურსამოწურული დარგები/კომპანიები წყვეტენ არსებობას.

ქვეყნის განვითარების დონის დასახასიათებლად მხოლოდ დადებითი წმინდა ინვესტიციური ნაკადები და მთლიანი შიგა პროდუქტის მაჩვენებლები არაა საკმარისი. ან პირიქით, ზოგიერთი ქვეყანა არამხოლოდ მაღალი მთლიან შიგა პროდუქტს,

არამედ ერთ სულზე გაანგარიშებით მაღალი მთლიან შიგა პროდუქტს (რომელსაც მეოთხე ეტაპი არ ითვალისწინებს) შემთხვევაშიც კი ვერ ახერხებს დადებითი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ბალანსის მიღწევას, მიუხედავად იმისა, რომ განვითარების საკმაოდ მაღალ საფეხურზე დგას, მაგალითად ისეთი ქვეყნები, როგორებიცაა: ახალი ზელანდია, ირლანდია და სხვები (Barry et al., 2003) ან მესამე, შესაძლოა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნეტო მაჩვენებლის გაუმჯობესება, მოცემულ ქვეყანაში საინვესტიციო კლიმატის გაუარესებას მოჰყვეს იმ პირობით, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ექსპორტი კვლავ მაღალ დონეზე შენარჩუნდება (Buckley and Castro, 1998). ამიტომ, ისინი მეოთხე ეტაპის გადახედვას და მის არა ნეტო მაჩვენებელზე, არამედ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ექსპორტის მნიშვნელოვან ზრდაზე დაფუძნებით გაანგარიშებას მოითხოვენ.

ერის ინვესტიციური განვითარების გზის მოდელი

	ეტაპი I	ეტაპი II	ეტაპი III	ეტაპი IV	ეტაპი V
ეკონომიკის სტრუქტურა					
ინდუსტრიული განვითარება და ადგილობრივი კონდიციები	ფაქტორ მამოძრავებელი განვითარება	ინვესტიცია მამოძრავებელი განვითარება	ინოვაცია მამოძრავებელი განვითარება	სიმდიდრე მამოძრავებელი განვითარება	
	L უპირატესობა = შეზღუდულია ბუნებრივი რესურსებით	L უპირატესობა = ყალიბდება	L უპირატესობა = ჩამოყალიბებულია	L უპირატესობა = მნიშვნელოვანია;	
	ინფრასტრუქტ. და O უპირატესობა შეუსაბამოა პუი-ს ექსპორტისათვის	ინფრასტრუქტ. და O უპირატესობა კვლავ დაბალ დონეზეა	ინფრასტრუქტ. და O უპირატესობა ვითარდება	O უპირატესობა = ჩამოყალიბებულია და მნიშვნელოვანია	
პუი-ს მოტივაციები	რესურსების მაძიებელი	რესურსების მაძიებელი + ბაზრის მაძიებელი (ზრდადი)	ბაზრის + ეფექტიანობის მაძიებელი პუი წარმოებაში (ზრდადი)	ეფექტიანობის მაძიებელი; ბაზრის მაძიებელი; აქტივების მაძიებელი	

წყარო: შედგენილია ჯ. დანიშვის მონაცემებზე დაყრდნობით სხვადასხვა მეცნიერების მიერ


მეხუთე ეტაპი (იხ. ცხრილი №2.15). ბოლო, მეხუთე ეტაპი დამახასიათებელია ისეთი ქვეყნებისათვის, რომელთაც ჩვენ დღეს ინდუსტრიულად განვითარებულ ქვეყნებად მოვისხენიებთ. ინვესტიციების ძირითადი ნაკადები მულტინაციონალური კორპორაციების მიერ ხორციელდება, რომელთათვის უკვე ქვეყნის საზღვრებს ნაკლები მნიშვნელობა ენიჭება, რადგანაც მათ თავისი ბიზნესი მსოფლიო მასშტაბით აქვთ განვითარებული, ნებისმიერ ოპერაციას განახორციელებენ არა ქვეყნებსა და რეგიონებს შორის ტრანსაქციებით, არამედ - თავისი ორგანიზაციის საერთაშორისო ოპერაციებით.

ამ ეტაპზე ძალიან მნიშვნელოვანია ქვეყნაში და ბაზრის სხვადასხვა სეგმენტებში მაღალი კონკურენციის არსებობა, ქვეყნის უნარი, განახორციელოს ახალი, მაღალპროდუქტიული სამუშაო ძალისა და უახლესი ტექნოლოგიების გენერირება.

ამასთან აღსანიშნავია, რომ დანიინგის კვლევების მიხედვით, (1981, 1986 და 1988) ინდუსტრიული ქვეყნებიდან განხორციელებული ინვესტიციები ყოველთვის აღემატებოდა რესურსზე დაფუძნებული ქვეყნების მიერ განხორციელებულ პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს. დანიინგისა და ნარულას (1996) თანახმად, ინვესტიციების განვითარების გზის ფორმა და ხასიათი მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია მოცემული ქვეყნის ინდივიდუალურ ეკონომიკურ მახასიათებლებზე, ისეთებზე როგორებიცაა: ბაზრის სიდიდე, ბუნებრივი რესურსების ოდენობა და სხვა. აგრეთვე მნიშვნელოვანია მიღებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ტიპი და სახელმწიფო პოლიტიკა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მიმართ.

დანიინგის ხუთივე საფეხურის და ეკლექტიკური პარადიგმის უპირატესობების ერთობლივი ნაზავის გრაფიკული წარმოსახვა ჯ. სკოტ-კენელმა და პ. ენდერვიკმა (Joanna Scott-Kennel and Peter Enderwick, 2005) შემოგვთავაზეს (იხ. სურათი №2.28), საიდანაც ნათლად ჩანს, თუ როგორ იზრდება კავშირები ერის ინვესტიციური გზის განვითარების საფეხურების მატებასა და OLI პარადიგმას შორის. მაგ.: მფლობელობის უპირატესობა (როგორც ადგილობრივი, ასევე უცხოური კომპანიის) იზრდება პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მიმღები ეკონომიკის და IDP-ს საფეხურის ამადლებასთან/განვითარებასთან ერთად. ხოლო ინტერნალიზაციის უპირატესობა კი, რომელიც მეორე საფეხურიდან მოიპოვება, შემდგომშიგავლენას კარგავს.


ერის ინვესტიციური განვითარების გზა და ეკლექტიკური პარადიგმა



წყარო: (Joanna Scott-Kennel and Peter Enderwick, 2005) p.124

საბოლოოდ შეიძლება ითქვას, რომ დანიშნის 5 საფეხურიანი მოდელი საკმაოდ წარმატებულია, თუმცა დურანისა და უბედას (Duran and Ubeda, 2001) თანახმად, ხარვეზი მაინც არსებობს. დანიშნის მიერ შემოთავაზებული 5 საფეხურიანი განვითარების გრაფიკული ასახვა ვერ წარმოაჩენს რეალობას, რადგანაც მასში ერთ ღერძზე ეკონომიკური განვითარება, ხოლო მეორეზე კი წმინდა ინვესტიციური ნაკადებია ასახული მაშინ, როდესაც წმინდა ნაკადების მინუსი/პლიუსი ნიშანი შეიძლება, რომ სულაც არ იყოს დამოკიდებული იმაზე თუ ერის ინვესტიციური განვითარების რომელ საფეხურზე იმყოფება ქვეყანა. ამიტომ, ის თავის გრაფიკულ წარმოსახვას გეთავაზობს, სადაც ეკონომიკურ განვითარებასთან ერთად, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების, როგორც შემომავალი, ასევე გამავალი ნაკადების ასახვაა შესაძლებელი (იხ. დიაგრამა №2.29).

IDP-ს ეტაპები (მარცხნივ დანიშნის, მარჯვნივ კი ღურანის მიხედვით)



წყარო: დანიშნის; ლუგანი.

აღსანიშნავია, რომ დანიშნის ერის ინვესტიციური განვითარების გზა არ არის ერთადერთი თეორია, რომელიც მსგავს მოვლენებს ხსნის. კერძოდ, ოზავას ეკონომიკური ბილიკის თანახმად, ყველაფერი შრომატევადი წარმოების საფეხურიდან იწყება, გრძელდება კაპიტალტევადი დარგების განვითარებით და ბოლოს ადამიანურ კაპიტალზე დაფუძნებული წარმოების განვითარებით სრულდება (Ozawa, 1992). პორტერის თანახმად კი, არსებობს ოთხი საფეხური: ფაქტორ-მართვადი; ინვესტიცია-მართვადი; ინოვაცია-მართვადი და სიმდიდრე მართვადი (Porter, 1990).


დანიშნის ერის ინვესტიციური განვითარების გზის მოდელის საქართველოს რეალობაზე გადმოტანისას, ჩვენი აზრით, გასათვალისწინებელია მოცემული ქვეყნის პროგრესი ბოლო წლების განმავლობაში. აღსანიშნავია როგორც პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინების, ასევე - საქართველოს რეზიდენტების მიერ საზღვარგარეთ განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მაჩვენებლები. გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ ბოლო წლების განმავლობაში, მართალია, ძალიან ნელი, მაგრამ მიზანმიმართული ნაბიჯებით მიმდინარეობს შრომატევადი დარგების, ტექნოლოგიატევადი დარგებით ჩანაცვლება, რაც,

ძირითადად, ბოლო წლების განმავლობაში მომსახურების სფეროს განვითარებით შეიძლება აიხსნას (რაც მესამე ეტაპისთვისაა დამახასიათებელი).

ჩვენ მიერ აგებული ერის ინვესტიციური განვითარების გზის მოდელიდან გამომდინარე, ნათელია, რომ საქართველო 2004-2007 წლებში მეორე საფეხურს გადიოდა (იხ. დიაგრამა №2.30). საიდანაც გამომდინარეობს, რომ შემომავალი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ძირითადი მოტივი რესურსების დაუფლება (ისევე, როგორც 2003 წლამდე) და ადგილობრივი ბაზრის ათვისება გახლდათ.

დიაგრამა №2.30

საქართველოს ინვესტიციური განვითარების გზა



წყარო: შედგენილია ავტორის მიერ

2008 წლიდან საქართველო „ერის საინვესტიციო განვითარების გზის“ მესამე საფეხურზე გადადის და უცხოურ ინვესტიციათა მოტივაციებიც საგრძნობლად იცვლება. თუმცა, შეიძლება ითქვას, რომ მესამე საფეხურზე საქართველოს აღზევება ამ შემთხვევაში არ არის მართებული პროგნოზი, რადგანაც საქართველოს ნეტო პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მაჩვენებლის კლება არა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ექსპორტის ზრდით, არამედ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების იმპორტის კლებით იყო განპირობებული. ამ შემთხვევაში, შეიძლება ითქვას, რომ საქართველო ერის ინვესტიციური განვითარების გზის მესამე საფეხურზე არა 2008


წლიდან, არამედ მომდევნო წლებში ინაცვლებს. თუმცა აშკარაა, რომ საქართველო უკვე მესამე საფეხურზეა გადასული.

ამ ეტაპზე შედარებით მაღალი ტექნოლოგიური დონის მიღწევის შედეგად, ადგილობრივ ბაზარზე ხელფასები იზრდება. და უპირატესობებს დაუფლებული კომპანიები/ეკონომიკები კი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ექსპორტირებაზე გადადიან, ანუ, გამომდინარე იქედან, რომ ადგილობრივ სამუშაო ბაზარზე შრომითი ანაზღაურება მომატებულია, ადგილობრივ კომპანიებს უნდებათ სურვილი, რომ მეზობელ ქვეყნებში ინვესტიციები თავად განახორციელონ. იაფი მუშახელისა და მათი ტექნოლოგიების გამოყენებით, ისინი მეზობელი ქვეყნების ბაზრების დაპყრობასა და იქედან მათთვის საჭირო ნედლეულის ან/და მზა პროდუქციის იმპორტირებას იმედოვნებენ. მეორე მხრივ, უფრო განვითარებული ბაზრების მოთამაშეები ამ ახალ, მზარდ ეკონომიკაში თავისი პოზიციების გამყარებას ცდილობენ და ახალ პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებისაც განახორციელებენ, შესაბამისად, მოსალოდნელია მათი მოგების ზრდაც (Scott-Kennel, Enderwick, 2005).

ამ ეტაპზე ადგილობრივი ფირმები უკვე მულტინაციონალურ ორგანიზაციებად იქცევიან და ნაკლებად არიან დამოკიდებული სახელმწიფო პოლიტიკაზე. თუმცა საგარეო ვაჭრობაში მთავრობის მხრიდან დახმარება მათთვის სასარგებლო შედეგის მომტანია. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, კონკურენცია ადგილობრივ ბაზარზე იზრდება. შემომავალი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მიერ ადგილობრივ ინდუსტრიებზე უპირატესობის დიფუზიის ხარჯზე კი თავდაპირველი, მიმზიდველი გარემო - იაფო შრომის ბაზარი იკარგება.

აღნიშნულ ეტაპზე საქართველოს ყოფნა მიგვანიშნებს, რომ დღეისთვის უცხოელი ინვესტორების ძირითადი დაინტერესება - იაფი სამუშაო ძალა, ეტაპობრივად გაქრება, რაც ძირითადად დასაქმებულების კვალიფიკაციის ამაღლებასთან იქნება დაკავშირებული. ამიტომ, საჭიროა საქართველო წინასწარ მოემზადოს მსგავსი ცვლილებებისთვის და სხვა ისეთი საინტერესო სიახლეები შესთავაზოს უცხოელ (თუ ადგილობრივ) ინვესტორებს, რომელიც არანაკლები დაინტერესების გამომწვევი იქნება მათში. ან თუნდაც, ცოდნაზე და ახალ ტექნოლოგიებზე ორიენტირებულ ინვესტორთა ახალი ტალღა დააინტერესოს საქართველოთ, რომელიც აქამდე საერთოდ არ იჩენდა ამ რეგიონისადმი დაინტერესებას.

ერის ინვესტიციური განვითარების გზის მოდელი სხვადასხვა სპეციფიკაციებით
(საქართველოს მაგალითზე)



ჭყარო: შედგენილია ავტორის მიერ

ზემოთ მოცემულია (იხ. დიაგრამა №2.31) სხვადასხვა სპეციფიკაციის გრაფიკები, გრაფიკული ანალიზი ცხადყოფს რომ პოლინომიალურ ფუნქციებიდან ყველაზე უკეთ ცვლადებს შორის კავშირს კვადრატული ფუნქცია ახასიათებს. ქვემოთ მოცემულ ცხრილში კი ჩანს, რომ კვადრატული ფუნქცია სხვადასხვა სტატისტიკური მასასიათებლებით უკეთ ახასიათებს განხილულ კავშირს ვიდრე სხვა ფუნქციები, მაგალითად:

- კვადრატული ფუნქციის კოეფიციენტები მნიშვნელოვანია მაშინ როცა სხვა მოდელის კოეფიციენტები არამნიშვნელოვანია;
- ფარდობითი დეტერმინაციის კოეფიციენტები (adjusted R2) პირველ მოდელში უკეთესია ვიდრე სხვა მოდელში;
- აკაიკის ინფორმაციული კრიტერიუმის (AIC), შვარცის კრიტერიუმის (SIC) და ჰანან-ჟუინის (HQ) კრიტერიუმის მიხედვით ისინი მინიმალურ მნიშვნელობებს კვადრატული ფუნქციის შემთხვევაში იღებენ, რაც მიუთითებს იმაზე რომ კვადრატული ფუნქცია უკეთ ახასიათებს კავშირს ვიდრე სხვა მოდელი;
- რამსეის რეგრესიის სპეციფიკაციის შეცდომის ტესტი (Ramsey RESET test Prob.) კი აჩვენებს რომ მოდელის სპეციფიკაცია 57% მნიშვნელოვნების დონისათვის დადასტურებულია;
- ხარკბერის სტატისტიკის მნიშვნელოვნების აღბათობა აჩვენებს მოდელის ნარჩენობითი წევრის ნორმალურ განაწილებასთან მაღალ მიახლოებას, (იხ. ცხრილი №2.16).

ერის ინვესტიციური განვითარების გზის მოდელის სტატისტიკური სპეციფიკაციების ცხრილი

	eq_2		eq_3		eq_4		eq_5	
	coef.	t_stat prob.	coef.	t_stat prob.	coef.	t_stat prob.	coef.	t_stat prob.
C	872.99	0.01	629.92	0.47	-381.14	0.87	-1205.16	0.69
X	-1.62	0.00	-1.13	0.50	1.57	0.79	4.29	0.69
X ²	0.00033	0.00	0.00006	0.94	-0.00230200000	0.64	-0.005558000000000	0.69
X ³			0.0000000413	0.76	0.00000086200	0.61	0.000002640000000	0.75
X ⁴					-0.00000000010	0.63	-0.0000000005460000	0.80
X ⁵							0.00000000000000425	0.84
adjusted R ²	0.65		0.63		0.61		0.57	
AIC	14.35		14.46		14.55		14.67	
SIC	14.45		14.65		14.8		14.96	
HQ	14.36		14.48		14.58		14.7	
Ramsey RESET test Prob.	0.57		0.6		0.97		0.33	
JB prob.	0.6		0.68		0.88		0.85	

წყარო: შედგენილია ავტორის მიერ

2.5. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების პოტენციალი და კონტრიბუციის ინდექსი საქართველოში

უკვე დიდი ხანია, „გაეროს ვაჭრობისა და განვითარების კონფერენცია“ (UNCTAD) მსოფლიოს 150-მდე ქვეყნის ანალიზის საფუძველზე გვთავაზობს, ერთი მხრივ, სხვადასხვა ქვეყნების ინვესტიციური პოტენციალის, ხოლო, მეორე მხრივ, ამ პოტენციალის მის რეალურ პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებთან თანაფარდობის მაჩვენებელს. აღნიშნული მაჩვენებელი მრავალი კომპონენტის გათვალისწინებით გაიანგარიშება, ესენია: ბაზრის მიმზიდველობა; იაფი სამუშაო ძალის არსებობა; ბუნებრივი რესურსების არსებობა და ინფრასტრუქტურის გამართულობა. აღსანიშნავია, რომ თითოეული ჩამოთვლილი მსხვილი მაჩვენებელი შემდგომ მცირე მაჩვენებლებად არის ჩაშლილი და მოიცავს ისეთ ვიწრო მიმართულებებსაც კი, როგორებიცაა: გზის სიგრძე ყოველ 100 კმ. კვადრატ მიწის ფართობზე; სატელეფონო ხაზების მაჩვენებელი ყოველ 100 მოსახლეზე; ინტერნეტის მომხმარებელთა რაოდენობა ყოველ 100 მოსახლეზე და ა.შ.

იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული ინდექსი UNCTAD-ის მიერ ბოლოს 2011 წლისთვის იყო გაანგარიშებული და მომდევნო წლების მონაცემების მიხედვით არ განახლებულა, ჩვენ გადავწყვიტეთ, აღნიშნული მაჩვენებლები თავად დაგვეჯამებინა და მიგვეკვლია, თუ რამდენად გაიუმჯობესა ან/და გაიუარესა საქართველომ თავისი პოზიციები აღნიშნული მაჩვენებლის მიხედვით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჩთ -ის მიერ გამოყენებული მონაცემების უქონლობის გამო, ჩვენ მიერ მათი მსგავსი მაჩვენებლებით ჩანაცვლება განხორციელდა, კერძოდ - „მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის“ მონაცემებით, რომელიც მსოფლიო მასშტაბით მაღალი რეპუტაციით სარგებლობს და მსოფლიო ბანკის მიერ თავის კვლევებში გამოიყენება. ასეთი მაჩვენებელი სულ ექვსია: ა) ბაზრის სიდიდე და თ) ბუნებრივი რესურსების რენტაბელობა (პროცენტი მთლიან შიგა პროდუქტთან); ბ) უმაღლესი განათლება და ტრეინინგები; გ) სასაქონლო ბაზრის ეფექტიანობა; დ) შრომითი ბაზრის ეფექტიანობა; ე) ფინანსური ბაზრების განვითარებულობა; ვ) მაკროეკონომიკური გარემო და ზ) ინფრასტრუქტურა (გლობალური კონკურენტუნარიანობის 2014 წლის ინდექსი).

აღსანიშნავია, რომ თითოეული ზემოაღნიშნული პარამეტრი (გარდა „ა“ პუნქტისა), თავის თავში დამატებით კიდევ რამდენიმე უფრო ვიწრო სპეციფიკის მაჩვენებელსაც მოიაზრებს, კერძოდ: ა) ინფრასტრუქტურაში მოიაზრება: გზების, ხიდების, რკინიგზის, პორტების, ელექტროენერჯის და ა.შ. გამართულობა; ბ) მაკროეკონომიკურ გარემოში მოიაზრება: ინფლაცია, სახელმწიფო ვალის მაჩვენებელი მთლიან შიგა პროდუქტთან მიმართებაში, დანაზოგების დონე მთლიან შიგა პროდუქტთან და ა.შ. გ) სასაქონლო ბაზრის ეფექტიანობაში მოიაზრება - კონკურენციის დონე, ანტიმონოპოლიური სამსახურის ეფექტიანობა, ბიზნესის დაწყებისათვის საჭირო დღეების რაოდენობა და სხვა; დ) შრომის ბაზრის ეფექტიანობა: დაქირავებისა და სამსახურიდან დათხოვნის პროცედურები, „ტვინების“ მოზიდვის და „ტვინების“ გადინების მაჩვენებელი, მოქნილობა სახელფასო პოლიტიკაში და სხვა; ე) ფინანსური ბაზრის განვითარებულობა: ფინანსური სერვისების არსებობა და ხელმისაწვდომობა, „ვენჩერული კაპიტალის“ არსებობა, სასესხო კაპიტალთან ხელმისაწვდომობა და სხვა; ვ) ბაზრის სიდიდე: ადგილობრივი და უცხოური (პარტნიორი ქვეყნების) ბაზრის სიდიდე, აგრეთვე, მთლიანი შიგა პროდუქტის (PPP) მაჩვენებელი და ექსპორტი, როგორც მთლიან შიგა პროდუქტს პროცენტი.

ზემოთ ჩამოთვლილი მონაცემების საფუძველზე, ჩვენ მიერ განხორციელებული კვლევის ფარგლებში მოხდა სხვადასხვა ქვეყნებისთვის რეიტინგის გამოთვლა და შემდგომ რეალურ ინვესტიციურ ნაკადებთან შედარება. მაგ.: 2011 წელს ესტონეთის პოტენციალი მსოფლიოში 115-ე გახლდათ მაშინ, როდესაც მოპოვებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მაჩვენებლით ის 110-ე იყო მსოფლიოში. 2013 წელს კი პოტენციალის გაუმჯობესების მიუხედავად (23-ე ადგილი), პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაკადებმა მნიშვნელოვნად იკლო. თურქეთმა კი პირიქით, პოტენციალით 69-ე პოზიცია, რეალურ 23-ე ადგილად აქცია (იხ. ცხრილი №2.17).

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების პოტენციური და რეალური შესაძლებლობები სხვადასხვა ქვეყნებისთვის

№	პოტენციალი 2013	№	რეალური 2013	№	პოტენციალი 2011	№	რეალური 2011	№	პოტენციალი 2007	№	რეალური 2007
1	აგს	1	აშშ	1	აგს	1	აშშ	1	აგს	1	აშშ
2	ტაივანი	2	ჩინეთი	2	ტაივანი	2	ჩინეთი	2	ტაივანი	2	ბრტანეთი
3	ყატარი	3	რუსეთი	3	ყატარი	3	ბელგია	3	ყატარი	3	ჰოლანდია
4	ნორვეგია	4	ბრაზილია	4	ნორვეგია	4	ჰონგ-კონგი	4	ნორვეგია	4	კანადა
5	კანადა	5	სინგაპური	5	კანადა	5	ბრაზილია	5	კანადა	5	საფრანგეთი
23	ესტონეთი	23	თურქეთი	28	თურქეთი	8	რუსეთი	24	ესტონეთი	13	რუსეთი
29	ყაზახეთი	31	ყაზახეთი	31	რუსეთი	26	თურქეთი	30	ყაზახეთი	26	თურქეთი
31	რუსეთი	45	უკრაინა	29	ყაზახეთი	27	ყაზახეთი	32	რუსეთი	30	ბულგარეთი
32	ლატვია	46	რუმინეთი	43	უკრაინა	41	უკრაინა	33	ლატვია	31	ყაზახეთი
39	აზერბაიჯანი	55	აზერბაიჯანი	61	რუმინეთი	67	ბულგარეთი	40	აზერბაიჯანი	36	რუმინეთი
40	ლიტვა	72	ბულგარეთი	68	ბულგარეთი	59	რუმინეთი	41	ლიტვა	37	უკრაინა
45	ბულგარეთი	82	საქართველო	75	ლატვია	72	ლატვია	46	ბულგარეთი	62	ესტონეთი
51	თურქეთი	86	ესტონეთი	76	აზერბაიჯანი	73	აზერბაიჯანი	52	თურქეთი	64	ლატვია
61	რუმინეთი	91	ლატვია	77	ლიტვა	74	ლიტვა	62	რუმინეთი	68	ლიტვა
69	საქართველო	103	ლიტვა	85	საქართველო	82	საქართველო	70	საქართველო	69	საქართველო
72	უკრაინა	112	სომხეთი	109	სომხეთი	106	სომხეთი	73	უკრაინა	96	სომხეთი
85	სომხეთი	145	მოლდოვა	115	ესტონეთი	110	ესტონეთი	86	სომხეთი	101	მოლდოვა
112	მოლდოვა			120	მოლდოვა	114	მოლდოვა	113	მოლდოვა	145	აზერბაიჯანი

წყარო: შედგენილია ავტორის მიერ

უფრო მეტიც, ჩვენ დამატებით შევისწავლეთ 2007 წლის მდგომარეობაც, რადგანაც მოცემული წელი საქართველოსთვის ისტორიულად ყველაზე დიდი ოდენობით პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვასთან არის დაკავშირებული (2 მლრდ-ზე მეტი საქსტატის მიხედვით და 1,75 მლრდ მსოფლიო ბანკის მიხედვით). კვლევის შედეგად დადგინდა, რომ საქართველო 2007 წელს, ისევე, როგორც 2011 წელს, იმაზე მეტ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების იზიდავდა, ვიდრე მას ამის რეალური პოტენციალი ჰქონდა. ხოლო 2013 წელს კი საქართველომ იმაზე ნაკლები პირდაპირი უცხოური ინვესტიციები მოიზიდა, ვიდრე მას ამისთვის რეალური პოტენციალი გააჩნდა. კერძოდ, 2007 წელს საქართველო პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის პოტენციალით მსოფლიო მასშტაბით 70-ე ადგილზე იყო, ხოლო მოზიდული ინვესტიციების მხრივ კი - 69-ზე. 2011 წელს იგივე მაჩვენებლები შესაბამისად შეადგენდნენ 85-ე და 82-ე ადგილებს. 2013 წელს კი მიუხედავად პოტენციური შესაძლებლობების ზრდისა (ინდექსის საფუძველზე), რეალური მაჩვენებელი არათუ გაუმჯობესდა, არამედ გაუარესდა კიდევ (პოტენციური - 69-ე ადგილი; რეალური მოზიდული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მიხედვით - 82-ე).

ისმის კითხვა: რამ გამოიწვია 2007 და 2011 წლებში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების საქართველოს პოტენციურ შესაძლებლობებზე მეტის მოზიდვა? აგრეთვე საკითხავია, რამ გამოიწვია ჩავარდნა 2013 წელს? ჩვენი აზრით, აღნიშნულ კითხვაზე პასუხი სხვადასხვა მთავრობებს შორის პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვასთან დაკავშირებულ განსხვავებულ მიდგომებსა და შესაძლებლობებში მდგომარეობს, კერძოდ: ა) აგრესიული სარეკლამო პოლიტიკა; ბ) დემოკრატიული და რეფორმატორი ქვეყნის იმიჯი; გ) მიზანმიმართული საგარეო პოლიტიკა; დ) მეგობრული ბიზნეს გარემო და ა.შ.

იმის დასადგენად, თუ რეალურად რა შედეგი მოაქვს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განხორციელებას ამა თუ იმ ქვეყანაში, „გაეროს ვაჭრობისა და განვითარების კონფერენცია“ მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში „პირდაპირი უცხოური ინვესტიციების კონტრიბუციის ინდექსაც“ აქვეყნებს. თუმცა ამ ქვეყნების რიცხვში არ შედის საქართველო. ამიტომ ჩვენს მიზანს და კვლევის სიახლეს აღნიშნული პარამეტრის საქართველოზე მორგება წარმოადგენს.

კონტრიბუციის ინდექსი მიგვითითებს უცხოური კაპიტალით დაფუძნებული საწარმოების გავლენის ხარისხზე, ისეთი ფაქტორების მიხედვით, როგორებიცაა:

დამატებული ღირებულება, დასაქმება, შრომის ანაზღაურება, საგადასახადო შემოსავლები, წილი ექსპორტში, წილი კვლევასა და განვითარებაში და კაპიტალის ფორმირება (სიხარულიძე დ., 2012). სამწუხაროდ, საქართველოსთვის (ისევე როგორც მსოფლიოს მრავალი სხვა ქვეყნისათვის) ყველა პარამეტრის მიხედვით შესაბამისი მონაცემები არ არსებობს. თუმცა ანალიზის ჩატარება შესაძლებელია ექვსი ძირითადი პარამეტრის მიხედვით, რაც ინდექსისთვის სავსებით საკმარისია. ერთადერთი მაჩვენებელი, რომელის მიხედვითაც საქართველოში შეუძლებელია კონტრიბუციის ინდექსის დათვლა, ეს არის კვლევასა და განვითარებაში დახარჯული სახსრები (სტატისტიკის უქონლობის გამო).

საქართველოში დაფიქსირებული მონაცემების ანალიზის საფუძველზე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციები გავლენას ახდენს ქართულ ეკონომიკაზე, უფრო ზუსტად კი ის კომპანიები, რომლებიც ქართულ-უცხოური წილობრივი მონაწილეობითა არიან შექმნილნი. კვლევის შედეგად მიღებული მონაცემები ადასტურებენ, რომ საქართველოში, ისევე როგორც სხვა განვითარებად ქვეყნებში, მეცნიერებატევად დარგებთან შედარებით. დიდი როლი აქვს შრომატევადი დარგების წილს. აგრეთვე ნათელია, რომ უცხოური ინვესტიციებით შექმნილი კომპანიები ბაზრის სერიოზული მოთამაშეები არიან და დიდწილად სწორედ ისინი განაპირობებენ ქვეყნის ეკონომიკური აქტიურობის ძირითად ბირთვს. ცალკე აღნიშნავს იმსახურებს ქართულ-უცხოური წილობრივი მონაწილეობით შექმნილი კომპანიების წილი მთლიან ექსპორტში, რომელიც დაახლოებით 1/2-ს შეადგენს და მიგვანიშნებს, იმაზე რომ ქართული ექსპორტი დიდწილად უცხოური ინვესტიციების ხარჯზე ვითარდება (იხ. ცხრილი №2.18).

კონტრიბუციის ინდექსი საქართველოსთვის (2013 წელი)

რეგიონი / ეკონომიკა	დამატებული ღირებულება	დასაქმება	ექსპორტი	საგადასახადო შემოსავლები	შრომის ანაზღაურება	კვლევა და განვითარება	კაპიტალის ფორმირება
განვითარებული ეკონომიკა	12,7	7,5	19,3	13,9	14,6	24,2	10,5
განვითარებადი ეკონომიკა	12,2	7,9	17,3	14,6	15,4	24,1	11,6
აფრიკა	21,7	7,3	21,7	37,2	18,4
აღ. და სამხრეთ აღმოსავლეთ აზია	10,5	9,9	30,9	7,7	8,9	22,5	6,2
სამხრეთ აზია	10,3	6,1	16,0	...	3,8
დასავლეთ აზია	16,8	5,5	1,9	...	15,0	...	3,8
ლათინური ამერიკა / კარიბის ზღვის ბასეინი	15,9	6,0	17,9	18,9	16,0	35,0	14,8
გარდამავალი ეკ. ქვეყნები	21,7	3,0	11,2	15,4	25,7
საქართველო	33	18	47,9	46,5	15	...	40

წყარო: შედგენილია ავტორის მიერ, UNCTAD-ის და საქსტატის მონაცემებზე დაყრდნობით

2013 წლის მონაცემებით, ქართულ-უცხოური წილობრივი მონაწილეობით შექმნილი ორგანიზაციების წილი მთლიან ექსპორტში 52,1 პროცენტს გაუტოლდა (იხ. ცხრილი №2.19) და გვიჩვენებს, რომ ქართული ექსპორტი დიდწილად სწორედ ასეთი ტიპის საწარმოებზეა დამოკიდებული. მით უმეტეს, თუ საქართველოს ექსპორტიდან გამოვრიცხავთ რეექსპორტის წილს (რომელიც, ექსპერტული შეფასებით, ბოლო წლებში 30-35 პროცენტს შეადგენს), გამოდის, რომ ამ ტიპის საწარმოების წილი რეალურ ექსპორტში 2/3-ზე მეტს შეადგენს.

ცხრილი №2.19

ქართულ-უცხოური წილობრივი მონაწილეობით შექმნილი ორგანიზაციების ექსპორტის წილი მთლიან ექსპორტში

წელი	ექსპორტი (\$ მლნ)	წილი მთლიან ექსპორტში (%)
1995	155,2	-
1996	203,0	-
1997	244,2	14,9
1998	191,3	13,5
1999	238,0	20,0
2000	323,9	22,3
2001	317,2	23,6
2002	345,7	28,8
2003	461,3	24,4
2004	646,9	20,6
2005	865,5	22,1
2006	936,4	28,2
2007	1 232,1	44,6
2008	1 495,3	53,7
2009	1 133,6	46,5
2010	1 677,5	44,1
2011	2 189,1	47,9

2012	2 377,5	51,1
2013	2 909,3	52,1

წყარო: სპეციალური დაკვეთით საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

კონტრიბუციის ინდექსის თანახმად, საქართველო უცხოური კაპიტალით დაფუძნებული საწარმოების გავლენის ხარისხით, არამხოლოდ უსწრებს სხვა დანარჩენ რეგიონებსა თუ ქვეყნებს, არამედ ლიდერია თითოეული მიმართულების მიხედვით. ექსპორტის მაჩვენებლის შემდეგ, განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია: საგადასახადო შემოსავლებისა (46,5%) და კაპიტალის ფორმირების (40%) დარგები. მოცემული დარგები, ისევე როგორც სხვა დანარჩენები, ნათლად მიგვანიშნებენ უცხოური საწარმოების გავლენაზე და მნიშვნელობაზე საქართველოს ეკონომიკაში, რაც, რა თქმა უნდა, ერთბაშად არ ჩამოყალიბებულა და, ჩვენი აზრით, განსაკუთრებით უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში განვითარდა.

თავი 3. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის პოტენციური და რეალური შესაძლებლობები საქართველოში

3.1. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის ხელშემწყობი ფაქტორები

გეოპოლიტიკური მდებარეობიდან გამომდინარე, საქართველო ისტორიულად სხვადასხვა რეგიონებისა და ეკონომიკების გზაჯვარედინს წარმოადგენდა. იგი იყო და არის ერთგვარი ჯაჭვის რგოლი ევროპასა და აზიას შორის.

საქართველოს საინვესტიციო გარემოს განსაკუთრებული გამოცოცხლება 2003 წლიდან, გატარებული რეფორმებისა და ინიციატივების შემდეგ შეინიშნება, რაც ადგილობრივი და საერთაშორისო კვლევებითა და შეფასებებითაც დასტურდება. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ცნობით, საქართველოში ინვესტირების უპირატესობებს დაბალი გადასახადები; მარტივი და სამართლიანი საგადასახადო ადმინისტრირება; ეფექტიანი, ბიზნესის მხარდამჭერი და არაკორუმპირებული მთავრობა; სტაბილური და კონსერვატიულად მართული საბანკო სექტორი; საზღვაო, სახმელეთო და საჰაერო წვდომით, ვაჭრობის, ლოჯისტიკისა და წარმოებისათვის სტაბილური ენერგომიწოდება; მოქნილი შორმითი კანონმდებლობა; კრიმინალის დაბალი დონე და სხვა (წყარო: საქართველოს მთავრობა).

სტრატეგიული გეგმების თანახმად, (საქართველო 2012-2015 და საქართველო 2020) საქართველოს კონკურენტული სისუსტეები (ბაზრის ზომა, გეოპოლიტიკური გამოწვევები) საუკეთესო ბიზნეს-კლიმატით უნდა დაბალანსდეს, რაც ხელს შეუწყობს ინვესტიციების მატებასა და, შედეგად, ახალი სამუშაო ადგილების შექმნას.

იმ ფაქტს, რომ საქართველო ერთ-ერთი საუკეთესო ქვეყანაა მსოფლიოში ინვესტიციების მოსაზიდად, აღიარებს არამხოლოდ საქართველო, არამედ მრავალი საერთაშორისო ორგანიზაციაც, რაც უფრო სარწმუნოსა და სანდოს ხდის მის რეპუტაციას. მსოფლიო ბანკის მიხედვით, საქართველო მსოფლიოში (მით უმეტეს თავის რეგიონში) ერთ-ერთი ყველაზე ღია ქვეყანაა უცხოური (სააქციო) კაპიტალისათვის. კვლევის თანახმად, მოცემულ ოცდაცამეტივე სექტორში საქართველო (მონტენეგრო, ჩილე და გვატემალასთან ერთად) აბსოლუტური ღიაობით გამოირჩევა და არავითარი შეზღუდვები არ გააჩნია უცხოური კაპიტალის მიმართ

(თუმცა ადგილობრივი ინვესტორები ხშირად აპროტესტებდნენ, რომ უცხოელებისაგან განსხვავებით, მათზე გარკვეული ზეწოლა ხორციელდებოდა), რაც დამახასიათებელია (წყარო: მსოფლიო ბანკი) მაგ.:

1. დსთ-ს ქვეყნებისათვის: ა) ყაზახეთში კავშირგაბმულობის სფეროში უცხოური თანამონაწილეობის მაქსიმალური ზღვარი 49%-ს არ აღემატება, ამასთან 10%-ს ან/და \$150 მილიონზე და ზევით ინვესტიცია სახელმწიფო ნებათვას ექვემდებარება; ბ) ბელორუსიაში სახელმწიფო მონოპოლიას წარმოადგენს ენერგოდისტრიბუციის დარგი და, ბუნებრივია, უცხოური კომპანიებისათვის იგი ჩაკეტილია; გ) სომხეთში უცხოური კომპანიებისათვის მოღვაწეობა აკრძალულია კომერციული ხე-ტყის დარგში.

2. საუდის არაბეთში ნავთობისა და გაზის მოპოვებაში, ასევე მედიაში უცხოური კომპანიების თანამონაწილეობის უფლება ნულთან მანკენებელზეა.

3. იაპონიაში უცხოურ კომპანიებს არა აქვთ არავითარი შესაძლებლობა, სახსრები ჯანდაცვის სფეროში დააბანდონ, მიუხედავად იმისა, რომ ბაზარი მონოპოლისტური არ არის. აქედან გამომდინარე, უცხოური კომპანიებისათვის შეუძლებელია თუნდაც კლინიკის გახსნა/მართვა.

საქართველოს არ გააჩნია არავითარი შეზღუდვა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განხორციელების კუთხით ისეთ სექტორებში, როგორცაა: სამთო მრეწველობა, ნავთობისა და გაზის სფერო, სოფლის მეურნეობა, ვაჭრობა, მსუბუქი წარმოება, კავშირგაბმულობა, ენერგეტიკა, საბანკო სექტორი, დაზღვევა, ტრანსპორტი, მედია, მშენებლობა, ტურიზმი და ჯანდაცვა. მაშინ, როდესაც მრავალი ქვეყანა კონკრეტულ სფეროებს მთლიანად ან ნაწილობრივ თავისი გავლენის ქვეშ აქცევს: საფრანგეთი, უკრაინა, ბელორუსი - მედიაზე; რუსეთი - დაზღვევაზე; სომხეთი - სოფლის მეურნეობაზე; თურქეთი - ელექტროენერგიაზე და ა.შ.

კვლევა აგრეთვე ამტკიცებს, რომ ქვეყანაში არ არსებობს არავითარი მონოპოლისტური და ოლიგოპოლიური სტრუქტურები, ისევე, როგორც არ არსებობს არავითარი დაბრკოლებები საჭირო ლიცენზიის მისაღებად (თუმცა ქართველ ექსპერტთა მოსაზრებით, შესაძლოა, საქმე საპირისპიროდაც იყოს).

მსოფლიო ბანკის თანახმად, საქართველო მსოფლიოში ლიდერია უცხოური შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმოთათვის რეგისტრაციის სიმარტივითა და მასზე დახარჯული დღეების მიხედვით (რუანდასა და კანადასთან ერთად) – სულ 4

დღე, მაშინ, როდესაც ჩინეთში აღნიშნულ პროცედურას სამ თვეზე მეტი ვადა ესაჭიროება, ანგოლაში კი (უკანასკნელი ადგილი) – 263 დღე.

აღსანიშნავია, რომ ზოგადად აღმოსავლეთ ევროპა ბიზნესის რეგისტრაციის კუთხით მთელ მსოფლიოში ლიდერია. მსოფლიოს 10 საუკეთესო ქვეყანას შორის, მოცემული პარამეტრით სწორედ აღმოსავლეთ ევროპა ლიდერობს თავისი 5 წარმომადგენლით (საქართველო, ალბანეთი, ბელორუსი, მაკედონია და თურქეთი). ამასთან ერთად, ბულგარეთი, ხორვატია და რუმინეთი ელექტრონულ რეგისტრაციასაც კი სთავაზობენ როგორც ადგილობრივ ასევე, უცხოელ ბიზნესმენებსაც.

საქართველო აგრეთვე ლიდერია მსოფლიოში ბიზნესის დაწყებისათვის საჭირო პროცედურების მიხედვითაც - 4 პროცედურა, რომელთაგან თითოეულის დამუშავება ერთ დღეშია შესაძლებელი: ა) საზღვარგარეთული მშობელი კომპანიის დოკუმენტაციის ავტორიზაცია; ბ) სარეგისტრაციო მოსაკრებლის გადახდა (160 ლარი); გ) კომპანიის დარეგისტრირება და შესაბამისი კოდების მიღება; დ) ბანკში კორპორაციული ანგარიშის გახსნა.

საქართველოში ინვესტიციის განსახორციელებლად, სამთავრობო ორგანოების მხრიდან ინვესტიციის წინასწარი დამტკიცება საჭირო არ არის, რაც ინვესტიის მოზიდვის კუთხით უამრავ სირთულეს აცილებს ბიზნესმენებს. თუმცა, ჩვენი აზრით, ეს არ არის საკმარისი პირობა ქვეყნის გრძელვადიანი განვითარებისათვის და საჭიროა ინვესტიციათა არა უბრალოდ მოზიდვა ნებისმიერ დარგში, სადაც ამას ინვესტორი მოისურვებს, არამედ მათი წახალისება ქვეყნისათვის მნიშვნელოვან სფეროებში, რომელიც მის გრძელვადიან განვითარებაზე იქნება ორიენტირებული, მაგ.: თანამედროვე ტექნოლოგიები; ინფრასტრუქტურა; ინოვაციები და სხვ. აქვე შეიძლება აღინიშნოს მთავრობის მხრიდან უცხოელი ინვესტორებისადმი უფრო მეტი ლოიალურობა, ვიდრე ადგილობრივებისადმი, რაც ნეგატიურად მოქმედებს ეროვნულ ინვესტორზე.

2013 წლამდე საქართველო (ისევე, როგორც: ყაზახეთი, მოლდოვა, რუმინეთი და სლოვაკეთი) უცხოელ ინვესტორებს მაქსიმალურად გაადვილებულ გზას სთავაზობდა მიწის შესაძენადაც. თუმცა საქართველოში, ახალი მთავრობის მოსვლასთან ერთად, ეს პრაქტიკა შეწყდა. მიუხედავად ამისა, ინფორმაცია მიწის კადასტრის შესახებ დღესაც ადვილად ხელმისაწვდომია უცხოელი ინვესტორებისათვის, რომელთაც

გარკვეული პროცედურების გაგლის შედეგად შეუძლიათ მიწის იჯარით/ლიზინგით აღება.

აღსანიშნავია, რომ დღეების რაოდენობის მიხედვით, რომელიც საჭიროა კერძო მესაკუთრისგან მიწის ლიზინგის წესით გადაფორმებისათვის, საქართველო პირველია მთელ მსოფლიოში და ეს პროცედურა მხოლოდ 8 დღეს მოიცავს, მაშინ, როდესაც მაგ.: თურქეთსა და საბერძნეთში ამ პროცედურას 15 დღე სჭირდება; პოლნეთში - 146; ხოლო სიერა ლეონესა და ავღანეთში (ბოლო ადგილები), შესაბამისად - 210 და 218.

მთავრობისგან ლიზინგის წესით მიწის ნაკვეთის შეძენისათვის კი, რაც უფრო რთულ პროცედურებთანაა დაკავშირებული, უცხოელ ინვესტორს 50 დღე ესაჭიროება და ეს მსოფლიოში რიგით მეორე მაჩვენებელია საბერძნეთის შემდეგ (20 დღე), მაგალითისათვის, გაერთიანებულ სამეფოში ამ პროცედურას 62 დღე სჭირდება, ინდოეთში - 295, მაღაიზიაში (ბოლო ადგილი) კი - 355 დღე.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ცნობით, ბოლო წლების განმავლობაში ქვეყანაში ჩამოყალიბებული საგადასახადო გარემო ერთ-ერთი ყველაზე ლიბერალურია არამხოლოდ რეგიონში, არამედ ევროპაშიც და მსოფლიოშიც კი. საქართველო ბიზნესის კეთების სიმარტივით მე-8 ადგილზეა მსოფლიოს 185 ქვეყანას შორის, თუმცა პრინციპული ხასიათის პრობლემები, რომლებიც საქართველოში ჯერ კიდევ არსებობენ, ხელს უშლიან და, ფაქტობრივად, ანეიტრალებენ იმ წარმატებებს, რომლებსაც ქვეყანამ უკვე მიაღწია. კვლავ გადაუჭრელ პრობლემად რჩება ბაზარზე თავისუფალი კონკურენციის უზრუნველყოფა, ასევე - გადახდისუნარიობასთან, კომერციული დავების გადაჭრასა და ბიზნესის წარმოებასთან დაკავშირებული მრავალი პრობლემური საკითხი. მსგავსი დაბრკოლებები კი აუარესებენ სამეწარმეო გარემოს, ამცირებენ ინვესტორთა ნდობას და უმნიშვნელოს ხდიან სხვა სფეროებში ჩამოყალიბებულ ქმედით მექანიზმებს.

განვიხილოთ ერთი კონკრეტული მაგალითი: მსოფლიო ბანკის თანახმად, ქონების რეგისტრაციის სიმარტივით საქართველოს პირველი ადგილი უჭირავს მთელ მსოფლიოში (Doing Business, 2014), თუმცა აღნიშნული მიღწევა უსარგებლო ხდება. თუ უფრო დეტალურად დავაკვირდებით, ვნახავთ, რომ მსოფლიო კონკურენტუნარიანობის ინდექსის მიხედვით, საკუთრების უფლებების დაცვის კუთხით საქართველო 120-ე ადგილზეა მსოფლიოს 145 ქვეყანას შორის; დავების გადაჭრის სამართლებრივი ჩარჩოს ეფექტიანობით - 92-ე და ანტიმონოპოლიური პოლიტიკის ეფექტიანობისათვის

კი სულაც ერთ-ერთი უკანასკნელია (138-ე ადგილი). აღნიშნულიდან გამომდინარე, კიდევ ერთი პრობლემა იკვეთება, რაც სასამართლო სისტემისადმი დაბალ ნდობას უკავშირდება და რომლის გამოსწორების გარეშეც, არცერთი ზემოხსენებული პრობლემის მოგვარება არ არის შესაძლებელი.

ლიბერალური საგადასახადო რეჟიმი

2004 წლიდან შემცირდა საგადასახადო განაკვეთები და თავად გადასახადების რაოდენობა. 21 გადასახადიდან 2004 წლისათვის, დღეისთვის შემორჩენილია მხოლოდ 6 გადასახადი. მათ შორის 5 საერთო სახელმწიფო (საშემოსავლო - 20%; მოგების - 15%; საბაჟო - 0%, 5 პროცენტი, 12%; დამატებული ღირებულების - 18% და აქციზი) და 1 ადგილობრივი გადასახადი (ქონების - 1%).

აღსანიშნავია, რომ მიუხედავად გადასახადების ოდენობისა და განაკვეთების შემცირებისა, საგადასახადო შემოსავლის სახით, 2004 წელს მობილიზებულ იქნა 1,8 მლრდ ლარი, რამაც წინა წელთან შედარებით (საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ცნობით), საგადასახადო შემოსავლების მოცულობის 50%-იანი ზრდა (მთლიანი შიგა პროდუქტის 18,5 პროცენტი) შეადგინა. ხოლო თუ გადასახადების წილს ნომინალურ მთლიან შიგა პროდუქტში 2004 და 2012 წლებში შევადარებთ, მნიშვნელოვან ზრდას დავინახავთ (18,5%-დან დახლოებით 25%-მდე), რაც იმაზე მეტყველებს, რომ საგადასახადო სისტემის გამარტივებამ რეალურად შეუწყო ხელი შემოსავლების ზრდას. თუმცა აქვე აღსანიშნავია, რომ არამხოლოდ გადასახადების გამარტივებამ, არამედ ანტიკორუფციულმა ქვემედებებმა და კონტრაბანდასთან ბრძოლამ, არანაკლებ მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს სახელმწიფო შემოსავლების ზრდაში.

საგადასახადო სისტემაში მნიშვნელოვანი ცვლილებები 2008 წლიდან დაიწყო (იხ ცხრილი №3.1): 1) გაუქმდა სოციალური გადასახადი და შეიქმნა ერთიანი „საშემოსავლო გადასახადი“ 25%-ის ოდენობით, რომელმაც ერთი წლის შემდგომ 20%-მდე დაიწია; 2) შემცირდა მოგების გადასახადი (20%-დან - 15%-მდე); 3) განახევრდა გადასახადის განაკვეთი ღირებულებსა და პროცენტებზე 10%-დან 5%-მდე; 4) პროდუქციის 90%-ზე საიმპორტო ტარიფების რაოდენობა გაუქმდა და 16 სხვადასხვა სახის ტარიფიდან მხოლოდ 3 (0%; 5%; 12%) დარჩა; 5) პროდუქციათა უმრავლესობაზე საბაჟო გადასახადების მოხსნის შედეგად, ის მხოლოდ გარკვეული

სახის სასოფლო სამეურნეო და სამშენებლო პროდუქციაზე შენარჩუნდა, და ბოლოს; 6) საქართველოში იმპორტსა და ექსპორტზე ქვოტები არ მოქმედებს. (წყარო: საქართველოს მთავრობა).

ცხრილი №3.1

ცვლილებები საქართველოს საგადასახადო სისტემაში

	2004	2005	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013
გადასახ. / რაოდენობა	21	7	7	7	6	6	6	6	6	6
დღგ (%)	20	20	18	18	18	18	18	18	18	18
საშემოსავლო გადასახადი (%)	12-20	12	12	12	32/25 *	20*	20	20	20	20
სოც. ადასახადი (%)	33	20	20	20	-	-	-	-	-	-
კორპორაც. ადასახადი (%)	20	20	20	20	15	15	15	15	15	15
დივიდენდსა და პროც. (%)	10	10	10	10	10	5	5	5	5	5

* სოციალური და საშემოსავლო გადასახადი

წყარო: Invest to Georgia, <http://investingorgia.org/index.php?m=190>

ბუნებრივია, ყველა ცვლილებას მხოლოდ დადებით შედეგები არ მოჰყოლია, მაგ.: საიმპორტო ტარიფების მსობრივმა გაუქმებამ ადგილობრივი წარმოების პროდუქცია, უცხოურთან შედარებით, არაკონკურენტუნარიან პირობებში ჩააგდო; საშემოსავლო და სოციალური გადასახადების გაერთიანება და განაკვეთის 20%-მდე დაწევა დაქირავებულების სახელფასო განაკვეთის ზრდას მოიაზრებდა. თუმცა რიგ შემთხვევებში პირიქითაც მოხდა.

დამატებით, პოზიტიური მომენტებიდან შესაძლოა აღვნიშნოთ: მნიშვნელოვანი ინსტიტუციური და პროცედურული რეფორმები; ერთი ფანჯრის პრინციპის დამკვიდრება; ონლაინ მომსახურებების შესაძლებლობების გაჩენა.

საგადასახადო ტვირთის შემცირებითა და გადასახადების ადმინისტრირების გამარტივების გზით, საქართველოში ბიზნესის კეთება გამარტივდა. აღსანიშნავია განსაკუთრებული დაბეგვრის რეჟიმის შემოღება მიკრო და მცირე ბიზნესისათვის:

o მიკრო-ბიზნესი (ბრუნვა არაუმეტეს 30 000 ლარისა) – გათავისუფლებულია გადასახადებისგან;

o მცირე ბიზნესი (ბრუნვა არაუმეტეს 100 000 ლარისა) – იხდის დასაბეგრი შემოსავლის 3 ან 5%-ს.

სპეციალური სავაჭრო ზონების გაჩენა კი, რომელიც „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ საქართველოს ეკონომიკის ამალორძინებელ ძალად იყო წარმოდგენილი (ჩინეთის მაგალითზე), ფაქტობრივად ჩავარდა და არცერთი სერიოზული უცხოური კომპანიის მხირდან მას დაინტერესება არ გამოუწვევია, როგორც ამას იმდროინდელი მთავრობის წარმომადგენლები იმედოვნებდნენ. დღეისათვის ფაქტობრივად ყველა სპეციალური სავაჭრო ზონა უმოქმედოა, ან/და მასზე დამყარებული იმედების მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილს ამართლებს.

რეფორმა საბაჟო სექტორში

აგრეთვე წარმატებული გამოდგა რეფორმა საქართველოს საბაჟო კანონმდებლობაში, რომელმაც საბაჟო პროცედურები მნიშვნელოვნად გაამარტივა: 1. 2007 წელს მიღებულმა კოდექსმა ადრე არსებული 16 სხვადასხვა ტიპის საბაჟო ტარიფი სამამდე დაიყვანა. 2. პროდუქციის დაახლოებით 90%-ზე საიმპორტო ტარიფების რაოდენობა გაუქმდა; 3. გამარტივდა საბაჟო პროცედურები და მნიშვნელოვნად შემცირდა საგარეო ვაჭრობასთან დაკავშირებული დანახარჯების ოდენობა; 4. მოიხსნა რაოდენობრივი შეზღუდვები (კვოტები) როგორც იმპროტზე, ასევე - ექსპორტზე; 5. გაიხსნა უახლესი აპარატურით აღჭურვილი, მსოფლიო სტანდარტების საბაჟო ტერმინალები.

ლიცენზიებისა და ნებართვების მოდერნიზებული სისტემა

- ლიცენზიებისა და ნებართვების რაოდენობა შემცირებულია 84%-ით და ისინი გამოიყენება/მოითხოვება მხოლოდ მაღალი რისკის მქონე საქონელსა და მომსახურებასთან დაკავშირებულ განსაკუთრებულ საქმიანობებზე.

- გამარტივდა დარჩენილი ლიცენზიებისა და ნებართვების გაცემის პროცედურებიც და დამკვიდრდა ერთი ფანჯრის პრინციპი.

პრივატიზაცია (ЧАРАЯ, 2013)

მასობრივ პრივატიზაციას საქართველოში „ვარდების რევოლუციამდე“ მცირე ფინანსური სარგებელი მოჰქონდა. თუმცა 2003 წლიდან 2011 წლამდე (პრივატიზაციის ბუმის დროს), ოფიციალური სტატისტიკის თანახმად, პრივატიზებული იყო 5757 ობიექტი საერთო ღირებულებით 2,927 მლრდ ლარი. ამ პერიოდში გაიყიდა პრაქტიკულად ყველა მნიშვნელოვანი ობიექტი, ამიტომ სახელმწიფო საკუთრების შემდგომ გასხვისებას უკვე უმნიშვნელო გავლენა ჰქონდა ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე. აგრეთვე აღსანიშნავია, რომ 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომისა და მსოფლიო ფინანსური კრიზისის შემდგომ, პრივატიზაციიდან მოძიებული თანხების ოდენობა ყოველწლიურად მცირდებოდა.

პრივატიზაციის პროცესი საქართველოში, ისევე როგორც დანარჩენ პოსტსაბჭოთა ქვეყნებში, 90-იანი წლების პირველ ნახევარში დაიწყო. 1992 წლიდან 1996 წლამდე საქართველოში განხორციელებული მასობრივი პრივატიზაციის მიუხედავად, მას თითქმის არავითარი შემოსავალი არ მოუტანია ქვეყნის ეკონომიკისათვის. შედარებით დიდი საწარმოები კვლავ სახელმწიფო დაქვემდებარებაში რჩებოდნენ ისევე, როგორც „სტრატეგიულ ობიექტებად“ წოდებული ორგანიზაციები და მათ გაყიდვაზე ახლა მორატორიუმია გამოცხადებული.

აღსანიშნავია, რომ სწორედ 1992-1996 წლების პრივატიზაციის დროს, კერძო საკუთრების წილმა მთლიან შიგა პროდუქტთან მიმართებით, 50%-ს გადააჭარბა და ქვეყანაში საბაზრო ეკონომიკის პირველი ელემენტები გამოაჩინა, რაც შეიძლება ფუნდამენტურ წინსვლად მივიჩნიოთ.

ედუარდ შევარდნაძე (საქართველოს პრეზიდენტი 1992-2003 წწ), რომელიც სწორედ მოცემულ დროს გახლდათ საქართველოს პრეზიდენტი, აღნიშნავდა, რომ ის ძალიან ფრთხილად ეკიდებოდა ყოველი სახელმწიფო ობიექტის გასხვისებას. თუმცა, რეალურად, სახელმწიფო ქონების გასხვისებისას, გამოცხადებულ აუქციონებზე

კონკურენცია პრაქტიკულად არ შეინიშნებოდა და ლოტს, როგორც წესი, საწყის ფასად („კაპიკებში“) ერთი რომელიმე კლიენტი ყიდულობდა.

„იყიდება ყველაფერი“ - ასეთი ლოზუნგით დაბრუნდა რუსეთიდან საქართველოში 2004 წლის 1 ივნისს ქართველი ბიზნესმენი - კახა ბენდუქიძე. ორ თვეზე ნაკლებ დროში კახა ბენდუქიძემ უკვე შეიმუშავა 372 ობიექტისაგან შემდგარი გასაყიდი ობიექტების ნუსხა, რომელთა შორისაც იყო ისეთი სტრატეგიული ობიექტები, როგორებიცაა: თბილისისა და ბათუმის აეროპორტები, ბათუმისა და პოთის პორტები, რიონჰესი, გუმათჰესი და მრავალი სხვა. უფრო მეტიც, საქართველოს მთავრობამ ადგილობრივი ბიზნესმენებისათვის ყველანაირი შეღავათების მინიჭების გარეშე, უცხოელ კონკურენტებთან თანაბარ პირობებში ჩაყენებით დაიწყო მოცემული ობიექტების გასხვისება (ე.წ. „მაქსიმალური დემოკრატია“).

შედგავს, მცირე ქონების მყიდველებად ადგილობრივი ბიზნესმენები, ხოლო მსხვილი ობიექტების კი - უცხოელი ინვესტორები მოგვევლინენ. „პირველი მერცხალი“ გამოდგა სასტუმრო „ინტურისტი“ ბათუმში, რომელიც \$3,02 მილიონად გაიყიდა; მისი ბედი გაიზიარა სასტუმრო „ივერიაში“ თბილისში (\$2,8 მილიონი); შევარდნაძის კრწანისის რეზიდენცია - \$15 მილიონად შეიძინეს უცხოელმა ინვესტორებმა; შედარებით უფრო ძვირად გაიყიდა „გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანია“ (\$90 მლნ); თბილისის წყალგაყვანილობა (\$85,7 მლნ); ჩეხურმა ენერჯო პრომ კი 6 ჰესი და ენერგოგამანაწილებელი კომპანია სულ რაღაც - 132 მლნ დოლარად ჩაიგდო ხელში.

რთულია ვისაუბროთ ამ და სხვა გარიგებების კულუარულ ნაწილზე, რაზეც არაერთი სტატია დაიწერა. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ პრაქტიკულად ყველა მცირე თუ მსხვილი გარიგების შემდეგ, ჟურნალისტები და პოლიტიკოსები მთავრობას კორუფციულ გარიგებებში ადანაშაულებდნენ. აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავა მიიჩნევს, რომ პრივატიზაციის პროცესში გამჭვირვალობის ნაკლებობა კორუფციული გარიგებების შესაძლებლობებს წარმოშობს.

ხაზგასასმელია, რომ საქართველოს მთავრობის მიერ („ნაციონალური მოძრაობა“) 2011 წლის 24 მარტს (პრაქტიკულად პრივატიზაციის პროცესის დამთავრების შემდგომ) პრივატიზაციის დროს კორუფციული სქემების თავიდან

ასაცილებლად, შეიქმნა სპეციალური ვებ-გვერდი - www.privatization.ge რომლის დახმარებითაც,

უცხოელ ინვესტორს შეუძლია მისთვის საურველი სახელმწიფო ობიექტის შეძენა საქართველოს ტერიტორიაზე (თუმცა ინოვაცია საკმაოდ დაგვიანებულია).

ცვლილებები შრომის კოდექსში (ЧАРАЯ, 2013)

ხელისუფლებაში ახალი მთავრობის მოსვლამდე, საქართველო ცნობილი იყო, როგორც ერთ-ერთი ყველაზე ლიბერალური შრომის კოდექსის მქონე ქვეყანა მსოფლიოში. „ერიტაგე ოუნდატიონ“-ის თანახმად, 2012 წელს საქართველოს მანქენებელი პრაქტიკულად პიკური იყო და თავისი ულტრალიბერალიზმით მსოფლიოში მეორე ადგილს იკავებდა, შესაბამისი ინდექსი კი - 92,1 პროცენტს შეადგენდა. კიდევ უფრო შთამბეჭდავი იყო 2008 წელი, როდესაც ზემანქენებელი, 100%-იანი შედეგი დაფიქსირდა (პირველი ადგილი მსოფლიოში). სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, დამქირავებლის ტოტალური უპირატესობა დაქირავებულის ნულოვანი უფლებების წინააღმდეგ. თუ ამ საკითხს უფრო ღრმად, მთავრობის მხრიდან თავისი მოქალაქეების მიმართ დამოკიდებულების კუთხით შევხედავთ, სახელმწიფოს აშკარა არადემოკრატიულ და ანტისახალხო დამოკიდებულებას დავინახავთ, რასაც „ნაციონალური მოძრაობა“ უკეთესი საინვესტიციო გარემოსა და მეტი ინვესტიციის მოძიების სურვილით ხსნიდა.

პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის მთავრობის მიერ 2006 წელს მიღებულმა შრომის კოდექსმა საბოლოოდ დაუსვა წერტილი დასაქმებულებსა და დამსაქმებლებს შორის წონასწორობის საკითხს, უკანასკნელთა სასარგებლოდ, რასაც ინვესტორთა მოძიების შანსების ამალგებით ხსნიდნენ. მოცემული შრომის კოდექსის მიხედვით, გაუქმდა შეზღუდვები ზენორმატიულ სამუშაო გრაფიკსა და კონტრაქტების ხანგრძლივობაზე და ის უშუალოდ დასაქმებულსა და დამსაქმებელს შორის მოლაპარაკების საგნად იქცა, ამას დამსაქმებლები თავისი პოზიციების დასაცავად აქტიურად იყენებდნენ. მათსავე ინტერესებს ანიჭებდა უპირატესობას, დასაქმებულების სამსახურიდან დათხოვნის პროცედურების გამარტივებაც.

მედალს ორი მხარე აქვს, წარმატებები ისეთ საერთაშორისო რეიტინგში, როგორიცაა, „Doing Business“, გარკვეულწილად სწორედ დასაქმებულთა უფლებების

მაქსიმალური შეზღუდვის ხარჯზე იქნა მიღწეული. მეორე მხრივ, იზღუდებოდა დასაქმებულთა უფლებები, რაც შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) მხრიდან საქართველოს კრიტიკის საგნად იქცა. მაგ.: ILO-ს 2010 წლის 7 დეკემბრის მოხსენებაში პირდაპირ იყო ნათქვამი, რომ: საქართველოში დასაქმებულთა უფლებები მასობრივად ირღვეოდა, არ არსებობდა ანტიდისკრიმინაციული პოლიტიკა, ირღვეოდა ასოციაციების თავისუფლება და არ არსებობდა გაფიცვის უფლება. მოხსენებაში აგრეთვე ნათქვამი იყო, რომ საქართველო არღვევდა მის მიერ რატიფიცირებულ მერვე კონვენციას და არ იყო დაცული ერთნაირი ხელფასის უფლება ქალებსა და მამაკაცებს შორის. ILO-ს აღმასრულებელი დირექტორის, გაი რაიდერის თქმით, მიუხედავად მრავალი პრობლემისა, შესაბამისი პოლიტიკური ნების არსებობის შემთხვევაში, აღნიშნული პრობლემების მოგვარება მარტივად შეიძლებოდა.

2006 წლის შრომის კოდექსი აგრეთვე გაკრიტიკებულ იქნა საქართველოს მთავარი პარტნიორების: ევროკავშირისა და აშშ-ის მიერაც. ევროკავშირიდან საქართველოსთვის „GSP+“ ჩამორთმევის მოწოდებაც გაისმა. თუმცა აღნიშნული რეალურად არ განხორციელებულა და საქართველომ ევროკავშირთან სავაჭრო პრეფერენციები შეინარჩუნა.

აღბათ საუბარიც ზედმეტია იმაზე, რომ აღნიშნული კოდექსი, ფაქტობრივად, ყოველდღიურად იყო ჟურნალისტების, პოლიტიკური ოპოზიციის, პროფკავშირების და დამოუკიდებელი ექსპერტების პროტესტის საგანი.

2010 წელს, დასაქმებულთა საბედნიეროდ, აღნიშნული კოდექსი შეიცვალა და ძალაში შევიდა ახალი შრომის კოდექსი. აღნიშნულ კოდექსში არ შესულა არცერთი მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი ცვლილება დასაქმებულისა და დამსაქმებლის ურთიერთ უფლება - მოვალეობებთან დაკავშირებით. უფრო მეტიც, თუ გადავხედავთ უმუშევრობის სტატისტიკას 2006 წლიდან (როდესაც პირველად იქნა შემოღებული გამარტივებული შრომის კოდექსი), დავინახავთ, რომ ოფიციალური (სხვადასხვა მანიპულაციებს დაქვემდებარებული) უმუშევრობა არათუ შემცირდა, არამედ გაიზარდა კიდევ - 13,6 პროცენტად 2006 წელს, 15 პროცენტამდე 2012 წელს (მაქსიმუმი 2009 წელს - 16,9 პროცენტი).

ცალკე აღნიშვნის ღირსია 2011 წელს საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის (15,1 პროცენტი) და „ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკის“ (16,5 პროცენტი) მიერ უმუშევრობის სხვადასხვა მაჩვენებლების დაფიქსირება.

ზემოაღნიშნული ვითარების ფონზე, შრომითი კოდექსის ცვლილება განსაკუთრებული გამოწვევა იყო 2012 წელს ხელისუფლებაში მოსული ახალი მთავრობისათვის. ერთი მხრივ, დასაქმებულთა უფლებების უპირობო გაუმჯობესება, შესაძლოა, „ინვესტორთა განაწილების“, შესაბამისად, ინვესტიციების შემცირების მიზეზი გამხდარიყო, ამიტომ მთავრობამ შედარებით უმტკივნეულოდ სცადა ამ პრობლემის მოგვარება და რადიკალური ცვლილებებისაგან თავის შეკავება არჩია, რაც იმდროინდელი განათლების მინისტრისა და საქართველოს აშუამინდელი პრეზიდენტის - გიორგი მარგველაშვილის სტუდენტებთან შეხვედრის დროს გაკეთებული კომენტარის დამსახურებაა.

თუმცა, გაკეთებული ცვლილებები მაინც საკმარისი გამოდგა იმისთვის, რომ შრომის ბაზრის ეფექტიანობის ინდიკატორის მაჩვენებელი (კონკურენტუნარიანობის ინდექსის მიხედვით) მე-17 პოზიციიდან (2008 წ) მე-40-მდე გაუარესებულიყო (2013 წ).

ახალ შრომის კოდექსში შესული მნიშვნელოვანი ცვლილებები გახლდათ:

ა) ხელფასების განსაზღვრის მოქნილობის შეზღუდვა (მაგ.: ზეპირი კონტრაქტების ამოღება);

ბ) დაქირავებისა და სამსახურიდან დათხოვნის პრაქტიკის გართულება.

ჩვენი აზრით, მიუხედავად რეიტინგებში პოზიციების დათმობისა, საქართველოს მოქალაქეთა უფლებები „ადამიანურ დასაქმებაზე“, უფრო მნიშვნელოვანია და მთავრობის მიერ გადადგმული ნაბიჯი აბსოლუტურად გამართლებული გახლდათ. ინვესტიციების მოზიდვა, არა ქართველი ხალხის „მონური შრომის“ ხარჯზე უნდა ხორციელდებოდეს, არამედ - სხვა ხერხებით (მაგ.: კრიმინალისაგან თავისუფალი გარემოს, სახელმწიფოს ეფექტიანი მმართველობის, კონკურენტუნარიანი გარემოს ჩამოყალიბების, ადგილობრივი პროდუქციისათვის ახალი ბაზრების მოძიების და სხვა პოზიტიური ღონისძიებების მიღწევით).

კრიმინალთან და კორუფციასთან ბრძოლა

კრიმინალთან წარმატებული ბრძოლა და უსაფრთხო გარემოს ჩამოყალიბება ნებისმიერი სერიოზული ინვესტორისათვის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი

ინდიკატორია. 90-იანებში დამკვიდრებული განუკითხაობის შემდგომ, ახალი საუკუნის დასაწყისში, ვითარება შედარებით დასტაბილურდა. თუმცა იდეალურისაგან შორს იყო. 2003 წლის შემდგომ, საქართველოში ჩატარებულმა საკანონმდებლო ცვლილებებმა, ძლიერ პოლიტიკურ ნებასთან ერთად, ქვეყანაში კრიმინალური ვითარების დასტაბილურება და ინვესტორისათვის პოზიტიური სიგნალის გაგზავნა შეძლო.

ჯერ კიდევ 2003 წელს, საქართველო კამერუნთან, აზერბაიჯანთან, ანგოლასა და ტაჯიკეთთან ერთად არასამთავრობო ორგანიზაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობის“ კვლევების თანახმად, კორუფციის აღქმის ინდექსის თანახმად, მსოფლიოში 124-ე ადგილს იკავებდა, რაც ქვეყანაში გამეფებულ ტოტალურ კორუფციაზე მიუთითებდა. თავის მხრივ, ასეთი მასშტაბური კორუფცია უცხოელ ინვესტორებს საქართველოში ინვესტიციის დაბანდებამდე და აქ ბიზნესის წამოწყებამდე ორჯერ დაფიქრებას აიძულებდა (თუმცა ზოგიერთი ტიპის ბიზნესი სწორედ ასეთ გარემოში ყვავის, ხშირად უკანონობის ხარჯზე).

მართალია, მოცემული ინდექსის (კორუფციის აღქმის ინდექსი) მიხედვით, საქართველო არც დღეს წარმოადგენს კორუფციისაგან თავისუფალი ქვეყნის მსოფლიო მაგალითს და 2015 წლის მონაცემებით ის მხოლოდ 50-ე ადგილს იკავებს (თურქეთი - 64-ე ადგილი; სომხეთი - 94-ე; აზერბაიჯანი - 126-ე; რუსეთი - 136-ე) მსოფლიო მასშტაბით. თუმცა, ნამდვილად აღსანიშნავია, რომ ამ მიმართულებით საქართველომ მნიშვნელოვანი წინსვლა განიცადა (მოცემული ინდექსის მიხედვით). საკითხი უფრო დეტალურად რომ განვიხილოთ, მართებული იქნება, ითქვას რომ საქართველომ მნიშვნელოვნად დაძლია კორუფციის ერთ-ერთი სახეობა - მექრთამეობა და არა მთლიანად კორუფცია, რადგანაც სულ კორუფციის 20-მდე სახეობა არსებობს (მოსყიდვა, გამომძალველობა, სახელმწიფო რესურსების ქურდობა, ფალსიფიკაცია, ნეპოტიზმი, ფავორიტიზმი, „ჭერის შექმნა“, ცრუმოწმეობა, ძალაუფლების ბოროტადგამოყენება (დაშინება ან წამება), ელექტორალური დარღვევები, კლიენტელიზმი, პატრონაჟი, კლემპტოკრატია, არაკანონიერი შენატანები საარჩევნო კამპანიაში და ა.შ.). მაგრამ აუცილებლად უნდა ითქვას, რომ 2003 წელთან შედარებით, საქართლოს უდიდესი წინსვლა აქვს დაფიქსირებული. კერძოდ, 2003 წელთან შედარებით, 2015 წლისთვის, „ტრანსპარენსი ინთერნეიშენალის“ მონაცემებით საქართველოს 74 საფეხურიანი წინსვლა აქვს განხორციელებული, რაც, თავის მხრივ,

ინვესტორისათვის დადებითი სიგნალია და ქვეყნისადმი დაინტერესებასა და ნდობას უწყობს ხელს.

ბიგლაისერისა და დე-როუენის (Biglaiser G., DeRouen K, 2006) თანახმად, ექსპროპრიაციის (საკუთრების ძალადობრივი ჩამორთმევა სახელმწიფოს მიერ ანაზღაურებით ან მის გარეშე) რისკის მინიმიზება, რაც სწორედ კრიმინალთან ბრძოლით და კანონმდებლობის გაუმჯობესებით გამოიხატება, ხელს უწყობს ადგილობრივ ფინანსურ და სავაჭრო რეფორმებს, რომელიც თავის მხრივ უცხოური ინვესტორების დამატებით მოზიდვას განაპირობებს.

თავისუფალი ინდუსტრიული და ტურისტული ზონები

ბიზნესმენების დასაინტერესებლად საქართველოს მთავრობამ უკვე მსოფლიოს მრავალ ქვეყნაში ნაცად თავისუფალ ინდუსტრიულ ზონებსაც მიმართა და იქ მნიშვნელოვანი შედეგებიც შემოიღო. კერძოდ, ინვესტიცია თავისუფალ სავაჭრო ზონაში თავისუფალი ისეთი გადასახადებისაგან, როგორებიცაა: მოგების, დამატებითი ღირებულებისა, საბაჟო და ქონების გადასახადები. თუმცა აღნიშნულმა „საგადასახადო ოაზისმა“ ვერ შეძლო მნიშვნელოვანი ინვესტორების მოზიდვა და გრანდიოზული ჩანაფიქრები მხოლოდ ქაღალდზე შემორჩა.

დღეისათვის საქართველოში ლეგალიზებული 6 თავისუფალი ინდუსტრიული ზონიდან, ფაქტობრივად, მხოლოდ ერთი ფუნქციონირებს. აღსანიშნავია, რომ სიტუაციის გამოსასწორებლად, 2012 წელს, საქართველოს კანონში „თავისუფალი ინდუსტრიული ზონების შესახებ“ სამჯერ იქნა ცვლილება შეტანილი, რომელთაგანაც აღსანიშნავია ამ ზონებში მოქმედი საწარმოების მოგების გადასახადისგან გათავისუფლება თუმცა, უშედეგოდ. ფოთის თავისუფალ ეკონომიკურ ზონას, შექმნიდან 4 წლის შემდეგ, სულ რაღაც 50-მდე ლიცენზიანტი კომპანია ჰყავდა. თუმცა, რეალურად, ტერიტორიაზე მხოლოდ ერთი – ყაზახურ-უკრაინული „გრენ ტრეიდის“ ბრინჯის დამფასოებელი საწარმო ფუნქციონირებდა, სადაც 20 ადამიანიც კი არ იყო დასაქმებული.

ინდუსტრიული ზონების პარალელურად „ნაციონალურმა მოძრაობამ“ თავისუფალი ტურისტული ზონების ამოქმედებაც სცადა, თუმცა - უშედეგოდ. კერძოდ, ქობულეთის თავისუფალ ტურისტულ ზონაში არსებული 30 პროექტიდან, საბოლოოდ, მხოლოდ 3 განხორციელდა. აღსანიშნავია, რომ ტურიზმის სექტორში

განხორციელებული მრავალმილიონიანი ინვესტიციების შემდეგ (განსაკუთრებით 2007-2008 წლები), 2013 წელს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების \$13,7 მილიონიანი უკუგადინება ფიქსირდება (იხ. ცხრილი №3.2).

ცხრილი №3.2

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები სასტუმროების და რესტორნების სექტორში

სასტუმროები და რესტორნები (\$ ათასი)	
2007 წ.	242 075,9
2008 წ.	181 939,2
2009 წ.	37 542,3
2010 წ.	17 121,8
2011 წ.	22 705,6
2012 წ.	17 652,3
2013 წ.	-13 677,9

წყარო: საქსტატი

ჩვენი აზრით, მოცემული პროექტები (თავისუფალი ეკონომიკური ზონები) საწყისშივე იყო განწირული „ჩაგარდნისთვის“, რადგანაც ისინი არა შორს მიმავალი ეკონომიკური პოლიტიკის, არამედ კარგად გათვლილი პიარის ნაბიჯებს წარმოადგენდა. თუნდაც ერთი მარტივი მიზეზის გამო: წარმოუდგენელია, ქვეყანას ჰქონდეს ტექნოლოგიატევადი და კაპიტალიზმის დარგების განვითარების ამბიცია (თუნდაც თავისუფალ ეკონომიკურ ზონაში) და ამისთვის ინვესტორებს ეპატიუბოდეს მაშინ, როდესაც საქართველოში მოცემული მიმართულება, ფაქტობრივად, ჩანასახოვან მდგომარეობაში იმყოფება და ელემენტარული სამუშაო ძალის პრობლემაც კი დგას. არადა საქართველოს ერთ-ერთი „კოზირი“ უცხოური ინვესტიციების მოსაზიდად სწორედ იაფი სამუშაო ძალაა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, არავინ ჩამოვა წარმოების ასაწყობად ქვეყანაში (თავისუფალ ეკონომიკურ ზონაში), სადაც მისი საწარმოსთვის არათუ იაფი, არამედ, თითქმის ვერ მოიძებნება კვალიფიციური სამუშაო ძალა. სწორედ ამიტომ, აღვნიშნავთ, რომ საქართველოს

მომავალი მაღალგანათლებულ საზოგადოებაზე გადის, რომელმაც პერსპექტივაში მაღალტექნოლოგიური დარგების განვითარება უნდა განახორციელოს. ამისთვის კი, პირველ რიგში, განათლების სექტორში მნიშვნელოვანი ინვესტიციებია საჭირო, რომელიც საწყის ეტაპზე ქვეყნის მთავრობის ინიციატივა უნდა იყოს.

რაც შეეხება თავისუფალი ტურისტული ზონების პროექტის ჩავარდნას, აქ, ჩვენი აზრით, პირველი და უმთავრესი მიზეზი სახელმწიფოს მხრიდან მიწოდებული საკუთრების უფლების დაცვის სუსტი მექანიზმებია (იხ. გვ. 177), რაც ინვესტორებს მეტი თავშეკავებულობისკენ უბიძგებს, მიუხედავად, ერთი შეხედვით, საინტერესო წინადადებისა სახელმწიფოს მხრიდან.

ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილება

აღსანიშნავია, რომ საქართველოს მრავალ ქვეყანასთან (სულ 46)³ აქვს „ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილებისა და გადასახადების გადაუხდელობის აღკვეთის შესახებ“, გაფორმებული ხელშეკრულება, რომლის მთავარი მიზანია, ხელი შეუწყოს პარტნიორ სახელმწიფოებს შორის ეკონომიკური თანამშრომლობის გაუმჯობესებასა და დამატებით ინვესტიციების მოზიდვას. იგი დამყარებულია ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) მოდელზე, რომელიც პარტნიორებს შორის დაბეგვრის პრინციპებს არეგულირებს. კერძოდ, რეგულაციას ექვემდებარება იურიდიული და ფიზიკური პირების მიერ მეორე ქვეყანაში გაწეული საქმიანობიდან მიღებული შემოსავალების გადახდის პროცედურები და, რაც მთავარია, იგი ხელს უწყობს, ქვეყნებს შორის ინფორმაციების გაცვლის საფუძველზე, გადასახადების თავიდან არიდებასთან ბრძოლასაც.

აღსანიშნავია, რომ 2014 წლის აპრილისთვის საქართველოს მთავრობას პარაფირებული აქვს შეთანხმებები: კვიპროსთან, ლიბანთან, შვედეთთან, ომანთან, ლიხტენშტაინთან და ისლანდიასთან, სავარაოდოდ, ამ ქვეყნებთან შესაბამის ხელშეკრულებებს უახლოეს მომავალში მოეწერება ხელი. ხოლო ისეთ ქვეყნებთან როგორებიცაა: ბელარუსი, საუდის არაბეთი, ვიეტნამი, ერაყი, არგენტინა, ინდონეზია,

³ ავსტრია, აზერბაიჯანი, არაბთა გაერთიანებული საემიროები, ბელგია, ბულგარეთი, გაერთიანებული სამეფო, გერმანია, დანია, ესპანეთი, ესტონეთი, თურქეთი, თურქმენეთი, ინდოეთი, ისრაელი, ხორვატია, ქუვეითი, სან მარინო, სერბეთი, ეგვიპტე, ნორვეგია, ბაჰრეინი, სლოვაკეთი, ჩეხეთი, ჩინეთი, შვეიცარია, ეახახეთი, ფინეთი, უნგრეთი, უკრაინა, უზბეკეთი, სომხეთი, სინგაპური, სლოვენია, საფრანგეთი, საბერძნეთი, რუმინეთი, ნიდერლანდები, პოლონეთი, მალტა, ლუქსემბურგი, ლატვია, ლიტვა, კატარი, ირლანდია, იტალია, ირანი.

მაღაიზია, მექსიკა, კოლუმბია, მოლდოვა, პერუ, ტაჯიკეთი, ურუგვაი, ბრაზილია, კუბა, ეკვადორი, კანადა, სამხრეთ აფრიკა, ხორვატია და სხვა, ჯერ-ჯერობით ორმაგი დაბეგურის ხელშეკრულება მხოლოდ საწყის დონეზეა და მომდევნო ეტაპებს ელოდება.

საქართველო - ევროკავშირის ეკონომიკური ურთიერთობები „აღმოსავლეთის პარტნიორობიდან“ დღემდე

2008 წლის 26 მაისს, პოლონეთის პრემიერ მინისტრის მიერ, შვედეთის მთავრობის მხარდაჭერით, „აღმოსავლეთის პარტნიორობა“ პირველად წარმოდგენილ იქნა ევროკავშირის ზოგად საქმეთა და საგარეო ურთიერთობათა საბჭოს სხდომაზე ბრიუსელში. ერთი წლის შემდეგ, 2009 წლის 7 მაისს (ევროკავშირში ჩეხეთის პრეზიდენტობის დროს), აღმოსავლეთის პარტნიორობის სამიტზე 27 + 6 ქვეყნის ერთობლივი დეკლარაციის მიღებით, ზემოთ ხსენებული პროგრამა ოფიციალურად შევიდა ძალაში (ჭარაია ვ, 2011).

„აღმოსავლეთის პარტნიორობა“ არის ევროკავშირის მიერ შემოთავაზებული პარტნიორობის ახალი პროგრამა მისი აღმოსავლეთით მდებარე პოსტსაბჭოთა ქვეყნებისთვის, რომლებიც ამ ეტაპზე არ განიხილებიან ევროკავშირში გაერთიანების პრეტენდენტებად, მაგრამ „რეალ-პოლიტიკიდან“ გამომდინარე, იმსახურებენ ყურადღებასა და მხარდაჭერას ევროკავშირის მხრიდან, როგორც პოლიტიკურ, ასევე ეკონომიკურ და სოციალურ დონეზე. ეს ქვეყნებია: საქართველო, უკრაინა, აზერბაიჯანი, სომხეთი, მოლდოვა და ბელორუსი. აღსანიშნავია, რომ „აღმოსავლეთის პარტნიორობა“ არ წარმოადგენს ევროკავშირში გაწევრიანების გზას.

ევროკავშირის მხრიდან „აღმოსავლეთის პარტნიორობის“ პროგრამის წარმოშობა გამოწვეული იყო მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი საკითხებით. თუმცა ხაზგასმას იმსახურებენ შემდეგი ფაქტორები:

ა) გეოეკონომიკური ინტერესი – ევროკავშირისათვის მეტად მიმზიდველია ამ ექვსი მეზობელი ქვეყნის ბაზრების ათვისება, რაც საკმაოდ ძნელი მისაღწევი იქნებოდა იმ რეფორმების გატარების და მათი წახალისების გარეშე, რომელსაც „ევროკავშირის სტანდარტებთან“ დაახლოება ჰქვია;

ბ) გეოპოლიტიკური ინტერესი – ენერგო რესურსების მიწოდების არხების დივერსიფიცირება (რუსეთისთვის გვერდის ავლით) ან/და არსებული ენერგო მომარაგების არხების გამყარება/უსაფრთხოების უზრუნველყოფა;

გ) მეზობელი ქვეყნების ინტერესი ევროკავშირისადმი – ეკონომიკურ, სოციალურ და პოლიტიკურ დონეზე განსხვავებულია ექვსივე სხვადასხვა ქვეყანაში, რუსეთის ფაქტორის გამო (ჭარაია ვ., 2013).

რაც შეეხება ამ ექვსი მეზობელი ქვეყნის ინტერესს აღმოსავლეთის პარტნიორობისადმი, ესენია: ა) პოლიტიკური და ბ) ეკონომიკური სარგებლის მიღება, აგრეთვე, გ) გეოპოლიტიკურ ურთიერთობათა დივერსიფიცირება (ჭარაია ვ., 2011).

კიდევ ერთი, ძალიან მნიშვნელოვანი არგუმენტი, აღმოსავლეთის პარტნიორობისათვის იყო 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომი, რომელმაც შესაძლებლობების ახალი „კარი გაუღო“ ევროკავშირის პროაღმოსავლური გაფართოების მომხრეთა ჯგუფს (პოლონეთს, შვედეთს, ბალტიისპირეთის ქვეყნებსა და სხვებს), რათა მათი მოწინააღმდეგეები (საფრანგეთი, ესპანეთი, იტალია) მსგავსი პროგრამების არსებობის აუცილებლობაში დაერწმუნებინათ.

მიუხედავად მრავალი დადებითი მხარისა, რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, „აღმოსავლეთის პარტნიორობას“ კრიტიკოსებიც ჰყავს. ყველაზე დიდი კრიტიკოსი კი რუსეთის ფედერაციაა, რომელიც ყველანაირად ცდილობდა ამ პროექტის ჩაშლას. განსაკუთრებით გამაღიზიანებელი კი რუსეთისთვის ის ფაქტი გახდა, რომ ევროკავშირმა ამ პროგრამაში ბელორუსიც ჩართო (თუმცა - ძალიან შეზღუდულად). აღმოსავლეთის პარტნიორობის ერთ-ერთი მინუსი არის ისიც, რომ ის არ არის პრიორიტეტული დასავლეთ ევროპული ქვეყანათა უმეტესობისათვის (საფრანგეთი, იტალია, ესპანეთი, საბერძნეთი) (იხ, ცხრილი №3.3).

აღმოსავლეთის პარტნიორობისადმი დამოკიდებულება

	ევროკავშირის წევრი ქვეყნები	ქვეყნები
პრიორიტეტის მაღალი ხარისხი	პოლონეთი, შვედეთი, ლატვია, ლიტვა, ესტონეთი, უნგრეთი, სლოვაკეთი	საქართველო, მოლდოვა
პრიორიტეტის საშუალო ხარისხი (მაღალი)	ჩეხეთი, გაერთიანებული სამეფო, გერმანია	უკრაინა
პრიორიტეტის საშუალო ხარისხი (დაბალი)	ავსტრია, ბელგია, ჰოლანდია	სომხეთი
პრიორიტეტის დაბალი ხარისხი	საფრანგეთი, საბერძნეთი, იტალია, ირლანდია, პორტუგალია, ესპანეთი	აზერბაიჯანი, ბელორუსი

წყარო: David Rinnert. „The Eastern Partnership in Georgia.” 2011 year. P25.

ხელშეკრულება ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ, ეს არის შეთანხმება, რომელიც მიზნად ისახავს ტარიფების, კვოტების და არასატარიფო ბარიერების მოშლასა და ხარისხის სტანდარტების დანერგვას, მთელ რიგ საკითხებში ევროკავშირის სტანდარტებთან დასაახლოებლად და ვაჭრობის გასაუმჯობესებლად, როგორც საქართველოსა და ევროკავშირს შორის, ასევე საქართველოსა და სხვა მეზობელ/პარტნიორ ქვეყნებთან. ეს შეთანხმება ორმაგად მნიშვნელოვანია საქართველოსთვის, თუ გავითვალისწინებთ, რომ საქართველოს 2013 წლის ექსპორტისა და იმპორტის წილი ევროკავშირთან მისი მთლიანი ბრუნვის, შესაბამისად, 21%-სა და 29%-ს შეადგენს (საქსტატი).

თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების ფარგლებში, საქართველოს მოუწევს ისეთი რეფორმების გატარება, როგორებიცაა: კანონმდებლობის ჰარმონიზაცია და სხვადასხვა სფეროებში პრაქტიკის ევროკავშირის სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა, რაც საკმაოდ რთული და ბევრი პრობლემის მომტანი მოვლენა იქნება. თუმცა საქართველოს მთავრობის განცხადებით, ის მზადაა, ადეკვატურად დაუხვედეს ყველა პრობლემას.

ექსპერტების შეფასებით, აღნიშნული შეთანხმების ხარჯზე 6,5 პროცენტით გაიზრდება საქართველოს მთლიანი შიგა პროდუქტი, აგრეთვე მოსალოდნელია საქართველოდან ევროკავშირში ექსპორტის 12%-ით, ხოლო იმპორტის 7,5%-ით ზრდა. ასოცირების ხელშეკრულების ფარგლებში (ხელშეკრულების 280-ე მუხლი), მხარეები

მზადყოფნას აცხადებენ ითანამშრომლონ ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა: საგადასახადო სფეროში კარგი მმართველობის გაძლიერება; ეკონომიკური ურთიერთობები; ვაჭრობა; ინვესტიციების და სამართლიანი კონკურენციის შემდგომი გაუმჯობესება. ამავე ხელშეკრულების 288-ე მუხლის თანახმად, მხარეები იღებენ ვალდებულებას ითანამშრომლონ ევროსტატის (ევროპის სტატისტიკის ხელმძღვანელი ორგანო) ფარგლებში, მაკროეკონომიკური სტატისტიკის (ეროვნული ანგარიშები, საგარეო ვაჭრობის სტატისტიკა, საგადასახდელო ბალანსის სტატისტიკა, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სტატისტიკა) გაცვლის კუთხით. ხსენებული ხელშეკრულების 298-ე მუხლის თანახმად, თანამშრომლობა მოიცავს „მიმზიდველი და სტაბილური საინვესტიციო კლიმატის შექმნას ინსტიტუციური, სამართლებრივი, ფისკალური და სხვა პირობების გათვალისწინებით“. თუმცა არ არის დაკონკრეტებული, კონკრეტულად რა ნაბიჯები უნდა გადაიდგას აღნიშნულის მისაღწევად. ხელშეკრულების 324-ე მუხლი კი მიზნად ელექტრონული საკომუნიკაციო ბაზრების ხელმისაწვდომობის ხელშეწყობასა და ამ სფეროში კონკურენციისა და ინვესტიციების წახალისებას ეხება.

2005 წლიდან, საქართველოს, როგორც განვითარებად ქვეყანას, აქვს „წახალისების სპეციალური სისტემა მდგრადი განვითარებისა და კარგი მმართველობისათვის“, ე.წ. „GSP+“, რომელიც იძლევა უფლებას განვითარებადი ქვეყნებისათვის, შეღავათიანი პირობებით (ტარიფების მთლიანი ან 10 პროცენტზე შემცირება ან სპეციალური ტარიფი 1 კგ-ზე 1 ევროს ოდენობით), შესაბამისი სანიტარული და ფიტოსანიტარული ნორმების დაცვით, ევროკავშირში შეტანილ იქნეს 7 200 სახეობის სხვადასხვა პროდუქცია. თუმცა საქართველოსთვის სტრატეგიული საგაჭრო საქონელი – ღვინო, აგრეთვე, მინერალური პროდუქტები არ შედის „GSP+“-ის ჩამონათვალში და, შესაბამისად, ის ევროკავშირის ბაზარზე შეტანისას იბეგრება სრული განაკვეთით (შუშუნა ღვინო €32 - 100 ლიტრზე და წითელი ან შავი ღვინო ალკოჰოლის შემცველობით 13 პროცენტზე ნაკლები €13,1-თი ყოველ 100 ლიტრზე). გამომდინარე აქედან, თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულების ხელმოწერა ევროკავშირთან, ქართველ ღვინის ექსპორტიორებს მათ საქმიანობას ევროკავშირის ბაზარზე გაუადვილებს (ჭარაია ვ., 2011).


აგრეთვე აღნიშნავს იმსახურებს ის ფაქტი, რომ მოცემული 7 200 სახეობის პროდუქციიდან, ქართველ ექსპორტიორებს რეალურად მხოლოდ რამდენიმე ათეული პროდუქცია გააქვთ ექსპორტზე, ისიც მცირე მასშტაბებით. 2012 წლის პირველ სამ კვარტალში GSP+-ის ფარგლებში განხორციელებული ექსპორტის უდიდესი ნაწილი მხოლოდ 2 სასაქონლო კატეგორიაზე - თხილსა და მინერალურ სასუქებზე მოდიოდა და GSP+-ის ფარგლებში განხორციელებული მთლიანი ექსპორტის 73%-ს შეადგენდა (2011 წელს 84%; 2010 წელს - 70%) (კაკულია მ., ბოლქვაძე ბ., ჩოხელი ნ., სოკოლოვსკი ი., 2013). სამწუხაროდ, 2012 წელს, GSP+-ის ფორმატით, საქართველოდან შესაძლებელი 7 200 პროდუქტიდან, მხოლოდ 28 დასახელების პროდუქტის ექსპორტი განხორციელდა. (2011 წელს - 33, 2010 წელს - 29).

განსხვავებით „GSP+“-საგან, შეთანხმება ღრმა და ყოვლისმომცველ თავისუფალ ვაჭრობაზე საქართველოს საშუალებას მისცემს, ევროკავშირთან ყველანაირი დაბრკოლების გარეშე, ანუ თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმში ჰქონდეს ურთიერთობა. ეკონომისტები ვარაუდობენ, რომ ღრმის ხანმოკლე პერიოდში, როგორც საქართველოს მთავრობისთვის, ასევე კერძო ორგანიზაციებისთვის, ევროკავშირის სტანდარტებთან დაახლოება ძვირი დაჯდება. თუმცა გრძელვადიან პერსპექტივაში ის საკმაოდ მომგებიანი ჩანს. სპეციალისტების გათვლებით, შეთანხმება ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ, საქართველოს შემდგენაირად დაეხმარება (Rinnert D., 2011):

1. პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს 2020 წლისათვის 11,5 მლრდ აშშ დოლარამდე გაზრდის;
2. ექსპორტს ხუთი წლის ვადაში დამატებითი 13,3%-ით გაზრდის;
3. ქვეყნის მთლიან შიგა პროდუქტს 6,5%-ით გაზრდის.

ბოლო წლების განმავლობაში, ევროკავშირსა და საქართველოს შორის ორმხრივი ვაჭრობა განსაკუთრებული ნაბიჯებით ვითარდება. ევროკავშირი თანდათანობით ხდება საქართველოს ძირითადი სავაჭრო პარტნიორი. თუმცა აღსანიშნავია, რომ ექსპორტის ზრდა ვერანაირად ვერ ეწევა იმპორტის ზრდას. 2013 წლის მონაცემებით, იმპორტი მოცემული რეგიონიდან თითქმის 4-ჯერ აღემატებოდა ექსპორტს (იხ. დიაგრამა №3.1). მთლიანობაში, ევროკავშირთან ვაჭრობის წილი საქართველოს საგარეო ვაჭრობის 1/3-ს შეადგენს.

საქართველო ევროკავშირის სავაჭრო ბრუნვა, 2000-2013 წწ (ათასი \$)



წყარო: საქსტატი

საინტერესოა, რამ განაპირობა 2006 წლიდან საქართველოს საექსპორტო ბუმი ევროკავშირში. ერთი მოსაზრების თანახმად, ეს მიღწეულ იქნა 2005 წელს საქართველოს მიერ მოპოვებულმა „GSP+“-ისა და შესაბამისი რეკომენდაციების შესრულების გზით. ხოლო საკითხის დეტალური შესწავლის შედეგად კი ირკვევა, რომ 2006 წელს ქართული ექსპორტის 200 მლნ ევროს აბსოლუტური ზრდის ნახევარი საწვავის ექსპორტზე მოდის (რაც გარკვეულ გაუგებრობებს წარმოშობს). რაც შეეხება დანარჩენ ნაწილს, 35 მლნ ევრო სპილენძის მადნის ფასების გაორმაგების შედეგი აღმოჩნდა. რაც შეეხება „GPS+“ მართალია, მან გარკვეულწილად მართლაც შეუწყო ხელი ექსპორტის ზრდას (ძირითადად თხილის და მინერალურ სასუქების ექსპორტს), თუმცა არა იმ ოდენობით, რა ოდენობითაც გაიზარდა საქართველოს მთლიანი ექსპორტი ევროკავშირში (ჯანაშია ვ.).

ევროკავშირი ლიდერია საქართველოს ეკონომიკაში ინვესტიციების კუთხით და 1997-2013 წლების შუალედში მას \$4,7 მლრდ ინვესტიცია აქვს განხორციელებული (შედარებისათვის დსთ - \$1,5 მლრდ). აღსანიშნავია, რომ ევროკავშირის დღევანდელი 28 ქვეყნიდან თითქმის ყველას (26-ს) აქვს განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოს ეკონომიკაში, გამონაკლისს მხოლოდ ხორვატია და სლოვენია წარმოადგენენ (საქსტატი).

კანონმდებლობა

დღეისათვის საქართველოში ინვესტიციების მარეგულირებელი რამდენიმე კანონი მოქმედებს. თუმცა, მათი უმრავლესობა მორალურად მოძველებულია და არსებით გადახედვას საჭიროებს, ამას ადასტურებს საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიაც, ე.წ. „საქართველო 2020.“ განვიხილოთ დღეისათვის არსებული კანონმდებლობა:

1. საქართველოს პარლამენტის 1995 წლის დადგენილება „პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შესახებ“.

აღნიშნული კანონი თავის შინაარსიდან გამომდინარე, არ იყო პირველი ქართულ კანონმდებლობაში. თუმცა სწორედ მან შეუწყო ხელი მომდევნო წლებში უცხოური ინვესტიციების შემოდინებას ქვეყნაში.

1995 წლის კანონმა „უცხოური ინვესტიციების შესახებ“ ძალადაკარგულად გამოაცხადა „უცხოური ინვესტიციების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის 1991 წლის 25 ივლისის კანონი და ყველა კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი, რომელიც ეწინააღმდეგება ამ კანონს.

1996 წლის კანონი „საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ“.

აღნიშნული კანონი ორიენტირებული იყო უცხოელი ინვესტორების დამატებით დაინტერესებაზე ქართული ეკონომიკით და მიზნად ისახავდა, არამხოლოდ საქართველოსთვის დადებით ეფექტის მოტანას, არამედ უცხოელი ინვესტორებისათვის მეტი სტიმულის გაჩენას. მოცემულმა კანონმა განსაზღვრა, როგორც ადგილობრივი, ასევე პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სამართლებრივი საფუძვლები და მათი დაცვის გარანტიები, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე.

მოცემული კანონის პირველი მუხლი განმარტავს „ინვესტიციის“ ცნებას, რომლის თანახმადაც, „ინვესტიციად მიიჩნევა ყველა სახის ქონებრივი და ინტელექტუალური ფასეულობა ან უფლება, რომელიც დაბანდდება და გამოიყენება შესაძლო მოგების მიღების მიზნით საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელებულ სამეწარმეო საქმიანობაში.“ ხოლო, ასეთ ფასეულობად მიიჩნევა: „ა) ფულადი სახსრები, წილი, აქციები და სხვა ფასიანი ქაღალდები; ბ) უძრავი და მოძრავი ქონება - მიწა, შენობა-ნაგებობები, მოწყობილობები და სხვა მატერიალური ფასეულობა; გ) მიწით ან სხვა ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის უფლება (მათ

შორის კომპესაცია), პატენტი,ლიცენზია, „ნოუ-ჰაუ“, გამოცდილება და სხვა ინტელექტუალური ფასეულობა; დ) კანონით აღიარებული სხვა ქონებრივი ან ინტელექტუალური ფასეულობა ან უფლება.“

2. 2002 წლის კანონი „საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს შესახებ“.

მოცემული კანონის ძირითადი მიზანი, სახელმწიფო საწარმო-საინვესტიციო პოლიტიკის დარეგულირება გახლდათ. ამ კანონით დადგენილი წესები ვრცელდება სახელმწიფოს მონაწილეობით შემუშავებულ ყველა სახის საწარმო-საინვესტიციო პროგრამაზე და მათ განხორციელებაში მონაწილე სუბიექტებზე. მომდევნო წლებში, აღნიშნული კანონი მრავალჯერ შეიცვალა და ისეთი ახალი ჩანართები გაჩნდა, როგორებიცაა:

ა) კანონში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება (24.05.2006 3087);

ბ) მცირე ან საშუალო საწარმოში დასაქმებულთა რაოდენობა (24.05.2006 3087);

გ) 2012 წლის 5 ივლის ცვლილებები შევიდა საინვესტიციო სააგენტოს მენეჯმენტის ნაწილში (დირექტორის დანიშვნა/გათავისუფლება; სამეთვალყურეო საბჭოს უფლება-მოვალეობები; სააგენტოს ბიუჯეტის დადგენის წესი და სხვ.);

დ) 2011 წლის 22 მარტის ცვლილებებით (N 4469) სააგენტო ანგარიშვალდებული გახდა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს წინაშე, აგრეთვე, ლიკვიდაციის შემთხვევაში მისი ქონებაც მოცემულ სამინისტროს უბრუნდება;

ე) 2012 წლის 5 ივლის 6627 დადგენილებით დარეგულირდა სამეთვალყურეო საბჭოს სტრუქტურა.

3. 2006 წლის კანონი „ინვესტიციების სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ“

მოცემულ კანონს ორი ძირითადი მიზანი აქვს: ა) ინვესტიციების ხელშეწყობა აუცილებელი პროცედურების გაუმჯობესებით და ბ) დამატებითი სამართლებრივი რეჟიმის შექმნა. მოცემული კანონი აგრეთვე იმით არის საინტერესო და მნიშვნელოვანი, რომ ის „ვარდების რევოლუციის“ შემდგომ, ინვესტიციების მხარდაჭერის კუთხით, პირველი კანონი გახლდათ, რომელიც იმ დროისათვის ახალმა მთავრობამ მიიღო.

აღნიშნულ კანონის ხიბლი გახლავთ მის მეოთხე მუხლში, რომლის თანახმადაც ინვესტორს უფლება აქვს: „ა) მოითხოვოს ნებისმიერი ლიცენზიის/ნებართვის (მათ შორის, წინასწარი ლიცენზიის/ნებართვის) გაცემა სააგენტოს მეშვეობით; ბ) მოითხოვოს ქონების შეძენა და მასთან დაკავშირებული ყველა პროცედურის განხორციელება სააგენტოს მეშვეობით; გ) მოითხოვოს ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც უკავშირდება მისთვის ლიცენზიის/ნებართვის (მათ შორის, წინასწარი ლიცენზიის/ნებართვის) გაცემასა და ქონების შეძენას, ინვესტიციების განხორციელებასთან დაკავშირებულ საკითხებს; დ) ისარგებლოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გარანტიებით.“ ხოლო, თავის მხრივ, საქართველოს ადმინისტრაციული ორგანოები ვალდებული არიან, ზემოთ მოცემული პირობების განსახორციელებლად სააგენტოსთან და ინვესტორთან ითანამშრომლონ.

მოცემული კანონი ინვესტორს აგრეთვე აძლევს შესაძლებლობას (გარკვეული პროცედურების გავლის გზით), მის კაპიტალდაბანდებას მიანიჭოს „განსაკუთრებული მნიშვნელობის ინვესტიციის“ სტატუსი, რაც მას მთავრობასთან უფრო გამარტივებული ურთიერთობისაკენ უხსნის გზას.

4. 2013 წლის კანონი „საინვესტიციო ფონდების შესახებ“

მოცემული კანონის რეგულირების სფეროს მიეკუთვნება საინვესტიციო ფონდების ნაირსახეობების განმარტება, შექმნის მიზნები და საქმიანობის განსაზღვრა.

აღნიშნული კანონის თანახმად, რეგულირებადი საინვესტიციო ფონდების შემდეგი სახეობები არსებობს:

ა) საპაიო საინვესტიციო ფონდი (რომელიც შეიძლება იყოს ღია, ინტერვალური, დახურული);

ბ) გათვითცნობიერებულ (გამოცდილ) ინვესტორთა საინვესტიციო ფონდი (გისფ);

გ) სააქციო საინვესტიციო ფონდი (მათ შორის, ვენჩურული კაპიტალის საინვესტიციო ფონდი ან კერძო სააქციო ფონდი);

დ) სხვა სახის საინვესტიციო ფონდები, რომლებიც რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

ამავე კანონის თანახმად: ბანკი, სადაზღვევო კომპანია, საბროკერო კომპანია, საპენსიო სქემა, სამრეწველო ან/და საფინანსო კომპანია, ჰოლდინგი, არ არის საინვესტიციო ფონდი. აგრეთვე საინვესტიციო ფონდს ეკრძალება სამეწარმეო საქმიანობა (გარდა ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული ფინანსური ოპერაციებისა). მას არ შეიძლება ჰქონდეს სხვა ქონება, გარდა ფულისა, ფულთან გათანაბრებული აქტივებისა და ფინანსური ინსტრუმენტებისა. აღსანიშნავია, რომ 2015 წლის 1 იანვრამდე საინვესტიციო ფონდების საზედამხედველო ორგანოდ საქართველოს ეროვნული ბანკია მიჩნეული (მუხლი 10).

მოცემული კანონების გარდა, რა თქმა უნდა, არსებობს ისეთი საბაზისო კანონმდებლობაც, რომელიც ინვეტიციებს სხვადასხვა კუთხით არეგულირებს: საქართველოს კონსტიტუცია; საქართველოს საგადასახადო კოდექსი; საქართველოს შრომის კოდექსი; საქართველოს სამოქალაქო კოდექსი; საქართველოს კანონები: თავისუფალი ვაჭრობის შესახებ; თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ; მეწარმეობის შესახებ; უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ; გაკოტრების კანონმდებლობა და მრავალი სხვა.

ინვესტორებისათვის მასტიმულირებელი გარემოს შექმნის მიზნით, 2003 წლიდან მოყოლებული, მთავრობამ მრავალი შეღავათი შემოიღო. მათ შორის, საქართველოს საგადასახადო კოდექსში შემოღებულ იქნა ორი სპეციალური სტატუსი: ა) საერთაშორისო საწარმო და ბ) უცხოური კომპანიის ფილიალი, რაც მათ საქმიანობას საქართველოს ტერიტორიაზე მნიშვნელოვნად აიოლებს. შედეგად, სახეზე გვაქვს, ერთი მხრივ, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობის მნიშვნელოვანი ზრდა, მეორე მხრივ კი, მნიშვნელოვანი საგადასახადო შეღავათები უცხოელი ინვესტორებისათვის.

საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია „საქართველო 2020“

მდგრადი ინკლუზიური განვითარების მისაღწევად, საქართველოს მთავრობა გრძელვადიან სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გეგმას გვთავაზობს, რომლის ძირითად მიზანს 2020 წლამდე საქართველოს სტაბილური ეკონომიკური (და არამხოლოდ ეკონომიკური) განვითარება წარმოადგენს. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ მმართველობის დროს, ქვეყანაში

განსორციელებული რეფორმები, უშედეგო, ხოლო მათი უმრავლესობა კი სპონტანური და არაეფექტიანი იყო, მნიშვნელოვნად იზღუდებოდა საკუთრების უფლებაც, რაც, მთლიანობაში, არამიმზიდველ ბიზნეს-გარემოს განაპირობებდა (წყარო: საქართველოს მთავრობა).

„საქართველო 2020“-ს გეგმები საკმაოდ ამბიციურია და ისეთ მნიშვნელოვან გაუმჯობესებებს ისახავს მიზნად, როგორებიცაა: მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებული მთლიანი შიგა პროდუქტის 5811 ლარიდან 13 000 ლარამდე ზრდა; უმუშევრობის 20 პროცენტით შემცირება და სხვ. (იხილეთ ცხრილი №3.4).

ცხრილი №3.4

სტრატეგიის მიმდინარე და საპროგნოზო მაჩვენებლები (2013-2020 წწ)

ინდიკატორი	მიმდინარე მაჩვენებელი	საპროგ. მაჩვენებელი
მთლიანი შიგა პროდუქტი მოსახლეობის ერთ სულზე	5811,7	13 000
ჯინის კოეფიციენტი	0,41	0,35
უმუშევრობა (%)	15,0	<12
გადასახადები (წილი მთლიან შიგა პროდუქტში, %)	24	25
ექსპორტი (წილი მთლიან შიგა პროდუქტში, %)	35	50
სახელმწიფო ვალის/მთლიან შიგა პროდუქტთან (%)	34	<40

წყარო: საქართველოს მთავრობა, „საქართველო 2020“

სტრატეგიის თანახმად, საქართველოში შემდეგი მნიშვნელოვანი პრობლემები გამოიკვეთა: ა) კერძო სექტორის დაბალი კონკურენტუნარიანობა; ბ) არასაკმარისად განვითარებული ადამიანური კაპიტალი და გ) ფინანსურ რესურსებზე შეზღუდული ხელმისაწვდომობა, რომლებთან ბრძოლასაც მთავრობა, შესაბამისად, შემდეგი ხერხებით ეცდება: ა) საინვესტიციო და ბიზნეს გარემოს გაუმჯობესება; ინოვაცია და ტექნოლოგიები ექსპორტის ზრდის ხელშეწყობა; ინფრასტრუქტურის განვითარება და სატრანზიტო პოტენციალის მაქსიმალური გამოყენება; ბ) შრომის ბაზრის

მოთხოვნებზე ორიენტირებული სამუშაო ძალის განვითარება; სოციალური უზრუნველყოფის სისტემის სრულყოფა; ხელმისაწვდომი და ხარისხიანი ჯანდაცვის უზრუნველყოფა; გ) საინვესტიციო რესურსების მობილიზება და ფინანსური შუამავლობის განვითარება (წყარო: საქართველოს მთავრობა).

ყველაფერთან ერთად, მთავრობის მიერ შემუშავებულ დოკუმენტში ნათქვამია, რომ ზემოაღნიშნული წარმატებების მისაღწევად, აუცილებელია მაკროეკონომიკური სტაბილურობისა (ფასების სტაბილურობა, მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის შემცირება, რეალური გაცვლითი კურსის გამყარების დაბალი ტემპის შენარჩუნება, სახელმწიფო საგარეო ვალის მდგრადობა და ფინანსური სტაბილურობა) და ეფექტიანი საჯარო მმართველობის (მაღალკვალიფიციური კადრების სწორი გამოყენება სახელმწიფო სექტორში) მიღწევა, მათ შორის, ელექტრონული მომსახურების განვითარება და ელექტრონული მმართველობის სისტემის გაფართოება, რომლისთვისაც საქართველოს დღეს, გაეროს თანახმად, - 72-ე ადგილი უკავია (2012 წელი), რაც, რა თქმა უნდა, სწორი მიმართულებაა მთავრობის მხრიდან, მაგრამ მხოლოდ განცხადების კეთებით, საქმეს ნამდვილად ვერ ეშველება.

„საქართველო 2020“-ის თანახმად (თუ ყველაფერი მთავრობის გაანგარიშებისამებრ წარიმართა), 2020 წლისათვის საქართველომ ფაქტობრივად ყველა ასპექტში მნიშვნელოვნად უნდა წაიწიოს წინ. გეგმის თანახმად, საქართველომ კონკურენტუნარიანობის ინდექსში დღევანდელი (2013 წელი) 72-ე ადგილიდან უნდა აიწიოს მე-40 ადგილზე, რაც ნამდვილად შთამბეჭდავი წინსვლა იქნება და საქართველო, მრავალი პარამეტრის მიხედვით, განვითარებული ქვეყნების მაჩვენებლებს გაუტოლდება; აგრეთვე გეგმის თანახმად, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების წილი მთლიან შიგა პროდუქტსი დღევანდელი 6,8 პროცენტთან 2017 წლისათვის 7-8 პროცენტამდე აიწევს, ხოლო 2020 წლისათვის 5 - 6 პროცენტს გაუტოლდება, რაც ნამდვილად არ იქნება ცუდი შედეგი, თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ ეკონომიკაც მნიშვნელოვნად იქნება გაზრდილი.

სტრატეგიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პუნქტია ინოვაციური ეკონომიკის მშენებლობა, რაც უდავოდ მისასაღმებელი საქმეა და ქვეყნის გრძელვადიანი ზრდისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის მატარებელია (წყარო: საქართველოს მთავრობა). აღსანიშნავია, რომ ინოვაციის გლობალური ინდექსის 2013 წლის

მონაცემების მიხედვით, საქართველო მსოფლიოში 73-ე ადგილზეა, კიდევ უფრო არასახარბიელო მდგომარეობაა კონკურენტუნარიანობის ინდექსის მიხედვით, სადაც საქართველოს ინოვაციურობის კუთხით ერთ-ერთი უკანასკნელი ადგილი უკავია მსოფლიოში:

- ინოვაციის განხორციელების შესაძლებლობების მაჩვენებელი - 118-ე ადგილი;
- კომპანიების დანახარჯები კვლევასა და განვითარებაზე (R&D) - 128-ე ადგილი;
- უახლესი ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობა - მე-100 ადგილი;
- ახალი ტექნოლოგიების დანერგვა კომპანიების მიერ - 117-ე ადგილი.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის თანახმად, ბოლო ათწლეულში (2003 – 2013 წწ) საქართველოს ექსპორტი 6,3-ჯერ გაიზარდა. თუმცა პროდუქციის ასორტიმენტი და მნიშვნელოვანი იმპორტიორი ქვეყნების სტრუქტურა დიდად არ შეცვლილა. 2013 წლის საქართველოს მთლიანი ექსპორტის (\$2,9 მლრდ), ძირითად ნაწილს მსუბუქი ავტომობილები შეადგენს (\$703 მლდ), რაც მრავალი ექსპერტის აზრით, არასწორია და მსუბუქი ავტომობილები არა ექსპორტს, არამედ რე-ექსპორტს წარმოადგენს ისევე, როგორც - სუნამოებისა და ტუალეტის წყლის „ექსპორტი“, რომელმაც 2013 წელს \$9 მილიონს გადააჭარბა; ასევე ჭურჭლის სარეცხი მანქანები (\$800 ათასი), სარეცხის მანქანები (\$4,5 მლნ), მაცივრები (\$1,8 მლნ) და მრავალი სხვა საზღვარგარეთ წარმოებული საქონელი.

მთავრობა იმედოვნებს, რომ საქართველოს ექსპორტი 2020 წლამდე მნიშვნელოვნად გაიზრდება, რისი ძირითადი წამახალისებელი მექანიზმიც ევროკავშირთან თავისუფალი სავაჭრო ხელშეკრულების გაფორმება და საქართველოში ინფრასტრუქტურულ -ლოჯისტიკური ცენტრების განვითარება იქნება. გეგმის თანახმად, 5 ყველაზე მსხვილი საექსპორტო პროდუქტის წილი (%) 0.50-დან 0.30-მდე შემცირდება; ექსპორტი, მთლიან შიგა პროდუქტთან მიმართებით, დღევანდელი 35,7 პროცენტდან 50 პროცენტმდე გაიზრდება; საექსპორტო პროდუქტის ტექნოლოგიური სირთულე კი გაიზრდება 9-დან 9,5-მდე (წყარო: საქართველოს მთავრობა).

სტრატეგიაში აგრეთვე მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ელექტროენერჯის წარმოებასა და მის მიწოდებას მოსახლეობისა და ბიზნესისათვის. სტრატეგიის თანახმად, ელექტროენერჯის მოწოდების კუთხით, საქართველო დღეს ძლიერ არის

დამოკიდებული თავის მეზობლებზე, რაც უნდა გამოსწორდეს. 2020 წლისათვის იგეგმება ელექტროენერჯის წარმოების თითქმის გაორმაგება დღევანდელი, წლიური 9,7 ტერავატ-საათიდან, 18 ტერავატ-საათამდე, რაც ბიზნესის კეთების ინდექსში დღეისათვის დაკავებული 50-დან (ელექტროენერჯის მიწოდების ჭრილში) საქართველოს, სავარაოდოდ, 25-ე ადგილზე გადაანაცვლებს.

2013 წლის სტატისტიკით, მიზნობრივი სოციალური დახმარების მონაცემთა ბაზაში დარეგისტრირებულია თითქმის 1,7 მლნ ადამიანი, რომელთაგან 443 ათასი (მოსახლეობის 10 პროცენტი) სახელმწიფოსაგან იღებს ყოველთვიურ საარსებო შემწეობას. მიზნობრივი სოციალური დახმარების ბიუჯეტმა 2013 წელს (გაორმაგებული შემწეობის პირობებში: ყოველთვიური შემწეობა გაიზარდა 30-დან 60 ლარამდე; ოჯახის დამატებით წევრზე კი 24-დან 48-მდე) 213 მლნ ლარს მიაღწია.

60 წელს მიღწეული ქალბატონებისა და 65 წელს მიღწეული მამაკაცების (საპენსიო ასაკი) ჯამური რაოდენობა 2013 წლის მონაცემებით, ქვეყანაში 684 000 ადამიანს (მოსახლეობის 15%) შეადგენდა, რომელთა საპენსიო ანაზღაურებაზე (150 ლარი) ქვეყნის ბიუჯეტში დაახლოებით 1 მლრდ ლარი იყო გამოყოფილი. აღსანიშნავია, რომ საპენსიო ანაზღაურება უტოლდება საარსებო მინიმუმს. თუმცა თავად საარსებო მინიმუმი ქვეყნის რეალურ სურათს ვერ ასახავს, მასში არ არის გათვალისწინებული ისეთი მნიშვნელოვანი პარამეტრები, როგორებიცაა: სეზონურობა, ინფლაცია და სხვა. აგრეთვე უსამართლოა თავად საარსებო მინიმუმის 70/30 -ზე დაყოფის პრინციპიც (70% სურსათი, 30% -ყველაფერი დანარჩენი), რომლის პროპორციაც განვითარებულ ქვეყნებში 55/45-ზე გახლავთ.

სტრატეგიის თანახმად, 2013 წელს განხორციელებული ცვლილებებით (მიზნობრივი სოციალური დახმარების გაორმაგებითა და პენსიის გაზრდით), ფარდობითი სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფ ბავშვთა რაოდენობა ქვეყანაში 25 პროცენტდამდე, დაახლოებით 18 პროცენტამდე უნდა შემცირდეს; ხოლო უკიდურეს სიღარიბეში მცხოვრები ბავშვის მაჩვენებელი 9,4 პროცენტდამდე, სავარაუდოდ, 6 პროცენტამდე უნდა შემცირდეს (წყარო: საქართველოს მთავრობა). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გაეროს მონაცემებით, პენსიონერთა რაოდენობა ქვეყანაში 2050 წლისათვის დღევანდელი 15 პროცენტდამდე 25 პროცენტამდე გაიზარდება, რაც აუცილებლად წარმოშობს გარკვეულ პრობლემებს საპენსიო სისტემაში და უმძიმეს ტვირთად დააწვება ქვეყნის ბიუჯეტს, თუ მანამდე არ ჩატარდება საპენსიო რეფორმა

და მთავრობა პენსიების გაცემის ახალ მეთოდს არ შეიმუშავებს (თუნდაც - კერძო საპენსიო სისტემის დანერგვა).

სტრატეგიაში შეიმუშავებული მიზნების მისაღწევად, ეკონომიკის რეალური ზრდის ტემპი 2020 წლამდე, საშუალოდ, 7 პროცენტით უნდა გაიზარდოს. ამასთან, ეკონომიკაში ინვესტიციების მოცულობის ზრდამ ყოველწლიურად უნდა შეადგინოს არანაკლებ 10 პროცენტსა. იმ პირობებში, როდესაც საქართველოს, გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსის მიხედვით, მთლიანი ეროვნული დანახოგების კომპონენტში 98-ე ადგილი უკავია, ხოლო ადგილობრივი კაპიტალის ბაზრებზე ფინანსების ხელმისაწვდომობის კომპონენტში კი - 126-ე. ე.ი. მთავრობა დიდ იმედებს ამყარებს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინებაზე, რადგანაც ადგილობრივი შიდა დანახოგები საკმაოდ მწირია და მთლიან შიგა პროდუქტთან მიმართებით, დღეისათვის (2013 წელი) მხოლოდ 2,5 პროცენტს შეადგენს. თუმცა, მთავრობის გეგმების მიხედვით ის 2020 წლისათვის 17 პროცენტამდე გაიზრდება.

სტრატეგიის თანახმად, ფინანსური რესურსების სიძვირე იმით არის განპირობებული, რომ საფონდო ბირჟა ვერ ფუნქციონირებს მოწოდების სიმალლეზე, რადგანაც: ა) საფონდო ბაზარზე შესვლა მოითხოვს გამჭვირვალობის სტანდარტებთან მისადაგებას, რაც, მთავრობის აზრით, კომპანიების მხრიდან როგორც ფინანსურ, ისე დროით დანახარჯებს მოითხოვს ამიტომ ბიზნესმენები, მას თავს არიდებენ, რაც ჩვენი აზრით, არ არის სამართლიანი შენიშვნა; ბ) გარიგების ღირებულება საფონდო ბაზარზე მაღალია, რაც მას საბანკო კრედიტთან შედარებით, ნაკლებ მიმზიდველს ხდის (ჩვენი აზრით, პრობლემა არა გარიგებათა სიძვირეში, არამედ ა) ბიზნესმენების დაბალ გათვითცნობიერებულობაშია და ბ) საბანკო სფერო თავად არის ერთ-ერთი უდიდესი „ბიზნესმენი“ ქვეყნაში, იგი, რა თქმა უნდა, თავისი ბანკის, და არა საფონდო ბირჟის განვითარებაზე იქნება ორიენტირებული) და გ) საწარმოთა გამოცდილების სიმცირე და მათი საფონდო ბირჟის საქმიანობის მიმართ გაუთვითცნობიერებულობა (აშკარა სიმართლეა).

გარდა ზემოჩამოთვლილი მიზეზებისა, სტრატეგიულ გეგმაში აგრეთვე აღწერილია არაპირდაპირი მიზეზებიც, თუ რატომ არიდებს თავს მოსახლეობა თავიანთი დანახოგების აქციებსა და ობლიგაციებში დაბანდებას: ა) კომერციული სექტორის ნეგატიური ისტორიული გამოცდილება ფასიანი ქაღალდების მიმართ, ბ) კერძო სექტორის გამჭვირვალობის დაბალი სტანდარტები; გ) არასათანადო

ინსტიტუციური ბაზა აქციონერების უფლებების დაცვისთვის და სხვ. რასაც რთულია, არ დაეთანხმო. თუმცა, გამოცდილება გვიჩვენებს, რომ სახელმწიფოს მხრიდან სწორი პოლიტიკური კურსის არჩევის შედეგად, ნებისმიერი ზემოხსენებული პრობლემის მოგვარება შესაძლებელია. მაგალითისათვის შეგვიძლია მოვიყვანოთ 90-იან წლებში არსებული უნდობლობა საბანკო სექტორის მიმართ, რაც მნიშვნელოვნად დაიძლია და საბანკო სფერო ყოველწლიური მატების ტემპებით გამოირჩევა, როგორც კრედიტების, ასევე - ანაბრების ნაწილში.

მართალია, სტრატეგიაში წარმოდგენილია გარკვეული ხედვა, თუ როგორ დაიძლიოს ზემოხსენებული პრობლემა (ფინანსური განათლების გაუმჯობესება, გამჭვირვალობის ხელშეწყობა, სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარება, საფონდო ბაზრის ინფრასტრუქტურის განვითარება, ვენჩურული კაპიტალის მოზიდვა), მაგრამ არაფერია ნახსენები იმაზე, რომ ამ სექტორის მარეგულირებელი, მისივე კონკურენტების ინტერესების დაცვითაა დაინტერესებული (ეროვნული ბანკი) და რომ სახელმწიფო კანონი „ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობის შესახებ“ შესაცვლელია.

მთლიანობაში, შეიძლება ითქვას, რომ ამ ტიპის დოკუმტის დღის შუქზე გამოჩენა, ნამდვილად წინგადადგმული ნაბიჯია მთავრობის მხრიდან. მას შეიძლება ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი (თუ არა ყველაზე მნიშვნელოვანი) დოკუმენტიც ვუწოდოთ ქართულ სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში, საქართველოს უახლეს ისტორიაში. მიუხედავად იმისა, რომ შეგვიძლია ვიდავოთ ამა თუ იმ ხარვეზზე, თუ რა მიმართულებით იქნებოდა უფრო სწორი საქართველოს სტრატეგიული განვითარება 2020 წლამდე, მოცემული დოკუმენტი მაინც რჩება ახალი მთავრობის მნიშვნელოვან მიღწევად. მით უმეტეს, რომ ის აგებულია ინკლუზიურობის პრინციპის დაცვით, რაც გულისხმობს, რომ ეკონომიკურ განვითარებაში საზოგადოების ყველა ფენამ უნდა მიიღოს მონაწილეობა. აგრეთვე მისასაღმებელია სტრატეგიაში „მწვანე მიდგომის“ გამოჩენა, რაც გრძელვადიანი, მდგრადი განვითარების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ელემენტი უნდა გახდეს.

აგრეთვე აღსანიშნავია, რომ დოკუმენტში საკმაოდ კრიტიკულად არის შეფასებული წინა წლების მიღწევები და დღევანდელი რეალობა, რაც შეიძლება, მთავრობის მხრიდან საკმაოდ გაბედულ ნაბიჯად ჩაითვალოს. თუმცა მნიშვნელოვანია, რომ წარსულისა და რეალობის კრიტიკიდან მთავრობა, რაც

შეიძლება მალე, რეალურ ქმედებებზე გადავიდეს და ბოლომდე თუ არა, დიდწილად მაინც მიაღწიოს დასახულ გეგმებს. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ სტრატეგიაში არ არის გამოყენებული ის საერთაშორისო ინდექსები და რეიტინგები, რომლის მიხედვით, საქართველო ლიდერია ამა თუ იმ სფეროში (ბიზნესის კეთების სიმარტივე, კორუფცია, კრიმინალთან ბრძოლა და სხვ.).

სტრატეგიაში თითქმის არ ფიგურირებს ტურიზმის სექტორის განვითარების გეგმა, რომელიც მთავრობის ერთ-ერთ პრიორიტეტულ დარგად ითვლებოდა. აღნიშნული მოვლენა, ჩვენი აზრით, სავსებით სწორია და ტურიზმი არ შეიძლება დღევანდელ ეტაპზე ქვეყნის პრიორიტეტულ დარგად განიხილებოდეს. უმჯობესი იქნებოდა ტურიზმის განვითარებაზე დახარჯული თანხები, თუნდაც თანამედროვე ტექნოლოგიების ან/და სოფლის მეურნეობის ინდუსტრის განვითარებაზე იყოს მიმართული (თუმცა - არამხოლოდ ხვნასა და თესვაზე, როგორც ეს 2013 წელს განხორციელდა), რადგანაც დღევანდელ ეტაპზე საქართველო თავად არის სოფლის მეურნეობის პროდუქციის, ელექტროენერჯის, ნავთობისა და გაზის, არასასურსათო პროდუქციის და სხვა მრავალის ნეტო იმპორტიორი (განსაკუთრებით ტურისტულად აქტიურ სეზონებში), რაც ტურისტის მიერ დახარჯული თანხის უმეტესი ნაწილის საზღვარგარეთ გადინებას იწვევს.

საქართველოს საბანკო სისტემის გამოწვევები

საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) 2013 წლის 1 თებერვლის მდგომარეობით, ქვეყნის საბანკო სექტორი 20 კომერციული ბანკითაა წარმოდგენილი; მათ შორის 15 – საწესდებო კაპიტალში უცხოური კაპიტალის მონაწილეობით და 3 – უცხოური ბანკის ფილიალით. წინა თვესთან შედარებით, საქართველოს კომერციული ბანკების მთლიანი აქტივები (მიმდინარე ფასებით) 193,2 მლნ ლარით, ანუ 1,3 პროცენტით შემცირდა და 14,2 მლრდ ლარი შეადგინა. საბანკო სექტორის საკუთარი სახსრები 2,5 მლრდ ლარს შეადგენს, რაც კომერციული ბანკების მთლიანი აქტივების 17,4 პროცენტია (წყარო: ეროვნული ბანკი).

საქართველოში ხუთ უმსხვილეს ბანკს მთლიანი საბანკო სექტორის აქტივების 80,8% უკავია. უცხოური კაპიტალის მონაწილეობამ ბანკების მთლიან განადგებულ საწესდებო კაპიტალში 77,5% შეადგინა. მათ შორისაა მსხვილი და რეგიონული საბანკო და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები (მსოფლიო ბანკი,

საერთაშორისო საგაღმწერო ფონდი, ღ და სხვები) რომელთაც, შესაბამისი მოთხოვნისთანავე, დამატებითი კაპიტალის/ლიკვიდობის ინექციის უნარი შესწევთ.

აღსანიშნავია, რომ, ერთი მხრივ, ქართული საბანკო სექტორის მფლობელობაში საერთაშორისო ინვესტორების წილის ზრდა უცილობლად უწყობს ხელს ეროვნული საბანკო სისტემის გაძლიერებას. თუმცა, მეორე მხრივ, ასეთი მაღალი წილი ქვეყნის საბანკო სისტემის უცხოელ პარტნიორებზე უდიდეს დამოკიდებულებასა და მათი ინტერესების გაველენაზე მიუთითებს.

შედარებისთვის, საქართველოს საბანკო სისტემა 2011 წლის მონაცემებით, მთლიანი აქტივების მოცულობით აღემატება სომხეთს (AMD 1763,3 ათასი = \$4,5 მლრდ), მაგრამ ჩამორჩება აზერბაიჯანსა (14,78 მლრდ მანათი = \$18,83 მლრდ) და, რა თქმა უნდა, რუსეთს (დაახლოებით 1 ტრლ აშშ დოლარის ექვივალენტი) და თურქეთს (860.5 მლრდ თურქული ლირა = \$550 მლრდ) (მოცემული ქვეყნების ეროვნული ბანკების მონაცემებზე დაყრდნობით), რაც იმას ნიშნავს, რომ თავის სამეზობლოში საქართველოს ამ მხრივ არცთუ ისე ცუდი მდგომარეობა აქვს (აღსანიშნავია, რომ საბანკო სექტორის სიდიდე ამ ქვეყნებში მოსახლეობის რაოდენობის პროპორციულია), მაგრამ საქართველოს საბანკო სისტემის პოტენციალიდან გამომდინარე, ჩვენ მის მომდევნო გაძლიერებას ვვარაუდობთ.

საქართველოს საბანკო სექტორის მნიშვნელოვან ზრდაზე მეტყველებს დეპოზიტების, აქტივებისა და სესხების მთლიან შიგა პროდუქტთან თანაფარდობის შესამჩნევი მატება. 2004 წელთან შედარებით, 2012 წლის ბოლოს, გაიზარდა ბანკების: სესხები - 8-ჯერ, შემოსავლები - 7-ჯერ, წმინდა მოგება - 12-ჯერ და სააქციო კაპიტალი - 7-ჯერ. თუმცა, ექსპერტთა აზრით, ეს ქართული საბანკო სისტემის მაქსიმუმი არ არის (ჭარაია ვ., 2013).

სებ-ის მონაცემებზე დაყრდნობით, 2004-2012 წლებში, საქართველოში 7-ჯერ და მეტად გაიზარდა ქვეყნის მთლიანი საგარეო ვალი (აშშ დოლარში დენომინირებული). ამ მაჩვენებელმა განსაკუთრებით მოიმატა 2008 წლის რუსეთთან ომის შემდგომ, მათ შორის, საქართველოს მთლიანმა საგარეო ვალმა 2012 წლის 31 მარტის მდგომარეობით 11,4 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა: \$3,8 მლრდ სამთავრობო სექტორის ვალია (მთლიანი ვალის 33,4 პროცენტი), \$783,1 მლნ (6,9 პროცენტი) - ეროვნული ბანკის, \$2,1 მლრდ (18,3 პროცენტი) - საბანკო სექტორის, \$2,1 მლრდ (18,5

პროცენტი) - სხვა სექტორებისა და \$2,6 მლრდ (23,0 პროცენტი) კომპანიათაშორისი ვალი. მთლიანი საგარეო ვალის 94,6% დენომინირებულია უცხოური ვალუტით.

სებ-ი იმედოვნებს, რომ სესხების სტრუქტურიდან გამომდინარე, ქართულ ბანკებს არ უნდა გაუჭირდეთ მასთან გამკლავება, მით უმეტეს, რომ ქართულ ბანკებში კაპიტალის ახალი მასშტაბური შემოდინება არ იგეგმება, საერთაშორისო ბაზარზე მისი გაძვირების გამო, ხოლო უკვე აღებული სესხების დაახლოებით 70% საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებსა და სათაო კომპანიების მიერ გამოყოფილ სუბორდინირებულ ვალზე მოდის. თუმცა აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ სახელმწიფო ვალის ზრდის ტემპები მნიშვნელოვნად აღემატება ეროვნული ეკონომიკის ზრდის ტემპებს, რაც მთავრობასა და ზედამხედველს მეტი ყურადღებისაკენ მოუწოდებს.

ბოლო წლების განმავლობაში ეტაპობრივად შემცირდა რეფინანსირების განაკვეთი 10–დან 3,75%-მდე (ჭარაია ვ., 2013); თუმცა შემდგომ, უმნიშვნელოდ გაიზარდა 4 პროცენტმდე (2014 წლის მარტის მონაცემი). რეფინანსირების განაკვეთის შემცირებით სებ-ს შესაძლებლობა ჰქონდა გავლენა მოეხდინა მხოლოდ ეროვნულ და არა უცხოურ ვალუტაზე, რაც ეკონომიკის განსაკუთრებით მაღალი დოლარიზაციის პირობებში, არ შეიძლება, წარმატებად ჩაითვალოს. აგრეთვე რეფინანსირების განაკვეთის დანიშნულება ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრულია, როგორც ბანკების ლიკვიდურობის პრობლემების გადაწყვეტის საშუალება. შესაბამისად, რეფინანსირების სესხი ბანკების მიერ საკრედიტო საქმიანობისთვის არ გამოიყენება, ამიტომაც მისი პროცენტის ცვლილება არანაირად არ აისახებოდა საბანკო კრედიტების საპროცენტო განაკვეთების სიდიდეზე. შედეგად, კომერციულმა ბანკებმა შეამცირეს ლარით სესხების გაცემა და დაიწყეს უცხოური ვალუტის სესხების პორტფელების ზრდა.

ყველაფერთან ერთად, აღსანიშნავია საბანკო სექტორის ხარჯვითი და ზარალის ნაწილის უზარმაზარი ზრდაც, გაიზარდა ხარჯები ვადაგადაცილებული სესხების მომსახურებასა და გაუმართლებელი (საქართველოს რეალობიდან გამომდინარე) ბონუსები ხელმძღვანელებზე. commersant.ge-ს ცნობით, „თი-ბი-სი ბანკსა“ და „საქართველოს ბანკში“ პირველი პირების ყოველთვიური ხელფასი 80 – 120 ათას ლარს შორის მერყეობს მაშინ, როდესაც რიგით თანამშრომლის ხელფასი, საშუალოდ, მხოლოდ 500 ლარს შეადგენს. ცნობილია, რომ საბანკო საქმიანობის

უდიდესი ტვირთი სწორედ ქვედა ეშელონებზე მოდის და შესაბამისი ანაზღაურების არქონის შემთხვევაში, როგორც წესი, იზრდება ე.წ. „პერსონალის რისკი“, რაც საბანკო დანაკარგების ზრდის გამომწვევე ერთ - ერთი მთავარი მიზეზია.

ცალკე აღნიშვნას იმსახურებს საქართველოს ეროვნული ბანკის საერთაშორისო რეზერვების მოცულობის წლიდან - წლამდე ზრდა (2008 წელს - \$1,48 მლრდ; 2009 წელს - \$2,11 მლრდ; 2010 წელს - \$ 2,264 მლრდ; 2011 წელს - \$ 2,818 მლრდ; 2012 წელს - \$2794; 2013 წელს - 3,11 მლრდ). რეზერვების შთამბეჭდავი ზრდა საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებულმა კრედიტებმა და გრანტებმა განაპირობა, რომლებიც 2008 წლის რუსეთთან ომის შემდგომ, ჩვენი დასავლელი პარტნიორების მიერ უხვად გაიცემოდა. მთლიანობაში, ეროვნული ბანკის რეზერვების ოდენობა შესაბამისობაშია სავალუტო ფონდის სტანდარტებთან, რომლის თანახმად, რეზერვების დონე ითვლება მდგრადად, თუ მისი შეფარდება თვის იმპორტთან 3-ზე მეტია, ჩვენს შემთხვევაში ის 4-ს აღემატება.

რაც შეეხება მნიშვნელოვნად გაზრდილი საერთაშორისო რეზერვების მართვას, აქ არცთუ ისე სახარბიელო მდგომარეობაა: 2009 წელს მან 33,704 მლნ ლარი შეადგინა, რაც თითქმის ორჯერ ნაკლებია წინა წელს მიღებულ შემოსავლებზე, ხოლო 2010 წელს კიდევ უფრო ნაკლები - 25,2 მლნ ლარი შეადგინა. თუმცა სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ეს ნაწილობრივ გამოწვეულია საერთაშორისო ბაზარზე კრიზისის ფონზე საპროცენტო განაკვეთების საგრძნობი შემცირებით. რაც შეეხება 2011 წლის მაჩვენებელს, ის ოდნავ გაიზარდა და 33,25 მლნ ლარი შეადგინა. 2012 წელს კი - 29,1 მლნ ლარი (წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი).

ზემოთ მოყვანილ რიცხვებზე დაყრდნობით, შეგვიძლია მარტივი გამოთვლები გავაკეთოთ და დავინახოთ, რომ 2010 წლამდე, საერთაშორისო რეზერვებიდან მიღებული სარგებელი დაახლოებით 0.5-1 პროცენტს შეადგენდა, ხოლო 2011-2012 წლებში 1 პროცენტთან ნიშნულთან ტრიალებს. იმ ფონზე, როდესაც 2008 წელს ევროობლიგაციებით აღებულ გრძელვადიან სესხზე საქართველო ყოველწლიურად 7,5%-იანი სარგებლის განაკვეთს იხდის (თითქმის იგივე განაკვეთებია საერთაშორისო სავალუტო ფონდიდან და სხვა ორგანიზაციებიდან აღებულ კრედიტებზეც), დაუშვებლად მიგვაჩნია სახსრების ასე არაეფექტიანი გამოყენება. საერთაშორისო

პრაქტიკის ან სხვადასხვა თანამედროვე მეთოდის გამოყენებით (მაგ., დერივატივების გამოყენებით), უფრო მაღალ მაჩვენებლებზე გასვლაა საჭირო, (ჭარაია ვ., 2013).

2004 – 2012 წლებში ვა და გა დაცილებული სესხები 11,5-ჯერ გაიზარდა და მან 200 მლნ ლარს მიაღწია, რაც 30 მლნ ლარით მეტია წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან. აღნიშნული ვითარების გამომწვევი მრავალი მიზეზი არსებობს, მათ შორის, ყველაზე აქტუალურია: სუსტი საბანკო მენეჯმენტი; სესხების გაცემა მაღალგანაკვეთიანი სარგებლით; მაღალრისკიანი სესხების გაცემა და სხვ. ამასთან, ცალკე აღნიშნას იმსახურებს 2008 წლის ომით და მსოფლიო ფინანსური კრიზისით გამოწვეული მოულოდნელი კატაკლიზმები. თუმცა ეროვნული ბანკის ხელმძღვანელობა გვარწმუნებს, რომ საერთაშორისოდ აღიარებული 90 დღიანი ვადაგადაცილებული სესხის საკრედიტო პორტფელთან თანაფარდობის სტანდარტის თანახმად, საქართველოში ბოლო წლების მაჩვენებელი არათუ იზრდებოდა, არამედ მცირდებოდა კიდევ და 2010 წელთან შედარებით, 2011 წელს მან 5,5% - დან 4,5% - მდე დაიწია, ხოლო ამ მაჩვენებლით ის რეგიონში ერთ-ერთი ლიდერია. ჩვენი აზრით, ეს მოვლენა შეიძლება აიხსნას არა ვადაგადაცილებული სესხების კლებით, არამედ თავად საკრედიტო პორტფელის ზრდით.

როგორც ცნობილია, მსოფლიო ფინანსური კრიზისი მსოფლიოში და, შესაბამისად, საქართველოშიც ყველაზე მეტად საბანკო სექტორს შეეხო. ამაზე მეტყველებს: კომერციული ბანკების საკრედიტო პოტენციალის შემცირება, ვადაგადაცილებული კრედიტების ზრდა, საპროცენტო განაკვეთების მატება, მცირე და საშუალო ბიზნესის დაკრედიტების შემცირება, საბალანსო წლის ზარალით დასრულება და სხვა (ნარმანია დ., გეთია შ., 2009). აღნიშნულს მრავალი მიზეზი აქვს, თუმცა, ჩვენი აზრით, უმნიშვნელოვანესია აშშ-ის „იპოთეკური ბუშტის“ გასკდომა, რასაც, თავის მხრივ, აშშ-ის საბანკო სისტემის მიერ იპოთეკური ბაზრის „უგუნური“ დაკრედიტება და სადაზღვევო სისტემის გაუმართაობის ერთობლიობა უძღოდა.

მართალია, ექსპერტები თანხმდებიან, რომ მსოფლიო ფინანსური კრიზისის გამომწვევი აშშ იყო, მაგრამ ამ კრიზისზე ადეკვატური პასუხის გაცემა არამხოლოდ ამერიკამ, არამედ მთელმა მსოფლიო საბანკო სექტორმა ვერ შეძლო. გამონაკლისი არც იმ განვითარებული ქვეყნების საბანკო სისტემაა, რომელიც იმ დროისათვის საბანკო რეგულირების ყველაზე თანამედროვე (ბაზელი II) სტანდარტებს იცავდნა. ამ და სხვა პრობლემების აღმოსაფხვრელად, 2010 წლის –20-ის სეულის სამიტზე

მიღებულ იქნა ბაზელის კომიტეტის მიერ შემუშავებული რეკომენდაციათა ახალი პაკეტი – „ბაზელი III“, რომელიც ახალი ფინანსური კრიზისებისაგან თავის არიდებასა და მდგრადი ეკონომიკური განვითარებისათვის ხელის შეწყობას ისახავს მიზნად.

ბანკებზე დაწესებული გამკაცრებული რეგულირება, მართალია, ბანკსა და მსესხებელს შორის ურთიერთობას უფრო გაართულებს, თუმცა რისკების შემცველობა მინიმუმამდე იქნება დაყვანილი (კაპიტალის გაზრდის ან რისკშეწონილი აქტივების შემცირების გზით), რაც გრძელვადიან პერსპექტივაში უფრო მნიშვნელოვანი საკითხია, როგორც გლობალური, ასევე - ლოკალური ჭრილით. ბაზელი III-ის დანერგვასთან დაკავშირებული ყველაზე დიდი პრობლემები, სავარაუდოდ, საერთაშორისო ბანკებს შეექმნებათ, პირველ რიგში, სახსრების უკმარისობის გამო, რაც აუცილებელია გამკაცრებული კაპიტალისა და ლიკვიდობის მაჩვენებლების დასაკმაყოფილებლად.

ბაზელი III არის „საბანკო რეგულირების შესახებ ბაზელის კომიტეტის“ წევრი ქვეყნების მიერ დადგენილი გლობალური მარეგულირებელი სტანდარტი საბანკო რისკ-მენეჯმენტში. კერძოდ: ბანკებში კაპიტალის საკმარისობის, სტრესტესტირებისა და საბაზრო ლიკვიდობის შესახებ (Walter S., 2011). საბანკო ზედამხედველობის ბაზელის კომიტეტის რეკომენდაციების მიხედვით, საბანკო საქმიანობაზე ზედამხედველობის მთავარი მიზანი ყველა ბანკზე მუდმივი ზედამხედველობით მოსალოდნელი სისტემური კრიზისების აღმოფხვრაა. აგრეთვე რისკების მართვის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან მიზანს ერთდროულად წარმოშობილი დიდი მოცულობის ზარალის თავიდან აცილება წარმოადგენს, რაშიც ბაზელის თანამედროვე რეკომენდაციები ძალზე პრაქტიკულია (დუდუშაური ლ., 2012).

ბაზელის თანამედროვე რეკომენდაციების დანერგვა საქართველოში, შეიძლება ითქვას, რომ არა უბრალოდ სებ-ის სურვილია, არამედ ეს არის თანამედროვე რეალობის გამოძახილი როგორც პოლიტიკურ, ასევე, მორალურ-ზნეობრივ დონეზე. მართალია, საბანკო სისტემის გამართული ფუნქციონირება ბაზელი II და III რეკომენდაციების იმპლემენტაციის გარეშეც არის შესაძლებელი (თუ ანალოგიურ მოთხოვნებს ლოკალური ცენტრალური ბანკი თავად დაარეგულირებს), მაგრამ საქართველოს, რომელიც დასავლური სისტემისაკენ ისწრაფვის, სხვა გზა არა აქვს, გარდა იმისა, რომ დანერგოს იგივე სტანდარტები, რაც დასავლეთშია აქტუალური.

ამასთან, აღნიშნულით თავად ბანკებს ეძლევათ საშუალება, დაამყარონ უფრო ახლო კონტაქტები მათ დასავლელ პარტნიორებთან, გახდნენ სანდოები საერთაშორისო ბაზარზე და საქმიანობის ახალ მასშტაბებზე გავიდნენ. რაც შეეხება ამ რეკომენდაციების დანერგვასთან დაკავშირებულ პრობლემებს, ამ ეტაპზე ის უფრო ტექნიკური ხასიათისაა და კაპიტალის უკმარისობას ნაკლებად ეხება, და მაინც, სამართლიანობა მოითხოვს აღვნიშნოთ, რომ სეპ-ის მთავარი მიზანი – საბანკო სისტემის სტაბილური ფუნქციონირება (ბანკების დეპოზიტართა ინტერესების დაცვა სისტემური საბანკო რისკების მინიმუმამდე დაყვანის გზით, აგრეთვე კონკურენტუნარიანობის პრინციპებისა და სეპ-ის ინსტიტუციური ინტერესების დაცვა), წარმოუდგენელია ბაზელის თანამედროვე რეკომენდაციების უგულვებელყოფით.

3.2 პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის შემაფერხებელი ფაქტორები

საფონდო ბირჟის განუვითარებლობა (Чараа В., 2013)

საფონდო ბირჟა მიმზიდველი საინვესტიციო გარემოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ატრიბუტია, რომელიც მნიშვნელოვან პოზიციებს იკავებს განვითარებულ ქვეყნებში, თუმცა მოკრძალებული მასშტაბებით გამოირჩევა განვითარებად ქვეყნებში, მათ შორის -საქართველოშიც.

საქართველოს საფონდო ბირჟის 2013 წლის მონაცემებით, საშუალო დღიურმა ბრუნვამ მხოლოდ 7 538 ლარი შეადგენა, რაც საკმაოდ სუსტი მაჩვენებელია, შეიძლება ითქვას, რომ - კატასტროფულიც. თვითონ პრობლემა კი, თუ რატომ ვერ ვითარდება საქართველოს საფონდო ბირჟა, თავად მისი ფუნქციონირების ფორმაში იმალება.

საქართველოს საფონდო ბირჟა, ეს არის ერთადერთი „ფუნქციონირებადი“ ფასიანი ქაღალდების ბაზარი საქართველოში. თავის დროზე ის ამერიკელი ექსპერტების დახმარებითა და USAID-ის ფინანსური მხარდაჭერით შეიქმნა და ფუნქციონირება 2000 წლის მარტში დაიწყო.

ერთი შეხედვით, საფონდო ბირჟაზე ყველაფერი მოწესრიგებულია: ვაჭრობა მიმდინარეობს 133 კომპანიის აქციებით, რომელთა ერთობლივი კაპიტალიზაცია თითქმის 1 მლრდ აშშ დოლარს უტოლდება; დასაქმებულია 7 ბროკერი, 3 რეგისტრატორი და იმართება 150 სესიამდე წელიწადში; გათვალისწინებულია თანამედროვე საფონდო ბირჟისათვის დამახასიათებელი ატრიბუტები: „დილინგ რუმი“, თანამედროვე კომპიუტერული პროგრამები და ა.შ., თუმცა საშუალო დღიური ვაჭრობა მხოლოდ \$4 543 შეადგენს, ე.ი. ხშირად ამ თანხაზე ნაკლებიც ივაჭრება.

განვიხილოთ ქართული საფონდო ბირჟის 1 სავაჭრო დღე - 2013 წლის 8 აპრილი: გარიგებათა რაოდენობა - 4, გარიგების მოცულობა (ფასიანი ქაღალდების რაოდენობა) - 520 000; გარიგებათა მოცულობა ლარებში - 4 190 (\$2 540). საკმაოდ სუსტი მაჩვენებლებია. განვიხილოთ სხვა სავაჭრო დღე, მაგალითად - 2009 წლის 30 მარტი (საიუბილეო 1000-ე სესია): გარიგებათა რაოდენობა - 0, გარიგების მოცულობა (ფასიანი ქაღალდების რაოდენობა) - 0; გარიგებათა მოცულობა ლარებში - 0. რაც

არ უნდა გასაკვირო იყოს, აღნიშნულ დღეს არავითარი პანიკა არ მოჰყოლია, რადგანაც ქართული საფონდო ბირჟის ისტორიას არაერთი ათეული ასეთი „ჩაყარდნილი“ დღე ახსოვს თავისი არსებობის ხანმოკლე პერიოდში.

მეორე მხრივ, ქართულ საფონდო ბირჟას „ზეიმის“ დღეებიც ახსოვს, როცა გარიგებათა რაოდენობამ 100-ს გადააჭარბა. საერთო სურათი კი შემდეგია (2013 წლის მონაცემებით): გარიგებათა რაოდენობა - 26 642, გარიგების მოცულობა (ფასიანი ქაღალდების რაოდენობა) – 234,5 მლნ; გარიგებათა მოცულობა ლარებში - 268,2 მლნ, მაშინ, როდესაც ტექნიკური მახასიათებლების გათვალისწინებით, ზემოთ ჩამოთვლილი ოპერაციების განხორციელება ქართულ საფონდო ბირჟას რამდენიმე წუთის განმავლობაში შეუძლია (და არა 12 წლის განმავლობაში). რაც არ უნდა გასაკვირო იყოს, საფონდო ბირჟის დამფუძნებლებს სრულიად სხვა წარმოდგენა და გეგმები ჰქონდათ ქართული საფონდო ბირჟის პერსპექტივებთან დაკავშირებით, რაც აბსოლუტურად განსხვავდება დღევანდელი რეალობისაგან.

2011 წლის განმავლობაში საქრთული საფონდო ბირჟის ინდექსი (GSX) საკმაოდ - 121,75-დან 78,83 დაეცა 2012 წლის დასაწყისამდე (35,3%-იანი ვარდნა). 2013 წლის აპრილის მონაცემებით კი, ოდნავ გაუმჯობესდა და 87,51-ს მიაღწია. თუმცა ეს მაჩვენებელი მაინც საკმაოდ სუსტია, რადგანაც GSX-ის საშუალო მაჩვენებელი 100-ზეა გათვალისწინებულია. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მაჩვენებელი საშუალოზე დაბალს უტოლდება. ცნობისათვის, ისტორიულად მაღალი მაჩვენებელი, რომლისთვისაც GSX-ს ოდესმე მიუღწევია, არის - 268 (2007 წლის ივლისი), ხოლო მინიმალური - 54,50 (2010 წლის მარტი).

რატომ არის ქართული საფონდო ბირჟა ასეთ მძიმე ვითარებაში? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად, საკითხის უფრო დეტალური განხილვაა საჭირო. როგორია მთავრობის პოზიცია და ქმედებები საფონდო ბირჟის მხარდასაჭერად, რა პოლიტიკა აქვთ ადგილობრივ კომპანიებს ქართულ საფონდო ბირჟაზე ვაჭრობასთან დაკავშირებით? და ა.შ. პასუხი ამ და სხვა მსგავს კითხვებზე მარტივია და ის საქართველოში ბიზნესის წარმართვის დაბალ გამოცდილებასა და განვითარებულობაში გამოიხატება.

ჩვენი აზრით, ქართული საფონდო ბირჟის მოცემული დაბალი აქტიურობა არის მის გარეთ განხორციელებული სავაჭრო ოპერაციების სიდიდე, რომელიც

ექსპერტული შეფასებით დაახლოებით 7-7,5-ჯერ აღემატება საფონდო ბირჟაზე განხორციელებულ გარიგებათა მოცულობასა და მის შესაბამის ღირებულებას ლარებში. აღნიშნული შედეგი მიღებულ იქნა 2008 წელს, იმდროინდელი ეკონომიკის მინისტრის - კახა ბენდუქიძის ინიციატივით კანონში შეტანილი ცვლილებების შემდგომ, როდესაც კანონში სიტყვათა თანაწყობა: „სავაჭროდ დაშვებული ფასიანი ქაღალდებით გარიგებები უნდა დაიდოს მხოლოდ საფონდო ბირჟაზე“, შეიცვალა შემდეგი ფრაზით: „ფასიანი ქაღალდები საქართველოს ტერიტორიაზე შესაძლოა ივაჭრობდეს როგორც საფონდო ბირჟაზე ასევე, მის გარეთაც“. შედეგად, ბიზნესმენებმა ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობა ქართული საფონდო ბირჟის გვერდის ავლით დაიწყეს და შეასუსტეს მისი მოზიციები, რაც, ერთი მხრივ, ბიზნესისათვის დამატებითი სიმარტივის შექმნის კუთხით შეგვიძლია განვიხილოთ, ხოლო, მეორე მხრივ, კი ექსპერტები ამტკიცებენ, რომ აღნიშნული ცვლილება კანონში შეტანილი იყო ბიზნესის „დასაყახად“, წილების მარტივი გადანაწილებისათვის.

უნდა აღინიშნოს, რომ 2007 წელს საქართველოს ქართული საფონდო ბირჟის გამოსყიდვის წინადადებით NASDAQ OMX-ის წარმომადგენლები სტუმრობდნენ. თითქმის 1 წლის განმავლობაში ისინი აწარმოებდნენ მოლაპარაკებებს ფონდის აქციონერებთან და, როგორც იქნა, შეთანხმებასაც მიაწიეს. თუმცა ზუსტად ამ პერიოდს დამეთხვა 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომი, რომელმაც მოლაპარაკებების გაყინვა გამოიწვია. პროექტი დღესაც გაყინულია, თუმცა NASDAQ OMX მზადაა, კანონმდებლობაში გარკვეული ცვლილებების შესვლის შემდგომ, მოლაპარაკებები განაახლოს. თუმცა, საკანონმდებლო ცვლილებებს ძლიერ ეწინააღმდეგება საბანკო ლობი, რაც გასაკვირი ნამდვილად არაა, გამომდინარე იქედან, რომ საფონდო ბირჟის გაძლიერებას, ფინანსური ნაკადების საფონდო ბირჟაზე გადანაცვლების გზით, შესაძლოა საბანკო სექტორის შესუსტებაც მოჰყვეს.

რაც შეეხება სახელმწიფოს პოზიციას, ხელისუფლებაში მოსული ახალი მმართველი ძალა მხარს უჭერს ქართული საფონდო ბირჟის განვითარებას და კანონმდებლობაში გარკვეული ცვლილებების შეტანას აპირებს, თუმცა რეალური ნაბიჯები ჯერ არ განუხორციელებია. მთავრობის მხრიდან აგრეთვე იყო საუბრები ქართული საფონდო ბირჟის შესაძლო გაერთიანებასთან აღმოსავლეთ ევროპულ

საფონდო ბირჟებთან, კერძოდ, ჩეხურ და პოლონურ ბირჟებთან. თუმცა არც ამ ინიციატივის განხორციელებაზე მიმდგარა ჯერ რეალურად საქმე.

ერთ-ერთი ყველაზე დიდი პრობლემა, რომელიც ქართულ საფონდო ბირჟას აქვს ეს არის მისი მარეგულირებლის როლი. 2008 წლამდე ასეთად დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანო „ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისია“ გვევლინებოდა, რომელიც საკაოდ წარმატებულად ართმევდა თავს თავის მოვალეობებს და სწორედ მის არსებობას უკავშირდება ქართული საფონდო ბირჟის მცირე, თუმცა მაინც წარმატებები. 2008 წლიდან კი საფონდო ბირჟას ახალი მარეგულირებელი - ეროვნული ბანკი, მიუჩინეს, რაც, ჩვენი აზრით, მნიშვნელოვანი შეცდომა გახლდათ და მიმართული იყო საფონდო ბირჟის შესუსტებისკენ. გამომდინარე იქედან, რომ ეროვნული ბანკი, პირველ რიგში, ადგილობრივი ბანკების ინტერესებს იცავს და არა - საფონდო ბირჟის, ეს უკანასკნელი მის არაპირდაპირ კონკურენტებთან, ქართულ კომერციულ ბანკებთან არათანაბარ პირობებში აღმოჩნდა.

მიუხედავად ყველა პრობლემისა, ქართულ საფონდო ბირჟას შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის შექმნისა და ადმინისტრაციის სწორი ნაბიჯების შემთხვევაში, რეალურად ძალუძს გარკვეული წარმატების მიღწევა, რომელიც აუცილებლად შეუწყობს ხელს საინვესტიციო საქმიანობის განხორციელებას ქვეყანაში.

სარგებლის მაღალი განაკვეთები

საინვესტიციო გარემოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პუნქტი ქვეყანაში არსებული საპროცენტო განაკვეთების ოდენობაა. როგორც წესი, განვითარებული ქვეყნებისაგან განსხვავებით, განვითარებად ქვეყნებში (გამონაკლისი არც საქართველოა), საპროცენტო განაკვეთი კომერციულ ბანკებში საკმაოდ მაღალია, რაც მისდამი ხელმისაწვდომობასა და, შესაბამისად, ბიზნესის განვითარებას ართულებს.

ცხრილი №3.5

საშ. წლიური საპროცენტო განაკვეთები ქართულ კომერციულ ბანკებში

	სულ			ეროვნული ვალუტა			უცხოური ვალუტა		
	სულ	მოკლევადიანი	გრძელვადიანი	სულ	მოკლევადიანი	გრძელვადიანი	სულ	მოკლევადიანი	გრძელვადიანი
1996	61,2	60,8	68,4	57,1	57,1	57,5	64,9	64,2	74,3

1997	50,8	51,7	41,0	49,6	49,9	41,7	52,2	54,0	40,9
1998	35,2	37,3	23,0	35,8	35,9	26,9	34,9	38,3	22,6
1999	31,2	33,2	22,6	29,7	29,9	24,9	31,7	34,4	22,5
2000	27,3	29,4	21,0	24,5	25,5	18,6	28,0	30,4	21,3
2001	24,4	26,3	20,0	22,3	23,8	17,0	24,9	27,1	20,5
2002	23,0	24,9	19,5	23,6	24,9	16,0	22,9	24,9	19,7
2003	21,5	23,6	18,5	24,0	24,9	18,8	21,1	23,3	18,5
2004	20,2	23,4	17,4	25,4	26,9	20,0	19,5	22,5	17,3
2005	17,9	20,8	16,1	21,3	21,6	20,8	17,1	20,4	15,6
2006	17,3	19,4	16,3	20,3	20,4	20,1	16,3	18,5	15,6
2007	17,7	20,0	16,7	20,9	22,1	19,6	16,5	18,2	16,1
2008	18,6	21,3	17,6	21,8	22,3	21,4	17,1	20,2	16,3
2009	19,3	23,4	18,1	23,6	25,0	22,8	18,1	22,4	17,0
2010	18,6	22,4	17,3	22,6	24,9	21,0	17,2	20,5	16,4
2011	17,1	21,7	15,6	22,6	26,6	19,5	14,9	16,7	14,5
2012	16,9	21,6	15,4	22,1	26,2	19,4	14,4	16,2	14,1
2013	15,9	19,9	14,5	20,7	24,7	18,1	13,5	14,6	13,2

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

<https://www.nbg.gov.ge/index.php?m=306#depozitebi>

ნიშანდობლივია, რომ წინა საუკუნის 90-იან წლებთან შედარებით, საპროცენტო განაკვეთებმა ქართულ კომერციულ ბანკებში მნიშვნელოვნად დაიკლო, თუმცა მაინც საკმაოდ მაღალ ნიშნულზე რჩება (იხ. ცხრილი №3.5). მაგ.: 1996 წელს საშუალო საპროცენტო განაკვეთი ეროვნულ ვალუტაში 57,1 პროცენტს შეადგენდა, ხოლო უცხოურში კი 64,9 პროცენტს. 2013 წელს კი, შესაბამისად, 20,7% და 13,5% (საშ. 15,9 პროცენტი). ეს მაინც საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია და განვითარებულ ქვეყნებში გაგრძელებულ რამდენიმე პროცენტთან მაჩვენებელს (ბელგია, ლუქსემბურგი - 2,4 პროცენტი; ავსტრია - 2,5 პროცენტი; საფრანგეთი - 2,8 პროცენტი; ჩეხეთი, დანია - 3,4 პროცენტი) (ევროსტატის თანახმად) რამდენიმეჯერ აღემატება. ის აგრეთვე, აღემატება ევროკავშირის (პირობითად) ყველაზე ნეგატიური მაჩვენებლის მქონე ქვეყნებსაც, მაგ.: ბულგარეთი - 9 პროცენტი; რუმინეთი - 10% და უნგრეთი 10,4 პროცენტი.

მცირე ბაზარი, სამუშაო ძალის დაბალი კვალიფიციურობა და სიღარიბის მაღალი მაჩვენებელი


გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსის მიხედვით (გამოკვეთულ 148 ქვეყანას შორის), საქართველო საკმაოდ ჩამორჩენილი ქვეყანაა, ამაზე შემდეგი მაჩვენებლები მეტყველებენ:

- ფინანსური სერვისების ხელმისაწვდომობა - 83-ე ადგილი;
- სესხების ხელმისაწვდომობა - 98-ე ადგილი;
- ადგილობრივი ბაზრის სიდიდე (ინდექსი) - 102-ე ადგილი;
- განათლების სისტემის ხარისხი - 105-ე ადგილი;
- ტექნოლოგიების ათვისების მაჩვენებელი - 117-ე ადგილი;
- კვლევებისა და ტრენინგების ხელმისაწვდომობა - 130-ე ადგილი;
- თანამშრომლობა უნივერსიტეტებსა და ინდუსტრიას შორის კვლევებსა და განვითარებაში - 132 ადგილი.

გამომდინარე ზემოჩამოთვლილი სუსტი პოზიციებიდან, ნათელი ხდება თუ რატომ არ ინტერესდებიან საქართველოთი უცხოელი ინვესტორები იმ ოდენობით, რაც საქართველოში აღნიშნული პრობლემების გამოსწორებას შეუწყობდა ხელს. ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემა, თავად საქართველოს მცირე ბაზარსა და სამუშაო ძალის დაბალკვალიფიციურობაშია, რაც, თავის მხრივ, სპეციალისტების უცხოეთიდან მოწვევის აუცილებლობას წარმოშობს.

„საქართველო 2020-ს“ თანახმად, ბოლო ათწლეულში ეკონომიკური ზრდით მიღებული შედეგი ვერ გამოდგა საკმარისი სიღარიბის მაჩვენებლის გამოსასწორებლად. შედეგად, საქართველო ევროპისა და ცენტრალური აზიის ქვეყნებს შორის უთანასწორობის მაჩვენებლის მიხედვით ერთ-ერთი „სამაგალითო“ ქვეყანაა. აღნიშნული საკითხი იმიტომ წარმოადგენს პრობლემას, რომ ინვესტორისთვის არამხოლოდ დაბალი გადასახადებია საჭირო ბიზნესის საწარმოებლად, არამედ აუცილებელია კვალიფიციური კადრებიც. საქართველოში კი საკმაოდ გავრცელებულია მიდგომა, როდესაც თუნდაც დაბალკვალიფიციური მუშა უკადრისობს დაბალი ხელფასის სანაცვლოდ მუშაობას, ხოლო მაღალკვალიფიციური - მაინც და მაინც „ევროპულ“ ხელფასს ითხოვს.

სიღარიბის მაჩვენებლები საქართველოში



წყარო: საქსტატი

2013 წლის მონაცემებით, მიზნობრივი სოციალური დახმარების მონაცემთა ბაზაში 1,7 მილიონამდე პირი ფიქსირდება, რაც მოსახლეობის 40 პროცენტს უტოლდება. ამასთან, დღიურ \$2 შემოსავალზე ნაკლებით ქვეყანაში მოსახლეობის 35 პროცენტზე მეტი ცხოვრობს (იხ. დიაგრამა №3.2). ამავდროულად, ქვეყანაში საარსებო მინიმუმი მხოლოდ 150 ლარს შეადგენს (2014 წლის მარტი) და მასში განათლების კომპონენტი საერთოდ არ არის გათვალისწინებული. შესაბამისად, როდესაც მოსახლეობა ფაქტობრივად არსებობის ზღვარზეა, რაიმე ტიპის კვალიფიკაციის ამაღლებაზე საუბარიც ზედმეტია. მართალია, მთავრობის მხრიდან იყო მცდელობა, გადამზადების სხვადასხვა პროგრამაში ჩაერთო მოსახლეობა, მაგრამ პროექტის მასშტაბებიდან გამომდინარე, მან ქვეყანაში არსებული რეალური სურათის შეცვლა ვერ მოახერხა.

კონფლიქტური რეგიონების არსებობა

სხვა მრავალ პრობლემასთან ერთად კონფლიქტური რეგიონების არსებობა და მასთან დაკავშირებული პრობლემები საქართველოს საინვესტიციო კლიმატზე მეტად ნეგატიურად აისახება, რაც ჩვენი ბაზრის სიმცირის და მუშახელის დაბალი კვალიფიკაციის გათვალისწინებით, ნამდვილ „თავის ტკივილს“ წარმოადგენს

საქართველოს მთავრობისთვის. აგრეთვე უდიდესი პრობლემაა აღნიშნულ რეგიონებთან მუდმივად დაძაბულ ვითარებაში თანაარსებობა.

ქართულ-აფხაზურ ეკონომისტთა ჯგუფის მიერ ჩატარებული კვლევების თანახმად, კონფლიქტური ვითარების და „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ კანონის არსებობის მიუხედავად, ქართულ-აფხაზური ეკონომიკური ურთიერთობები მაინც არსებობს და მნიშვნელოვან როლსაც ასრულებს: ერთი მხრივ, აფხაზური სასურსათო უსაფრთხოების, მეორე მხრივ, კი აფხაზეთში მცხოვრები (არამხოლოდ) ქართველი მოსახლეობის ეკონომიკური აქტიურობის მხარდაჭერის თვალსაზრისით (Mirimanova at all, 2013). სწორი პოლიტიკის წარმართვის შემთხვევაში, ძლიერი ეკონომიკური კავშირების დამყარება ნამდვილად შეიძლება იყოს ამ კონფლიქტის მოგვარების მშვიდობიანი გზა.

საინტერესოა, რომ ექსპერტთა რეგიონალური ჯგუფის მიერ (შედგებოდა ქართველი, აფხაზი, სომეხი, აზერბაიჯანელი, თურქი და რუსი ექსპერტებისგან) დათვლილ იქნა ერთ-ერთი პროექტიც, რომელიც, ექსპერტთა ერთი ნაწილის აზრით, პოზიტიურ, ხოლო დანარჩენთა შეფასებით, კი ნეგატიურ ასახვას ჰპოვებს ქართულ სახელმწიფოზე. საუბარია ტრანსკავკასიური რკინიგზის აღდგენაზე, რომელიც რუსეთს, აფხაზეთის გავლით, საქართველოსთან, შემდგომ სომხეთთან, და ბოლოს, ირანთან დააკავშირებს. აღნიშნული პროექტი იმით არის საინტერესო, რომ იგი განიხილებოდა, როგორც საინვესტიციო პროექტი, რომლის ღირებულებაც უნიკალურად დათვლილი მეთოდოლოგიით \$250-დან \$400 მლნ-მდე შეადგენდა (Mirimanova at all, 2013).

აღნიშნული რკინიგზის საშუალებით, შესაძლებელია საქართველოდან დასავლეთ რუსეთში ტვირთების (და აგრეთვე, ადამიანების) უმოკლესი მარშრუტით გადაადგილება, რაც, ამავედროულად, ყველაზე იაფი და სწრაფი (თუ არ ჩავთვლით საჰაერო მიმოსვლას) გზაცაა. თუმცა კვლევის ქართველი ექსპერტის მიერ, პროექტის ამოქმედება, პოლიტიკური კონიუნქტურიდან გამომდინარე, მიზანშეუწონლად იქნა მიჩნეული.

საერთო ჯამში შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული კონფლიქტების მოგვარება სასიცოცხლო აუცილებლობას წარმოადგენს არამხოლოდ საინვესტიციო კლიმატის, არამედ, მთლიანად ქართული ეკონომიკის წინსვლისთვის, ამიტომ საქართველოს

მთავრობა აქტიურად უნდა იყოს ჩართული კონფლიქტურ რეგიონებთან ერთად საერთო პროექტების განხორციელებაში, რისი ნათელი მაგალითიც შეიძლება იყოს ენგურჰესი. კონფლიქტურ რეგიონებთან მშვიდობიანი თანაარსებობის დაფიქსირება, როგორც მინიმუმ, პოზიტიური იქნება არამხოლოდ კონფლიქტის დარეგულირების, არამედ ქვეყნის სწორი მიმართულებით განვითარების სიგნალი, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე, ქვეყნის გარეთაც, რასაც აუცილებლად მოჰყვება შესაბამისი შედეგები.

საკუთრების უფლების დაცვა

ყოველი ბიზნესმენისთვის ამა თუ იმ ქვეყანაში ინვესტირების წინაპირობა მისი საკუთრების უფლების დაცვაა. ინვესტორი ყოველთვის კითხულობს, აქვს თუ არა გაფორმებული „ახალ ბაზარს“ მის ქვეყანასთან ინვესტიციების წახალისებისა და დაცვის ორმხრივი ხელშეკრულება. საქართველოს ეკონომიკის მინისტრის, გიორგი კვირიკაშვილის 2013 წლის განცხადების თანახმად: „იმ სავალალო მდგომარეობის გამო, რომელიც საკუთრების უფლების დარღვევის მიმართულებით გვექონდა, წინა ხელისუფლებამ 32 ქვეყანასთან შეაჩერა ინვესტიციების დაცვის ორმხრივი ხელშეკრულების გაფორმება. ეს ქვეყნები დღეს მოლაპარაკების განახლებას ელოდებიან.“ თუმცა, აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ აღნიშნული პროცესი კვლავაც არ არის დასრულებული (2015 წელს) და მეტი აქტიურობაა საჭირო ხელისუფლების მხრიდან უცხოური ინვესტიციების მოზიდვისთვის და საინტერესო ბიზნეს გარემოს შესაქმნელად. იუსტიციის სამინისტროს ვებ-გვერდის მიხედვით, ინვესტიციების წახალისებისა და დაცვის ორმხრივი ხელშეკრულებები საქართველოს მხოლოდ 21 ქვეყანასთან აქვს გაფორმებული.

აღნიშნული პრობლემის სიმწვავეზე მიუთითებს მსოფლიოში ორი პრესტიჟული კვლევის შედეგებიც. კერძოდ, მსოფლიო ბანკის ყოველწლიურ რეიტინგში „დუინგ ბიზნეს 2013“ (სადაც საქართველოს ბოლო წლების მანძილზე მნიშვნელოვანი წინსვლა ჰქონდა ფიქსირებული), ინვესტორთა დაცულობის მხრივ საქართველო ბოლო წლების განმავლობაში სტაბილურად 43-ე პოზიციას იკავებს, ხოლო მის ერთ-ერთ კომპონენტში, რომელიც გაკოტრების პროცედურებთანაა დაკავშირებული, სულაც 122-ეა მსოფლიოში, არადა თავად „დუინგ ბიზნესის“ აგრეგირებულ მაჩვენებელში საქართველოს მსოფლიოს 189 ქვეყანას შორის 15-ე ადგილი უჭირავს.

იგივე მდგომარეობაა ავტორიტეტული ორგანიზაციის „ჰერიტიჯის ფონდის“ „ეკონომიკური თავისუფლების“ რეიგინგში. 2015 წლის მონაცემებით, კვლევაში მოხვედრილ თითქმის 200 ქვეყანას შორის, საქართველოს საკმაოდ პოზიტიური - 22-ე ადგილი უჭირავს. თუმცა საკუთრების უფლების დაცულობის კუთხით „დუინგ ბიზნეს“-თან შედარებით, მოცემული რეიტინგი უფრო მკაცრი აღმოჩნდა და საქართველოს 70-ე პოზიცია მიანიჭა, უფრო მეტიც, 2013 წელთან შედარებით, საქართველომ ერთი პოზიციით უკან დახევაც „მოახერხა“, თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ, მაგალითად, 2011 წელთან შედარებით , 77-ე ადგილი გარკვეულ გაუმჯობესებასაც წარმოადგენს.

შეიძლება დავასკვნათ, რომ მიუხედავად „დუინგ ბიზნესსა“ (მე-15 ადგილი) და „ეკონომიკური თავისუფლების“ რეიტინგში (22-ე ადგილი), პოზიტიური გასაშუალოებული მაჩვენებლებისა, საქართველო ჯერაც შორსაა ინვესტორთა ფართომასშტაბიანი დაინტერესებისგან (იგულისხმება საინვესტიციო ბუმისთვის ხელსაყრელი პირობები).

დასკვნები და რეკომენდაციები

- ისტორიული თვალსაზრისით არც თუ ისე დიდი დრო გავიდა მას შემდეგ რაც მთავრობებმა გააანალიზეს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გადამწყვეტი როლი და მნიშვნელობა ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ჭრილში, განსაკუთრებით კი, განვითარებადმა ქვეყნებმა. რადგანაც, სწორედ ამ ტიპის ქვეყნებში - შიგა დანაზოგები მინიმალურ დონეზეა და ვერ ძალუძთ „საინვესტიციო შიმშილის“ დაკმაყოფილება.
- საქართველოს საინვესტიციო გარემოს განსაკუთრებული გამოცოცხლება 2003 წლიდან, გატარებული რეფორმებისა და ინიციატივების შემდეგ შეინიშნება, რაც ადგილობრივი და საერთაშორისო კვლევებითა და შეფასებებითაც დასტურდება.
- საქართველოში ინვესტირების უპირატესობებს წარმოადგენს: დაბალი გადასახადები; მარტივი და სამართლიანი საგადასახადო ადმინისტრირება; ეფექტიანი, ბიზნესის მხარდამჭერი და არაკორუმპირებული მთავრობა; სტაბილური და კონსერვატიულად მართული საბანკო სექტორი; საზღვაო, სახმელეთო და საჰაერო წვდომით, ვაჭრობის, ლოჯისტიკისა და წარმოებისათვის სტაბილური ენერგომიწოდება; მოქნილი შორმითი კანონმდებლობა; კრიმინალის დაბალი დონე და სხვა.
- პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის ნეგატიურ მხარეებს შორის შესაძლოა განვიხილოთ ისეთი საკითხები, როგორცაა: საფონდო ბირჟის განუვითარებლობა; მაღალი საპროცენტო განაკვეთები; მცირე ბაზარი, სამუშაო ძალის დაბალი-კვალიფიციურობა და სიღარიბის მაღალი მაჩვენებელი; კერძო საკუთრების დაცვის დაბალი დონე, კონფლიქტური რეგიონების არსებობა და სხვა.
- საქართველო ჯერ კიდევ ინვესტიციების ნეტო იმპორტიორი ქვეყანაა. ამავდროულად, 2007 წლის შემდეგ, უარყოფითი ნეტო მაჩვენებელი შემცირდა, თუმცა არა საქართველოდან საზღვარგარეთ გამავალი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ზრდის, არამედ საქართველოში შემომავალი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების კლების ხარჯზე.
- საქართველოდან საზღვარგარეთ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ყველაზე მასშტაბური მოცულობა 2012 წელს განხორციელდა, რაც შეიძლება ქვეყანაში

არასტაბილური პოლიტიკური ვითარებით და ქართველი ბიზნესმენების მხრიდან სახსრების საზღვარგარეთ დაბანდების (შედარებით უსაფრთხო ადგილას) სურვილით აიხსნას.

- ბოლო წლების განმავლობაში, საქართველოში შემომავალი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მაჩვენებელს დიდწილად რეინვესტირებული კაპიტალი და არა საზღვარგარეთიდან შემოდინებული ახალი ინვესტიციური ნაკადები - განაპირობებდა.

- საქართველოში უცხოელების მიერ რეინვესტირებული კაპიტალი და ქართველების მიერ საზღვარგარეთ რეინვესტირების სურათი ურთიერთსაპირისპიროა და სწორედ მაშინ მატულობს/კლებულობს, როდესაც საქართველოში სტაბილური/არასტაბილური ვითარება იკიდებდა ფეხს.

- საქართველო მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ევროკავშირის წევრი ქვეყნებიდან შემოდინებულ პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებზე, რაც, ერთი მხრივ, მათზე დამოკიდებულებას, ხოლო მეორე მხრის საქართველოსადმი დაინტერესებაზე მეტყველებს.

- დამოუკიდებლობის მოპოვებიდან დღემდე, მნიშვნელოვანი ოდენობით პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განხორციელებით საქართველოში, სულ რამდენიმე ქვეყანაა დაინტერესებული (მთლიანი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნახევარი 5 წამყვანი ქვეყნიდან მოდის).

- ჩვენი აზრით, რომ არა საქართველო-რუსეთის ომი და მსოფლიო ფინანსური კრიზისი, საქართველო მომდევნო წლებშიც შეინარჩუნებდა და შეიძლება გააუმჯობესებდა კიდევ ომამდელ მაჩვენებელს, რისი თქმის საფუძველსაც იძლევა, თუნდაც 2008 წლის პირველ ნახევარში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაკადების შედარება, კატაკლიზმებით დახუნძლულ მეორე ნახევართან.

- საქართველოს მთავრობის მიერ პრიორიტეტად გამოცხადებულ სოფლის მეურნეობაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების უმნიშვნელო მაჩვენებელი ფიქსირდება, რაც სექტორის დაბალი რენტაბელობით აიხსნება. თუმცა, საკმაოდ მნიშვნელოვანი წილი მოდის ენერჯეტიკის სფეროზე, რომელიც ასევე, ერთ-ერთი პრიორიტეტია ქვეყანაში.

- ევროკავშირის 28 ქვეყნიდან თითქმის ყველას (26-ს) აქვს განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოს ეკონომიკაში, გამონაკლისს მხოლოდ ხორვატია და სლოვენია წარმოადგენენ. აგრეთვე, აღსანიშნავია, რომ ევროკავშირი როგორც ცალკე აღებული რეგიონი, თითქმის ყველა წლის მიხედვით ღიდერია საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განხორციელების კუთხით.
- აღსანიშნავია, რომ ინვესტორების საუკეთესო ოცეულიდან, ნახევარზე მეტი OECD-ს წევრია. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაკადები საქართველოში დამოუკიდებლობის მოპოვების პირველ წლებში ძირითადად სწორედ OECD-ის ქვეყნებიდან შემოედინებოდა.
- 2004 წლიდან დაწყებულმა პოზიტიურმა რეფორმებმა საქართველოს საინვესტიციო იმიჯი საგრძნობლად გააუმჯობესა, შედეგად რამდენიმე წელიწადში ინვესტიციური ნაკადები მრავალგზის გაიზარდა.
- მიუხედავად უამრავი პოზიტიური ნაბიჯისა, უცხოელი ინვესტორების ერთ-ერთ ყველაზე მთავარ დაბრკოლებას და საფრთხეს საქართველოში, სხვადასხვა მიზეზების გამო საკუთრების უფლების დაუცველობა წარმოადგენს.
- 2008 წლიდან 2014 წლის პირველ კვარტალში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განმახორციელებლები ძირითადად საშინაო ბაზრის ათვისებით იყვნენ დაინტერესებულნი, მეორე ადგილზე გავიდა ევექტიანობის მაძიებელი ინვესტიციები, ხოლო მესამეზე კი - რესურსების მაძიებელი.
- ჩვენს მიერ აგებული ერის ინვესტიციური განვითარების გზის მოდელიდან გამომდინარე, ნათელია რომ შემომავალი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ძირითადი მოტივი რესურსების დაუფლება და ადგილობრივი ბაზრის ათვისება გახლავთ.
- 1997-2004 წლებში საქართველო ერის ინვესტიციური განვითარების გზის პირველ საფეხურზე იმყოფებოდა.
- 2008 წლიდან საქართველო ერის საინვესტიციო განვითარების გზის მესამე საფეხურზე გადადის და უცხოურ ინვესტიციათა მოტივაციებიც იცვლება. თუმცა შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს მესამე საფეხურზე აღზევება, ამ შემთხვევაში, არ არის ბოლომდე მართებული პროგნოზი, რადგანაც საქართველოს წმინდა

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მაჩვენებლის შემცირება არა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ექსპორტის ზრდით, არამედ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების იმპორტის კლებით იყო განპირობებული. ამ შემთხვევაში, შესაძლოა ითქვას, რომ საქართველო ერის ინვესტიციური განვითარების გზის მესამე საფეხურზე არა 2008 წლიდან, არამედ მომდევნო წლებში ინაცვლებს. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ გარკვეული პარამეტრების მიხედვით, საქართველოს მესამე საფეხურზე სრულფასოვან გადასვლაზე საუბარი ნაადრევია.

- ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევის ფარგლებში, სხვადასხვა ქვეყნების (150-მდე ქვეყნის შედეგები იხილეთ დანართში) მონაცემების საფუძველზე რეიტინგის გამოთვლა და შემდგომ რეალურ ინვესტიციურ ნაკადებთან შედარება განხორციელდა. მაგ.: 2011 წელს ესტონეთის პოტენციალი მსოფლიოში 115-ე გახლდათ მაშინ, როდესაც მოპოვებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მაჩვენებლით ის 110-ე იყო მსოფლიოში. 2013 წელს კი, პოტენციალის გაუმჯობესების მიუხედავად (23-ე ადგილი), პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაკადებმა მნიშვნელოვნად იკლო. თურქეთმა კი პირიქით, პოტენციალით 69-ე პოზიცია რეალურ 23-ე ადგილად აქცია (იხ. ცხრილი №3.46).

